კვირის პალიტრა

# გზა

N8 (402) 21/II-2

ფასი 80 თეთ

## „ერისიონმა“ კონტრაქტი გაწყვიტა —

ფრანგებმა ქართული ფოლკლორის დაპატრონება სცადეს

## რა ქონების მფლობელია კახი კალაძე და ვისი ცოლად შერთვა უნდა მას

## უმზითვო საპატარძლოს სიყვარული აუხსნეს...

„აფხაზი ვარ, მაგრამ შვილს ქართველად ვზრდი“...

ქალბატონი, რომელიც ზვიად ძიძიგურზე ზრუნავს

როდის „ჭედავს“ სააკაშვილისა და ბოკერიას პაროდისტი

## გაუმაძღროების 10 უარყოფითი შედეგი

ISSN 1987 - 5029

9 771987 502009

# საბა SABA

სამზარეულოები იტალიიდან

MIDNIGHT SPAGHETTI ALL'ITALIANA.

BERLONI

YOUR HOME, ABOVE ALL.

კანდელაკის ქ. 65 0160 თბილისი საქართველო

www.saba.ge e.mail: info @ saba.ge (+995 32) 38 44 54

ქვირის პალიტრა
ფეხი
№8 (402)
21 - 27 თებერვალი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

# ჟურნალი ჟურნალში
# ფეხის ნაკვალევები

ცხოვრებამ შედგა,
თუ ყინესაკ,
შოშელოსაც ხვალ,
ასაკია ამ ჭალზე ფეხშისა,
შოშელოსანსაც ვეძინავს.

უსამართლო გადაწყვეტილება

ზრაფი თარხანი

ფოტოტესტი
39-70

■ მინიატიურები
კარვების დედაქალაქი და მოშიმშილე ქვეყანა ანუ „ციხეს რად უნდა რკინის კარები“ 5
■ ფაქტი და კომენტარი
„ვინ მტყუანია და ვინ — მართალი, ვერ გაიგებ“ 6
■ პოლიტიკა
ურჩი ქართველი რეგიონებისთვის კოსოვო პრეზიდენტად ვერ გამოდგება 8
■ საქმე
კახა კალაძემ საკუთარი ბანკი დააფუძნა 9
■ დედამიწვილები
დის მიერ შექმნილი, ოპოზიციონერი ძმის პორტრეტი 10
■ ექსპერტი
„პატარაკაციშვილის სიკვდილი მხოლოდ რუსეთს აძლევდა ხელს“ 12
■ კოლეგა
„ვნერდი ყოველთვის იმას, რასაც ჩემი სინდისი მიკარნახებდა“ 13
■ დაიჯესტი 15
■ ჟურნალისტის როლში
როლის „ჭედავს“ საკაკაშვილისა და ბოკერიას პაროდისტი 16
■ ერთი მინის შვილები
„მე აფხაზი ვარ, მაგრამ შვილს ქართველად ვზრდი...“ 18
■ მწვერვალზე
მყინვარწვერის ნეფე-დედოფლის „თეთრი საიდუმლო“ 20
■ ერუდიტი
ივლიანე ხაინდრავა „გამოცდაზე“ 22
■ შოუმენები
როგორები არიან „ქლაბ-შოუს“ ბიჭები რეალურ ცხოვრებაში 24
■ რეპორტაჟი
რეპორტაჟი სამარშრუტო ტაქსიდან ანუ „წინ დაჯექი, მალე ჩახვალ“ 25
■ პოეტი
„ეს სიტყვები არ არის, ეს სიყვარულია“ 27

## ჩუბჩიკა, ჩემი მეშა, დაკარგული მანიღოვიჩი



„მე კი მას სოკრატეს ვეძახდი (რაზეც ძალიან ეცინებოდა), თავად კი „ძია ლევანს“ მეძახდა. ზოგჯერ, ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს ის ჩემზე უმცროსი იყო, არადა, ასაკით მამად მერგებოდა.“

28

## ნეფე-დედოფლის „თეთრი საიდუმლო“

მაკა გულედანი და ნიკა ლებანიძე სხვა წყვილებისგან იმით განსხვავდებიან, რომ მათ, მართლმადიდებლურ სამყაროში ყველაზე მაღალ — ზღვის დონიდან 4100 მეტრის სიმაღლეზე, მყინვარწვერზე მდებარე, სამების ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი.

20

— შენი მოკვლა რომ მნდომოდა, აქ არ მოგიყვანდი! — ცივად მიუგდო ლუკამ.

— კარგი... დავანებოთ ამას თავი... — განაგრძო ლუკამ. — ესე იგი, გამზათს შეხვდი?

— შევხვდი, — თავი დაუქნია ტარბამ, — თვითონ მომძებნა!

— რამე დაგაბარა ჩემთან?

— არა... მაგრამ ძალიან დიდხანს მებაზრა შენზე.

— რა შემოგთავაზა?

— თვითონ ვერ ხვდები?

82

■ ადამიანი, რომელიც არასოდეს დამავიწყდება
ჩუბჩიკა, ჩემი მიშა, დაკარგული მანილოვიჩი
და საცივზე ნაკითხული მოხსენება 28
■ ანტიდეპრესანტი 30
■ ჩვენი მკითხველი
„დავჯექი ქართველების ტანჯზე და
აუხაზებს „გადავუარე“ 30
■ თინეიჯერული პონტები
✓ „ნაგიქარი“ მულატკას მიერ ნაცემი
გოგო-ბიჭები, მოწოლილი სარძლო და
გამოუსადეგარი ლამაზი კაცი 32
✓ „მეზიზღებიან კაცები, რომლებიც
პატარა გოგონებს აბრიყვებენ“ 34
■ პრეზენტაცია
„მეც თქვენი ტოლი ვარ...“ 36
■ ჯანმრთელობა
რატომ გვესხმის თავბრუ? 36
■ ქურნალი ქურნალში
გზავნილები 39-70
■ არაჩვეულებრივი „გამოფენა“
„მაზალო“ თანაკლასელების სახალისო
თავგადასავლები 71
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია. ქარის საიდუმლო (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ სასურველ მამაკაცს რომ მისთხოვდეთ... 80
✓ 15 წუთი სილამაზისთვის 81
✓ დიდხანს შეინარჩუნეთ მომხიბვლელობა 81
■ ბესტსელერი
გოჩა მანველიძე. მგლები 4 (გაგრძელება) 82
■ საგანძური
„ვეწინააღმდეგებით ყველაფერს, რაც ჩვენს
ფოლკლორს დაუზიანებს“ 86
■ ვარსკვლავები
✓ კირა ნიტლი — წლის საუკეთესო მსახიობი 88
✓ სკარლეტ იოჰანსონისა და პენელოპა
კრუსის ინტიმური სცენები 90
■ ბელადი
მხედართმთავარი სტალინი (გაგრძელება) 92
■ საპატარძლო
„ულამაზესი ხარ, ნამდვილი ფერია“ 94
■ საზოგადოება
მიზეზი, რომლის გამოც ადამიანები
სახელმწიფო დახმარებას ვერ იღებენ 95
■ გარემო
როცა გცივა, ზაქარია... 96
■ წმინდანები
ასკეტური ცხოვრება, თოვლქვეშ გატარებული დღეები
და უფლის ნებით მოვლენილი განსაცდელი 96
■ საფრთხე
„მათ თანადგომა სჭირდებათ
და არა თანაგრძნობა“ 98
■ კრიმინალი 100
■ ავტო 102
■ პროგნოზი 103
■ სკანვორდი 104
■ ტესტი 105
■ კალეიდოსკოპი 106



გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.


## სამტავრო კონტრაქტი გაწყდა

„ამ ცოტა ხნის წინაც, ფრანგებმა გერმანულ გაზეთში დაწერეს, — „ერისიონში“ ესა და ეს, ჩვენ გავაკეთეთო. არადა, მათ ტექნიკური საკითხების გარდა, ანსამბლთან შეხება არ ჰქონიათ, ამ საკითხების მოგვარებაში კი, ფრანგების გარდა, სხვადასხვა დროს სხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ“.

86

## წლის საუკეთესო მსახიობი

გოგონა სულ პატარა იყო, როდესაც მშობლები უცნაური თხოვნით გააოცა: მას სურდა, საკუთარი აგენტი ჰყოლოდა! კირას ძალზე უცნაურად ეჩვენებოდა ის ამბავი, რომ მათ სახლში ტელეფონი არ ჩერდებოდა, მშობლები მუდამ საქმეზე საუბრობდნენ, მას კი არავინ არაფერს სთავაზობდა!

88

## რეგორეგი არიან „ქლაბ-შოუს“ ბიჭები

„მოვიდა თუ არა, ჩავიყავი ჯიბეში ხელი, ამოვიღე ბოლო 60 თეთრი და გავუწოდე. მან გაიკვირვა და მითხრა: ხურდა რად მინდა? მე შენ შოუდან გიცანი, ამიკო არა ხარო? მაგრად „გამიტყდა“...

24

ორივეს ერთი რამ გვტანჯავდა მხოლოდ — დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება — იმ იდუმალი სიახლოვის დანაკლისი, რომელსაც სექსი ჰქვია და რომელიც ჩვენ არასდროს გვქონია...

სანდრო გავიდა და კარი მოიხურა. თავი ხელებში ჩავრგე. შევეცადე, დავწყნარებულიყავი. თითები მაგიდაზე ავათამაშე, თითქოს ეს მიშველიდა.

მოულოდნელად კარი გაიღო და იმ საოცართვალება მამაკაცმა შემოყო თავი, რომელიც დერეფანში ჩურჩულებდა ჩემზე.

74

# ყარვების დელაქალაქი და მიშიმშილე ქვეყანა

## ანუ „ცოხეს ოად უნდა ოყინის ყარები"

არა და არ დაადგა საშველი პოზიცია-ოპოზიციის შერიგებას — შეიკრიბებიან, მერე ისევ დაიშლებიან და... რა არ სცადეს: „ნეკი-ნეკისა — შერიგებისა", „ვინც არ არის დამალული", „გზაზე მიდის ურემი", „ჟოპა-სტენკა", მაგრამ მაინც, ბოლოს „ვირობანა" გამოსდით და შედეგი — არაფერი. ოპოზიცია ამბობს, მოლაპარაკება ჩიხში შევიდაო; პრინციპში, ამას ხელისუფლებაც არ უარყოფს: დარბაზში შევიკრიბეთ, შემოგვესივნენ ჟურნალისტები და არ დაგვალაპარაკესო; ოთახში შევედით, იქაც შემოვიდნენო; ახლა პარლამენტის უკან რომ მყუდრო ჩიხია, იქ შევედით და იქნებ, რაღაცა მოვახერხოთო...

მოკლედ, მივიღეთ ის, რომ მემორანდუმის რამდენიმე პუნქტს, რომელსაც საკონსტიტუციო ცვლილება სჭირდება, კენჭს ვერ უყრიან, რადგან სხდომას მინიმუმ, 177 დეპუტატი მაინც უნდა ესწრებოდეს. ოპოზიციის ბოიკოტის გამო კი ეს ვერ ხერხდება და გამოდის, რომ რისთვისაც მათ 150 ათასი კაცი გარეთ გამოიყვანეს, შესაძლოა, ეს მათივე მიზეზით აღარ მოხდეს ანუ ამ გაზაფხულზე საპარლამენტო არჩევნები ვერც კი მოესწროს.

ამ მთავრობასაც მეტი რა უნდა?! — მოხსნა გუდას პირი და კიდევ ერთხელ გაატანა წყალს საცოდავი ოპოზიცია, როგორც ხალხის პრობლემებით მოსპეკულირე „ელემენტი". ამ „ელემენტსაც" თავისი მყარი არგუმენტები აქვს: ჯერ ცესკოს და სსმ-ის ხელმძღვანელები გაათავისუფლეთ, მერე პოლიტპატიმრები და შემოვალთ სხდომაზე, მანამდე კი დარბაზში ჩვენს შეტყუებას ამაოდ ცდილობთო...

თქვე მამაცხონებულებო, თავს იკლავდით, იმ დარბაზში რომ მოხვედრილიყავით და დეპუტატობის მანდატი ჩაგედოთ ჯიბეში და ახლა სათოფეზე არ ეკარებით?! მაგრამ ოპოზიცია, იაპონიის არ იყოს, რაც ზევითაა, ორი იმდენი ქვემოთაა და ასე ადვილად მოტყუვდება?! სხდომას რომ დაესწროს და საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საჭირო კვორუმი შედგეს, შესაძლოა, არჩევნების გაზაფხულზე ჩატარების საკითხიც განიხილონ, ბარიერის შვიდიდან ხუთ პროცენტამდე დაწევაც და მერე უყარონ კენჭი, მთელი უმრავლესობა „არას" მისცემს და ყველაფერი ისევე დარჩება, როგორც აქამდე იყო...

ამიტომაც აპირებს ოპოზიცია პერმანენტული აქციების განახლებას (თვითონ თქვეს ასე, თორემ „პერმანენტული" რას ნიშნავს, სულ არ ვიცი). ხალხი რომ არ გაიყინოს და არ დაიშალოს, კარვებსაც დავდგამთო და იქ მანამ ვიცხოვრებთ, სანამ ცესკოს, სსმ-ის და პატიმრების საკითხი არ გადაწყდებაო. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მაგრამ მაგ კარვების დრო მართლაც, საშინელ წარსულად აგონდება ხალხს და კარვების გაშლის მცდელობას რაც მოჰყვა 7 ნოემბრის დილას, თქვენც ხომ კარგად გახსოვთ. მოკლედ, ვაი ერთს და ვუი — მეორეს. ამიტომ, მე ვიკისრებ ისევ ოპტიმალური გამოსავლის იდეის ავტორობას და საპარლამენტო უმრავლესობას რჩევას მივცემ:

თქვენ ოპოზიციის დარბაზში შემოსვლა გინდათ, იმათ კიდევ — კარვები და მიტინგი. ამიტომ აალაგეთ ის სკამები, სადაც ოპოზიციური ფრაქციების წევრები ისხდნენ, გაათავისუფლეთ ადგილი, გაუშალეთ დარბაზშივე 3-4 ცალი კარავი, მიეცით მიკროფონის ნაცვლად მეგაფონი და ასეთი სახით განაგრძეთ სხდომები. ოღონდაც თქვენ შეთანხმდით და მე როცა დამიბარებთ, მაშინ მოვალ არჩევნებზე. ის ბარიერიც, გინდ ასწიეთ და გინდ — დასწიეთ, თქვენ უნდა გადაახტეთ და არა — მე. ასე ხომ უფრო ტოლერანტულები (თქვენ ამბობთ, თორემ „ტოლერანტული" რას ნიშნავს, სულ არ ვიცი მე!..) გამოჩნდებით?!

რაც შეეხება პატიმრების გათავისუფლებას, მაგ მოთხოვნის შედეგიც უცნობია, მაგრამ იმ დღეს პრეზიდენტისა და იუსტიციის მინისტრის საუბარს ვუსმინე და ვიფიქრე, ხომ არ მომესმა-მეთქი? — ისეთი რაღაც თქვა მიშამ, რომ შესაძლოა, ოპოზიციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად გათავისუფლებულმა პატიმრებმა საყვედურიც კი თქვან, — რას გვერჩოდითო?.. თურმე, იმ ავადსახსენებელ მე-5 იზოლატორს, როგორც უძველეს და უვარგის შენობას, საერთოდ ანგრევენ. კარგი აზრია, რადგან 1912 წელს ყოფილა აშენებული და 500 პატიმარზე გათვლილი. ახლა ხუთჯერ მეტი ზისო და ამდენმა პატიმარმა ერთდროულად რომ დააცემინოს, შენობა სულ აგურ-აგურ დაიშლება. მსუბუქი დანაშაულის მქონე პატიმრებს მონასტრებში გაუშვებენ. ესეც ძალიან კარგია: ვინც პრეზიდენტმა ვერ შეიწყალა, ღმერთი შეიწყალებს, დანარჩენებს კი თურმე, ისეთ ციხეში გადაიყვანენ, სადაც ისეთი უნიკალური სისუფთავე, სითბო, ცხელი-ცივი წყალი, ვენტილაცია, კვება, სამუშაო და ანაზღაურება იქნება, რომ იქ მოხვედრას არაფერი აჯობებს. ასე რომ, ნუ იჩქარებთ, იქნებ, ვაი იმათ, ვისაც მთავრობა შეიწყალებს (მე ვამბობ ასე, თორემ „შეწყალება" რას ნიშნავს, სულ არ იცის მთავრობამ!)...

*P.S. — ჩემო გურამ, უნდა მიშველო, დეპუტატი კაცი ხარ და შენ არ გეტყვიან უარს: ბიჭი მინდა ციხეში მომიხვედრო როგორმე.*

*— მონაცემები თუ აქვს?*

*— რას ამბობ, გადასარევი ბიჭია: იპარავს, იკეთებს, სცემს, აკლებული ჰყავს მთელი უბანი.*

*— წესით კი ეკუთვნის, მაგრამ ხომ იცი, ახლა ისეთი რიგებია ვიზებზე, რომ ვერ მიეკარები. იქნება, ცეკვის ანსამბლს გავაყოლო. ციხეში აქვთ გასტროლები და მერე, თვითონ იჩალიჩოს დარჩენაზე...*

**პროვოკატორი**

# „ვინ მჯყუანია და ვინ — მართალი, ვერ გაიგებ“

**პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად, საზოგადოების ერთ ნაწილს, საპარლამენტო სხდომებისთვის ოპოზიციის მიერ ბოიკოტის გამოცხადება და საპროტესტო შიმშილობის დაწყება მიაჩნია. მეორე ნაწილი, განსაკუთრებულად აღმაშფოთებელ ამბად, წყალტუბოს რაიონში მომხდარ, ახალგაზრდა ბიჭის გატაცებას მიიჩნევს. ზოგი კვლავ ფასების ზრდაზე ამახვილებს ყურადღებას და პროდუქტების უსაშველოდ გაძვირებას უჩივის. ამ და სხვა პრობლემებზე სასაუბროდ, ტრადიციისამებრ, ქუჩაში რამდენიმე გამვლელი გავაჩერეთ.**

## „იმაზე ვფიქრობთ, როგორ დავაღწიოთ თავი აქაურობას“

*ნათია ქივიძე*

**ლია ასათიანი,** *პედაგოგი, 38 წლის:*

— გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენა, ჩემი აზრით, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გახლდათ. ამ აქტს ამერიკამ მხარი დაუჭირა. ნეტავ, რას იზამს, აფხაზეთის ან ცხინვალის დამოუკიდებლობა რომ აღიარონ? რუსეთი ამას მხარს დაუჭერს და ამერიკელები ვერაფერსაც ვერ ეტყვიან. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ასე მოხდეს, მაგრამ აფხაზეთში ისე ემზადებიან საომრად, რომ არაფერი გამიკვირდება.

**არჩილ მიქიაშვილი,** *პენსიონერი, 74 წლის:*

— მნიშვნელოვანი ალბათ, ოპოზიციის ბოიკოტია. არ შედიან პარლამენტის სხდომებზე და მერე იტყვიან, ხელისუფლება საგაზაფხულო არჩევნებს დაგვპირდა და პირობა არ შეასრულაო. თუ სესიებს არ დაესწრებიან და კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებენ, როგორ დანიშნავენ არჩევნებს?.. მგონია, რომ ოპოზიციას მეტისმეტი მოსდის. კატეგორიულად მოითხოვენ პოლიტპატიმრების გათავისუფლებას, მაგრამ ხომ ითქვა, რომ ვინც მათ ასეთი პატიმრების სიაში ჰყავთ, ზოგი ციხეში საერთოდ არ ზის, ზოგი კი — კრიმინალიაო. ტყუილად იმუქრებიან შიმშილობის დაწყებით. ქართველი ხალხი ისედაც ნახევარჯერ მშივრები ვართ და ახლა ვინ იშიმშილებს მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად?..

**დავიღალეთ ამდენი მიტინგითა და გაუთავებელი ჩხუბით. თვითონ სავარძლები ვერ გაუყვიათ**

**ნინო მაისაშვილი,** *ქიმიკოსი, 57 წლის:*

— მნიშვნელოვანი მოვლენა ის იქნება, ოპოზიციის წარმომადგენლები აქციებს რომ გამართავენ. ამ ხელისუფლებამ მაინც ვერ ისწავლა ჭკუა. ვითომ რაღაცების დათმობას აპირებენ, მაგრამ სინამდვილეში, მხოლოდ ლაპარაკობენ. ამიტომაც შეწყვიტა მათთან მოლაპარაკება ოპოზიციამ და კარგადაც მოიქცა. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები საკუთარ სკამებს მაინც არ დათმობენ და ვერც რომელიმე თანამდებობას გაიმეტებენ ოპოზიციისთვის. შიმშილობის დაწყება საჭიროა და ამ აქციაში მონაწილეობას მეც აუცილებლად მივიღებ.

**ლაშა სვანიძე,** *ეკონომისტი, 28 წლის:*

— ძალიან არ მომწონს, ოპოზიციის წარმომადგენლები კვლავ მიტინგებითა და შიმშილობის აქციით რომ იმუქრებიან. იშიმშილონ, რამდენიც უნდათ, ხალხი კი ამ ამბავში მონაწილეობას ალბათ, აღარ მიიღებს. დავიღალეთ ამდენი მიტინგითა და გაუთავებელი ჩხუბით. თვითონ სავარძლები ვერ გაუყვიათ, ქართველი ხალხი რა შუაშია? დარწმუნებული ვარ, მომდევნო მიტინგი აუცილებლად „ჩაუვარდებათ“, რადგან ხალხს ქუჩაში დგომა მოგვბეზრდა და მშვიდად ცხოვრება მოგვენატრა.

**თამუნა საყვარელიძე,** *სტუდენტი, 19 წლის:*

— გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენა, ჩემი აზრით, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალება იყო. ამბობენ, ირაკლი კოდუა მასთან რომ ჩავიდა, მაშინ მოწამლა ისეთი რაღაცით, რამაც გულის შეტევა გამოიწვია. არ ვიცი, ეს რამდენად მართალია, მაგრამ ფაქტია, რომ პატარკაციშვილი პოლიტიკური სტრესის გამო გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ მისი მხარდამჭერი არასოდეს ვიყავი და არც მისი საქციელი მომწონდა, მაინც ძალიან შემეცოდა. ისე, მისი სიკვდილი ბევრს დაანაღვლიანებდა. წარმოიდგინეთ, რამდენს შეუწყდება დაფინანსება...

**ტარიელ ჭანტურია,** *იურისტი, 58 წლის:*

— არ მინდა პოლიტიკაში ჩავერიო და რაიმე პოლიტიკური განცხადება გავაკეთო. ახლა ისეთი დაძაბული სიტუაციაა, ხალხის ჩარევა ნამდვილად არ არის საჭირო. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მეშინია ომის დაწყების. არადა, აფხაზებს ისეთი საომარი აღჭურვილობა აქვთ და ისე ემზადებიან, რომ ალბათ ომი გარდაუვალი იქნება. სააკაშვილი ხომ დაგვპირდა, აფხაზეთს უსისხლოდ დაგიბრუნებთო, ჰოდა, შეასრულოს ახლა პირობა!.. მნიშვნელოვანი კი ის იყო, წყალტუბოს რაიონში 21 წლის ბიჭი გამოსასყიდის მისაღებად რომ გაიტაცეს. რომელი საუკუნეა?! მეგონა, ასეთი რაღაცები საქართველოში აღარასოდეს მოხდებოდა, მაგრამ ქართველებს რა შეგვცვლის?.. კიდევ კარგი, სამართალდამცველებმა კარგად იმუშავეს და გატაცებული ოჯახს მალევე დაუბრუნეს, თანაც — უსასყიდლოდ, თორემ ოპოზიციას კიდევ ერთი საქმე ექნებოდა, მათთვის წამოსაძახებელი...

**ნანა ჯიოხაძე,** *დიასახლისი, 38 წლის:*

— მნიშვნელოვანი ალბათ, ოპოზიციის ბოიკოტია. გააწყალეს გული ამდენი აქციითა და შიმშილობით. რას იმუქრებიან კარვების გაშლით?! მაგას სჯობს, ბოიკოტს თავი დაანებონ და ყველა გადაწყვეტილება ხელისუფლებასთან

ერთად მიიღონ. მგონი, მეტისმეტი მოსდით. აღარ გვინდა ამდენი მიტინგები და შიმშილობები. მშვიდად ცხოვრება მოგვენატრა და დაგვასვენონ ცოტა ხნით მაინც. ახლა საპარლამენტო არჩევნები იქნება, იქაც წააგებენ და მერე ისევ თავიდან დაიწყება აქციების ტალღა. ხომ უნდა თქვან, გააყალბესო!.. იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ თუ საკმარის ხმებს ვერ დააგროვებენ, ეს მხოლოდ მათი ბრალი იქნება და სხვა არავისი. არ გეგონოთ, ამას იმიტომ ვამბობ, რომ ხელისუფლების მომხრე ვარ, პირიქით — აქტიურად ვმონაწილეობდი ოპოზიციის მიტინგებში, მაგრამ ყველაფერზე უკმაყოფილების გამოხატვა ხომ არ შეიძლება?! რადგან ხელისუფლებამ მათთან მოლაპარაკება გადაწყვიტა, ამათ უფრო მეტი მოუნდათ...

**დათო სეგისკვერაძე,** *ფიზიკოსი, 35 წლის:*

— პოლიტიკაში ჩარევას ნამდვილად არ ვაპირებ. იმედი მაქვს, ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლებიც თავად მოაგვარებენ თავიანთ საქმეს. უბრალოდ, ცუდია, რომ საქართველოში ახლა ისეთი მდგომარეობაა, ყველა აქედან გაქცევას ფიქრობს. სამუშაო ხომ არ არის და თუ გაგიმართლებს და სადმე მოეწყობი, ისე ცოტას გიხდიან, ერთ ადამიანს არ ეყოფა თვიდან თვემდე, არადა, ოჯახებიც ხომ გვყავს სარჩენი?! ხელფასს ამცირებენ, გადასახადებსა და პროდუქტის ფასებს კი ზრდიან. ვინც არც მინისტრები ვართ და არც მათი ბიძაშვილები, რა ვქნათ? რითი ვიცხოვროთ და რა ვაჭამოთ შვილებს?..

**ინგა თაბაგარი,** *ფილოლოგი, 32 წლის:*

— მნიშვნელოვანი ის არის, რომ არც ერთ ქართველს საქართველოში ცხოვრება აღარ გვინდა. ამბობენ, გაზი კიდევ უნდა გაძვირდესო. ესენი ნორმალურები არიან?! სული უნდათ ამოგვხადონ?! როგორღა უნდა ვიცხოვროთ, ბევრი ისედაც ვერ ახერხებს ამდენი გადასახადის გადახდას და რომ არ შესცივდეთ, მთელ დღეს ლოგინში ატარებენ. ასე ლოგინში გავზარდო ბავშვები?!. სწავლა და განათლება ხომ უნდათ, საჭმელთან და სითბოსთან ერთად!.. გაუსაძლისია აქ ცხოვრება. მეც და ჩემი რამდენიმე მეგობარიც იმაზე ვფიქრობთ, როგორ დავაღწიოთ თავი აქაურობას. ჯერ ჩვენ წავალთ, მერე კი შვილებსაც წავიყვანთ და იქნებ, ცოტა მაინც ამოვისუნთქოთ... ყველაზე აღმაშფოთებელი ფაქტი კი, სამსუნში მოხდა. რა ადგილია ამისთანა, რომ თითქმის ყველა ავტობუსს იქ მოსდის ავარია?!. ეს მძღოლები ცოტა ყურადღებით რომ იყვნენ, არ შეიძლება? თან, ამბობენ, ისევ ის მძღოლი იჯდა, რომელმაც რამდენიმე წლის წინ ზუსტად იმ ადგილას მოახდინა ავარია და ბევრი ქართველიც დაშავდა. ახლა თურმე, გვერდით ლამაზი ქალი სჯდომია და მისკენ მიუპყრია ყურადღება. ასეთი არასერიოზული ხალხი საჭესთან საერთოდ არ უნდა იჯდეს.

**ელისო გუმგერიძე,** *ადვოკატი, 40 წლის:*

— არ ვიცი, გენაცვალე, პოლიტიკურს ვერაფერს გეტყვი. ახლა ოპოზიციასა და ხელისუფლებას ისეთი ამბავი აქვთ, ვინ მტყუანია და ვინ — მართალი, ვერ გაიგებ. ერთი მხარე ბოიკოტს აცხადებს, მეორე მხარე — მათ გარეშე კენჭისყრებს არ ატარებს. ახლა ოპოზიცია შიმშილობის დაწყებით იმუქრება. იმედი აღარ აქვთ, რომ მათ მიტინგებზე ისევ იმდენი ხალხი გავა, ამიტომ იძულებული არიან, მეტროსთან იდგნენ და პროკლამაციები გაავრცელონ. ვის რად უნდა მაგათი შიმშილობა და მაგათი კარვები?! ჩემი აზრით, ყველაზე კარგი და „მომუშავე“ ადამიანი, ჯანდაცვის მინისტრი სანდრო კვიტაშვილია. სულ რამდენიმე დღეა, რაც ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა და უკვე რამდენი რამ გააკეთა. ბოკერიასა და მერაბიშვილის ადგილასაც რომ მსგავსი კარგი ადამიანები დანიშნონ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

**ნუგზარ ეგანოიძე,** *პენსიონერი, 74 წლის:*

— მნიშვნელოვანი მოვლენა — პოლიტპატიმრების გათავისუფლებაა. ძალიან კარგია, ხელისუფლება ოპოზიციის მემორანდუმის პუნქტებს რომ ითვალისწინებს და მათ მოთხოვნებს ასრულებს. 7 ნოემბერის მომიტინგეები კი არა, მათი დამრბევები უნდა ჩაესვათ ციხეში!.. კიდევ, აღმაშფოთებელი ფაქტი იყო, წყალტუბოში 21 წლის ბიჭის გატაცების ამბავი. რატომღაც, ამ ფაქტმა ის პერიოდი გამახსენა, როცა სისტემატურად იტაცებდნენ ვიღაცებს და პანკისში გადაჰყავდათ. კიდევ კარგი, ამ გატაცებას მსხვერპლი არ მოჰყოლია და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა... გარდა ამისა, შემაძრწუნებელი ფაქტი იყო, გორში, 78 წლის ქალბატონი რომ გააუპატიურეს. თუმცა, იმ ქალისაც გამიკვირდა: ასეთი სირცხვილის მერე, ტელევიზიის ეთერით გამოდის და სახალხოდ ჰყვება, როგორ გააუპატიურეს. მაპატიეთ, მაგრამ იმ ქალს დაზარალებულისა და შეწუხებულის არაფერი ეტყობოდა... ■

**ვინც არც მინისტრები ვართ და არც მათი ბიძაშვილები, რა ვქნათ? რითი ვიცხოვროთ და რა ვაჭამოთ შვილებს?..**

**მნიშვნელოვანი ის არის, რომ არც ერთ ქართველს საქართველოში ცხოვრება აღარ გვინდა**

**რუსი პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ ამერიკამ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებით „პანდორას ყუთი“ გახსნა და მსოფლიოში საშიში პრეცედენტის შექმნას შეუწყო ხელი. ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რუსეთი კოსოვოს პრეცედენტის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გამოყენებით იმუქრება. დე ფაქტო პრეზიდენტები — ედუარდ კოკოითი და სერგეი ბაღაფში კი მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე აცხადებენ, რომ მათ რესპუბლიკებს დამოუკიდებლობისთვის უფრო მეტი სამართლებრივი და ისტორიული საფუძვლები აქვთ, ვიდრე კოსოვოს. ქართველი პოლიტიკოსები და ექსპერტები მოსალოდნელ საფრთხეებს არ გამორიცხავენ, თუმცა მიიჩნევენ, რომ კოსოვო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისთვის პრეცედენტად ვერ გამოდგება.**

# ურჩი ქართული რეგიონებისთვის კოსოვო პრეცედენტად არ გამოდგება

ხათუნა ბახტურიძე

**სოსო ცისკარიშვილი,** *პოლიტოლოგი:*

— კოსოვოსა და ქართულ სეპარატისტულ რეგიონებს შორის მთავარი განსხვავება ის გახლავთ, რომ ალბანელები მუდმივად მოითხოვდნენ აბსოლუტურ დამოუკიდებლობას, აფხაზეთსა და ცხინვალში კი რამდენჯერმე ჩატარდა რეფერენდუმი, რათა დადასტურებულიყო ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან რუსეთის შემადგენლობაში შესვლის სურვილი. საქართველოს სეპარატისტული რეგიონებისთვის, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა მხოლოდ მეორეხარისხოვანია — მათი ძირითადი მოთხოვნა, ერთი ქვეყნიდან გამოყოფა და მეორესთან მიერთებაა, რაც ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დარღვევად და სხვისი მიწების მიტაცების წახალისებად მიიჩნევა. ამ ორ პრეცედენტს ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განასხვავებს ისტორიული ფაქტები და სოციალური მდგომარეობაც. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების გაღრმავებაში რუსეთს საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის, კოსოვოს კონფლიქტის პროცესში ჩართული მხარეების ანალიზი კი იმაზე მიუთითებს, რომ ალბანელებისა და სერბების კონფლიქტში მესამე ქვეყანა ჩარეული არ არის.

**— ისტორიული თვალსაზრისით, რამდენად სამართლიანია სერბიისაგან კოსოვოს გამოყოფა?**

— უკანასკნელ ხანებში ისტორია პოლიტიკური მოვლენების „მძევალი“ აღმოჩნდა. თუ ქართველი და აფხაზი ისტორიკოსების ნაშრომებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მათ მიერ აღწერილ ფაქტებსა და მოვლენებს შორის, ოდნავი მსგავსებაც კი არ არსებობს. უსამართლობის განცდა ჰქონდა როგორც ქართულ, ისე აფხაზურ მხარეს, რაც შემდგომ, შეიარაღებული დაპირისპირების მიზეზად იქცა. ამიტომ, ისტორიულ გარემოებათა განხილვისგან თავს შევიკავებ.

**— ძირითადად, რითი აიხსნება ის მხარდაჭერა, რომელსაც კოსოვოს მიმართ აშშ იჩენს?**

— ჯორჯ ბუშმა თავისი მოკავშირეები დაარწმუნა, რომ ევროპის ცენტრში ახალი მუსლიმანური სახელმწიფოს გაჩენა, ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის არსებულ პრობლემათა დარეგულირებას შეუწყობდა ხელს. ანალიტიკოსების აზრით, ბალკანეთში სისხლისმღვრელი ომები მართლაც, ძალზე გაგრძელდა, ამიტომ საერთაშორისო მშვიდობაზე პასუხისმგებელი ქვეყნები იძულებული გახდნენ, არასტანდარტული გადაწყვეტილება მიეღოთ. კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება მართლაც, ძალზე სარისკო ნაბიჯია. ვერ გეტყვით, რომ ეს გადაწყვეტილება რეგიონში მშვიდობას მოიტანს, ამ ყველაფერს ისტორია განსჯის. ჩვენ კი, საკუთარი პრობლემებიდან გამომდინარე, არსებული პროცესის მიმართ ნეიტრალური მოწმეები ვერ ვიქნებით. ნათქვამია — ჯერ თავო და თავო, მერე — ცოლო და შვილოო. ასეთი მიდგომიდან გამომდინარე, სრულიად მართებულად მიმაჩნია, რომ ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკურმა ძალებმა და ხელისუფლებამ საქართველოში, ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღეს და კოსოვოს დამოუკიდებლობა არ აღიარეს. ნამდვილად არ ვიცი, რა ხანგრძლივობით შეინარჩუნებს საქართველო ამ პოზიციას, მაგრამ ძალიან კარგია, რომ დღეს ჩვენ არ აღმოვჩნდით იმ აღტაცებულ ქვეყნებს შორის, რომლებმაც მეორე დღესვე ცნეს კოსოვოს დამოუკიდებლობა.

**— ამის გამო, ამერიკის მხარდაჭერას ხომ არ დავკარგავთ?**

— თქვენ იცით, რომ საქართველო გამონაკლისი არ არის. ასეთ პოზიციას, რუსეთის გარდა, იზიარებენ: საბერძნეთი, კვიპროსი, სლოვაკია, ბულგარეთი. ბოლოს და ბოლოს, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. რუკას მაინც დავაკვირდეთ — იქნებ, ამ შემთხვევაში მაინც მივხვდეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს პოზიცია ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. ამერიკა, როგორც ჩვენი პარტნიორი ქვეყანა, ჩვენს გადაწყვეტილებას გაგებით შეხვდება და ვერ გვაიძულებს, საკუთარ სახლში წარმოქმნილ ხანძარს ნავთი დავასხათ.

**— თქვენი აზრით, მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმირ პუტინის შეხვედრისას, გაკეთდება თუ არა აქცენტი იმ ფაქტზე, რომ საქართველომ, კოსოვოს საკითხთან დაკავშირებით, რუსეთის პოზიცია გაიზიარა?**

— სააკაშვილი პუტინთან ამის შესახებ უთუოდ ისაუბრებს. ეს ფაქტი ყველაზე დიდ პოზიტივს შეიტანს რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების დარეგულირებაში. სხვათა შორის, არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილებაში — მხარი არ დაეჭირა კოსოვოს დამოუკიდებლობისთვის — გარკვეული როლი საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების კარს მომდგარმა შეხვედრამაც განაპირობა.

**— რამდენად სახიფათოდ მიგაჩნიათ, სერგეი ლავროვთან კოკოითისა და ბაღაფშის სტუმრობა და მათ მიერ „ინტერფაქსის“ ოფისიდან გაკეთებული განცხადებები?**

— კოკოითმა და ბაღაფშმა მშვენივრად იციან, რომ კოსოვო, როგორც პრეცედენტი, აფხაზეთსა და ცხინვალში არ გამოდგება. კოსოვოზე აღრე დამოუკიდებლობა სოხუმმა და ცხინვალმა გამოაცხადა, მაგრამ მათთვის მხარი არავის დაუჭერია. ამიტომ მათ მიერ გაკეთებული განცხადებები აბსოლუტურად უსაფუძვლოა და მხოლოდ პროვოკაციებისთვის გამოდგება. ■

# კახა კალაძემ საკუთარი ბანკი დააფუძნა

**საქართველოს ნაკრებისა და „მილანის“ მცველმა, კახა კალაძემ საკუთარი ბანკი — „პროგრესბანკი“ დააფუძნა. კალაძემ, რომელიც ბანკის აქციათა 80%-ს ფლობს, საქართველოს ეროვნული ბანკისგან ოპერირების უფლება უკვე მიიღო. აღნიშნულ წამოწყებაში ფეხბურთელის პარტნიორი ბრიტანული ფინანსური ჯგუფი გახლავთ, რომლის დასახელებისგანაც კალაძემ თავი შეიკავა. ბანკის გარდა, კახა კალაძე საქართველოში სასტუმრო „კოლხეთის“ (რომელიც ქობულეთში, 5 მილიონ დოლარად შეიძინა) და ტოტალიზატორ „მაქსიმუმის“ მეპატრონეა. მისივე დაფუძნებულია სამშენებლო კომპანია „კალასი“. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც კახა კალაძემ ერთ-ერთ რუსულ სპორტულ გამოცემას მისცა.**

## „იმედი მაქვს, ბანკებს შორის ადგილს დავიმკვიდრებთ“

**— საქართველოში საბანკო საქმიანობის დაწყება რატომ გადაწყვიტეთ?**

— ამის მიზეზი ქვეყანაში არსებული სტაბილური მდგომარეობაა, რაც ბიზნესის წამოწყებისკენ ბევრს უბიძგებს. „პროგრესბანკი“ მოქმედებას 2008 წლის მარტში დაიწყებს. ბანკის საფინანსო სექტორისა და დირექციის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, ოფიციალურ პრეზენტაციაზე გახდება ცნობილი.

**— როგორც ვიცი, კონკურენტი მრავლად გეყოლებათ...**

— ის, რომ „პროგრესბანკს“ ძლიერი კონკურენტები ეყოლება, ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ საქართველოში საბანკო სექტორს აღმასვლის პერიოდი უდგას. იმედი მაქვს, უკვე ცნობილ ბანკებს შორის ადგილს „პროგრესბანკიც“ დაიმკვიდრებს.

**— საბანკო სფეროდან თქვენს უშუალო საქმიანობას, ფეხბურთს დავუბრუნდეთ. იმ შვიდი წლის განმავლობაში, რაც „მილანში“ ხართ, გუნდში 4 მწვრთნელი შეიცვალა...**

— პირველ ხანებში, ალბერტო ძაკერონის ხელმძღვანელობით ვთამაშობდი, რომელმაც გუნდი ოთხ თვეში დატოვა. იგი ჩეზარე მალდინიმ შეცვალა, რომელიც ასევე, თანამდებობაზე დიდხანს არ დარჩენილა. ამის შემდეგ, „მილანი“ თურქმა ფატიჰ თერმმა ჩაიბარა, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ. სამწუხაროდ, მან ნდობა ვერ გაამართლა. ცხადია, თითოეული მწვრთნელი გარკვეულ სიახლეს ნერგავდა, მაგრამ გუნდმა სტაბილურობასა და პროგრესს კარლო ანჩელოტის მოსვლის მერე მიაღწია.

**— იტალიურ პრესაში რამდენჯერმე დაიბეჭდა, რომ „მილანში“ ფეხბურთელთა ორი დაჯგუფება არსებობს. ეს სიმართლეს შეეფერება?**

— აბსოლუტური სისულელეა. მინდა გირჩიოთ, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენზე წერენ, არ დაიჯეროთ. პაპარაცები სენსაციის მოყვარული ხალხია და მათ ბევრი რამის გამოგონება შეუძლიათ. „მილანში“ არავითარი ინტრიგები და დაჯგუფებები არ არსებობს. მომიტევეთ, მაგრამ ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს კლუბში ვთამაშობთ და არა — საბავშვო ბაღში.

**— მილანურ კლუბში ბევრი ისეთი ფეხბურთელი თამაშობს, რომელთა ასაკიც 30 წელს აღემატება. ამიტომაც, თქვენს გუნდს „მობერებულსაც“ უწოდებენ.**

— ჩვენს გუნდში როგორც ასაკოვანი, ისე ახალგაზრდა ფეხბურთელები ირიცხებიან. ამიტომ, ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ. თან ვიცი, რომ გამოცდილი მოთამაშეები უხეშ შეცდომებს ნაკლებად უშვებენ. თანამედროვე ფეხბურთში მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი წლის ხარ, მთავარია, მოედანზე დაამტკიცო, რა შეგიძლია.

**— რას გრძნობდით, როდესაც ანდრეი შევჩენკომ გუნდი დატოვა?**

— ცხადია, ჩემთვის ეს უსიამოვნო ფაქტი გახლდათ. ჩვენ ძალიან კარგი ფეხბურთელი დავკარგეთ, ხოლო პირადად მე, ერთ-ერთი საუკეთესო მეგობრის გარეშე დავრჩი. შევჩენკომ საკუთარი არჩევანი გააკეთა. ის ჭკვიანი ადამიანია და ამიტომ, მის გადარწმუნებას აზრი არ ჰქონდა. ჩვენ ახლაც საუცხოო ურთიერთობა გვაქვს და ერთმანეთს ხშირად ვურეკავთ.

**— თქვენი პირადი ცხოვრება როგორ მიდის?**

— ამჟამად, არავის ვხვდები. საერთოდ, ამ საკითხს ძალიან სათუთად ვეკიდები და სერიოზული ურთიერთობა მხოლოდ იმ ქალთან მექნება, რომელშიც დარწმუნებული ვიქნები. უბრალოდ, არავის მოტყუება არ მსურს, რადგან ოჯახი ჩემთვის წმინდა რამაა.

**— 27 თებერვალს 30 წლის ხდებით და იმ ფაქტს, რომ ოჯახი არ გყავთ, მშობლები როგორ ეგუებიან?**

— მათ ჩემი ესმით, მაგრამ მაინც, იმის შეხსენება არ ავიწყდებათ, რომ შვილიშვილების ყოლა სურთ. იუბილეს ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე აღვნიშნავ, რადგან შუა სეზონია.

**— იტალიაში სამუდამოდ დარჩენას ხომ არ გეგმავთ?**

— მილანში თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში, რადგან უკვე მეშვიდე წელია, აქ ვარ. თუმცა, საქართველოს გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ასევე კიევში, სადაც საკუთარი სახლი მაქვს, ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. ალბათ, ხან საქართველოში ვიცხოვრებ, ხან — უკრაინაში.

**— „მილანში“ რომელ ფეხბურთელთან მეგობრობთ?**

— ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. მაგრამ უფრო ხშირად ალესანდრო ნესტას, პაოლო მალდინის, მასიმო ამბროზინის და ფილიპო ინძაგის ვეკონტაქტები. ზოგჯერ, ჩვენ რესტორანშიც ვიკრიბებით.

**— ყველასთვის ცნობილია, რომ ავტომანქანით სწრაფად სიარული გიყვართ. ალბათ, იტალიაში „ფერარით“ გადაადგილდებით, არა?**

— ავტოფარეხში „რეინჯ როვერის“ ჯიპი და „ბენტლი“ მყავს. დღესდღეობით, ჩემი ავტოპარკი მხოლოდ ამით შემოიფარგლება. ისე, ავტომობილებს ხშირად ვიცვლი.

**— სიჩქარის გადაჭარბებისთვის ხშირად გაჯარიმებენ?**

— იტალიაში ძალიან სწრაფად არ დავდივარ. იქ ავტოსტრადებზე სერიოზული კონტროლია და მოძრაობის წესების მცირე დარღვევისთვისაც კი, მართვის მოწმობას წაგართმევენ.

**— მიმდინარე სეზონში „მილანი“ სერია A-ში არცთუ წარმატებით გამოდის. ამის მიზეზი რა არის?**

— იტალიის ჩემპიონატის პირველ წრეში, საკუთარ მოედანზე, რამდენიმე მატჩი წარუმატებლად ჩავატარეთ. მაგრამ ვფიქრობ, ამით კატასტროფა არ მომხდარა. მიმდინარე სეზონში, ჩვენი მთავარი ამოცანა ჩემპიონთა ლიგის მოგება და იტალიის ჩემპიონატში პირველ ოთხეულში მოხვედრაა.

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ნაკრები 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლას მოახერხებს?**

— ჩვენთან ახალი გუნდი ყალიბდება, რომლის რიგებში 17-18 წლის ბიჭები თამაშობენ. განვლილ შესარჩევ ციკლში, მწვრთნელი ახალგაზრდა მოთამაშეებს აკვირდებოდა, ხოლო ამჟამად, ბრძოლისუნარიანი კოლექტივის ჩამოყალიბება მიმდინარეობს. ცხადია, მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრა გვსურს. ■



MK

# „ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ძმა იქ დგას, სადაც უნდა იდგეს“...

**„დღეს ოპოზიციონერობა გმირობის ტოლფასია“, — გვითხრა პოლიტიკოს ზვიად ძიძიგურის დამ, ქალბატონმა მარინამ, რომელიც ჩვენს ახალ რუბრიკაში — „დედმამიშვილები“ მოვიწვიეთ. თურმე, ბატონი ზვიადი, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, საშინლად მტირალა ბავშვი ყოფილა და როგორც ქალბატონი მარინა ამბობს: „ალბათ გრძნობდა, რომ მომავალში „მარადიული“ ოპოზიციონერობა მოუწევდა“.**

## დის მიერ შექმნილი, ოპოზიციონერი ძმის პორტრეტი

*ეკა მინდაძე*

— დედმამიშვილებში უფროსი მე გახლავართ, შუათანა — ზვიადი, ხოლო უმცროსი — კობა. მამას იმდენად უყვარდა მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, რომ როგორც კი ვაჟი შეეძინა, დედაჩემისთვის უთქვამს, — კონსტანტინე შვილს ცუდ სახელს არ დაარქმევდა. მოდი, ჩვენც ზვიადი დავარქვათ ბიჭსო. ყველაფერი ღვთის ნებაა: გავიდა დრო და ჩემი ძმა ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი გახდა...

**— ბატონი ზვიადი როგორი ბავშვი იყო?**

— თეთრი, ულამაზესი, წითელი ტუჩები ჰქონდა. სხვათა შორის, ის ყმაწვილობაშიც იმდენად სიმპათიური იყო, რომ არაერთ გოგოს მოსწონდა.

**— პატარაობისას ხშირად ჩხუბობდით?**

— მე არა, მაგრამ ზვიადი და კობა სულ კინკლაობდნენ. ხშირად, მათი გაუთავებელი ქიშპობით დაქანცული დედა იძულებული ხდებოდა, ძმები სხვადასხვა ოთახში ჩაეკეტა. ცოტა ხანში ისინი აუცილებლად, რაღაცას მოიმიზეზებდნენ, ერთად რომ ყოფილიყვნენ. ხუთ წუთში კი კვლავ ჩხუბს იწყებდნენ (*იცინის*).

**ვიდრე მის ფეხის ხმას არ გავიგონებ, ვერ ვიძინებ...**

**— რომელი მათგანი იყო უფრო ძლიერი?**

— ზვიადი და ალბათ, ამიტომაც, ის კობას ყოველთვის უთმობდა.

**— მტირალა რომელი უფრო იყო?**

— გაგიკვირდებათ, მაგრამ ჩვენ შორის მტირალა, ზვიადი იყო. დედა იხსენებს: ზვიადის დაბადებიდან, დაახლოებით სამი წელი ნორმალურად არ მძინებია. არაფერი აწუხებდა, მაგრამ მაინც, სულ ტიროდაო. ალბათ გრძნობდა, რომ მომავალში „მარადიული“ ოპოზიციონერობა მოუწევდა (*იცინის*).

**გაგიკვირდებათ, მაგრამ ჩვენ შორის მტირალა, ზვიადი იყო**

**— ბატონი ზვიადი ბავშვობიდანვე მიზანდასახული იყო?**

— მიზანდასახული ნამდვილად იყო. საქმის ბოლომდე მიყვანა ყოველთვის უყვარდა.

**— ქალბატონო მარინა, თქვენ რა პროფესიის ბრძანდებით?**

— პროფესიით ფარმაცევტი ვარ და ფარმაცევტულ ბაზა „ჯი-პი-სიში“ ვმუშაობ.

**— თქვენი უმცროსი ძმა?**

— კობა ინჟინერია, მაგრამ სპეციალობით არ მუშაობს. 1989 წლიდან, ორივე ძმა ერთდროულად ჩაება პოლიტიკაში, ციხეშიც კი ერთად ისხდნენ. ისინი დღესაც ერთ საქმეს აკეთებენ. კობა სამტრედიაში უძღვება კონსერვატიული პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციას. ამასთანავე, იქვე, დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიის მშენებლობას უდგას სათავეში. ამ ტაძრის აგება ზვიადმა, თავისი პრეფექტობის დროს — 1991 წელს დაიწყო, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, სამუშაო დროებით შეჩერებული იყო. ბედნიერი ვარ, რომ მშენებლობის განახლება ისევ ჩემმა ძმამ ითავა. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ, მათი თაოსნობით აიგო წმინდა გიორგის სახელობის ულამაზესი ტაძარიც, რომელიც ავჭალის ყოფილი კოლონიის ეზოში დგას.

**— დედმამიშვილები ერთმანეთისგან ხასიათით განსხვავდებით?**

— არა. სამივეს თითქმის ერთნაირი ხასიათი გვაქვს — შეუპოვრები ვართ, არ შეგვიძლია მლიქვნელობა და უსამართლობაზე თვალის დახუჭვა.

**— თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ კარგი დაძმობა გაქვთ. ასეა?**

— დიახ, შესაშური ურთიერთობა გვაქვს. მახსოვს, ერთხელ ძმებთან თამაშის დროს, დანით თითი გავიჭერი. სამივეს, როცა დასისხლიანებულ თითს დავხედეთ, ძალიან შეგვეშინდა და ტირილი დავიწყეთ. მშობლებმა რომ დაგვინახეს, გული გაუსკდათ: ეგონათ, სამივე დავშავდით,



MK

ამ გაძრის აგება ზვიადმა, თავისი პრეზიდენტობის დროს – 1991 წელს დაიწყო

ზვიად ძიძიგური დედასთან და ძმასთან ერთად

მაგრამ როცა ტირილის მიზეზი გაარკვიეს, ცოტათი დამშვიდდნენ. დღეს, ამ ამბავს რომ ვიხსენებ, გული მიჩუყდება და ისევ ტირილი მინდება. ერთმანეთის ტკივილსა და სიხარულს მუდმივად ვგრძნობთ, სადაც არ უნდა ვიყოთ და რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ.

**— ერთმანეთის პირად ცხოვრებაში თუ ჩარეულხართ?**

— არა. ამ საკითხში საკმაოდ „დისტანციურები“ ვართ (*იცინის*). არ გვიყვარს არავის პირად ცხოვრებაში ქექვა, მით უმეტეს — ერთმანეთის. როცა ზვიადმა და კობამ თავიანთი რჩეულები გამაცნეს, ორივე დიდი სიხარულით მივიღე. მართალია, შესანიშნავი პიროვნებები არიან, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, მე მაინც, ძმების გადაწყვეტილებას პატივს ვცემდი.

**— თქვენ მიმართ რომელი უფრო მკაცრია?**

— არც ერთი. მათგან შეზღუდვა და კონტროლი არ მიგრძნია. არ მახსოვს, ზვიადს ჩემი აზრისთვის იგნორირება გაეწიოს. მართალია, ვიდრე ოჯახის შექმნას დავაპირებდი, პირველად ძმებს დავეკითხე, მაგრამ ასე იმიტომ კი არ მოვიქეცი, რომ მათი მეშინოდა, უბრალოდ, ჩემთვის მათი აზრი ყოველთვის მნიშვნელოვანია.

**— მერე, მოგიწონეს არჩევანი?**

— რა თქმა უნდა. ბიჭებმა მომავალი სიძის ვინაობა რომ დაადგინეს, ძალიან გაუხარდათ, რადგან ეს ადამიანი მათი უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი გახლდათ. სხვათა შორის, ის მათთან ერთად იყო დაპატიმრებულიც. ასეც რომ არ ყოფილიყო, არა მგონია, სხვაგვარად მოქცეულიყვნენ. სამწუხაროდ, ჩვენი ოჯახი დაინგრა, მაგრამ სულაც არ მსურს, მეხსიერებიდან იმ პერიოდის ამოშლა, როცა ერთმანეთი გვიყვარდა.

**— ძმები ერთადერთ დას არ განებივრებდნენ?**

— აბა, რა გითხრათ? ზვიადსა და კობას არასოდეს ეცალათ ჩემი განებივრებისთვის. პირიქით, 1989 წლიდან მოყოლებული, დღემდე ძალიან მანერვიულებენ. ყველაზე დიდი შიში განვიცადე მაშინ, როდესაც სამტრედიაში, ზვიად გამსახურდიასთან შეთანხმებით, რკინიგზის ბლოკირება მოეწყო. იქ მთავარი მეამბოხეები, ჩემი ძმები იყვნენ. სწორედ იმ პერიოდში, ბაბუა გარდაგვეცვალა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზვიადსა და კობას თანამებრძოლები არ მიუტოვებიათ. აქციის მონაწილეებს თითქმის მთელი მოსახლეობა ედგა მხარში. ღამით რომ დაშლილიყვნენ, ხალხი დაამშვიდეს: წადით სახლებში, დაისვენეთ, თუ ჩვენს დარბევას შეეცდებიან, მაშინვე ელმავალს დავაწივლებთ, რომ გაგაგებინოთო. იმ ღამით, როცა ბაბუა დავკრძალეთ, ყურში ელმავლის წივილი ჩამესმა. სასწრაფოდ ჩავიცვი და გარეთ ისე გავვარდი, დედისთვის არაფერი მითქვამს. არასოდეს დამავიწყდება ნახევრად შიშველი ადამიანების შეშინებული სახეები, რომლებიც განწირული ხმით გაჰყვიროდნენ: ვაიმე, შვილებო, ხომ ცოცხლები ხართო?! მერე ჯარისკაცები და ტანკები დავინახეთ. ამან საერთოდ, კინაღამ ჭკუიდან შეგვშალა. სული მეხუთებოდა, სანამ ჩემი ძმები არ ვნახე. თურმე, მაშინდელ მთავრობას ჯარისთვის შეგნებულად დაუვალებია შუა ქალაქში გავლა, რომ ხალხი დაეშინებინათ.

**— გაიხსენეთ თქვენი ძმების, ბავშვობიდან გამოყოლილი რაიმე ჩვევა...**

— ზვიადი და კობა ბავშვობიდანვე არ იყენებენ ბალიშსა და მუთაქას. და კიდევ — ორივე საშინლად მოუწესრიგებელია, თავის ადგილას არაფერს დებენ, და მერე, სახლიდან გასვლისას, ყველა ნივთს ეძებენ.

**— როგორ აფასებთ ბატონი ზვიადის პოლიტიკურ საქმიანობას?**

— დადებითად. ვფიქრობ, ქვეყნისთვის აუცილებელია საქმე, რომელსაც ზვიადი აკეთებს. მიმაჩნია, რომ დღეს ოპოზიციონერობა გმირობის ტოლფასია. დედა სულ ნერვიულობს, ეშინია, რაიმე უბედურებას არ გადაეყაროს. ამიტომ ყოველთვის ვცდილობ, დედას ზვიადის საქმიანობის შესახებ ნაკლები ინფორმაცია მივაწოდო, მაგრამ თუ შვილი ტელევიზიით დაინახა, ამას საშინლად განიცდის. თბილისში მე და ჩემს რძალს (ზვიადის მეუღლეს) გვიანობამდე გვიწევს ხოლმე მისი ლოდინი. შეიძლება დავწვე, მაგრამ ვიდრე მის ფეხის ხმას არ გავიგონებ, ვერ ვიძინებ... მიუხედავად ყველაფრისა, ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ძმა იქ დგას, სადაც უნდა იდგეს. ■

# „არ უნდა დავუშვათ ქართველ საზოგადოებაში პოლიტიკური აპათიის დამკვიდრება“

**როგორი დასკვნაც არ უნდა გამოაქვეყნონ დიდი ბრიტანეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალება მაინც ბურუსით მოცული დარჩება. ექსპერტიზის დასკვნამდე საკმაო დროა და ამ ხნის განმავლობაში შესაძლოა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბატალიების მომსწრენი გავხდეთ. ზოგიერთი პოლიტიკოსისა თუ პოლიტოლოგის პროგნოზით, ბიზნესმენის მოულოდნელი სიკვდილიც პოლიტიკური ვნებათაღელვის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად შეიძლება მოგვევლინოს. საინტერესოა, რას ფიქრობს ყოველივე ამაზე, უცხოეთში მოღვაწე ექსპერტი კავკასიის საკითხებში, სოციალურ კვლევათა უმაღლესი სკოლის თანამშრომელი, გიორგი მამულია, რომელსაც ტელეფონით პარიზში დავუკავშირდით.**

## „პატარკაციშვილის სიკვდილი მხოლოდ რუსეთს აძლევდა ხელს“

*ეკა ლომიძე*

**— ბატონო გიორგი, რა როლი შეიძლება ითამაშოს პატარკაციშვილის სიკვდილმა ქართულ პოლიტიკაში?**

— უპირველესად, ისევე, როგორც ყველა ადამიანის გარდაცვალება, ბადრი პატარკაციშვილის სიკვდილიც ძალზე სამწუხარო ამბავია. ვფიქრობ, ამის გამომწვევ მიზეზებს ბრიტანელი სამართალდამცავები სათანადოდ გამოიძიებენ. მანამდე კი მთავარია, ამ ფაქტის პოლიტიზება არ მოხდეს, რაც ასე სურს რუსეთს. იქაურმა პოლიტიკოსებმა უკვე სცადეს, საქართველოს პრეზიდენტისთვის მომხდარის გადაბრალება...

**— და მაინც, შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ ეს იყო მკვლელობა, რომლის ორგანიზებაშიც რუსეთის ან საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურები იყვნენ ჩარეულნი?**

— როგორც დემოკრატიული განვითარების გზაზე დამდგარი და დასავლეთის პარტნიორი სახელმწიფო, საქართველო, რუსეთისგან განსხვავებით, ვერ გააკეთებდა ამას, მით უმეტეს — სხვა, თანაც ისეთი ძლიერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი. მკვლელობაში ჩვენი ხელისუფლების მონაწილეობის გამოაშკარავების შემთხვევაში, დიდი დარტყმა მიადგებოდა ქვეყნის პოლიტიკურ იმიჯს. ამასთანავე, უნდა ვთქვა: პატარკაციშვილი არ წარმოადგენდა ისეთ პოლიტიკურ ფიგურას და საფრთხეს, როგორიც თუნდაც ბერეზოვსკია რუსეთისთვის. პატარკაციშვილი-კოდუას საუბრის ჩანაწერის გამოქვეყნების შემდეგ მისი იმიჯი იმდენად შეირყა, რომ საპარლამენტო არჩევნებზე მისი პარტია ვეღარ მიიღებდა იმაზე მეტ ხმებს, ვიდრე მან 5 იანვარს მიიღო.

**— გამოდის, რომ მისი დაღუპვა უფრო მეტ პრობლემას უქმნის საქართველოს ხელისუფლებას...**

— შეიძლება, ასეც ითქვას. ეს ამბავი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთისთვისაა მომგებიანი. ანტიქართული პროპაგანდის თვალსაზრისით, რუსეთი უკვე იყენებს პატარკაციშვილის სიკვდილის ფაქტს და იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ამბავი პრობლემებს შეუქმნის საქართველოს, საშინაო პოლიტიკური თვალსაზრისით. ეს დიდი დარტყმაა ოპოზიციისთვის. მისთვის ბადრი პატარკაციშვილი მნიშვნელოვანი იყო არა იმდენად როგორც პოლიტიკური ფიგურა, არამედ როგორც დამფინანსებელი. ეს დიდი დანაკარგია ოპოზიციისთვის და ამავე დროს, თავსატეხს უჩენს ხელისუფლებას, რადგან მისდამი მოსახლეობის უნდობლობას გააღვივებს. გავიხსენოთ: ზურაბ ჟვანიას დაღუპვის შემდეგ, სახელისუფლებო სტრუქტურების იმიჯი ადამიანების თვალში ძალზე შეილახა. ეს საგანგაშოა. ასეთი ფაქტები საზოგადოებაში პოლიტიკური აპათიის დამკვიდრებას იწვევს, რამაც შესაძლოა, კატასტროფულ სიტუაციამდე მიგვიყვანოს. ამაზე უპირველესად, ხელისუფლებას მართებს დაფიქრება. ამასთანავე, უნდა ვთქვა, რომ გამართლებულად არ მიმაჩნია ოპოზიციის მოწოდება, — კარვები გავშალოთ, კარვების ქალაქად გადავაქციოთ თბილისი და მთელი საქართველოო! ამან შეიძლება, უმართავ პროცესამდე, სახელმწიფოსგან ხალხის სრულ გაუცხოებამდე მიგვიყვანოს. თუ გავითვალისწინებთ იმ გეოპოლიტიკურ ვითარებას, რომელშიც ვიმყოფებით, ასევე რუსეთის პოლიტიკას, ეს ჩვენთვის დამღუპველი იქნება. ხელისუფლებამ და ოპოზიციამ ერთმანეთთან კონსტრუქციული დიალოგი უნდა გამართონ, რათა საფრთხე არ დაემუქროს ისტორიულ მომენტს — ნატოში გაწევრებას. ამ მიზნის მიღწევამდე თითქმის ერთი ნაბიჯიღა დაგვრჩა. რაც მთავარია, ყურადღება უნდა გავამახვილოთ კოსოვოს პრობლემაზე. ხომ ხედავთ, აფხაზეთი აშკარად დიდ გულზეა. პუტინმა განაცხადა, — აფხაზეთს პირდაპირ არ ვაღიარებთ, მაგრამ საქართველოზე ზეწოლის ბერკეტი გვაქვსო. რას ნიშნავს ეს? დიპლომატიური ენით რომ განვმარტოთ, აფხაზეთს საჯაროდ არ აღიარებენ, რადგან ეს მათთვის სახიფათო პრეცედენტს შექმნის სამხრეთ კავკასიაში, სამაგიეროდ, ხელს შეუწყობენ მის ფაქტობრივ ანექსირებას. ამიტომ მოვუწოდებ ხელისუფლებას და ოპოზიციას, დაუყოვნებლივ განაახლონ დიალოგი.

**— მათ ვერაფრით მიიყვანეს მოლაპარაკებები ბოლომდე. როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა იკისროს მედიატორობა?**

— შეიძლება, ეს როლი, საქართველოში მოქმედმა, საერთაშორისო ინსტიტუტებმა შეასრულონ. მაგრამ

ვფიქრობ, ეს მისია შეიძლება იკისროს ეკლესიამ, რომელიც ყოველთვის ასრულებდა ისტორიულ მისიას, ყოველთვის წარმოადგენდა ქართული საზოგადოების შემაკავშირებელ და გამაერთიანებელ ინსტიტუტს. სხვათა შორის, დასავლეთის ინსტიტუტებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, აქამდე არსებული დაპირისპირების განმუხტვაში. თუმცა ოპოზიციამ ბევრი, საკმაოდ უპასუხისმგებლო განცხადება გააკეთა, დასავლეთის იმიჯის შესუსტების თაობაზე: მან სამართლიანად ცნო არჩევნების შედეგები და ამით თურმე, სუბიექტურობა გამოიჩინა. საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის გარეშე, საქართველოს ყოველთვის უჭირდა უმძიმესი პრობლემების მოგვარება. ვგულისხმობ თუნდაც, ჩვენი სახელმწიფოებრივი და არა სახელისუფლებო ინტერესების მხარდაჭერას. ვეჭვობდი, რომ 7 ნოემბრის მოვლენებისა და 5 იანვრის არჩევნების შემდეგ, დასავლეთი აღარ დაგვიჭერდა მხარს, მაგრამ ევროპისა და აშშ-ის განცხადებებმა — ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს ინტეგრაციის თაობაზე — ოპტიმისტურად განმაწყო. ეს ნიშნავს, რომ საქართველო მართლაც, მნიშვნელოვანი ხდება გეოპოლიტიკური თვალსაზრისით და მნიშვნელოვანი როლი ეკისრება დასავლეთის სტრატეგიასა და პოლიტიკაში.

**— თქვენი აზრით, რა უნდა იღონოს ხელისუფლებამ, რომ მოვლენები სასურველი სცენარით განვითარდეს?**

— თავდაპირველად, სოციალური პრობლემები უნდა მოაგვაროს. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჩვენი ხალხის კეთილდღეობისთვის, არამედ დასავლეთთან ინტეგრაციისთვის. ნატოში გაერთიანება ხომ მხოლოდ სამხედრო ასპექტით განვითარებას არ ითვალისწინებს, ქვეყანა ყველა სფეროში თანაბრად უნდა ვითარდებოდეს. ის, რაც 15 იანვარს რუსთაველის პროსპექტზე მოხდა, ყურადღებას იმსახურებს. ხალხმრავალ მიტინგზე ადამიანები მხოლოდ ოპოზიციის მოწოდებების გამო არ შეკრებილან, უმრავლესობა იქ მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ მიიყვანა. თუ ხელისუფლება ხალხზე არ იზრუნებს, დაპირისპირება და პოლიტიკური კრიზისი არ დასრულდება. სასწორზე არ უნდა შევაგდოთ სახელმწიფოებრივი ინტერესები, ქართველები უნდა მივხვდეთ, რომ თუ სახელმწიფო დაზარალდება, ყველანი დავზარალდებით და ეს ტრაგედია იქნება ქართველებისთვის. ■

**რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი, ია ანთაძე საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის თანამდებობაზე საკუთარ კანდიდატურას მხოლოდ იმ შემთხვევაში წარადგენს, თუ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც გამოუცხადებს ნდობას. ამ თანამდებობისათვის, საკუთარ თავთან ერთად, შესაფერის კანდიდატად მიიჩნევს, როგორც ზვიად ქორიძეს, ისე ლაშა ტულუშს და ირწმუნება, რომ ამ ადამიანებთან ერთად, საზოგადოებრივ მაუწყებელში რიგით თანამშრომლადაც სიამოვნებით იმუშავებს.**

# „ვწერდი ყოველთვის იმას, რასაც ჩემი სინდისი მიკარნახებდა“

*ხათუნა ბახტურიძე*

**— ია, თუ საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი გახდებით, პირველ რიგში, რას შეცვლით?**

— საზოგადოებრივი მაუწყებლის კრიტიკა ძალზე იოლია, ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ტელეკომპანია პოლიტიკური გავლენებისაგან არ არის თავისუფალი. ეს პრობლემა ამ არხს ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროიდან მოჰყვება.

**— როგორ მოახერხებთ პოლიტიკური გავლენებისაგან ტელევიზიის გათავისუფლებას?**

— არსებობს კანონი სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რომელიც ტელევიზიას ყველანაირი გავლენისაგან იცავს. ვფიქრობ, პირველ რიგში, ეს კანონი უნდა შესრულდეს.

**— თქვენი აზრით, ამ კანონის შესრულება დღემდე რატომ ვერ ხერხდებოდა?**

— იცით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორს სამეურვეო საბჭო ირჩევს. ძველი საბჭო ხელისუფლების მხარდამჭერი ადამიანებით იყო დაკომპლექტებული, შესაბამისად, მათ მიერ არჩეული დირექტორიც არ იყო ნეიტრალური. მე დირექტორის თანამდებობაზე მუშაობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებ, თუ ჩემ მიმართ ნდობას დაადასტურებს, როგორც ოპოზიცია და ხელისუფლება, ასევე საზოგადოება. სწორედ ეს, ყოველმხრივი ნდობა მომცემს იმის საშუალებას, რომ პოლიტიკურ გავლენებს თავი დავაღწიო. ჟურნალისტიკაში 1994 წლიდან ვმოღვაწეობ. ამ ხნის განმავლობაში ჩემთან არავის დაურეკავს და არაფერი უთხოვია. შეიძლება, ეს ძალიან უცნაურია, მაგრამ — სიმართლეა. ის, რომ მიუკერძოებელი ჟურნალისტი ვარ და არასოდეს არავის დაკვეთა არ შემისრულებია, ყველაზე კარგად მიხეილ სააკაშვილმა იცის.


თქვენი ოჯახის აფთიაქისთვის!

ბეტადინი®

იოდი, ჩომეღის პი ნვპვს!

საიმედო დაცვა ინფიცირებისგან
სახლში, აგარაკზე, ტურისტული მოგზაურობის დროს!

- ჭრილობების, ნაკაწრების, ნახეთქების უმტკივნეულო მკურნალობა
- სწრაფი დახმარება მცირე დამწვრობის, გამოყელვის, ჩირქოვანი ან ჰერპესული გამონაყარის შემთხვევაში
- პირში გამოსავლებად ანგინის ან სტომატიტის დროს (1:10 განზავებული ხსნარი)
- სოკოვანი დაავადების პროფილაქტიკა კოსმეტოლოგიური პროცედურების შემდეგ (მანიკური, პედიკური), აუზზე სიარულის ან ზღვაზე დასვენების დროს.

ბეტადინი® მოქმედებს სწრაფად და ხანგრძლივად ბაქტერიებზე, ვირუსებზე, სოკოებსა და პარაზიტებზე. ეფექტურია განზავებული ფორმითაც, უსაფრთხო და არატოქსიკურია.
არ ტოვებს ლაქებს.

ხსნარის განზავება ხდება მოხმარების წინ, სასამელი წყლით
განზავებული ხსნარი არ ინახება.

**— რას გულისხმობთ?**

— როცა ჟურნალისტურ საქმიანობას ვიწყებდი, ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი ჩემთვის ძალზე ძვირფას, საქართველოს გაძლიერებისა და აყვავების გეგმებს სახავდნენ, მაშინ მე ამ ადამიანების იდეებით ისე ვიყავი მონუსხული, რომ ძალიან ბევრ რამეს მათი თვალებით ვუყურებდი (სხვათა შორის, ეს ჟურნალისტური გამოუცდელობის ბრალი იყო), მაგრამ ამის მიუხედავად, ჩემს ნაწერს თუ რომელიმე შეაქებდა, მაშინვე ჩემს ნაჭუჭში ვიკეტებოდი. არასოდეს არც ერთ პოლიტიკოსთან არ მქონია მეგობრული ურთიერთობა, არავისთან ერთად არ ვყოფილვარ უცხოეთში. ვიყავი ჩემთვის და ყოველთვის ვწერდი იმას, რასაც ჩემი სინდისი მიკარნახებდა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შემიძლია, თამამად განვაცხადო, რომ თუ საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი გავხდები, ამ არხზე მხოლოდ ნეიტრალური და დაბალანსებული ინფორმაცია გავა.

**— თქვენი ხელმძღვანელობის შემთხვევაში, რა ტიპის გადაცემებს მიანიჭებთ უპირატესობას, მხოლოდ საინფორმაციოს თუ შემეცნებითი გადაცემების მომზადებაზე იზრუნებთ?**

— ჩემი აზრით, ამ კუთხით პრიორიტეტები არ უნდა არსებობდეს. ყველა გადაცემა თანაბარი ხარისხით უნდა მომზადდეს. თანაც ვფიქრობ, რომ შემეცნებით ხასიათს ყველა გადაცემა უნდა ატარებდეს, იქნება ეს პოლიტიკური ტოქშოუ თუ სპორტული გადაცემა. ტელევიზია მუდმივად უნდა მუშაობდეს ღირებულებების დანერგვაზე.

**— სერიალებზე რას იტყვით?**

— საზოგადოებრივი მაუწყებელი ხალხის ჯიბიდან ფინანსდება, ამიტომ, მისი ეთერით ისეთი გადაცემები უნდა გავიდეს, რომლებიც საზოგადოებას სჭირდება, მაგრამ სერიალებიც კი ღირებულებებზე უნდა იყოს დაფუძნებული.

**— როგორ ფიქრობთ, დღეს საზოგადოებას ტაბუდადებულ თემებზე საუბარი სჭირდება?**

— ტაბუდადებულ თემებზე ისე არ უნდა ვისაუბროთ, რომ მისი მოხსნის ნაცვლად ტაბუ უფრო გავაძლიეროთ. მინახავს გადაცემა, რომელიც ადამიანს უფრო მეტად აქცევს საკუთარ ნაჭუჭში და არსებულ პრობლემაზე საჯაროდ საუბრის სურვილს საერთოდ უკარგავს. ეს ძალიან სათუთი თემაა. თუ მე გავხდები ტელევიზიის დირექტორი, საზოგადოების აზრს აუცილებლად მივაქცევ ყურადღებას და რეიტინგების მონაცემებსაც გავითვალისწინებ. საზოგადოებრივი მაუწყებლის ამჟამინდელმა ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ მათთვის რეიტინგები მნიშვნელოვანი არ იყო. მართალია, ამ ტელეკომპანიაში გადაცემა მხოლოდ პოპულარობის მოსახვეჭად არ უნდა გაკეთდეს, მაგრამ საინტერესო მაინც უნდა იყოს.

**— ჟურნალისტები, ლაპარაკისას ძალიან ხშირად იყენებენ უცხო სიტყვებს, თქვენ როგორი დამოკიდებულება გაქვთ ამ საკითხის მიმართ?**

— მიყვარს ჩემი მსმენელისგან შენიშვნების მოსმენა. იმ პერიოდში, როდესაც ჟურნალისტიკაში დავიწყე საქმიანობა, მოდაში ძალიან „დაღვარჭნილი“ სტილი იყო. რაც უფრო ჩახლართულად და გაუგებრად დაწერდი, მით უფრო მაგარი ჟურნალისტი იყავი. საბედნიეროდ, ადამიანებმა, რომელთა გარემოცვაშიც მიწევდა ყოფნა, მასწავლეს, რომ ჯობდა, უფრო მარტივად და ხალხისათვის გასაგებ ენაზე მეწერა. მათი რჩევაც გავითვალისწინე, ჩემი პედაგოგიური გამოცდილებაც გავიხსენე და წერის მანერა შევცვალე. ამ რამდენიმე ხნის წინ კი, ერთ-ერთი ჩემი მეგობრის მამამ, რომელსაც ძალიან უყვარს ჩემი გადაცემები და თელავში უსმენს რადიო „თავისუფლებას“, შემომითვალა: ძალიან ხშირად იყენებ, სიტყვა — „ასპექტს“, არ შეიძლება, რამე უფრო ადამიანური სიტყვა მოიფიქროო? ჩემთვის ეს იმის მიმანიშნებელი იყო, რომ კიდევ ბევრი უნდა მემუშავა და ლექსიკა დამეხვეწა. ამ ამბის შემდეგ, როდესაც რადიოსთვის გადაცემას ვამზადებ და ტექსტს ვწერ, ყოველთვის ყურადღებით ვარ, ვშიშობ სიტყვა — „ასპექტი“ ან რაიმე მსგავსი არსად გამეპაროს. ასე იმიტომ ვიქცევი, რომ პატივს ვცემ ადამიანს, რომელიც თელავში ზის და ჩემს გადაცემას უსმენს. სხვათა შორის, კახელები არაჩვეულებრივი მოსაუბრეები არიან (ყველაზე სუფთა ქართულის მოსმენა დღეს თელავში შეიძლება).

**საზოგადოებრივი მაუწყებელი ხალხის ჯიბიდან ფინანსდება**

**— ნეიტრალიტეტის დაცვას, ძველ გუნდთან ერთად, შეძლებთ თუ ტელევიზიას ახალი კადრებით დააკომპლექტებთ?**

— მიმაჩნია, რომ გუნდის შეცვლა არასწორი ნაბიჯი იქნება. მხოლოდ მინიმალურ ცვლილებებს განვახორციელებდი. საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებს დღეს თავისუფალ გარემოში მუშაობის საშუალება არა აქვთ, ასე რომ, ჩვენ არ ვიცით, როგორ მოიქცევიან ისინი, თუ თავისუფლად მუშაობის საშუალებას მივცემთ. ჩემი აზრით, ისინი პროფესიონალები არიან.

**— თქვენი კონკურენტის, ლალი მოროშკინას შესაძლებლობებს როგორ შეაფასებდით?**

— ერთი რამ ვერ გამიგია — ლალი მოროშკინას საბჭოს წევრობა უნდა თუ ტელევიზიის დირექტორობა? კანონის მიხედვით, თუ სამეურვეო საბჭოს წევრობა გაქვს გადაწყვეტილი, დირექტორობის კანდიდატი ვეღარ გახდები. თავის დროზე, თამარ კინწურაშვილმა სამეურვეო საბჭო დატოვა იმისათვის, რომ დირექტორი გამხდარიყო.

**— ვიდრე ჟურნალისტი გახდებოდით, რას საქმიანობდით?**

— მართალია, სკოლაში არც ისე ბეჯითი მოსწავლე ვიყავი, მაგრამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კლასიკური ფილოლოგიის განყოფილება ისე დავასრულე, რომ ერთი ოთხიანი არ მიმიღია. შემდეგ თან ლიტერატურის ინსტიტუტში ვმუშაობდი და თან გერმანულ სკოლაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ვეწეოდი. სკოლაში ნინო რამიშვილის ინიციატივით მივედი, რის გამოც დღემდე მისი მადლიერი ვარ. ბავშვებთან მუშაობამ საგრძნობლად შემცვალა, ჩემს ცხოვრებაში საეტაპო ცვლილება მოხდა, ძალიან აქტიური ადამიანი გავხდი. ამ დაწესებულებიდან 10 წლის შემდეგ წამოვედი და უაღრესად დადებითი ემოციები წამოვიღე. შემდეგ უკვე გაზეთ „კავკასიაში“ დავიწყე მუშაობა. ორიოდე წლის წინ, მე და ჩემმა მეგობრებმა არასამთავრობო სასწავლო ორგანიზაცია ჩამოვაყალიბეთ და ფაქტობრივად, ისევ დავბრუნდი სკოლაში. ჩვენ ბავშვებთან ერთად ვუყურებთ ფილმებს, ვმართავთ დებატებს და ვუშვებთ გაზეთს. ■

# პატარკაციშვილის ბიზნესი და უკანასკნელი დღის ქრონოლოგია

პატარკაციშვილმა მთელი სამშაბათი ლონდონში გაატარა, სადაც საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან, მის მიმართ წაყენებული ბრალდებების დაცვის გეგმას ამზადებდა. შეგახსენებთ, პატარკაციშვილს სააკაშვილის დამხობის მიზნით სახელმწიფო გადატრიალების, რომელიღაც სახელმწიფო მოხელის მკვლელობის და აგრეთვე, ტერორისტული აქტების მოწყობის დაგეგმვაში ადანაშაულებდნენ.

დილის 11 საათზე პატარკაციშვილი სამეფო ადვოკატ ლორდ გოლდსმიტთან ერთად, რომელიც ადვოკატად დაიქირავა, საქმეს შეუდგა. ისინი ერთმანეთს იურიდიული ფირმა Debevoise & Plimport-ის ოფისში შეხვდნენ, სადაც გოლდსმიტს ევროპაში სასამართლო დავების წარმოების თავმჯდომარის პოსტი უჭირავს. შეხვედრას პატარკაციშვილის საქმიანი პარტნიორები და აგრეთვე, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ოპონენტები — იული დუბოვი და ნიკოლაი გლუშკოვიც ესწრებოდნენ. 16 საათზე მათ ქართველი მაგნატის კონსულტანტი პიარის საკითხებში — ლორდი ბელი და პატარკაციშვილის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი, რუსი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი შეუერთდნენ. თავის დროზე, ოთხივე ეს დისიდენტი ბიზნესმენ ბერეზოვსკის (რომელმაც 1990-იანი წლების დამდეგს დაწყებული პრივატიზაციის პერიოდში ნავთობში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, ავიაკომპანიებსა და საავტომობილო მრეწველობაში დაიწყო სახსრების დაბანდება) კონგლომერატ „ლოგოვაზში“ მუშაობდა. ამის შემდეგ საუბარი კიდევ ერთ საათს გაგრძელდა და პატარკაციშვილმაც სწორედ მაშინ დაიჩივლა, — შეუძლოდ ვარო.

*„Debevoise-ს ოფისში აუტანლად ცხელა და ამიტომაც, სული ყველას ეხუთებოდა. ბადრიმ დაიჩივლა, თავს კარგად ვერ ვგრძნობო და სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად დაბლა ჩავიდა, — განაცხადა ბელმა, რომელიც თათბირის შემდეგ პატარკაციშვილს სადარბაზოსთან შეუერთდა. — მომეჩვენა, რომ ამის შემდეგ, მან თავი ნორმალურად იგრძნო“.* ბელის თქმით, ბოლო რამდენიმე დღის მანძილზე პატარკაციშვილი ამბობდა, რომ თავს მთლად კარგად ვერ გრძნობდა.

17 საათზე ქართველმა მაგნატმა იურიდიული ფირმის ოფისი დატოვა და დაუნ-სტრიტზე მდებარე მეიფერეის ოფისში (რომელსაც ის და ბერეზოვსკი იყოფდნენ) გადაინაცვლა; 19 საათზე კი საკუთარი „მაიბახით“, რომელსაც მისი მძღოლი მართავდა, შინისკენ გასწია. ამ გზის სიგრძე 16 მილია. მამულში მას ოჯახის წევრები დახვდნენ. 22 საათსა და 48 წუთზე „სასწრაფოში“ ტელეფონის ზარი გაისმა და მედიცინის მუშაკებს პატარკაციშვილის გარდაცვალების ამბავი შეატყობინეს. მომხდარის შესახებ საქმის კურსში ჩააყენეს პოლიცია და აგრეთვე, ბერეზოვსკი, რომელიც მამულში დილის 4 საათზე მივიდა, მაგრამ პოლიციამ შიგნით არ შეუშვა. მოგვიანებით, მან განაცხადა: „პატარკაციშვილის სიკვდილი საშინელი ტრაგედიაა“.

## ის ინგლისურად წავიდა

გასული წლის თებერვალში, Georgian Times-ის მიერ შედგენილ პლანეტის უმდიდრესი ქართველების სიაში პატარკაციშვილი პირველ ადგილზე აღმოჩნდა. გაზეთმა მისი კაპიტალი 12 მილიარდ დოლარად შეაფასა. *„მისი ქონება ბევრად უფრო მოკრძალებული იყო,* — აცხადებს პატარკაციშვილის ერთ-ერთი პარტნიორი. — *მაგრამ ამ ქონების შეფასება რთულია, რადგან ყველა აქტივი როდი აფიშირდებოდა. მათი ღირებულება 3 მილიარდზე მეტი იყო, მაგრამ 6 მილიარდს არ აღემატებოდა“...*

პატარკაციშვილის ქალიშვილები და მათი ქმრები მაგნატის ბიზნესში არ იყვნენ ჩართულნი. ახლა კი, იმისდა მიხედვით, თუ რა ეწერება ანდერძში, ისინი აქციების მემკვიდრეები გახდებიან და მათ გაყიდვასაც შეძლებენ, თუ ამის უფლებას მათ პარტნიორებთან დადებული ხელშეკრულება მისცემთ. პარტნიორთაგან ერთ-ერთის თქმით, *„ბადრი ფონდ Salford-ის აქციონერი იყო. ხოლო ფონდის აქციების გაყიდვის გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მის პარტნიორსა და ფონდის პრეზიდენტ ევგენი იოფეს შეუძლია“.* Salford-ის წარმომადგენელი საქართველოში — ირაკლი რუხაძე „რია ნოვოსტისთვის“ ადრე მიცემულ ინტერვიუში ასახელებდა ხუთ ობიექტს, რომლებსაც ფონდი ფლობდა ან მართავდა. ესენი იყო: ტელეკომპანია „იმედი“, კომპანია „ლინკსი“ (მთაწმინდის გასართობი პარკი), კომპანია Georgian Glass & Mineral Water („ბორჯომის“ წყლის მწარმოებელი კომპანია), ინტერნეტპროვაიდერი „ტელენეტი“ და „სტანდარტბანკი“ (აქტივების სიდიდით მეშვიდე ბანკი საქართველოში). მეწარმე აცხადებს, რომ ბოლო წლებში პატარკაციშვილი აქტიური ინვესტორი არ იყო, რომ საქართველოში მისი ბოლო მსხვილი პროექტი ყულევის ნავთობტერმინალის მშენებლობა გახლდათ. მისი აზრით, *„ის აშენებით კი აშენდა, მაგრამ ვერ ამოქმედდა, რადგან ბადრიმ მისი დატვირთვა ვერ მოასწრო“.* პატარკაციშვილის კიდევ ერთი ნაცნობი იხსენებს, რომ მას ჰქონდა *„ინვესტიციები ამერიკაში, რაღაც — რუსეთშიც, აქტივები საქართველოში: ტელესაკომუნიკაციო კომპანია Magticom-ის აქციები და უძრავ ქონებაში დაბანდებები“...*

საგამომცემლო სახლ „კომერსანტის“ გენერალური დირექტორის, დემიან კუდრიავცევის თქმით, 1990-2000 წლებში, პატარკაციშვილი ბერეზოვსკის ყველა პროექტის ფაქტობრივი ოპერატიული მმართველი იყო...

*გაგრძელება იხ. გვ. 101*

# როლის „ჭეღავს“ საკაშვილისა და ბოკერიას პაროდისტი

სოფო ჭონიშვილი

ჟურნალისტი – ლიკა შუკაკიძე
რესპონდენტი – გიორგი აფციაური

**— გიორგი, ჩემთვის სასიამოვნო ფაქტია ის, რომ ერთმანეთს ჟურნალისტისა და რესპონდენტის როლებში შევხვდით. თუ პირფერობაში არ ჩამითვლი, იმასაც გეტყვი, რომ ცნობილი ადამიანების პაროდიების გაკეთება ძალიან კარგად გამოგდის. შენში ეს ნიჭი როდის აღმოაჩინე?**

— სკოლის დამთავრების შემდეგ, კლასელები „ბოლო ზარისთვის“ ვემზადებოდით. მინდოდა, პედაგოგებისთვის თავი რაღაცით დამემახსოვრებინა და სწორედ მაშინ მომივიდა იდეა, რომ პრეზიდენტის პაროდია გამეკეთებინა. თან, რევოლუცია ახალი მომხდარი იყო. დავჯექი, ტექსტი დავწერე და ცოტაოდენი წავივარჯიშე კიდეც. „ბოლო ზარის“ დღეს ჩემი გამოსვლა ყველას მოეწონა.

**— რამდენადაც მახსოვს, პირველად ნიკა ქავთარაძესთან და შონზოსთან ერთად გამოჩნდი, არა?**

— დიახ. 17 წლის ვიყავი, ნიკასთან და ბიჭებთან რომ მივედი. მათ მოკრძალებულად ავუხსენი, თუ რისი გაკეთება შემეძლო. ჩემი პაროდიები მოეწონათ და გუნდში მიმიღეს. მათთან დიდხანს ვთანამშრომლობდი. სხვათა შორის, ხუმრობების წერა იქ ვისწავლე და ცოტაც — დავიხვეწე. როგორც ხედავ, დღეს გადაცემა „ქლაბ-შოუში“ ვარ.

**— „ქლაბ-შოუში“ თავად მიხვედი, თუ მასში მონაწილეობა ვინმემ შემოგთავაზა?**

— ეს ისეთი გადაცემაა, სადაც ნებისმიერ ადამიანს, ვისაც ჯანსაღი იუმორი აქვს, შეუძლია, მივიდეს და საზოგადოებას თავისი შესაძლებლობები უჩვენოს. არანაირი შემოთავაზება არ მომიღია — შოუში თავად მივედი და დამტოვეს კიდეც.

**— შენი აზრით, „ქლაბ-შოუმ“ გაამართლა?**

— რატომაც არა?! ხალხს ეს შოუ ძალიან მოსწონს, მაგრამ ვიცით, რომ ბევრი რამ უფრო მეტად დასახვეწია.

**— თუ გქონდა ისეთი შემთხვევა, როცა ხუმრობის მოფიქრების დროს „გაჭედილხარ“, არადა, საჭიროა, აუცილებლად მოიფიქრო რაიმე!**

— (*იცინის*) რომ არ „გაიჭედო“, ამაზე წინასწარ უნდა იფიქრო და ისეთი თემა მოიფიქრო, რაზეც ხუმრობა არ გაგიჭირდება. არსებობს თემები, რომლებზეც რამდენიც არ უნდა იფიქრო და ტვინი იჭყლიტო, ისეთ ხუმრობას ვერ მოიფიქრებ, რომელიც ხალხს მოეწონება.

**— გიორგი, ცოტა რამ შენს პირად ცხოვრებაზეც მითხარი. შეყვარებული გყავს?**



**როცა პაროდისტ გიორგი აფციაურს დავუკავშირდით და „ჟურნალისტის როლში“ ჩაწერა შევთავაზეთ, გვთხოვა, თუ შესაძლებელია, რესპონდენტს თავად შევარჩევო. რა თქმა უნდა, დავთანხმდით. ის დათქმულ დროს, რედაქციაში მსახიობ ლიკა შუკაკიძესთან ერთად გვესტუმრა და მათ ჟურნალისტის როლი მშვენივრად მოირგეს.**

## „მსახიობმა არც ერთ როლზე არ უნდა თქვას უარი“

— (*იცინის*) ჯერჯერობით, არავინ მიყვარს და ამიტომაც, სულ სიყვარულის მოლოდინში ვარ.

**— არც არასდროს გყვარებია?**

— რაღაც სიმპათიები და გატაცებები მქონდა, მაგრამ სერიოზულად შეყვარებული არასოდეს ვყოფილვარ.

**— ეს ამბავი ვფიქრობ, ბევრ გოგონას გაახარებს. ვიცი, უამრავი თაყვანისმცემელი გყავს.**

— ???

**— გიო, ძვირფასო, ამ საღამოს რას აკეთებ (*იცინის*)?**

— ამ საღამოს თავისუფალი ვარ და შეგვიძლია, გავისეირნოთ.

**— გოგონები შენ მიმართ სიმპათიას როგორ გამოხატავენ? და საერთოდ, როგორი რეაქცია გაქვს, როცა მამაკაცის გულის მოსაგებად გოგონა აქტიურობს?**

— ადამიანი, რომელიც შენ მიმართ სიმპათიითაა განწყობილი, ამას ვერ დამალავს. ასე რომ, არ მიჭირს იმის გაგება, ვის მოვწონვარ და ვის — არა. რაც შეეხება გოგონას აქტიურობას, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. პირიქით, ეს ძალიან კარგია (*იცინის*).

**— გაგიმხელ, რომ შენი პაროდიებიდან ყველაზე მეტად, პრეზიდენტისა და ბოკერიას პაროდია მომწონს.**

— უკვე აღარ შემიძლია. სადმე სუფრასთან თუ მოვხვდები, ყველგან ბოკერიას პაროდიის გაკეთებას მთხოვენ.

**— რატომ გადაწყვიტე, რომ ბოკერიასთვის მიგებაძა?**

— პირველ რიგში იმიტომ, რომ მის პაროდიას არავინ აკეთებს. თანაც, ძალიან ცნობილი, პოპულარული ადამიანია, ხალხს უყვარს და ა.შ. (*იცინის*).

**— პაროდიის გაკეთებაზე ბევრს მუშაობ?**

— არიან ადამიანები, რომელთა პაროდიის გაკეთებისთვის ბევრი დრო და მუშაობა არ მჭირდება. მთავარია, მათში რაღაც საინტერესო „დავიჭირო“ და უკვე „იქ ვარ“.

**— ხომ არ გიცდია, რომ რომელიმე ცნობილი ქალისთვის მიგებაძა? მაგალითად, ნინო ბურჯანაძის ან მაია ნადირაძისთვის?**

— ამაზე არასოდეს მიფიქრია. ისე, შეუძლებელი არაფერია. ვფიქრობ, ბურჯანაძის პაროდია კარგად გამომივა, მაგრამ ჯერჯერობით, ამისგან თავს შევიკავებ და როცა უფრო მაღალ თანამდებობას მიიღებს, მერე გავაკეთებ.

**— ანუ ქალბატონ ნინოს პრეზიდენტობას უწინასწარმეტყველებ?**

— (*იცინის*) გამორიცხული არაფერია.

**— ძირითადად, სულ პოლიტიკოსების პაროდიას აკეთებ. მსახიობებსა და მომღერლებზეც იფიქრე, რა. მაგალითად, საინტერესოა, ლელა წურწუმიას პაროდიას როგორ გააკეთებდი?**

— იცი, რა, რაც ადვილია, იმის ეთერში, სახალხოდ გამოტანას არ ვაპირებ. რთული პაროდიების კეთება უფრო მხიბლავს.

**— გარდა იმისა, რომ „ქლაბ-**

**შოუში“ ხარ, კიდევ, რას საქმიანობ?**

— მთლიანად ამ საქმეში ვარ ჩაფლული. მინდა, მაქსიმუმს მივაღწიო.

**— სხვა პროფესია არ გაქვს?**

— იურისტი ვარ. ჯანსაღი იუმორის კეთებას ინტელექტი სჭირდება (*იცინის*).

**— გიორგი, და-ძმა გყავს?**

— დედისერთა ვარ, მაგრამ მამის მხრიდან დედმამიშვილები ანუ ნახევარდა და ნახევარძმა მყავს.

**— ძალიან უცნაური ვარცხნილობა გაქვს. ეს ამა თუ იმ ტიპაჟის შექმნაში ხელს არ გიშლის?**

— არანაირად. აი, საკაშვილს ან ბოკერიას გარეგნულად რომ ვგავდე, მაშინ ისეთ ვარცხნილობას გავიკეთებდი, როგორიც მათ აქვთ.

**— რომელიმე მათგანს პირისპირ თუ შეხვედრიხარ?**

— სამწუხაროდ, არა. იმათგან, ვის პაროდიასაც ვაკეთებ, პირისპირ მხოლოდ კობა ხაბაზს შევხვდი და ვისაუბრეთ კიდეც.

**— გაგიბრაზდა?**

— არა, რატომ უნდა გაბრაზებულიყო?! პირიქით, გამიღიმა. არა მგონია, ვინმეს ჩემი პაროდია აღიზიანებდეს.

**— როცა პირველად იგრძენი, რომ პოპულარული ადამიანი ხარ, როგორი რეაქცია გქონდა?**

— თავდაპირველად, თავს ცოტა უხერხულად ვგრძნობდი, ცოტა მრცხვენოდა კიდეც, მაგრამ მერე, ამას ნელ-ნელა მივეჩვიე (*იცინის*).

**— გიორგი, მამუკა ლომაშვილს თუ იცნობ? ისიც ხომ პრეზიდენტის პაროდიას აკეთებს?**

— რა თქმა უნდა, ვიცნობ. ჩვენ ამ საქმეში კოლეგები ვართ. კარგი ადამიანია. ერთხელ, პრეზიდენტის პაროდია ერთად გავაკეთეთ: ის ფხიზელი საკაშვილი იყო, მე — მთვრალი. ძალიან სახალისო გამოვიდა.

**— მსახიობობაზე არასოდეს გიფიქრია? თეატრალურ უნივერსიტეტთან არ ჩაგივლია (*იცინის*)?**

— თეატრალურთან ჩამივლია და ამივლია კიდეც, მაგრამ მსახიობობა არ მომნდომებია, მე ხომ სულით „კავეენშიკი“ ვარ.

## ჟურნალისტი – გიორგი აფციაური
## რესპონდენტი – ლიკა შუკაკიძე

**— ლიკა, პირველ რიგში, მინდა გითხრა, რომ მშვენივრად გამოიყურები (*იცინის*). ალბათ, მსახიობობა ამიტომაც გადაწყვიტე...**

— რაც თავი მახსოვს, მსახიობობაზე მას შემდეგ ვოცნებობდი, მაგრამ რატომ, ეს არასდროს ვიცოდი და ამ კითხვაზე პასუხი დღესაც არ მაქვს. პროფესიით მსახიობი არც ოჯახში და არც სანათესაოში მყავს ვინმე.

**— მშობლებმა წინააღმდეგობა არ გაგიწიეს?**

— მათგან პატარა წინააღმდეგობას მართლაც წავაწყდი, მაგრამ პრობლემა მალევე მოვაგვარე. ხომ იცი, აუცილებლად მიაღწევ იმას, რისი გაკეთებაც გულით გინდა.

**— საზოგადოებამ სერიალ „საპონიდან“ გაგიცნო. მსგავს სერიალებში მონაწილეობას კიდევ ხომ არ აპირებ?**

— თუკი რაიმე შემოთავაზება მექნება, უარს ნამდვილად არ ვიტყვი. სერიალ „საპონის“ გადაღებების დროს დიდ სიამოვნებას ვიღებდი. იუმორისტულ სერიალებში მონაწილეობა ძალიან სახალისოა.

**— რამდენადაც ვიცი, შენ სპექტაკლებშიც მონაწილეობ? რა როლები გითამაშია?**

— (*იცინის*) ვთამაშობდი მეძავ ქალს, ასევე იმ ქალის როლს, რომელიც შეყვარებულს მუდმივად ეხვეწება, რომ ცოლად შეირთოს, მაგრამ ის უარს ეუბნება. თუმცა, ბოლოს მაინც დავითანხმებ... ახლა კი მოზარდ მაყურებელთა თეატრში, თაგვის როლზე ვმუშაობ (*იცინის*).

**— სამომავლოდ რას აპირებ?**

— წინასწარ დაგეგმილი არაფერი მაქვს. ვინ იცის, წინ რა მელოდება?!

**— შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

— ერთფეროვნებაა. შეყვარებული არ მყავს.

**— არ ცდილობ, რომ ეს ერთფეროვნება გაამრავალფეროვნო?**

— კი, მაგრამ ჯერჯერობით, ამას რატომღაც ვერ ვახერხებ. უფრო სწორედ, ჯერ ვერ შევხვდი ისეთ ადამიანს, რომელთან ურთიერთობაც მომინდება.

**— მამაკაცის გულის მოსაგებად შეგიძლია იაქტიურო?**

— რატომაც არა?! როცა ადამიანი შენთვის მნიშვნელოვანია, მისთვის ბევრი რამ უნდა გააკეთო.

**— რომელიმე სერიოზულ ფილმში მონაწილეობაზე არ გიფიქრია?**

— ოო... ეს ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა...

**— პარტნორად ვის აირჩევდი?**

— ჩემს საყვარელ მსახიობს — ჯონი დეპს. ძალიან მიყვარს.

**— „თამამ“ როლებს თუ შეასრულებდი?**

— მსახიობმა არც ერთ როლზე არ უნდა თქვას უარი. მით უმეტეს, მაშინ, როცა ამაში კარგად გიხდიან.

**— ბევრი მსახიობი ეროტიკულ როლზე უარს ამბობს. შენში ამ მხრივ პროგრესია. ისე, მეძავი ქალის როლის თამაში არ გაგიჭირდა?**

— ისე, რა. სხვათა შორის, რატომღაც, სასიყვარულო როლების თამაში მიჭირს. ალბათ იმიტომ, რომ ამ საკითხში გამოცდილება არ მაქვს.

**— ლიკა, რას მოითხოვ მამაკაცისგან? ის „შემომტანი“ უნდა იყოს (*იცინის*)?**

— მამაკაცს მოვთხოვ ერთგულებას, სიყვარულს, გულწრფელობას.

**— ეს ყველაფერი საკმარისია?**

— არის კიდევ ბევრი რამ, რასაც ვეღარ ჩამოვთვლი. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ყავა უნდა უყვარდეს (*იცინის*).

**— მეუღლეს ღალატს აპატიებ?**

— გააჩნია, როგორ მიღალატებს.

**— მთავარია, კაცთან არ გიღალატოს, არა (*იცინის*)?**

— არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ მამაკაცს ღალატი ეპატიება...

**— ლიკა, რას ფიქრობ პოლიტიკაზე?**

— ოო... პოლიტიკაზე საუბარი მაღიზიანებს. მინდა, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობდე, სადაც პოლიტიკა და პოლიტიკოსები ნაკლებად პოპულარულები იქნებიან.

**— მე კი იმედს გამოვთქვამ, რომ პოლიტიკოსები ყოველთვის პოპულარულები იქნებიან.**

— ეს შენი საქმიანობისთვის მომგებიანია და ამას ამიტომაც ამბობ (*იცინის*).

**— დაბოლოს, მინდა, წარმატება გისურვო, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე შემოქმედებაში. კარგი გოგო ხარ, ძალიან მიყვარხარ.**

— დიდი მადლობა, გაიხარე.

# „მე აფხაზი ვარ, მაგრამ შვილს ქართველად ვზრდი, როველსაც დედის ნათესავი აფხაზებიც უნდა უყვარდეს...“




## შეხვედრები შუაზე გაპობილ „ხიდზე“

**ქართულ-აფხაზურმა მოვლენებმა უამრავი ადამიანის სიცოცხლე და ოჯახური ბედნიერება შეიწირა. ორად გახლეჩილი ოჯახის წევრები დღემდე ეძებდნენ წლების წინ დაკარგულ ახლობლებს. შეწყვეტილი ურთიერთობების აღდგენა წერილობითაც შეუძლებელი იყო. ომის დამთავრების შემდეგ საყვარელ ადამიანთან შეხვედრა მხოლოდ მათ შეძლეს, ვინც „რკინის ქალამნები ჩაიცვა და ხელში რკინის ჯოხი დაიჭირა“. დღეს ბევრი მათგანი აღიარებს, რომ დრომ, ომმა და ცხოვრების სიძნელეებმა მათ ურთიერთობაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა.**

### ლალი პაპასკირი

*როცა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენაზე ლაპარაკობენ, ხშირად გვესმის, — ყველა მშვიდობიანი რესურსი ამოიწურაო. მაგრამ მავანთ რატომღაც, ავიწყდებათ, რომ ამ ორ ერს ერთმანეთთან საუკუნოვანი თანაცხოვრება, მორდუობა და ნათესაობა გვაკავშირებს, რომელიც ნებისმიერ სხვა რესურსზე მნიშვნელოვანია. სწორედ ნათესაური ურთიერთობის აღდგენაზეა ორიენტირებული „ქართულ-აფხაზური ოჯახების კავშირი“, რომელიც 2003 წლიდან არსებობს და საქმიანობს. მისი დახმარებით, უკვე 4000-ზე მეტმა ადამიანმა იპოვა ნათესავი. როგორც ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი რეზო ბენდელიანი ამბობს, ამჟამად, შესახვედრად, კიდევ 1300-მდე ადამიანი ემზადება. დასახელებულ ორგანიზაციას „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი“ აფინანსებს, რომელიც შერეული ოჯახების წევრებს სამგზავრო და სხვა ხარჯების დაფარვაში ეხმარება. ნათესავები მისამართებს ადგენენ და შემდეგ, შეხვედრის ადგილს თავად ირჩევენ.*

**რეზო ბენდელიანი:**

— სიძე აფხაზი მყავს და როცა მისი და ჩემი დის ურთიერთობას ვაკვირდებოდი, მივხვდი, რომ მათნაირი ათასობით იქნებოდა. ამიტომაც გადავწყვიტე, ამ ხალხს დავხმარებოდი. პირველად სოხუმში 2003 წელს, აფხაზური მხარის მიწვევით და გაეროს დახმარებით ჩავედით. მაშინ, შერეული ოჯახების შეხვედრაში 15 ოჯახის წარმომადგენელი მონაწილეობდა. მერე ნათესავების მაძიებელთა რიცხვი თანდათან გაიზარდა და ათასებს აჭარბებს. ჩვენ სახალხო დიპლომატიის ხაზით ვმუშაობთ და ვცდილობთ, ამ ადამიანებმა ერთმანეთი არ დაკარგონ. ამიტომაც, აფხაზეთის ხელმძღვანელობისგან ხელის შეშლის ფაქტებიც არ ყოფილა.

**— რამდენადაც ვიცი, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს, თემურ იაკობაშვილსაც შეხვდით. სახელმწიფო რანგში ამ საქმის აყვანა ხელს ხომ არ შეგიშლით?**

— არავითარ შემთხვევაში. ჩვენ პოლიტიკაში არანაირად არ ვერევით. მეტიც, ორივე მხარე დაინტერესებულია, რომ ასეთი კავშირები აღდგეს. აფხაზეთის ხელმძღვანელობასაც კარგად ესმის, რომ არ შეიძლება, ნათესავებს ურთიერთობა დაუშალო. ჩვენი მიზანია, ორად გახლეჩილმა საზოგადოებამ ერთმანეთთან მისასვლელი გზები იპოვოს. ბატონი თემური ჩვენი პროექტით დაინტერესდა და შეგვპირდა, რომ მეტ ყურადღებას მიაპყრობს ამ საქმეს.

**— პირადად თქვენ წლების განმავლობაში გიწევდათ ამ ადამიანებთან ურთიერთობა; განსაკუთრებულად ვისი შეხვედრა დაგამახსოვრდათ?**

— ნათესავების გარდა, ვცდილობთ, ერთმანეთს ერთი გვარის წარმომადგენლებიც შევახვედროთ. ეს თავისთავად, ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მე ვიცნობ ისეთი გვარების შვილებს, რომელთა ნაწილიც ქართველობს, ნაწილი კი ამბობს — აფხაზი ვარო... რაც შეეხება განსაკუთრებულ შეხვედრას, — ეს იყო ამ რადენიმე წლის წინ, 14 წლის უნახავი დედა-შვილი შევახვედრეთ ერთმანეთს. დედა უმცროს შვილთან ერთად, ენგურს გამოღმა დარჩა, უფროსი კი — ბებია-ბაბუასთან. მას აფხაზური ადათ-წესებით ზრდიდნენ. არასდროს დამავიწყდება დედის სახე, როცა მან შვილი ნახა, მაგრამ კიდევ უფრო ძლიერ იმოქმედა ჩემზე, ძმების შეხვედრამ. წარმოიდგინეთ, ერთი ძმა რუსულად ლაპარაკობდა, მეორე კი ქართულად პასუხობდა. თარჯიმანი დასჭირდათ... მე თვითონ ორი შვილის მამა ვარ და ამ ფაქტით ძალიან დავითრგუნე. ამ ხნის კაცი, მანქანაში ჩავჯექი და ხმამაღლა ვტიროდი.

**ნანა კორსანტია:**

— ომის დაწყებისთანავე, ჩემი ოჯახი ორად გაიყო. მეუღლე აფხაზი იყო და მათ მხარეს იბრძოდა, ჩემი ძმა კი, როგორც კი პირველი ტყვია გავარდა, მოხალისეთა ბანაკში ჩაეწერა. ორივეს მშობლებს ვეხვწებოდი, ან ერთი დაებრუნებინათ სახლში, ან — მეორე. მპირდებოდნენ, მაგრამ შვილებს არაფერს ეუბნებოდნენ. მეტიც, შვილების გადაწყვეტილებით ორივე ამაყობდა, მაგრამ — ჩუმად. დღეს კი, დარწმუნებული ვარ, ორივე ნანობს... საოცარი ის იყო, რომ ჩემი და მეუღლის მშობლები, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ, ჩვეულებრივი, თბილი დამოკიდებულება ჰქონდათ და ომის გარდა, ყველაფერზე საუბრობდნენ, ისტორიაზეც კი. ორივე მხარე ძალიან მოზომილად იცავდა თავისი ქვეყნის წარსულსა და ღირსებას. დღემდე ვერ ვხვდები, მათი ურთიერთობა ფორმალობა იყო თუ თავისებურად, პატივს სცემდნენ ერთმანეთს... სოხუმში ვცხოვრობდით. ორი შვილი მყავდა. პატარას იქაური ნესტიანი ჰაერის გამო, ასთმური ფონი ჩამოუყალიბდა. ზოგჯერ შეტევაც ჰქონდა და თვეში ერთხელ, თბილისში სამკურნალო კურსებზე ჩამოსვლა გვიწევდა. როცა თბილისში მოვდიოდით, უფროსს (დათო მაშინ 7 წლის იყო) ჩემს მშობლებთან ვტოვებდი. როცა ტყვარჩელში ჩემი მეუღლის სანახავად ჩავედი, მთხოვეს, — ჩვენთან დატოვე და თუ არ გაჩერდა, ცოტა ხნის მერე თვითონ ჩავუყვანთ შენს მშობ-

ნაგო მარშანია გიორგისთან ერთად

ლებსო. ჩემი მშობლები განთიადში ცხოვრობდნენ. ცოტა შემეშინდა კიდეც, მაგრამ თუ მოვლენები ასე განვითარდებოდა, მაინც ვერ წარმოვიდგენდი. მათი ხათრით, დათუნა ტყვარჩელში დავტოვე... თბილისში ჩამოსულებს, ექიმთან უზარმაზარი რიგი დაგხვდა და ლოდინმა მოგვიწია. სასტუმრო „აჭარაში“ ავიღე ნომერი და ჩემს რიგს დაველოდე. მაშინ რა ვიცოდი, რომ ამ სასტუმროში 15 წელი მომიწევდა ცხოვრება?..

**— ძმასა და მეუღლეზე არაფერი გაგიგიათ?**

— ჯერ ძმა მომიკლეს, მერე კი მეუღლე ჩამოასვენეს სამხედრო ვერტმფრენით. მძიმედ ყოფილა დაჭრილი და თბილისამდე ვერ ჩამოაღწია ცოცხალმა. ქმრის მშობლებმა ვერ მოასწრეს დედაჩემთან ბავშვის წაყვანა, ომი დაიწყო და დათუნა მათთან დარჩა. კიდევ კარგი, რომ ასე მოხდა, თორემ ჩემი დედ-მამა აფხაზეთის სვანეთით გადმოვიდნენ სამშვიდობოს და ამ გზაზე ბავშვი გადარჩებოდა თუ არა, კაცმა არ იცის. დევნილობის შემდეგ, სიტუაცია რომ ჩაწყნარდა, რამდენჯერმე ენგურის ხიდამდე მივედი, — იქნებ, რაიმე გავიგო ან წერილი გავგზავნო-მეთქი, — მაგრამ ვერავინ დამეხმარა. ბავშვის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. მართალია, ეჭვიც არ შემპარვია, რომ კარგად იქნებოდა, მაგრამ ჩემი შვილი ჩემ გვერდით მინდოდა, ყოფილიყო. თან იმასაც ვფიქრობდი, დედამთილ-მამამთილი უკვე ასაკოვნები არიან და შესაბამის ყურადღებას ვერ მიაქცევენ-მეთქი. მერე გავიგე, რომ არსებობს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს, შერეული ოჯახების წევრებს ერთმანეთი აპოვნინოს. მის მესვეურთა საშუალებით, აფხაზეთიდან

ჯერ ძმა მომიკლეს, მერე კი მეუღლე ჩამოასვენეს სამხედრო ვერტმფრენით

ჩემი მეუღლის მამიდამ მომწერა, — დათუნა ჩვენ გვყავს და როცა გინდა, ენგურის ხიდთან მოვიყვანო... სანამ ის დღე დადგა, ჩემი დამემართა: 14 წლის უნახავი შვილი უნდა მენახა! ვერც ვჭამე, ვერც დავიძინე... ის უკვე 21 წლის იქნებოდა, ნიკუშა კი — 18-ის. მეგონა, გაუცხოებული ძმების დანახვაზე მოვკვდებოდი... მაშინდელი ემოციების აღდგენა გამიჭირდება, მაგრამ დათუნა რომ დავინახე, მუხლები მომეკვეთა. ნიკამ კი ძმა რომ დაინახა, დამასწრო, გადაეხვია და ასე იდგნენ რამდენიმე წუთი. იმ დღეს მესამედ გავხდი დედა. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა... მათ აფხაზი ნათესავები და ახლობლები მოჰყვებოდნენ. ჩვენი შემყურე, ყველა ცხარე ცრემლით ტიროდა. მას შემდეგ, დათუნა აქეთაც გადმოდიოდა და ნიკუშაც მიჰყავდა ხოლმე იქით. მე არ წავსულვარ, მაგრამ ნიკა გაოცებული იყო, მეუბნებოდა, — იცი, რა თბილი ხალხიაო!..

**აზა,** *23 წლის:*

— ჩემი ოჯახი ჯერ კიდევ ომამდე ცხოვრობდა მოსკოვში. მე კი აფხაზეთში, ბებია-ბაბუასთან ვიზრდებოდი. სკოლის დამთავრების შემდეგ, პუშკინის სახელობის უნივერსიტეტში ჩავაბარე გამოცდები, თემოც იქ გავიცანი. ერთად დავდიოდით ექსკურსიებზე. ის საქართველოს შესახებ მიყვებოდა, მე — აფხაზეთის. ყველაფერზე ერთნაირი შეხედულება გვქონდა, მათ შორის — ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზეც. დღემდე ასე ვფიქრობთ — რომ შეცდომა ორივე მხარემ დაუშვა, სხვა შემთხვევაში, იმ ხალხებს, ვისაც ამხელა ნათესაური კავშირი აქვთ, ერთმანეთი ასე არ უნდა გაემეტებინათ... ჩემი ოჯახის წევრებმა რომ გაიგეს, ქართველი მომწონდა, სასწრაფოდ აფხაზეთში დამაბრუნეს. მითხრეს, — თუ ჭკვიანად არ მოიქცევი, სწავლას თავს დაგანებებინებთო. ბაბუამ კი მამაჩემს უსაყვედურა, — აბა, რა გინდა, რუსს გაჰყვესო?!. მამამ ჩუმად უპასუხა, — ამის გათხოვება ჯერ ადრეაო... ბაბუის რჩევით, მშობლებს ვთხოვე, — ოღონდ სწავლა გამაგრძელებინეთ და გპირდებით, თემოსკენ აღარც გავიხედავ-მეთქი. საკითხავი იყო, ამას რამდენად შევძლებდი, მაგრამ მართლა, ძალიან მეშინოდა. ბებიის გაზრდილი ვარ და როგორც წესი, საიდუმლოებს ვანდობდი ხოლმე. ერთხელ, როცა თემოზე ვუყვებოდი, მითხრა, — თუ ძალიან გიყვარს, გაჰყევი, ბებო, საყვარელი ადამიანის დასაკარგავად, არც ერთი დიპლომი და კარიერა არ ღირსო. გამიკვირდა, საიდან ესმის ამ მოხუც ქალს ამდენი-მეთქი?! დიპლომი იმდენად არ მადარდებს, ბებო, მაგრამ მეშინია, მამა სხვა მიზეზით, არ დამემდუროს-მეთქი. — ნუ გეშინია, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია; მე ვერ მოვესწრები, მაგრამ გავა წლები და ჩვენ ქართველებთან ცხოვრება მოგვიწევს, დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენსო... ეს იყო ალბათ ბიძგი, რომელმაც თემოსთან დაბრუნება გადამაწყვეტინა. ვიცოდი, მამაჩემზე მშობლებს დიდი გავლენა ჰქონდათ და მათი იმედი მქონდა... თემო მიხვდა, მშობლების რომ მერიდებოდა და „მომიტაცა“. 3 დღის შემდეგ მოგვაგნეს. ბიძაშვილმა გადმომცა მამის დანაბარები, — ჩემთვის მკვდარი ხარო. ძალიან განვიცადე. 7 თვის შემდეგ მამამ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. რა თქმა უნდა, მეუღლესთან ერთად წავედი... ახლა პატარა ბიჭი გვყავს და ჩემს ხალხს ვპირდები, რომ აუცილებლად ვასწავლი წარსულის სიყვარულს.

ჩემი დედ-მამა აფხაზეთის სვანეთით გადმოვიდნენ სამშვიდობოს და ამ გზაზე ბავშვი გადარჩებოდა თუ არა, კაცმა არ იცის

**ნატო მარშანია:**

— ჩემი დიდი ბაბუა — თავადი არზაყან ემხვარი, ნოე ჟორდანიას თანამოაზრე და მთავრობის წევრი იყო. მას არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა ქართველებთან და კავკასიელი ხალხების გაერთიანების მომხრე იყო. მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას პარიზში გადახვეწა მოუხდა, ის მეგობრებს თან გაჰყვა. მოგვიანებით კი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. არზაყან ემხვარი ლევილის სასაფლაოზე, ნოე ჟორდანიას გვერდით არის დასაფლავებული.

**— თქვენს ცხოვრებაზეც მოგვიყვითო...**

— მამაჩემი — შოთა მარშანია მთელ აფხაზეთში ცნობილი ექიმი იყო. დედაც აფხაზი მყავდა, მაგრამ არ მახსოვს, ოდესმე ჩემს ოჯახში ქართველზე რაიმე „ისეთი“ ეთქვათ. ამიტომაც, როცა არჩევანი ქართველზე გავაკეთე, ამას ძალიან ჩვეულებრივად შეხვდნენ. მამა ომამდე გარდამეცვალა. ომის შემდეგ კი, მეუღლეს თბილისში გამოვყევი. დედისერთა ვარ და დედა მარტო რომ არ დამეტოვებინა, თან წამოვიყვანე. როგორც მთელ საქართველოს, ჩვენც ძალიან გვიჭირდა. მეუღლემ მითხრა, — რუსეთში წავალ, რაღაც საქმეს წამოვიწყებ და იქიდან დაგეხმარებითო, — მაგრამ ამ ცხოვრებაში ყველაფერი ისე ადვილი ხომ არ არის, როგორც ჩვენ გვინდა. იქაური მოქალაქეობა არ ჰქონდა და მუშაობის დაწყება ძალიან გაუჭირდა. მე რუსულად მაქვს განათლება მიღებული, ქართულიც არ ვიცოდი და სამსახურის პოვნას რომ თავი დავანებოთ, ხალხთან ურთიერთობაც კი მიჭირდა. გაჭირვებამ ამ ცხოვრებასთან ბრძოლა მასწავლა: დღისით ინსტიტუტში დავდიოდი, საღამოს საათებში კი მოსწავლეებს ვამზადებდი რუსულ ენასა და ლიტერატურაში. მეუღლე ქართველი მყავს და შვილსაც ქართველად ვზრდი, ისეთ ქართველად, რომელსაც დედის ნათესავი აფხაზებიც უნდა უყვარდეს...

# მყინვარწვერის ნეფე-დედოფლის „თეთრი საიდუმლო“

**მაკა გულედანი და ნიკა ლებანიძე სხვა წყვილებისგან იმით განსხვავდებიან, რომ მათ, ჯვარი, მართლმადიდებლურ სამყაროში ყველაზე მაღალ — ზღვის დონიდან 4100 მეტრის სიმაღლეზე, მყინვარწვერზე მდებარე, სამების ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი. როგორ გაიარეს გზა თბილისიდან მყინვარწვერამდე და უკან? როგორი იყო მთაში გაშლილი საქორწინო სუფრა?.. ჯვრისწერის ანუ „თეთრი საიდუმლოს“ დეტალებზე, „მყინვარწვერის დედოფალი“ მაკა გულედანი დღესაც ემოციურად ლაპარაკობს:**

თამუნა კვინიკაძე

— ნიკა ბოტანიკურ ბაღში გავიცანი. მოგეხსენებათ, ეს ის ადგილია, სადაც მთამსვლელები სავარჯიშოდ, ხშირად იკრიბებიან. ბოტანიკურ ბაღში, ახლობლებთან ერთად, უშბაზე გარდაცვლილი ჩემი ბიძაშვილის — ვანო გულედანის გასახსენებლად, მისი დაბადების დღეს ვიყავი მისული: ვანო იქ ხშირად ვარჯიშობდა. მე და ნიკას ერთმანეთი გაცნობისთანავე მოგვეწონა და საერთო ენის გამონახვა არ გაგვჭირვებია... შეყვარებულობის პერიოდში, მასთან ერთად მთაში რამდენჯერმე ვიყავით წასული. მთა ის ადგილია, სადაც ადამიანი საკუთარ თვისებებს ყველაზე კარგად ავლენს. იქ ადამიანთან ვერ ითამაშებ, ამის არც სურვილი გაქვს და არც გარემოებაა. იქ ყველა ისეთია, როგორიც — სინამდვილეში. ამიტომ მთაში შეძენილი მეგობარი ყველაზე ძვირფასია.

**— მყინვარწვერის „სამებაში“ ჯვრის დაწერა, ნიკას იდეა იყო?**

— 2000 წელს, მეფე ნიკოლოზის კურთხევით, ზღვის დონიდან 4100 მეტრზე, ჩადგეს პატარა სამლოცველო, რომელსაც „მყინვარწვერის სამება“ უწოდეს. ეს მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში ყველაზე მაღლა მდებარე ეკლესიაა. მოგეხსენებათ, ნიკა მთამსვლელია, მისთვის ასეთი ადგილები უცხო არ არის. მას ჩაფიქრებული ჰქონია, — როცა დავოჯახდები, ჯვარს ამ ეკლესიაში დავიწერო.

**— როცა ეს სურვილი გაგიმხილა, როგორი იყო შენი რეაქცია?**

— არ გამკვირვებია, მის წინადადებას სიხარულით დავთანხმდი. უკვე გითხარი, რომ მთაში ჯვრისწერამდე ვიყავით. ნიკასთან ერთად, მყინვარწვერის გვერდით მდებარე, ორწვერზე და მწვერვალ „თიკანაძეზე“ ავედი.

**— მშობლები როგორ შეხვდნენ თქვენს გადაწყვეტილებას?**

— ჯვრისწერა ნოემბერში გვქონდა. უკვე თბილისშიც ძალიან ციოდა და ყაზბეგში — მით უმეტეს. მშობლებს ერთადერთი, იმის ეშინოდათ, რომ არ გავცივებულიყავით.

**— როგორ გაიარეთ გზა თბილისიდან მყინვარწვერამდე? ალბათ ბევრი სიძნელის გადალახვა მოგიხდათ...**

— სანამ გავემგზავრებოდით, ნიკა საზოგადოებრივი მაუწყებლიდან (ის ტელეოპერატორია) უწმინდესსა და უნეტარესთან, კათოლიკოს-პატრიარქთან იყო მისული გადაღებაზე. შემთხვევით ისარგებლა და უწმინდესს ჩანაფიქრი გაანდო, თან ჰკითხა, შეიძლებოდა თუ არა ამ იდეის განხორციელება. — თქვენი მეუღლეც მთამსვლელიაო? — უკითხავს პატრიარქს. — მთამსვლელი არა, სვანიაო, — მიუგია ნიკას (*იცინის*). უწმინდესმა კურთხევა მოგვცა, რამაც კიდევ უფრო შეგვმატა ძალა. მისი დალოცვის მადლს ყოველ წუთას ვგრძნობდით. ღვთის წყალობით, კარგი ამინდიც დაგვემთხვა.

**— ხელისმომკიდეთა საკითხი როგორ მოაგვარეთ? როგორც ვიცი, თქვენმა მეჯვარეებმა წამოსვლა ვერ შეძლეს.**

— მეჯვარეები ჯვრისწერის დროს მოვიხსენიეთ. ვერც ერთმა ჩემმა მეგობარმა გოგონამ მოსვლა ვერ შეძლო. ჩემ გარდა, ჩვენ გვერდით მხოლოდ ერთი გოგონა იყო — ნიკას მეგობარი ნათია, რომელიც გზის სირთულეს არ შეუშინდა. ჯვრისწერაზე დასწრების სურვილი ბევრს ჰქონდა და მყინვარწვერზე ჩვენი ასვლის საკითხიც ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ. იქ ჯგუფის ერთ რომელიმე წევრსაც რომ გასჭირვებოდა, ყველანი უკან უნდა გამოვბრუნებულიყავით, ამიტომ მხოლოდ ის მეგობრები გამოგვყვნენ, რომლებიც ფიზიკურად სათანადოდ მომზადებულები იყვნენ. ბარგის დიდი ნაწილი, ნიკას მეგობრის (ეუთოს მისიაში მუშაობს) დახმარებით წინასწარ ვერტმფრენით, მეტეოსადგურამდე ავიტანეთ. დანარჩენები ბარიდან გვგულშემატკივრობდნენ.

**— ასვლას რამდენი დღე მოანდომეთ?**

— თბილისიდან ყაზბეგში მანქანით ჩავედით. იქ ჩვენი ბარგი, რომელიც

**ვიფიქრეთ, რომ ეს ცხოველი, ხევის მეორე მხარეს გააგრძელებდა გზას, მაგრამ ჩვენი ვარაუდი არ გამართლდა, ის ხევში ჩამოვიდა და ჩვენკენ გამოემართა. ჯიხვი აღმოჩნდა...**



**მათ ჯვარი ზღვის დონიდან 4100 მეტრის სიმაღლეზე, მყინვარწვერზე მდებარე, სამების ეკლესიაში დაიწერეს**

უთვალავი ჩანთისგან შედგებოდა, სხვა მანქანაში უნდა გადაგვეტანა. ნიკამ იქ შეამჩნია, რომ საქორწინო ბეჭედი ხელზე აღარ ეკეთა. ამ ფაქტმა ძალიან აგვაფორიაქა, მაგრამ მისი პოვნის იმედი არ დამიკარგავს. ბოლოს მეგობრის რჩევით, ერთ-ერთ ზურგჩანთაში მოვიძიეთ და ვიპოვეთ. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა... პირველ ღამეს გერგეტში დავრჩით, მონასტრის მახლობლად, კარვები გავშალეთ. მეორე დღეს ჩვენთან ერთად გერგეტის „სამებიდან“ წამოვიდა მამა იოსები, რომელსაც მყინვარწვერის „სამებაში“, ჩვენთვის ჯვარი უნდა დაეწერა. ერთდღიანი სიარულის შემდეგ, საბერწეს მთაზე შევისვენეთ. იმ ღამეს ლამის გავიყინეთ, ძალიან შეგვციოდა. დილით მეტეოსადგურისკენ განვაგრძეთ გზა. დათოვლილ გზას ბიჭები კვალავდნენ მორიგეობით. ჩვენი ჯგუფი, რომელიც დაახლოებით 30 კაცისგან შედგებოდა, რატომღაც ორ ჯგუფად გაიყო. წინ მიმავლებმა უკან დარჩენილების დალოდება გადავწყვიტეთ, თან შევისვენეთ, ჩამოვსხედით. ამ დროს, მოპირდაპირე მთისკენ გავიხედე და დავინახე, რომ მთის წვერიდან რაღაც შავი მასა ჩამოგორდა. ვიფიქრე, ლოდი თუ დაგორდამეთქი. ამიტომ მეგობრებისთვის არაფერი მითქვამს. ცოტა ხანში, როცა ის „მასა“ უფრო მოგვიახლოვდა, შევამჩნიე, რომ რქოსანი ცხოველი იყო: ის უკვე ჩემმა მეგობრებმაც დაინახეს. ყველანი გაოგნებულები ვუყურებდით. ერთმანეთისგან ერთი დიდი ხევი გვაშორებდა. ვიფიქრეთ, რომ ეს ცხოველი, ხევის მეორე მხარეს გააგრძელებდა გზას, მაგრამ ჩვენი ვარაუდი არ გამართლდა, ის ხევში ჩამოვიდა და ჩვენკენ გამოემართა. ჯიხვი აღმოჩნდა... გერგეტიდან ძაღლების „ესკორტი“ გვაცილებდა. ძაღლებმა ყეფა დაუწყეს, მაგრამ ახლოს ვერ მივიდნენ, ჯიხვმა მათ გვერდი აუარა და ჩვენთან მოვიდა. ხელით შევეხეთ, მასთან ერთად ფოტოებიც გადავიღეთ. ალბათ კიდევ შეჩერდებოდა, ძაღლებს რომ არ შეეწუხებინათ. ზოგმა მისი მოკვლა მოინდომა, მაგრამ ნიკამ კატეგორიულად მოითხოვა, რომ ცოცხალი გაეშვათ. შევამჩნიეთ, რომ გულზე, განსხვავებული შეფერილობის ბეწვით, ჯვარი ჰქონდა გამოსახული. მოხეველებმა, რომლებიც თან გვახლდნენ, გვითხრეს, — ჯვრიანი ჯიხვები რჩეული ჯიხვები არიან და მათ მონადირეებიც არ კლავენო. ასეთი შემთხვევა ერთხელაც მომხდარა, რის შემდეგაც, თავად ჯიხვის მკვლელი დაღუპულა. ამ ფაქტმა აღგვაფრთოვანა. მოძღვარმა გვითხრა, — ესეც ღვთის კურთხევის ნიშანიაო... ასეთი ემოციური თავგადასავლით მეტეოსადგურამდე მივაღწიეთ. იმ საღამოს იქ დავრჩით, მეოთხე დღეს კი მყინვარწვერის „სამებაში“ ავედით და ჯვარიც დავიწერეთ. ჯვრისწერის მეორე დღეს უკან გამოვბრუნდით. მთის ფერდობი გაყინული იყო. ბიჭებმა სრიალით დაშვება გადაწყვიტეს. მათ არც მე ჩამოვრჩი. იმდენად სწრაფად დავეშვი, რომ მეგობრები შევაშინე, დაბლა უზარმაზარი ლოდები ეყარა, თავი რომ ვერ შემეკავებინა, წარმოდგენაც არ მინდა, რა მოხდებოდა.

**— ჯვრისწერის იდუმალ რიტუალში მონაწილეობა ნებისმიერი ადამიანისთვის ამაღელვებელია, მით უმეტეს, თუ საიდუმლოს აღსრულება 4100 მეტრის სიმაღლეზე ხდება. როგორი განცდა გქონდათ?..**

— ამას ხომ ვერასდროს წარმოვიდგენდი?! ძალიან ძნელია, იმ განცდის სიტყვებით გადმოცემა — ასეთი სიტყვები არ არსებობს. ერთადერთს, იმას გეტყვით, რომ მინდოდა, „ჯვრისწერისა და მყინვარწვერის „სამებაში“ ყოფნის წუთები რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო.

**— ქორწილი გქონდათ?**

— თბილისში რომ დავბრუნდით, სახლში აქ დარჩენილი მეგობრები და ნათესავები დაგვხვდნენ. პატარა სუფრა გავშალეთ. ემოციებით იმდენად სავსე ვიყავი, რომ პომპეზური ქორწილი აღარ მინდოდა...

პატარა საქორწილო სუფრა მეტეოსადგურშიც დამახვედრეს — ეს ჩემთვის სიურპრიზი იყო. დილით ტაძრისკენ წასასვლელად რომ გავემზადეთ, რამდენიმე ბიჭმა ჩვენთან ერთად წამოსვლაზე უარი თქვა. გვითხრეს — მოგვიანებით ამოვალთო. მათმა ნათქვამმა ცოტათი გამანაწყენა, ვიფიქრე, — როგორ არ უნდათ ჯვრისწერას რომ დაესწრონ, ამდენი ტყუილად იარეს-მეთქი?!. თურმე ისინი სუფრის გასაშლელად დარჩენილან. მეტეოსადგურის შენობის შესასვლელში დაგვახვედრეს თეფში, რომელიც მე და ნიკამ გავტეხეთ. ოთახი დროშებით იყო მორთული. საქორწილო ტორტის ნაცვლად, სვანური კუბდარი გვქონდა (*იცინის*).

**— ...და სადედოფლო კაბის ნაცვლად, თეთრ კომბინეზონში იყავი გამოწყობილი.**

— რადგან მთაში კაბის ჩაცმა წარმოუდგენელი იყო, კომბინეზონი სპეციალურად ამ დღისთვის შევიძინე. მღვდელი, რომელმაც ჯვარი დაგვწერა, დღეს ჩემი მოძღვარია. მასთან აღსარების სათქმელად და საზიარებლად, გერგეტის „სამებაში“ ხშირად ავდივარ. იქ ჩემს სულიერ დასთან ვრჩები და მეორე დღეს, ნაზიარები და ზეთნაცხები, უკან ვბრუნდები. მე და ნიკა მხოლოდ საეკლესიო დღესასწაულებს აღვნიშნავთ; ვალენტინობას, სიყვარულის დღეს და მსგავს დღესასწაულებს — არა. და კიდევ, ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია 10 დეკემბერი.

**— რატომ? ამ დღეს რა მოხდა?**

— ამ დღეს ერთმანეთს სიყვარულში გამოვუტყდით. 10 დეკემბერი ჩვენი სიყვარულის დღეა, რომელსაც ყოველთვის ერთად გავატარებთ. ■



**მთა ის ადგილია, სადაც ადამიანი საკუთარ თვისებებს ყველაზე კარგად აღმოაჩენს**



**მეტეოსადგურის შენობის შესასვლელში დაგვახვედრეს თეფში, რომელიც მე და ნიკამ გავტეხეთ**



**მინდოდა, „ჯვრისწერისა და მყინვარწვერის „სამებაში“ ყოფნის წუთები რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო**

# ივლიანე ხაინდრავა „გამოცდაზე“

**იგი პოეზიაზე ხშირად პროზას კითხულობს. მისი საყვარელი მწერლები გურამ დოჩანაშვილი, ოთარ ჭილაძე და მიხეილ ბულგაკოვი არიან. ყველაზე მეტჯერ „სამოსელი პირველი“ და „ოსტატი და მარგარიტა“ აქვს წაკითხული. გულახდილად აღიარებს, რომ ბიბლიოთეკიდან წიგნის მოპარვის ცდუნება არაერთხელ ჰქონია, მაგრამ ეს ცოდვა არ ჩაუდენია. მართალია, წიგნი არასდროს მოუპარავს, მაგრამ საკუთარ ბიბლიოთეკაში სხვისგან ნათხოვარი და დაუბრუნებელი წიგნები არაერთხელ აღმოუჩენია. კითხვას — ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად ვის აირჩევდით? უპასუხოდ იმ მიზეზით ტოვებს, რომ ამ საკითხზე არასდროს უფიქრია.**

**მაშ ასე, „ერუდიტში“ ანუ, როგორც თავად უწოდებს — „გამოცდაზე გადის“ „რესპუბლიკელი“ ივლიანე ხაინდრავა.**

## „ეს რამდენი კითხვა მოგიმზადებია!“

**თამუნა კვინიკაძე**

**— რომელი სამხედრო წოდება შეესაბამება საზღვაო ძალების პირველი რანგის კაპიტანს?**

— პოლკოვნიკი.

**— რამდენჯერ იყო გაიუს მარიუსი რომის იმპერიის კონსულად არჩეული?**

— ვერ გიპასუხებთ.

**— 7-ჯერ. ვინ მონათლა იესო ქრისტე?**

— იოანე ნათლისმცემელმა.

**— ვინ თამაშობდა მუშნი ზარანდიას როლს ფილმში „დათა თუთაშხია“?**

— თენგიზ არჩვაძე. თავი გამოცდაზე მგონია (*იცინის*).

**— სადაური იყო რობინზონ კრუზო?**

— ინგლისელი.

**— რა აქვთ დარღვეული დალტონიკებს?**

— ფერთა აღქმა. მე თვითონ დალტონიკი ვარ.

**— როგორი მხედველობაა ჰიპერმეტროპია?**

— წარმოდგენა არა მაქვს.

**— შორს მხედველობა. სადაური ჯიშია საღვინე ვაზი პინო?**

— ფრანგული.

**— რომელი ნაწარმოებია „ტომ სოიერის თავგადასავლის“ გაგრძელება?**

— „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“.

**— თბილისში რომელ მოედანს ერქვა ადრე ერევნის მოედანი?**

— თავისუფლების მოედანს.

**— ვინ იყო დავით აღმაშენებელი თამარ მეფისთვის?**

— დიდი პაპა.

**— რა ჰქვია ამერიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს?**

— კონგრესი.

**— ტროას ომში ვისი დედოფალია ჰეკუბა?**

— (*ფიქრობს*) ჰეკუბა ტროას დედოფალია.

**— ყოჩაღ, ბატონო ივლიანე. „ბარბის“ თოჯინების გაყიდვა იაპონიაში მას შემდეგ დაიწყეს, რაც მას იაპონელებისთვის მიუღებელი ორი დეტალი გაუსწორეს.**

— არ ვიცი, ასეთ რამეებში ვერ ვერკვევი.

**— მაღალი ფეხები და მკერდი. სად აქვს ხვლიკის მსგავს ძუძუმწოვარს — პანგოლინს კბილები?**

— კუდზე?

**— კუდზე კბილები როგორ ექნება?**

— მორიელსაც ხომ უცნაური აგებულება აქვს (*იცინის*).

**— პანგოლინს კბილები კუჭში აქვს. დანტეს აზრით, რისი დაკარგვა ანაღვლებს ყველაზე მეტად ბრძენ ადამიანს?**

— ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებთ.

**— დანტეს აზრით, ბრძენ ადამიანს დროის დაკარგვა ანაღვლებს. ნაპოლეონი, მადელენი, პოლ რობსონი, ირმის ენა, მაზურკა — რა აერთიანებთ მათ?**

— ნამცხვრების სახელწოდებებია, რაშიც ყველაზე ნაკლებად ვერკვევი.

**— მიუხედავად ამისა, თქვენ კითხვას უპასუხეთ. რომელია ყველაზე დიდი კუნძული დედამიწაზე?**

— გრენლანდია.

**— ეს სიტყვა ფრანგულია და ბუნების ხედს ნიშნავს.**

— არ ვიცი.

**— მარტივი კითხვაა, დარწმუნებული ვარ, პასუხი გეცოდინებათ.**

— თუ შეიძლება, გამიმეორეთ (*გამეორების შემდეგ*) პეიზაჟი. ძალით მათქმევინეთ.

**— „ჩვენი ანბანი ურთულესი და უმარტივესია, ყველა ანბანთა შორის“ — ვის ეკუთვნის ეს გამოთქმა?**

— ეს მართლა არ ვიცი, დამიჯერეთ.

**— ამ სიტყვების ავტორი იაკობ გოგებაშვილია. ის პატარაა, მაგრამ ძვირად ფასობს. უხელოა, მაგრამ ყველაფერს აკეთებს. მას ცეცხლი გამოცდის. — რა არის ეს?**

— (*ფიქრობს*) არ ვიცი.

**— ოქრო. გერმანული ანდაზის მიხედვით, ოქროს ცეცხლი გამოცდის, ქალს — ოქრო, მამაკაცს?**

— არც ეს ვიცი.

**— მამაკაცს — ქალი. ამ აზრს ეთანხმებით?**

— ნაწილობრივ.

**— ვინ დაასურათა პირველად „ვეფხისტყაოსანი“?**

— პირველად? არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები შექმნეს მიხაი ზიჩმა და სერგო ქობულაძემ.

**— სანამ ილუსტრაციებს თქვენ მიერ დასახელებული მხატვრები შექმნიდნენ, მანამდე „ვეფხისტყაოსანი“**

**მამუკა თავაქალაშვილმა დაასურათა. საქართველოს რაიონი და ერთ-ერთი არაბული ქვეყნის დედაქალაქი, რომლებიც ერთ სახელს ატარებენ...**

— ბაღდად(თ)ი.

**— 1958 წელს, მაშინდელი კომკავშირის ხეივანში, „ქართვლის დედა“ აღიმართა. თბილისის რომელი საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად დაიდგა ეს ქანდაკება?**

— 1500 წლის აღსანიშნავად.

**— რა ეწოდება ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის წიგნს?**

— „კარაბადინი“.

**— „სარკმელი საღამომ და ფარდამ დაბურა, სანთელია მჟუტავი, მთლად გაუდაბურდა;/ მას შემდეგ, რაც შენი სახება ბინდბუნდზე,/ სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა“, — ვის უძღვნა გალაკტიონმა ეს სტროფი?**

— არ ვიცი.

**— მიგანიშნებთ, ეს ლექსი 1937 წელს არის დაწერილი.**

— მაინც არ ვიცი.

**— გალაკტიონმა ეს სტროფი მეუღლეს, ოლიას უძღვნა, რომელიც 1937 წელს გადაასახლეს. ხომ ვერ მეტყვით, რატომ ატარებდა იგი წვერს?**

— სამწუხაროდ, ესეც არ ვიცი.

**— გარდაცვლილი ძმის პატივსაცემად. რომელი ქართველი პოეტი მონაწილეობდა რუსეთის დაპყრობით ომებში ჩრდილოეთ კავკასიაში?**

— გრიგოლ ორბელიანი.

**— 1955 წელს, ლუდის ჩამოსასხმელი ქარხნის მფლობელმა პირველი წიგნი გამოსცა. ახლა ეს წიგნი დიდი ტირაჟით გამოდის. დაასახელეთ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი, ამ ადამიანის გვარი.**

— გინესი.

**— მარტინ ბეჰაიმის გამოგონება ნიურნბერგის მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზშია ექსპონირებული. ეს გამოგონება შედგენილია ძველი ბერძენი გეოგრაფის პტოლემეოსის რუკების მიხედვით. აგრეთვე გათვალისწინებულია მარკო პოლოსა და სხვათა მიერ მოპოვებული მასალები. რა გამოიგონა მარტინ ბეჰაიმ?**

— გეოგრაფიასთან აქვს კავშირი?

**— დიახ.**

— გლობუსი?

**— გამოიცანით. XVII საუკუნის გერმანიის უდიდესი პოეტი და დრამატურგი, რომელიც 11 ენას ფლობდა და „გერმანელ შექსპირსაც“ ეძახდნენ, სწავლობდა და კვეთდა მუმიებს. მან დაწერა პოემა „ქეთევან ქართველი“. დაასახელეთ ეს პროვენება.**

— არ ვიცი.

**— ანდრეას გრაფიუსი. ნადირობა გაიყვართ?**

— არა.

**— ის თუ იცით, რამდენკალიბრიანია სანადირო თოფის ყველაზე დიდი ჰილზი?**

— წარმოდგენა არა მაქვს.

**— 12-კალიბრიანი. რომელი ბერძენი ისტორიკოსი იწოდება ისტორიის მამად?**

— ჰეროდოტე.

**— ბარონი დენონი, ფრანგი გრავიორი, მწერალი და დიპლომატი იყო. იგი ლუდოვიკო XVI-ის და ნაპოლეონ I-ის დროს დაწინაურებული იყო. ალექსანდრე I კი მისგან სურათებს და სხვადასხვა ნივთს იძენდა. სად ინახავდა ალექსანდრე I ამ ნივთებს?**

— არ ვიცი.

**— ერმიტაჟში. სამხრეთ დაკოტაში (აშშ), რაპიდ-სიტიდან 40 კმ-ში არის უნიკალური მემორიალი. მაუნტ-რაშმორის მთის კლდეზე გამოკვეთილია გიგანტური ზომის, 18 მ სიმაღლის, ამერიკის პრეზიდენტების სკულპტურული პორტრეტები. ეს არის მხარის ყველაზე ღირსშესანიშნავი ადგილი. მემორიალი შექმნილია როდენის მოსწავლის, ბორგლემის მიერ. მან სიცოცხლეში მხოლოდ 4 პრეზიდენტის გამოქანდაკება მოასწრო. დაასახელეთ ეს 4 პრეზიდენტი.**

— ვაშინგტონი, ჯეფერსონი, ლინკოლნი და (ფიქრობს) მეოთხე ვინ იყო?

**— რუზველტი. ბულგარეთი, აზერბაიჯანი, ჩეხეთი, უნგრეთი — ჩამოთვლილთაგან ტერიტორიულად რომელია ყველაზე პატარა?**

— (*ფიქრობს*) ჩეხეთი?

**— დიახ. დაასახელეთ ნეპალის დედაქალაქი.**

— კატმანდუ.

**— ვინ იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე, რომელსაც ღორმუცელობის გამო „ზაქიჭამიასაც“ ეძახდნენ?**

**მეც ეგ მინდოდა მეთქვა, მაგრამ გადავიფიქრე**

— გიორგი, მაგრამ მერამდენე იყო, არ მახსოვს.

**— გიორგი XII. რომელი ქვეყნის დროშა შედგება თეთრი, ლურჯი და წითელი ზოლებისგან?**

— რუსეთის.

**— ანტიკური მკვლევრის, აპოლონიოს როდოსელის გადმოცემით, კოლხთა უზენაესი ღმერთები იყვნენ ურნი და მეა. დაასახელეთ, რას წარმოადგენს თითოეული მათგანი?**

— (*ფიქრობს*) ვერ გიპასუხებთ.

**— მიწა და ზეცა.**

— მეც ეგ მინდოდა მეთქვა, მაგრამ გადავიფიქრე.

**— ვინ არის რეჟისორი ფილმისა „ცისფერი მთები“?**

— ელდარ შენგელაია. ეს რამდენი კითხვა მოგიმზადებიათ!

**— ბერიკაშვილმა, საკანდელიძემ, ლაფერაძემ რა მოჰპარეს კავსაძეს?**

— ღვინო.

**— რა ჰქვია იმ პერსონაჟს, რომელსაც კახი კავსაძე ამ ფილმში განასახიერებს?**

— ვერ ვიხსენებ.

**— ელიბო. დაასახელეთ შვეიცის სამეფო დინასტია, მისი სახელი ემთხვევა ჭურჭლის სახელწოდებას.**

— (*ფიქრობს*) ვერც ამას ვიხსენებ.

**— ვაზა. დაასრულეთ ი. ჭავჭავაძის ცნობილი გამონათქვამი — „იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა...“**

— ... შეუძლებლია!

**— ცდებით „...ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია“.** ■



MK

# როგორები არიან „ქლაბ-შოუს“ ბიჭები რეალურ ცხოვრებაში

**„იუმორისტული გადაცემა „CLUB-შოუში“ მონაწილე ცნობილი სახეების გარდა მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება და ინტერესი ლეგიონერებმა: ამიკომ, ზუხამ და ფაქომ დაიმსახურეს. ვინ არიან ისინი რეალურ ცხოვრებაში, როგორ მოხვდნენ იუმორისტულ გადაცემაში და რა გეგმები აქვთ? — ამ და სხვა კითხვებზე ბიჭები თავად გვიპასუხებენ.**

*ეკა მინდაძე*

— მე ვარ ამირან ჩოხარაძე, იგივე ამიკო, 20 წლის. დავიბადე და გავიზარდე ქალაქ ბათუმში.

— ზურა ვასაძე, იგივე ზუხა, 19 წლის, დავიბადე ქალაქ ბათუმში.

— ლევან გოგორელიანი, იგივე ფაქიზო, ფაქო, 21 წლის, დავიბადე ქალაქ თბილისში.

**— ბიჭებო, მეტსახელები ვინ შეგარქვათ?**

**ზუხა:**

— მე და ამიკოს, მშობლებმა შეგვარქვეს.

**ფაქო:**

— ფაქიზო ჩემი ნაზი კანის გამო შემარქვეს. მკლავზე ტატუირებისას იმდენი სისხლი წამომივიდა, რომ იქ მყოფი ადამიანები გაკვირვებულნი მეუბნებოდნენ, — ეს რა ფაქიზი კანი გქონიაო! სწორედ იმ წუთიდან, ლევანის მაგივრად, ყველა, ფაქიზოს მეძახის.

**— გადაცემა „CLUB-შოუში“ როგორ მოხვდით?**

— ამ გადაცემაში ჩვენი მეგობრის, სიკო ჭუმბურიძის წყალობით მოვხვდით. ერთმანეთს „კავეენიდან“ ვიცნობდით. ის „კომედი-შოუს“ სცენარისტად მუშაობდა და იმდენი იჩალიჩა, რომ ჩვენც იქ მიგვიყვანა (*იცინის*). დიდი მადლობა მას, რომ ბიჭები ჩვენით დაინტერესა.

**— რა პროფესიის ადამიანები ხართ?**

— ვსწავლობ ბათუმის საზღვაო აკადემიასა და თეატრალურ კოლეჯში, სარეჟისოროზე (დაუსწრებელზე), მაგრამ მგონი, ჩემი საქმე უკვე ვიპოვე. ღმერთმა ქნას, წარმატებული კარიერა მქონდეს!

**ფაქო:**

— პროფესიით ჟურნალისტი ვარ, მაგრამ თავს აქ უფრო რეალიზებულად ვგრძნობ. იმედი მაქვს, არ ვცდები.

**ამიკო:**

— ვსწავლობდი ბათუმის საზღვაო აკადემიაში, მაგრამ დიპლომი ჯერ არ ამიღია, ამისთვის არ მცალია. მართალი გითხრათ, არც ვნანობ, რადგანაც ვხვდები, რომ ჩემი საქმე გემის კაპიტნობა კი არა, იუმორზე მუშაობაა.

**— ამიკო და ზუხა, როგორ შეეგუეთ თბილისს?**

**ზუხა:**

— მშვენივრად. რა სჭირს ამ ქალაქს შესაგუებელი? ბათუმისგან განსხვავებით, თბილისში გაცილებით მეტი შანსი ეძლევა ადამიანს, საკუთარი თავის რეალიზაციისთვის. ჰოდა, მეც ვცდილობ, ამ შანსის ბოლომდე გამოყენებას.

**ამიკო:**

— თბილისში თავი უცხოდ არასოდეს მიგრძნია. პირიქით, ასე მგონია, დიდი ხანია აქ ვცხოვრობ, ისე თბილად გვექცევა ყველა.

**— „CLUB-შოუს“ ბიჭებიდან ყველაზე მეტად ნერვებს ვინ გიშლით?**

**ამიკო:**

— საოცრად გვიშლის ნერვებს სიკო ჭუმბურიძე. ხშირად გვეკაიფება: ჩამოთრეულები ხართ, ხალხში თავს მჭრითო, — გვეუბნება (*იცინის*). ბათუმელებს განსხვავებული კილო გვაქვს და ამის გამო ბევრს დაგვცინის.

ვინ არიან ისინი რეალურ ცხოვრებაში (ამიკო, ზუხა, ფაქო)

**ზუხა:**

— გვეკაიფოს, ბატონო! ზაფხულიც მალე მოვა და ნახავს, რა მოუვა, ბათუმში რომ ჩამობრძანდება.

**— იუმორისტულ ნომრებს თქვენ იგონებთ თუ სცენარისტები?**

**ზუხა:**

— რა თქმა უნდა, ჩვენ. ისე, მეც ბევრჯერ გამკვირვებია — საიდან მოგვდის თავში ასეთი აზრები?! ჩვენ ხომ ცხოვრებისეულს არაფერს ვაკეთებთ. აბა, ვინ იცის, როგორია „იაპონელი“ ბუზი, „ვაკელი“ სპაიდერმენი და „რეზერვისტი“ ქათამი?

**— ამიკო, პლასტიკური მოძრაობები შენ თვითონ ისწავლე?**

— დიახ. ცეკვაზე არასოდეს მივლია. თითოეულ მოძრაობაზე უდიდესი შრომა დამჭირდა. ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა მაიკლ ჯექსონი. სულ ვცდილობდი, მისთვის მიმებაძა. საათობით ვვარჯიშობდი სარკის წინ, რომ მიახლოებით მაინც გამეკეთებინა ის მოძრაობა, რომელსაც ის აკეთებდა.

**— ქუჩაში გამვლელები თუ გცნობენ ხოლმე?**

— ბედნიერებაა, როცა სრულიად უცხო ადამიანი გცნობს და გეფერება. მე ასეთი შემთხვევა ჯერჯერობით არ მქონია. ალბათ იმიტომ, რომ ჯერ ისეთი არაფერი გამიკეთებია. თუმცა რამდენიმე დღის წინ მეტროს ვაგონში შესვლისთანავე ერთმა პატარა ბიჭმა, დამინახა თუ რა, მაშინვე ჩემკენ გამოემართა. მე ვაგონის თავში ვიდექი, ის — ბოლოში. შუაში ბევრი ხალხი იყო და ძლივს მოაღწია ჩემამდე. მოვიდა თუ არა, ჩავიყავი ჯიბეში ხელი, ამოვიღე ბოლო 60 თეთრი და გავუწოდე. მან გაიკვირვა და მითხრა: ხურდა რად მინდა? მე შენ შოუდან გიცანი, ამიკო არა ხარო? მაგრად „გამიტყდა“...

**— რომელიმე თქვენგანი დაოჯახებული თუ არის?**

**ფაქო:**

— დაოჯახებული მარტო მე ვარ. სხვათა შორის, მარიც ბათუმელია.

**— თქვენ, ბიჭებო, შეყვარებულები თუ გყავთ?**

**ზუსა:**

— შეყვარებულები ორივეს გვყავს.

**— თქვენ შორის რომელი უფრო მექალთანეა?**

**ფაქო:**

— ამაზე მე უნდა ვილაპარაკო (*იცინის*). ზუსა არის — „მინდა ვიყო მექალთანე“, მაგრამ რაღაც აკლია, რა ... ამიკო აკლია: ამიკო და ზუსა ერთად, იცოცხლე, მაგარი „პარაა“ ... ცოტა ადრე საკუთარ თავზეც ვიტყოდი, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი უხერხულია, ვინაიდან ცოლიანი ვარ (*იცინის*).

**— აქტიური გოგონები თუ მოგწონთ?**

**ზუსა:**

— ვფიქრობ, გაცილებით საინტერესოა, როცა მამაკაცი იბრძვის ქალის გულის მოსაგებად. აქტიურ გოგონასთან, რა თქმა უნდა, მეც ვაქტიურობ, მაგრამ ჩემი აზრით, ქალმა ქალურობა უნდა შეინარჩუნოს. სასტიკად მაღიზიანებს ძველბიჭურად მოლაპარაკე გოგონები.

**ამიკო:**

— ქალი დახვეწილი უნდა იყოს, არც ზედმეტად აქტიური და არც ზედმეტად პასიური.

**— ფაქიზოსგან განსხვავებით, საკუთარ თავზე დამოუკიდებლად ზრუნვა გიწევთ. კერძს თვითონ იმზადებთ?**

**ამიკო:**

— აბა, რა ვქნათ? ისეთ სადილებს ვამზადებთ, რაც ადვილი გასაკეთებელია — მაგალითად, ძალიან გემრიელი გამომდის შემწვარი კარტოფილი.

**ზუსა:**

— კიდევ, ამიკო მაგარ ჩაის აყენებს.

**— მხიარულ ადამიანებს, ქეიფიც უნდა გიყვარდეთ...**

— სუფრაზე მოლხენა სამივეს ნამდვილად გვიყვარს. ქეიფის ბოლომდე ვსვამ, მაგრამ საკმარისია, თბილ გარემოში მოვხვდე, რომ მაშინვე ვიძინებ. ამას წინათ, მეგობრის ოჯახში მოვილხინეთ. გარეთ გამოვედი თუ არა, ჩემთვის გავიფიქრე: სითბოში თუ მოვხვდი, მაგრად დამერხევა-მეთქი. თან მეგობრის ნათესავი გოგო მახლდა. გავაჩერე ტაქსი, ჩავსხედით. კარი ჩაიკეტა თუ არა, ჩაირთო ღუმელი და მეც ცოტა ხანში ჩამეძინა. თურმე ის გოგო სიმთვრალეში ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ მე მისი 2 წინადადების მოსმენაც ვერ მოვასწარი (*იცინის*). ახლა ფაქოზეც გეტყვით: რაც მას ემართება, იშვიათობაა. ერთ ჭიქას დალევს თუ არა, ისე თვრება, ვერ გაარჩევ ნასვამი ადამიანისგან. ერთხელ, კიევში ყოფნისას, ფაქომ ლუდი იყიდა და სასტუმროს ნომერში ამოიტანა. ბოთლს თავი რომ მოხსნა, იმ მომენტში ფანჯარაში გავიხედე, ზუსტად 2 წუთში შემოვბრუნდი და ვხედავ — დივანზე გართხმულ მთვრალ ფაქოს, რომელსაც ცალ ხელში ლუდი უკავია და გაჰყვირის: „მეზობლებო!..“ ■

# რეპორტაჟი საქაროშუტო ტაქსიდან ანუ „წინ დაჯექი, მალე ჩახვალ“

**დამეთანხმებით, რომ დღეს თბილისში და ალბათ მთელ საქართველოში, ყველაზე პოპულარული ტრანსპორტი სამარშრუტო ტაქსია. ისეთივე პოპულარული, როგორიც მაგალითად, ინდოეთში — ავტორიქშა. ახლა არ დაიწყოთ: ავტორიქშა ჩვენს „მარშრუტკებს“ როგორ შეადარა? სამთვალა რიქშა, უძველესი და ეგზოტიკური ტრასპორტიაო... რით არ არის ძველი და ეგზოტიკური, საბჭოთა პერიოდში გამოშვებული „რაფები“? აი, ის, კარის გასაღებად, ორივე ხელით რომ უნდა დაეჭაჭგურო და თუ საჭირო გახდა, ფეხსაც რომ შეაშველებ. ხოლო იმაში, რომ ჩვენებური „მარშრუტკით“ გასეირნება ერთ რამედ ღირს, ახლავე დაგარწმუნებთ.**

**ემა ტუხიაშვილი**

საკმარისია, მხოლოდ აირჩიოთ სასურველი მარშრუტი, ხელი დაუქნიოთ შესაბამის სამარშრუტო ტაქსის და ყოველი შემთხვევისთვის, მაინც იკითხოთ:

— წერეთელზე გაივლის?

— გაივლის, აბა, არ გაივლის?! ჩემხელა ასოებით მაქვს გაკეთებული წარწერა ტრაფარეტზე და წაკითხვაც გეზარებათ!

— რამ გაგაღიზიანათ ასე? კითხვის დასმა არ შეიძლება?

— მე ერთი ვარ და შენნაირი დღეში ათასი ამოდის, ზოგი რას მეკითხება და ზოგიც — რას: პლეხანოვზე, კარგი ფუნთუშები რომ ცხვება, იქ გაივლიო? აგლაძის ქუჩის კუთხესთან მოხვდებიო?.. ეტყვი: არ ვიცი, ბატონო, სადაა მასეთი ქუჩაო და მოგაძახებენ: ჩამოეთრევიან ეს სოფლელებიო. თუ ეტყვი: არ შეიძლება მანდ ბატონო გაჩერებაო, ნიშნის მოგებით გეტყვიან: შენ მანქანის მართვა არ იცოდე, ვისი ბრალიაო?.. მოკლედ, შავ დღეში ვარ. დაახლოებით ერთი კვირის წინ, „მარშრუტკაში“ შუახნის ქალი ამოვიდა, ჩემ უკან დაჯდა და მეუბნება: დედაშვილობას, ხომ არ იცი, ვაგზლის ბაზრობაზე ძველებური „მაჩალკები“ სად იყიდებაო? გაოცებულმა რომ შევხედე, დაამატა: ნათესავები მყავს უცხოეთში, ძალიან მთხოვეს მამაპაპური „მაჩალკა“ გამოგვიგზავნე, დაბანისას, ქე რომ ორ პირ ტყავს აგაცლისო. მათგან მიდგას სული და ამ თხოვნაზე უარს როგორ ვეტყვიო. ჩემთვის გავიფიქრე: დედიჯან, შენლა მაკლდი-მეთქი.

— რომ გადახვალთ, გააჩერეთ! — იყვირა ვიღაცამ და მძღოლმა ისე მკვეთრად დაამუხრუჭა, რომ ფეხზე მგომი მგზავრები მთელი ძალით მიენარცხნენ ერთმანეთს.

— რას შვრები, კაცო, თავ-პირი ხომ არ უნდა დაგვამტვრევინო! — უსაყვედურა ერთ-ერთმა დაზარალებულმა მძღოლს.

— გადაბრძანდით, ბატონო, უკან, ხომ არის თავისუფალი ადგილი, ყველას წინ ხომ ვერ დაგსვამთ! — ვალში არ დარჩა მგზავრს მძღოლი.

— „დინამოზე“ საიდან შედიხართ?

— ზემოდან, — მკვახედ ესროლა მძღოლმა.

— ზემოდან როგორ? — არ დაკმაყოფილდა პასუხით მგზავრი.

— ვახ, კაცო, გამაგიჟებს ეს ხალხი, რა ვქნა ახლა, „დინამოს“ მიმდებარე ტერიტორიის ნახაზი ხომ არ შეგიდგინო?! — იყვირა „მარშრუტკის“ მძღოლმა და ისე გადმომხედა, უსიტყვოდაც მივხვდი, რისი თქმაც სურდა: რას გეუბნებოდი, ხომ ხედავ, რა დღეში ვარო. ამ დროს, სამარშრუტო ტაქსიში მოხუცი წყვილი ამოვიდა. ჩემ გვერდით მჯომმა ახალგაზრდამ, ხანდაზმულ მამაკაცს დაუთმო ადგილი, მისი მეუღლე კი ჩვენ უკან მოთავსდა. როგორც კი მანქანა დაიძრა, ჩემმა მეზობელმა მეუღლეს რიხიანად გადასძახა: ოფელია, ფული მოამზადეო! შემდეგ მე მომიბრუნდა და დინჯად მკითხა:

— ხომ არ იცით, ჭავჭავაძის ქუჩა საიდან იწყება?

— სულ გამოგელია ჭკუა ხომ?! ჭავჭავაძეზე რა გვინდა, დაგავიწყდა, დიდუბეში რომ მივდივართ? — აბუზღუნდა ოფელია.

— შენ არავინ გეკითხება მაგას, თანხა გაამზადე-მეთქი, ოფელია! — გასძახა მოხუცმა და პასუხის მოლოდინში ისევ მე შემომხედა.

— ჭავჭავაძის ქუჩა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იწყება.

— მართალი ბრძანდებით. გამოჩურჩუტებული მე კი არა, შენ ყოფილხარ, ჩემო ოფელია, — ჩაიქირქილა ბერიკაცმა.

— მე თუ გამოჩურჩუტებული ვარ, თანხა თვითონ გაამზადე! — გაბრაზდა ოფელია.

— ჰო კარგი, კარგი, „აბაზი“ მიგდია ჯიბეში და მოგცემ, დანარჩენი შენ დაამატე, — დათმობაზე წავიდა ქმარი.

— მომეცი, ყვავს კაკალი გააგდებინეო — შენზეა ნათქვამი, — ჩაიბურტყუნა ოფელიამ.

— უი, მოგატყუე, ათი თეთრი მქონია მხოლოდ, შენ მომიკვდი, ოფელია, თუ გატყუებდე.

— ჯანდაბას შენი თავი და ტანი, დროზე მომეცი ეგ ათი თეთრი, თორემ ხომ ვიცი შენი ამბავი, ცოტა ხანში მაგასაც ვერ გაიმეტებ.

— რა თარსი ენა გაქვს ოფელია, ხუთი თეთრის მეტი ვერ ვიპოვე ჯიბეში. ჩემს პენსიას აზიხართ წურბლებივით და რას შემარჩენთ.

**საკმარისია, მხოლოდ აირჩიოთ სასურველი მარშრუტი, ხელი დაუჭიროთ შესაბამის სამარშრუტო ტაქსის და ყოველი შემთხვევისთვის, მაინც იკითხოთ: — წერეთელზე გაივლის?**

— როგორი „კრიჟანიც“ ახალგაზრდობაში იყავი, ისეთივე დარჩი, სიბერემაც ვერ გაგტეხა. ნათქვამია: კუზიანს სამარე თუ გაასწორებსო.

— მხოლოდ შენ შემდეგ, ჩემო ოფელია, — თავაზიანად მიუგო ქმარმა ცოლს. ამ დროს „მარშრუტკას“ მგზავრმა დაუქნია ხელი, მძღოლმაც არ დააყოვნა, უხეშად გადაჭრა გზის სავალი ნაწილი და მგზავრს მანქანა ფეხებთან გაუჩერა. მძღოლის ასეთ უხეშობას, სხვა ავტომობილების მძღოლებმა გაბმული სიგნალით უპასუხეს, არც ის დარჩენია სხვა მძღოლებს ვალში და ღია საქარე მინიდან მიაყვირა:

— დედითქვენის!

— ჩემი გადახდილია, — მოახსენა მძღოლს ახალგაზრდა მამაკაცმა და სამარშრუტო ტაქსიდან ჩასვლა დაუპირა.

— რას მაგოიმებ, ბიჯო, ვინ გადაიხადა, რა გადაიხადა! — წამოეჭიმა მგზავრს მძღოლი.

— არა და, ვამბობდი: დაავიწყდებამეთქი, — დანანებით თქვა მგზავრმა და ისე მშვიდად გაიხურა კარი, თითქოს მძღოლის ლანძღვა-გინება მას სრულიად არ ეხებოდა. „მარშრუტკაში“ კიდევ ორი, ზორბა ტანის ქალბატონი ამოვიდა. მიიხედ-მოიხედეს და თავისუფალი ადგილი, რომ ვერ ნახეს, მძღოლი საყვედურებით აავსეს: თუ თავისუფალი ადგილი არ გქონდა, რას გვიჩერებდიო.

— აჰა, შარი თუ გინდოდეს! ლამის ქვეშ შეუვარდით მანქანას და რა უნდა მექნა? გაუჩერებ და გსაყვედურობენ. არ გაუჩერებ და ისე მოგაწყევლიან, კისერს წაიმტვრევ სადმე, — ბობოქრობდა მძღოლი. ზორბა ქალბატონები კი მას ყურსაც აღარ უგდებდნენ, ერთმანეთის მოკითხვით იყვნენ დაკავებული. საუბრის კილოზე შევატყვე, რომ ქალბატონები სვანები უნდა ყოფილიყვნენ. ხოლო როდესაც ერთმანეთს სვანურადაც გადაულაპარაკეს, დავრწმუნდი, რომ არ ვცდებოდი.

— რას შვრება, გოგუცა, შენი ელდარი, ცოლს არ ირთავს?

— ო დია მიშქუ ცოდა, ვისტინე, სად იცლის ცოლისთვის, ძმაკაცებს გადაჰყვა. დღეს რომ ერთ რესტორანში უღამდებათ, ხვალ მეორეში გამოდიან „პახმელიაზე“.

— წესიერ რესტორანში თუ დადის, რა უჭირს კიდევ. ცოტა ხნის წინ, ტელევიზორში ვნახე, თბილისში ისეთი რესტორნებიც ყოფილა, სადაც შიშველი ქალები ხეებზე კონწიალობენ. იქ თუ დაეჩვია შენი ელდარი სიარულს, მერე სულ აღარ მოიყვანს ცოლს, — გააფრთხილა ერთმა მეორე. სვანებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება მაქვს, ამიტომ არ გამიჭირდა იმის მიხვედრა, რომ ქალბატონი სრიპტიზ-ბარს გულისხმობდა.

— ვისტინე, ამბობენ: პატარკაციშვილის ცხედარს არ დაკრძალავენ და სპეციალური ნემსებით ისე შეინახავენ, როგორც კანონიერი ქურდის, კარლო გუჯეჯიანის ნეშტი ჰქონდათ შენახული წლების განმავლობაშიო. ხომ გახსოვს, საწყალი მხოლოდ მას შემდეგ გაიმეტეს დასამარხავად, სოხუმში რომ არეულობა დაიწყო.

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ამბობენ: ნამდვილად ბერეზოვსკი მოწამლავდა ბადრისო. ახლა ისეთი შხამები გამოუგონებიათ, გიყურებ, გელაპარაკები და ამით გწამლავ...

— მოეწამლა ჩვენს მთავრობას გულმუცელი...

— „დინამომდე“ ხომ არავინ ჩადის? — იკითხა მძღოლმა და პასუხი რომ ვერ მიიღო, ცენტრალური ქუჩიდან გადაუხვია.

— სად მიდიხარ, ჩემი ძმა? — იკითხა ვიღაცამ „მარშრუტკის“ ბოლოდან.

— სად მივდივარ და გასტროლებზე. ხომ ვიკითხე: „დინამომდე“ ხომ არ ჩამოდიხართ-მეთქი? — გაკვირვებისგან ხელები გაშალა მძღოლმა. — მოიხსენი, შე დალოცვილო, ეგ „ნაუშნიკები“ და ჯაგაჯუგის გარდა, სხვა რამესაც დაუგდე ყური.

— შენ მაგას არავინ გეკითხება „ბრატ“, წინ იყურე და „რული“ ატრიალე, — ურჩია მგზავრმა მძღოლს და მანქანის კარი მთელი ძალით გაიჯახუნა.

— არ უნდა აახიო ახლა ამას ლაყუჩები! — ჩაიბურტყუნა შეურაცხყოფილმა მძღოლმა და ხურდებით აჩონჩხლილ მაგნიტს ისე მარდად წაავლო ხელი, ვიფიქრე, ბრაზმორეული მის სროლას აპირებდა. საბედნიეროდ, ვცდებოდი, მძღოლმა განწყობილების შესაქმნელად რადიო ჩართო და ქართული ჰანგების ტაქტში, საჭეზე თითები აათამაშა. მაგრამ მელოდიით ტკბობა მძღოლისთვის ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან სამარშრუტო ტაქსი ახალგაზრდა ქალმა დაუქნია ხელი და კარიდან იკითხა: დიღომში, 23-ე კორპუსს თუ გაივლიო?

— სადარბაზო, სართული და ბინა? — ირონია გაურია ხმაში მძღოლმა, მაგრამ საპასუხოდ მხოლოდ კარის ჯახუნის ხმა გაისმა.

— კარმა რა დაგიშავა, ლამაზო, მოდი და ჩემზე იყარე ჯავრი. მერე მე ვიყრი შენზე ჯავრს და... ასე არ სჯობია? — თავისთვის მსჯელობდა „მარშრუტკის“ მძღოლი და აბურძგნილ ქოჩორზე ხელს ისვამდა. თმის ურჩი ღერი რომ ვერაფრით გაისწორა, მძღოლმა ხელზე დაიფურთხა და თმაზე „ნამიანი“ ხელი გადაისვა. შემდეგ მანქანის სარკე ისე მომართა, რომ უკან მჯდომი ახალგაზრდა გოგონებისთვის უკეთ ემზირა და ჩახლეჩილი ხმით წაიღიღინა:

— აბობოქრებულ ზღვაში გატარებ, მე კი ვიქნები... ამის დედაც ვატირე, მაშ, სულ „მარშრუტკის“ „შოფერი“ ხომ არ ვიქნები. — თავი დაიმედა მძღოლმა და ისევ გოგონებს გახედა. მძღოლის ცნობისმოყვარე მზერამ გოგონებს ლოყები აუფაკლა და დარცხვენილებმა ქირქილი დაიწყეს. ამან კიდევ უფრო გააგულისა სამარშრუტო ტაქსის მძღოლი და ხმამაღლა დაიწყო მსჯელობა იმაზე, თუ რა ძნელია ჩვენს დროში, შეხვდე ქალაქელ პატიოსან გოგონებს — აი ისეთებს, ვაჟი რომ გაეარშიყება და დაირცხვენენ. დიდუბის ავტოსადგურს რომ მივუახლოვდით, გოგონებმა მძღოლს მანქანის გაჩერება სთხოვეს. ისიც მთელი ტანით შემოტრიალდა „მარშრუტკის“ სალონისკენ, გოგონების ყველა ღირსება რომ შეეფასებინა.

— რა ღირს „მარშრუტკაი“? — ჰკითხა მძღოლს ერთ-ერთმა და დავინახე, თუ როგორ შეეყინა ახალგაზრდა კაცს სახეზე ღიმილი, რომელიც ძალიან ჰგავდა იმედგაცრუებას. როგორც კი ჩვენმა სამარშრუტო ტაქსიმ გზა განაგრძო, გვერდით დიდი ყვითელი ჰოლანდიური ავტობუსი ამოგვიდგა. ჩვენი დაფხავებული ძველებური სამარშრუტო ტაქსი, ძალიან უსუსური ჩანდა მედიდურად მოსიარულე ახალი ავტობუსის გვერდით. ავტობუსის მგზავრებიც თითქოს ნიშნის მოგებით დაგვცქეროდნენ ზემოდან. ჩვენი სამარშრუტო ტაქსი, წარსული საბჭოთა პერიოდიდან მოდიოდა, მათ ავტობუსს კი დიდი ასოებით ეწერა: „შემდეგი გაჩერება ნატო“. ეს გარემოება შეუმჩნეველი არც სამარშრუტო ტაქსის მძღოლს დარჩენია და ნატოში მიმავალ ავტობუსს მთელი ხმით მიაძახა:

— წინ დაჯექით, მალე ჩახვალთ! ■

# „ეს სიტყვები არ არის, ეს სიყვარულია“

**„სამშობლოს მონატრებას სიმღერები სცოდნია“. გელა თლუღელმა, სხვა ქართველი ემიგრანტების მსგავსად, ეს ცოდნა სამშობლოსგან შორს, ესპანეთში შეიძინა. 12 წელი დაყო ემიგრაციაში, 12 წელი წერა უცხო მიწაზე გულიდან ამოსული ქართული სიმღერები — ლექსად და დაგვიბრუნდა. ბიჭი წავიდა და კაცი დაგვიბრუნდა... და თან თავისი პირველი ლექსების კრებული — „ცოდვის ხურჯინი“ ჩამოიტანა.**

ლეა ცუცქირიძე

„ცოდვის ხურჯინი“ 2005 წელს, საქართველოში დაისტამბა. ისე გამოვიდა, რომ წიგნმა ავტორს დაასწრო სამშობლოში ჩამოსვლა. კიდევ უფრო მეტიც, გელა ამბობს, რომ საკუთარ მიწაზე მისავე დაწერილმა ერთ-ერთმა ლექსმა დააბრუნა. როგორც ჩანს, ქაღალდზე გადატანილმა განცდამ მეტი სიცხადე შეიძინა და სწორად მოქმედების, სწორად ცხოვრების ჟინი გაუჩინა. მაგრამ რა არის ის, რასაც ქართველი სწორად ცხოვრებას არქმევს? განათლებაზე, კარიერაზე, ოჯახზე ზრუნვა, კანონმორჩილება ან უფლის სამსახურში ყოფნა? ეჭვგარეშეა, ეს ასეა და ამაზე ნუ ვიდავებთ, მაგრამ თითქოს, ამ იდეალურ სურათს რაღაც აკლია...

ეს დანაკლისი, კინოთეატრ „ამირანში“ განთავსებულ „ლიტერატურულ კაფეში“ გამართულ, გელა თლუღელის წიგნის დაგვიანებულ პრეზენტაციაზე არავის უხსენებია, მაგრამ ის მაინც ვიპოვე. მეათე მცნება, რომელიც ალბათ, ყველამ თავიდან უნდა გავიაზროთ. „არა გული-გითქუმიდეს ცოლისათვის მოყუასისა შენისა, არა გული-გითქუმიდეს სახლისათვის მოყუასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისისათუის, რაცა იყოს მოყუასისა შენისა“.

ქართველისთვის ბედნიერება მხოლოდ სამშობლოში, თვისტომთა შორის ყოფნაა. აქ არის ბედნიერებაც და ძალაც... თუმცა, მათი განსჯის უფლება, ვინც წავიდა და ვეღარ გვიბრუნდება, არ გვაქვს...

თავად რატომ წავიდა? 20 წლის იყო, წინსვლაზე ფიქრობდა. უშუქობას გავექეცი, — მითხრა და უსამშობლოდ დარჩენა დაემუქრა.

„კარგია, შენთან კარგია, მაგრამ სამშობლოს ვკარგავ. გესმის?

*სამშობლოს ვკარგავ!..“*

იქ რას მოღვაწეობდი-მეთქი? — ვკითხე. „მოღვაწეობა“ მაღალფარდოვანი სიტყვაა და მაღალ იდეალებზე ზრუნვასაც მოიაზრებს... არ მითხრა, მაგრამ ვიგრძენი, საკუთარი ცხოვრების ასეთმა შეფასებამ ღიმილი მოჰგვარა. მერე, იმედი მაქვს, მიხვდა, რომ სიტყვა სწორად შევარჩიე. „ჩემი ესპანური ცხოვრების პატარა ნაწილი მამა აბიბოსთან დავყავი. ბერმონაზონი აბიბოსი, ახლა ანტვერპენის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში იღვწის. ის კარგი ქართველი, მეომარი და მებრძოლი ქრისტიანია... ვაცხობდი ქართულ პურს — ლავაშს, ამომყავდა ყველი და ვაკეთებდი სულუგუნს, ვამუშავებდი ქართულ მაღაზიას, ცოტას ვწერდი და ბევრი მენატრებოდა. ჰო, ასე ვთქვათ, ეკლესიაში ვმოღვაწეობდი...“

რა თქმა უნდა, მოღვაწეობდა. ორ შვილს — ბაჩოს და ზურას მეუღლესთან, ლელა სონგულიასთან ერთად, უცხო მიწაზე კარგ ქართველებად ზრდიდა, ცხოვრებას ებრძოდა და ქართულ ლექსებს წერდა.

ყველა ადამიანს სახეზე აწერია თავისი ცხოვრება. არც გელაა გამონაკლისი. ამიტომაც, ამ სახენათელი ადამიანის სიყვარულით წაკითხულმა, ნოსტალგიაშერეულმა ლექსებმა „ლიტერატურულ კაფეში“ შეკრებილი საზოგადოება სასიამოვნო მუხტით აავსო.

„ასი ათასჯერ მახსენდები
ერთ დღე-ღამეში,
ვერ გავექეცი ფიქრებიდან შენთან
ხეტიალს,
ნოსტალგიური ტყვეობიდან იქნებ,
გაგეშვი,
ნარიყალაზე, ციხეში რომ
*ჩაგიკეტია“.*

პოეტობა მხოლოდ ის არაა, რომ ლექსები წერო, პოეტობა პოეტურად ცხოვრებაცაა, პოეტურად ცხოვრება კი კაცურად ცხოვრებას ნიშნავს. გელა ასე აფასებს საკუთარ თავს, — მე პოეტი კი, კაცი ვარ. კაცი, რომელსაც

„ასი ათასჯერ მახსენდები ერთ
დღე-ღამეში.
ვაჰ, რომ იცოდე, როგორ მინდა
მოვრჩე ხეტიალს,
ან დამიბრუნე, ან საერთოდ
ფიქრშიც გამეშვი,
თორემ თლუღელი მონატრებებს
*დაუხვრეტია“.*

საქართველოს საზღვრებს გარეთ მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს და იქიდან ერთეულებმა თუ გაბედეს უკან, სამშობლოში დაბრუნება, მათ შორისაა გელაც. „მე ჩემი ჩამოსვლით მაგალითს ვაძლევ სხვებს... ჰო, ყველანი დაბრუნდებიან, რადგან „ქართველი სულ უნდა ენთო“ და „ეს სიტყვები არ არის, ეს სიყვარულია“...

■



## ფცხეშვილოლ გვგრძელებული ცხუბმე...

**როცა ნაპოლეონი ესპანეთში ჯარების შეყვანას აპირებდა, ტალეირანი შეეცადა, დაერწმუნებინა, რომ ამ ახალ სამხედრო კამპანიას შესაძლოა, ცუდი შედეგი მოჰყოლოდა. ნაპოლეონმა თავდაჯერებულად უპასუხა:**

**— ეს ომი ჩემთვის, უბრალო საუზმესავით იქნება...**

**მაგრამ გამობრძმედილმა პოლიტიკოსმა იმპერატორს მიუგო:**

**— ვშიშობ, სუფრასთან დიდხანს ჯდომამ არ მოგიწიოთ...**

# ჩუბჩიკა, ჩემი მიშა, დაკარგული მანილოვიჩი და საცივზე წაკითხული მოხსენება

მე კი მას სოკრატეს ვეძახდი (რაზეც ძალიან ეცინებოდა)

**ალბათ, ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში ყოფილა ადამიანი (ან ადამიანები), რომელმაც ყველაზე მეტად დაგვამახსოვრა თავი და წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს მეხსიერებაში, გულში. ქართველი მხატვარი თენგიზ მირზაშვილი, რუსი დისიდენტი მიხაილ პოლიაკოვი და ამერიკელი მოჭადრაკე ბობი ფიშერი — ეს იმ ადამიანების არასრული სიაა, ვისაც ლევან ბერძენიშვილი დაუვიწყარ პიროვნებებად მიიჩნევს და მათზე სიამოვნებით საუბრობს...**

ემა ტუხიაშვილი

— ცხოვრებაში ბევრ საინტერესო ადამიანს შევხვედრივარ. მოგეხსენებათ, პატიმარი ვიყავი და საბჭოთა კავშირში ნარჩევი პოლიტპატიმრების გვერდით სამი წელი გავატარე. რა თქმა უნდა, მათ შორის ისეთებიც იყვნენ, ვისი დავიწყებაც შეუძლებელია, მაგრამ პირველ რიგში, მინდა ვისაუბრო კაცზე, რომელიც ამ ქვეყნიდან სულ ცოტა ხნის წინ წავიდა. ეს გახლდათ დიდი ქართველი მხატვარი, ჩემი მეგობარი ჩუბჩიკა, იგივე თენგიზ მირზაშვილი. არა მგონია, მისი დავიწყება ვინმემ შეძლოს, იმის დაჯერებაც კი მიჭირს, რომ ის ცოცხალი აღარ არის. ის იყო მრავალმხრივ განვითარებული ადამიანი, რომელიც ისევე კარგად ერკვეოდა მხატვრობაში, როგორც ისტორიის საკითხებში და ამავე დროს, პროფესიონალი კულინარის დონეზე იცოდა მურაბების და მწნილების მომზადება. ის გახლდათ „ვეფხისტყაოსნის“ უბადლო მცოდნე, შოთა რუსთაველის „პატრონი“ და დამცველი. იყო უაღრესად საინტერესო და ამავე დროს, შესანიშნავი ხასიათის კაცი, რომელიც არ გამოირჩეოდა გენიოსებისთვის დამახასიათებელი უცნაურობებით. ის გახლდათ კაცი, რომელსაც ნაკლი არ ჰქონდა. შესაძლოა, ვინმე ნაკლად იმას უთვლიდა, რომ უჰალსტუხოდ დადიოდა, ან იმას, რომ დღეში ოცდაათ სურათს ხატავდა. ჩუბჩიკაც ხომ იმის გამო შეარქვეს, რომ თითქმის ყოველთვის გასაკრეჭი თმით და გაუპარსავი დადიოდა. მე კი მას სოკრატეს ვეძახდი (რაზეც ძალიან ეცინებოდა), თავად კი „ძია ლევანს“ მეძახდა. ზოგჯერ, ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს ის ჩემზე უმცროსი იყო, არადა, ასაკით მამად მერგებოდა. მეგონა, რომ ჩუბჩიკა არასდროს მოკვდებოდა.

**— გახსოვთ, როგორ შეხვდით ბატონ თენგიზს პირველად?**

— ეს შეხვედრა მისი ინიციატივით მოხდა. იმ დროს ერთ-ერთ ფონდში ვმუშაობდი, რომელიც დახმარებას უწევდა სტუდენტებს, მეცნიერებს, მწერლებს. ბატონი თენგიზ მირზაშვილი ჩემთან, როგორც ამ ფონდის ხელმძღვანელთან მოვიდა, რამდენიმე საყვედურიც მითხრა: ამას ისე არ აკეთებ, ეს ისე გაგეკეთებინა, ჯობდაო, — და თავის სახელოსნოში დამპატიჟა. იქ მისულმა აღმოვაჩინე, რომ ეს იყო ძალზე უბრალო ადამიანი. წესრიგში მხოლოდ ნახატები ჰქონდა, სხვა მხრივ კი ისეთი არეულობა სუფევდა, როგორიც ხშირად შემოქმედ ადამიანებს ახასიათებს. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ, რამდენიმე სურათიც მაჩუქა. საერთოდ, ძალიან გულუხვი იყო ჩემ მიმართ და დღეში ათ სურათს მატანდა. ყველა სახლში რომ წამომეღო, ახლა უმდიდრესი ადამიანი ვიქნებოდი, მაგრამ რა თქმა უნდა, ასე არ ვიქცეოდი. ჩვენი ურთიერთობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა და ჩვენი ოჯახებიც დამეგობრდნენ. ერთხელ, ჩემმა მეუღლემ ბატონ თენგიზს წყავის მურაბა მიართვა. ჩუბჩიკა გადაირია, ისე მოეწონა დასავლური დელიკატესი. მას შემდეგ შევთანხმდით, რომ ჩვენი ოჯახი მას წყავის მურაბით მოამარაგებდა, სანაცვლოდ კი მის მომზადებულ მწნილებსა და მურაბებს მივიღებდით. მოგვიანებით, როდესაც ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ვიყავი, ის დაინტერესებული იყო სხვადასხვა საკითხის კვლევით და სამსახურში ხშირად მაკითხავდა. საოცარ აღმოჩენებს აკეთებდა. მისი ორი წიგნი გამოსაცემადაა გამზადებული და საზოგადოება მალე იხილავს. მათგან ერთ-ერთი, მის შემოქმედებას ეხება, მეორე კი — ფიროსმანს. ჩუბჩიკა ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირების, გაცნობის მოწადინე იყო. სწორედ მას უნდა ვუმადლოდე ისეთი ადამიანების გაცნობის პატივს, როგორიც გახლავთ დიდი ქართველი კომპოზიტორი, გია ყანჩელი. დიდი მსმელი და მოქეიფე არ იყო, მაგრამ ესთეტი გახლდათ. მაგალითად, ყოველთვის ყურადღებას აქცევდა ადგილს, სადაც უნდა გვევახშმა, მომსახურების დონეს; იმას, თუ ვის რა ეცვა და ა.შ. ხინკალი უყვარდა და ვინაიდან „ასეთ საკითხებში“ კარგად ვერკვეოდი, ერთხელ არაგვისპირას, ერთ კარგ რესტორანში წავიყვანე. მომსახურე პერსონალმა მაშინვე მიცნო და განსაკუთრებული პატივისცემით მექცეოდა, ხოლო თმაგაბურძგნილ, ჭაღარა ჩუბჩიკას ბაბუს ეძახდნენ. შემდეგ, როდესაც ანგარიშის გადახდის დრო დადგა, ხოლო ჩუბჩიკა ამგვარ „პატივს“ არავის დაუთმობ-

არა მგონია, მისი დავიწყება ვინმემ შეძლოს, იმის დაჯერებაც კი მიჭირს, რომ ის ცოცხალი აღარ არის

და, მომსახურე პერსონალის თვალში, ჩვენ შორის „პატივისცემა გაიყო“. შემდგომში, როდესაც ამ რესტორანში ბატონი თენგიზის გარეშე მოვხვდებოდი, ყოველთვის მეკითხებოდნენ, — ბაბუ როგორ არისო? ბატონი თენგიზი, საპრეზიდენტო არჩევნების ციებცხელების პერიოდში გარდაიცვალა და გული მწყდება, რომ ქართველმა საზოგადოებამ ის გულიანად ვერც კი იგლოვა.

**— ციხეში გატარებული წლებიდან ყველაზე მეტად ვინ დაგამახსოვრდათ?**

— სამწუხაროდ, არასოდეს დამავიწყდებიან ის ადამიანები, ვინც კარგი იქნებოდა, დამვიწყებოდა. მაგალითად, გამომძიებელი გერსამია და პოლკოვნიკი გერსამია (ისინი ძმები იყვნენ); არასდროს დამავიწდებიან ისინი, ვინც დამაპატიმრა. მაგრამ თქვენი რუბრიკისთვის კარგ ადამიანებს გავიხსენებ. მინდა, გიამბოთ კაცზე, რომელიც ჩემთან ერთად მოლდავეთში, ზონაში იჯდა და მას არასოდეს დავივიწყებ. ის გახლდათ მიხაილ ვასილის ძე პოლიაკოვი, ჩემთვის კი — უბრალოდ, მიშა. ამიტომ, როდესაც ამბობენ, — „მიშა... მიშას“, ჩემთვის ეს სახელი არა სააკაშვილთან, არამედ მიშა პოლიაკოვთან ასოცირდება. ეს იყო კაცი, რომელიც იმ დროს ყოვლისშემძლე „კაგებეს“, საბჭოთა კავშირის ფარგლებში, წელიწად-ნახევარი ემალებოდა. სხვა ასეთი შემთხვევის შესახებ, პირადად მე არასდროს მსმენია. შემდეგ პოლიაკოვი დაიღალა ასე ცხოვრებით, მალვა მოჰბეზრდა და პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში თავისი სახელით დარეგისტრირდა. ერთი თვე დადიოდა „კაგებეს“ მიერ ძებნილი მიშა ბიბლიოთეკაში, ვიდრე იპოვიდნენ და დააკავებდნენ. სხვათა შორის, იმ პერიოდში, როდესაც ის ძებნაში იყო, გარკვეული ხნის განმავლობაში, პოლიაკოვი საქართველოში, ქართველ მეგობრებთანაც იმალებოდა. ისეთი ერთგული კაცია, ვიდრე საქართველომ დამოუკიდებლობა არ მოიპოვა, მეც კი არ გამიმხილა ამ ადამიანების ვინაობა. ისინი ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილი, ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან, მაგრამ მათი ნებართვის გარეშე, მათ ვინაობას ვერ გაგიმხელთ. მიხაილ პოლიაკოვი ვისოცკის მეუღლის, მარინა ვლადის ბიძაშვილი გახლავთ. მიშას გამო, მარინა ვლადი არაერთხელ ჩამოსულა მოლდავეთში და საპროტესტო აქციებსაც კი აწყობდა ციხის წინ. მიშა პოლიაკოვი, ერთ დროს, რუსეთში დიდი გამომცემლობის ხელმძღვანელი გახლდათ. მისი დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ რამდენიმე ღამის განმავლობაში, სახელმწიფო გამომცემლობაში სოლჟენიცინის და საბჭოთა იდეოლოგიისთვის მიუღებელი სხვა ავტორების ნამუშევრებს ბეჭდავდა. ამის გამო, ორი წლით გადასახლება და ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მახსოვს, პერიოდულად მასთან ზონაში გამომძიებლები ჩამოდიოდნენ და ეკითხებოდნენ, თუ რომელი წიგნი სად გაგზავნა და ყველაფრის მიუხედავად, მიშა მაინც არ ტყდებოდა. მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ბევრი რამ საერთოც გვქონდა. მაგალითად, ციხეში ნებადართული იყო ნარდის და პინგ-პონგის თამაში. პინგ-პონგს

ჩემსა და მიშას გარდა, არავინ თამაშობდა და თითქმის ყოველთვის ანგარიშით — 0-7 მთავრდებოდა. ამ რიცხვების კომბინაციაზე კი მას ახსენდებოდა შვიდასმილილიტრიანი ბოთლი, რომელშიც „ღვთაებრივი“ სითხე ესხა. სხვათა შორის, პოლიაკოვი კარგად ერკვეოდა სასმელებში, არყის გამოხდაც იცოდა. არყის გამოხდა მამაჩემმა მეც მასწავლა, ამიტომ მე და მიშა ხშირად ვკამათობდით, ჭაჭის არაყი სჯობია თუ რუსული „ფშენიჩნაია“. ერთ-ერთ ქართულ ინერნეტსაიტზე დარეგისტრირებულია კაცი, რომელსაც სახელად „გაბარძგალება“ ჰქვია. მანაც ყველაფერი იცის სასმელების შესახებ. „გაბარძგალება“ სასმელებზე ისეთი პროფესიონალიზმით მსჯელობს, რომ სულ მგონია, ის მიშა პოლიაკოვია. მახსოვს, მიშა სულ იმაზე მელაპარაკებოდა, წლების შემდეგ თუ როგორ დაინგრეოდა საბჭოთა იმპერია, ხოლო გამომძიებელი, რომელიც მასთან რეგულარულად ჩამოდიოდა პეტერბურგიდან, რუსეთის პრეზიდენტი გახდებოდა. ამით მიშას იმის ხაზგასმა უნდოდა, რომ რუსეთის სათავეში „ჩეკისტები“ მოვიდოდნენ. მიშას საქმის გამომძიებელი, კოშელევი არ გახდა რუსეთის პრეზიდენტი, მაგრამ მისი ლენინგრადელი კოლეგა, „ჩეკისტი“ პუტინი კი დღესაც რუსეთის სახელმწიფოს მეთაურია. პოლიაკოვი „კაგებეს“ ხრიკების გაშიფვრის დიდოსტატი იყო. მაგალითად, როგორც კი მომეჩვენებოდა, რომ „კაგებე“ ზონაში მორიგ ხრიკს მიწყობდა, ის მაშინვე ხვდებოდა, რომ ვცდებოდი და მამშვიდებდა: ეს ჩვეულებრივი „ბარდაკიაო“. ახლა პოლიაკოვი ამერიკაში ცხოვრობს, რამდენიმე სერიოზული წიგნის გამოცემაზე მუშაობს და დროდადრო ტელეფონით ვუკავშირდებით ერთმანეთს.

**— საინტერესოა, მაინც რა ხრიკებს გიწყობდათ მაშინდელი უშიშროება?**

— მაგალითად, ხშირად ხდებოდა ისე, რომ ციხეში პატიმარი იღებდა დეპეშას, სადაც ეწერა, — ძვირფასო, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ სხვა შემიყვარდა და უნდა გაგეყარო. „კაგებე“ ცდილობდა, გისოსებს მიღმა მყოფ ადამიანს გარე სამყაროსთან ყველანაირი კავშირი გაეწყვიტა, რაც მას უფრო იოლად დასამორჩილებელს ხდიდა. მახსოვს, როდესაც პატიმრებმა გამაფრთხილეს: შესაძლოა, მალე ასეთი შინაარსის დეპეშა შენც მიიღოო, გამეცინა და ვუთხარი, — ასეთ დროს ქართველი ქალები საპირისპიროდ იქცევიან-მეთქი. მეტი დამაჯერებლობისთვის, ვუამბე, რომ რუსუდან ბერიძე, მართალია, უკვე განქორწინებული იყო მერაბ კოსტავასთან, როდესაც ის დაიჭირეს, მაგრამ მაინც მიაკითხა ციხეში ქმარყოფილს და სადილთან ერთად, მნიშვნელოვანი ინფორმაციაც ჩაუტანა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთხელ, მეც მიხმეს „ნადზორთან“, მითხრეს, — ტელეგრამაა მოსულიო. გავოცდი, როდესაც გავეცანი ტელეგრამას: სრულიად უცხო ადამიანები მილოცავდნენ დაბადების დღეს, რამაც მთელი ზონა შოკში ჩააგდო. პატიმრებს შორის, სხვა დაუვიწყარი ადამიანებიც იყვნენ. მაგალითად, ვლადიმირ იანკოვი — უაღრესად განათლებული კაცი, ბერძნულისა და ლათინურის უბადლო მცოდნე. დაუვიწყარი ადამიანების რიცხვს მივაკუთვნებდი ასევე, ბორის ისაკის ძე მანილოვიჩს, რომელსაც ზონიდან გამოსვლის შემდეგ ვეძებ და ვერ მივაკვლიე. სავარაუდოდ, ისრაელში უნდა იყოს და თუ როგორმე მივაწვდინე ხმა, მინდა, გამომეხმაუროს. ის გახლდათ პროფესიით ფსიქოლოგიც და ფსიქიატრიც. წერდა ანტისაბჭოთა ლექსებს და ამავე დროს, ამ ლექსების ხმამაღლა წაკითხვის ეშინოდა. ხშირად მიკითხავდა ლექციებს ციხეში და თუ ანალიტიკური ფსიქოლოგიის, ინდივიდუალური ფსიქოლოგიის და ფსიქოლოგიაში სხვა მიმართულებების შესახებ რაიმე ვიცი, ეს მისი ლექციების დამსახურებაა. მეც ვკითხულობდი ციხეში ლექციებს, რომლებიც ვაჟა-ფშაველას და შოთა რუსთაველის შემოქმედებას ეხებოდა. მახსოვს, ერთხელ საცივზე წავიკითხე მოხსენება და ოცდაათი მშიერი პატიმარი ლამის ცუდად გახდა. მართალია, პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება ასევე, ცნობილი ამერიკელი მოჭადრაკე ბობი ფიშერი. ის ჩემი ბავშვობის კერპი იყო და მახსოვს, ამერიკას სულ აკრიტიკებდა. შემდეგ საპასპორტო რეჟიმის დარღვევისთვის დააპატიმრეს და ისლანდიამ მისცა თავშესაფარი, რადგან ისლანდიის ქალაქი რეიკიავიკი, მას შემდეგ გახდა საყოველთაოდ ცნობილი, რაც ფიშერმა იქ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის გამართვა მოითხოვა. ფიშერის ხათრით, რეიკიავიკის ამინდის პროგნოზს ჩემს მობილურ ტელეფონშიც შეხვდებით...



MK

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

### ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. სტალინს თვითმფრინავით არასდროს უფრენია.
2. რონალდ რეიგანი 93 წლის ასაკში გარდაიცვალა.
3. ნეანდერტალელები 30000 წლის წინ გადაშენდნენ.
4. ბრძოლის წინ რიკი-ტიკი-ტავის თვალები უსისხლიანდებოდა.
5. „ნაჩუქარ წიგნებს არავინ კითხულობს“, — ამბობდა ბერნარდ შოუ.
6. მუსტაფა ქემალ ათათურქი 1923 წელს, თურქეთის მმართველი გახდა.
7. პირანიები ჯგუფებად დაცურავენ. ჯგუფში ხანდახან 20000-მდე თევზია.
8. როცა ვიღუშებით, ჩვენი სახის 43 კუნთი იძაბება, როცა ვიღიმით — მხოლოდ 17.
9. ნენსი რეიგანი ამერიკის ისტორიაში ყველაზე არაპოპულარული პირველი ლედი იყო.
10. ჭიანჭველების ბუდეში, ბიოლოგების მტკიცებით, ყოველი მეხუთე ჭიანჭველა უსაქმურია.
11. ფრანგული სუნამოს — „შანელი №5“-ის არომატს მეოცე ასწლეულის სურნელებას ეძახიან.
12. „მასტერ სლოვა ი კულაკა“, — ამ ეპითეტით რუსეთში ვლადიმირ ჟირინოვსკის მოიხსენიებენ.
13. უინსტონ ჩერჩილმა თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებს — „გამქრალი ეპოქის სურათები“ უწოდა.
14. იაკუტია რუსეთის ყველაზე დიდი რეგიონია. მის ტერიტორიაზე სამი საათობრივი სარტყელი გადის.
15. ლეონარდო და ვინჩის „მონალიზა“ ოთხი წლის განმავლობაში ამშვენებდა ნაპოლეონის საძინებელ ოთახს.
16. ეს ლექსი ანდრეი ალიაკინმა ერთ ქალბატონს გამოუთქვა: „ნე ატრიციაიუ, ბილ ოჩენ რად, ლიუბიტ ვას 20 კილოგრამ ნაზად“.
17. იორდანიის დედაქალაქი ომანი შვიდ ბორცვზეა აშენებული. რომაელთა ბატონობის დროს ამ ქალაქს ფილადელფია ერქვა.

18. მსახიობ კლარკ გეიბლს, რომელიც ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს მხატვრულ ფილმში „ქარწაღებულნი“, ყურების პლასტიკური ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული.
19. საბერძნეთში მოგზაურობისას მოქალაქეთა კითხვაზე — სადაური ხარო? — დიოგენე სინოპელი პასუხობდა — მე კოსმოპოლიტი (მსოფლიოს მოქალაქე) გახლავართო.
20. „რანშე ვ რასიი ბილო დვე ბედი: დაროგი ი დურაკი. ტეპერ პრიბავილას ტრეტიაია: დურაკი უკაზივაიუშიე კაკოი დაროგოი იდტი!“ — ამბობს მიხაილ ზადორნოვი.





# „დავჯექი ქართველების ტანკზე და აფხაზებს „გადავუარე“

## ანუ რატომ დაუპირისპირდა აფხაზი კაცი აფხაზებს

„მოგესალმებით, ათენიდან. კვირა დღეა, სიმწრით ნაშოვნი გროშები საქართველოში უნდა გამოვგზავნო. გადაუღებლად წვიმს და ტაქსის ველოდები. როგორც იქნა, ისიც გამოჩნდა. მძღოლი თავაზიანად მომემსახურა. მანქანაში ჩავჯექი და... ქართული მუსიკა მესმის! ღმერთო, რა საოცრებაა! ცოტა ხანს ვითმინე, მაგრამ ბოლოს, მძღოლს ბერძნულად ვკითხე: თქვენ, საიდან ეს მუსიკა და თუ შეიძლება, ხმას ცოტათი აუწიეთ-მეთქი. — „ქართველი ხარ, ქალბატონო?“ — სუფთა ქართულით მეკითხება მძღოლი. ვუპასუხე: კი-მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ, სიჩუმე ისევ დავარღვევ და ვკითხე: „შენ ვინ ხარ, შვილო?“ და პასუხის მოლოდინში გული საოცრად მომეწურა. — რომ გითხრათ, აფხაზი ვარ-მეთქი, გაგიხარდებათ? — იყო პასუხი. — „რატომ უნდა მეწყინოს, შვილო?“ — გავიკვირვე. ტაქსის მძღოლმა მიამბო, თუ როგორ დაუპირისპირდა აფხაზი კაცი აფხაზებს და დადგა სიმართლის მხარეს: „ველარ ავიტანე, ქართველებს უსამართლოდ რომ ხოცავდნენ. ჰოდა, დავჯექი ქართველების ტანკზე და აფხაზებს „გადავუარე“. ეს ჩემმა ხალხმა არ მაპატია, მე და ჩემი ოჯახის წევრებს მოსაკლავად დიდხანს დაგვდევდნენ!..“ ამის მომსმენს ნერვებმა მიმტყუნა და ვუყვირე: მუსიკას დაუწიე-მეთქი. ცრემლებს ველარ ვიკავებდი. მინდოდა, გულში ჩამეკრა უცნობი ადამიანი და მეკოცნა მისთვის, მაგრამ მომერიდა. ის კი ვუთხარი, — საღოლ, შენს ვაჟკაცობას-მეთქი და ხელი ჩამოვართვი. ვინ იცის, რა ალარ გაიხსენა იმ ბიჭმა და ყოველი მისი სიტყვა გულს მისერავდა. ამ კეთილ აფხაზს იმ დღეს სიმშვიდე წავართვი და გავახსენე საშინელი წუთები, გავახსენე ძმათამკვლელი ომი... ეს ახალგაზრდა კაცი დღეს საბერძნეთის მოქალაქეა. მან აქ შექმნა ოჯახი და თითქოს, ძალიან ბედნიერი უნდა იყოს, მაგრამ საქართველოსა და აფხაზეთის გარეშე, ბოლომდე ბედნიერი ვერ იქნება. მე მისი არც სახელი ვიცი და არც — გვარი. რომც ვიცოდე, მაინც არ გავამხელდი, რადგან მტერს ასი თვალი და ასი ყური აქვს და არ მინდა, ჩემ გამო პრობლემები შეექმნას. მინდა, მადლობა ვუთხრა მის გამზრდელ დედას, ასეთი შესანიშნავი ვაჟკაცის გაზრდისთვის. შენ კი, ჩემო აფხაზო ძმაო, ერთს გეტყვი: შეიძლება, აფხაზებმა ღალატი არ გაპატიონ, არ გაპატიონ ის, რომ სიმართლისთვის იბრძოდი, მაგრამ როცა გაიგებენ, რომ ქართველებსა და აფხაზებს ერთმანეთისთვის მართლაც არასდროს არაფერი დაუშავებიათ, გულში ჩაგიკრავენ. ხალხნო, სად ჰყავდა საქართველოს დასაკარგავი შვილები, სად? ვინ ჩატეხა აფხაზეთსა და საქართველოს შორის საუკუნეობით ნაშენები ხიდი, ვინ? ხალხნო, გამოვიყენოთ ის დიდი ნიჭი, რაც ქართველ ერს გვახასიათებს, რომ მტერიც მოყვარედ უნდა მივიჩნიოთ და მტრის ჯინაზე განვაახლოთ ის ძველი მეგობრობა, რომელიც ორივე ერს დასაბამიდან მოგვდგამს. პატივისცემით, მაკო, ათენი“.

„მოგესალმებით. მე თქვენი აქტიური მკითხველი ვარ. ვცხოვრობ გორში. ვარ 48 წლის მამაკაცი. კარგი იქნება, თუ ჟურნალში დაამატებთ ასეთ რუბრიკას — „საინტერესო ამბების სამყაროში“. ეს რუბრიკა შემეცნებითიც იქნება და გასართობიც. შემდეგ, ამის ბაზაზე ვიქტორინის გაკეთებაც შეიძლება, საპრიზო ფონდით. დიდი სიამოვნებით მოგაწვდით მასალებს უფასოდ. პატივისცემით, ვახტანგ ჯვარიძე“.

„გზის“ №6-ში, ჟურნალის გარეკანზე გამოტანილი გახლდათ პატარა ბავშვის ფოტო. მაინტერესებს, სადაა ეს სურათი გადაღებული, რომელ სამშობიაროში? ბავშვი ჩემს შვილს ძალიან ჰგავს. მის სურათს თქვენი ჟურნალის გარეკანზე გამოსახულ პატარას რომ ვადარებ, განსხვავებას ვერ ვხედავ. პასუხისთვის წინასწარ გიხდით მადლობას“.

— **სამწუხაროდ, არ ვიცით, ამ ბავშვის ფოტოსურათი რომელ სამშობიაროშია გადაღებული, რადგან იგი ინტერნეტიდან ამოღებული ფოტო გახლავთ.**

„გამარჯობათ. თქვენი ჟურნალის აქტიური მკითხველი ვარ. ვცხოვრობ საბერძნეთში და თქვენი დახმარება მჭირდება... მესმის, რომ ადამიანები „ესემესებით“ ერთობიან, მაგრამ ოჯახის დანგრევის უფლებას არავის მივცემ! ვერ შევეგუები იმას, რომ ვიღაც აღვირახსნილმა ჩემი ოჯახის იდილია დაანგრიოს. მოკლედ, დილაა თუ ღამე, ერთი ქალი ჩემს ქმარს არ ასვენებს. მივწერე, გავაფრთხილე: ცოლი ვარ და ამ ნომერზე აღარ დაამესიჯო-მეთქი, მაგრამ პირიქით მოიქცა — ამ დღის შემდეგ მესიჯების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. გთხოვთ, ჩემი წერილი გამოაქვეყნოთ. ვიცი, ის ამას წაიკითხავს და იქნებ, დაფიქრდეს თავის საქციელზე. მაგრამ ამის იმედი ნაკლებად მაქვს — ისეთი სიტყვებით მამკობს, არა მგონია, სინდის-ნამუსი აწუხებდეს. თუ ამ მესიჯის დაბეჭდვის შემდეგ არაფერი შეიცვლება, სხვა ხერხს მივმართავ... დაგვანებოს თავი! ჯერ „ესემეს“-მეგობრობით დაიწყო და ახლა სიყვარულს ითხოვს. ნუთუ, საქართველოში მამაკაცები აღარ არიან? ან იქნებ, ქალებმა სხვის ქმრებზე გამოაცხადეს ნადირობა? ვაჰ, კაცო, ეს რა ხდება? თუ მესიჯების მოწერას არ შეწყვეტს, მერე ნამდვილად არ მოვერიდები მისი სახელისა და გვარის გამოაშკარავებას, ამასთანავე, მობილურის ნომრის დაბეჭდვას. წერილის გამოქვეყნებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას. ათენი“.

„ყველანი კარგები ხართ. წლებია, თქვენს ჟურნალს ვკითხულობ და მინდა გითხრათ, ამ სეზონზე რომ საინტერესო რუბრიკები გაქვთ, ასეთი არასდროს გქონიათ. ძალიან მიყვარხართ და გისურვებთ წინსვლას! ღმერთმა დაგლოცოთ. ჭრიჭინა“.

„კარგი იქნება, თუ თქვენს ჟურნალში გაშუქდება მეცნიერება. კერძოდ, ახალი აღმოჩენები (არქეოლოგია), გამოგონებები (საქართველოს მასშტაბით). ასევე, საინტერესოა, რა ხდება მეზობელ ქვეყანაში, რეგიონებში (პოლიტიკა, მეცნიერება, განათლება)...“

„ამ წერილს რაიონიდან გწერთ. პროფესიით ჟურნალისტი ვარ. ვისურვებდი, რომ თქვენს ჟურნალში დაგეწესებინათ კონკურსი საუკეთესო ლექსებისა და ნოველებისთვის. ვფიქრობ, ეს „გზის“ რეიტინგს საგრძნობლად აამაღლებს, რადგან გვყავს ბევრი შემოქმედი ადამიანი, რომელსაც საზოგადოებისთვის თავის წარდგენა სურს, მაგრამ ამას ვერ ახერხებს. ეკა როსტიაშვილი, საგარეჯო“.

„ძალიან გთხოვთ, შემდეგ ნომერში ინგა გრიგოლია მოიწვიეთ (რუბრიკას მნიშვნელობა არა აქვს) და მისი რაც შეიძლება მეტი ფოტო დაბეჭდეთ. აი, თუ მის ნომერს მომწერთ, მაშინ ხომ ძალიან გამახარებთ. ველი თქვენს მესიჯს“.

— **სამწუხაროდ, ინგას ნომერს ვერ გამოგიგზავნით, რადგან ამის უფლება არა გვაქვს. მაგრამ არ გაწყენინებთ და მის ფოტოს სპეციალურად თქვენთვის, აქვე შემოგთავაზებთ.**

„გთხოვთ, ერთი მესიჯი გაიმეტოთ და ანრი ჯოხაძის ტელეფონის ნომერი მომწეროთ. მთელი ცხოვრება თქვენი მადლიერი დავრჩები. გევედრებით, თუ ღმერთი გწამთ, სიყვარულის ხათრით“.

„გამარჯობათ. მინდა, მოგაწოდოთ ჩემი აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობა კი არა, დემოკრატია არ ამართლებს. რადგან ხალხმა აირჩია სამივე პრეზიდენტი და ვერც ერთმა ვერ გაამართლა, აქედან, დასკვნა: პრეზიდენტი უნდა აირჩიოს არა ხალხმა, არამედ განათლებულმა ადამიანებმა. იქნებ, ასე მაინც გავაკეთოთ სწორი არჩევანი. ნოდარი“.

„გზაში“, ბოლო გვერდზე რომ ფოტოკურიოზებია, მაგარი ხოხმებია“.

„გამარჯობათ. ვიცი, ეს ფრაზა საკმაოდ (ცოტა უხეშად რომ ვთქვათ) გაცვეთილია, მაგრამ თქვენი ერთგული მკითხველი ვარ... ერთი კითხვა მაქვს და თუ მიპასუხებთ, ძალიან დამავალებთ: ჯაბა ჯიშკარიანისა და ბათიაშვილის ქალიშვილის ინტერვიუ რომელ ნომერშია დაბეჭდილი და შესაძლებელია თუ არა მისი მოპოვება?“



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ეოჩა დვალის „ბბის წიგნაკიდან:

21. ლოს-ანჯელესში სეირნობის დროს ტურისტებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე უჩნდებათ „დეჟავიუს“ შეგრძნება, რადგან თითქმის ყველაფერი, რასაც ირგვლივ ხედავენ, მათ უკვე სხვადასხვა ფილმში აქვთ ნანახი.

22. მაგნიტურ რელსებზე მოსიარულე მატარებელი 500 კილომეტრამდე სიჩქარეს ავითარებს საათში. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ეს სიახლე მთელ მსოფლიოში არ დაინერგა, მისი სიძვირე გახლავთ. ამ მატარებელს სპეციფიკური რელსები და სპეციფიკური ავტობანი სჭირდება. სარკინიგზო ხაზის თითოეული კილომეტრი 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი ჯდება. ჯერჯერობით მხოლოდ შანხაიში გამოინახა ასეთი თანხა. სამომავლოდ ამგვარი რკინიგზის გაყვანა ლოს-ანჯელესიდან ლას-ვეგასამდე და ლონდონიდან ედინბურგამდე (შოტლანდიის დედაქალაქამდე) იგეგმება.

23. 1947 წელს ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ მთელი მსოფლიოდან დაიძრნენ რეპატრიანტები აღთქმულ მიწაზე დასასახლებლად. მათ შორის იყვნენ ფალაშები — ეთიოპიელი ებრაელები, რომლებსაც ფაქტობრივად, შავი კანი ჰქონდათ. სხვა ებრაელებს არ უყვარდათ ისინი, უმდაბლეს ეთნიკურ ჯგუფად მიიჩნევდნენ და კიცხავდნენ არასათანადო ებრაელობისათვის.

24. ფილატელისტების ოცნებად ქცეული მარკებიდან ორი განსაკუთრებით სანუკვარი მარკა 1847 წელს მავრიკიაზე არის გამოშვებული. ერთი მათგანი, „ცისფერი მავრიკია“ თავდაპირველად ერთი პენი ღირდა, მეორე, „ფორთოხლისფერი მავრიკია“ — ორი პენსი. დღეს თითოეულის ფასი სამ მილიონ დოლარს აღემატება და კუნძულის ღირსშესანიშნაობათა სიაშია შეტანილი. მათთვის სპეციალურად მუზეუმია აგებული და საგანგებო დაცვა ჰყავს მიჩენილი. მარკები საათში ერთხელ გამოაქვთ დამთვალიერებლებისთვის და ისიც ათ-ათი წუთით, რადგან დღის შუქი ისევე მომაკვდინებლად მოქმედებს ქაღალდზე, როგორც დრო.

25. „პოპულარობა წარმავალი რამეა“, — მხრებს იჩეჩდა ერთ ინტერვიუში ფრანგი მსახიობი პიერ რიშარი, — „ამას წინათ, სიტეს კუნძულზე, ნოტრდამის სიახლოვეს ვსეირნობდი, როცა იაპონელი ტურისტები მომცვივდნენ. ყაყანებდნენ, ფოტოაპარატს ცხვირწინ მიტრიალებდნენ... ვიფიქრე, ჩემთან ერთად სურათის გადაღება უნდათ-მეთქი და ჰოლივუდური ღიმილი არ დავიშურე. ისინი კი თურმე მხოლოდ იმას მთხოვდნენ, ტაძრის ფონზე სურათი გადაგვიღეო“.

# „ნაბიქაჩი“ მულატკას მიეჯ ნაცემი ბოგო-პიჭები, მოწოლებული საჩქარო და გამოუსადეგარი ლამაზი კაცი

**ამბობენ, რომ თინეიჯერები ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ადამიანები არიან, რასაც „ჯეობარელი“ მულატკა არ ეთანხმება. მისი თქმით, მშობლები სწორედ მაშინ ცდებიან, როცა ჰგონიათ, რომ მათმა შვილმა დანაშაული გაუცნობიერებლად ჩაიდინა. მულატკამ გაგვიმხილა, რომ ძალიან უნდა მამასთან შეხვედრა, რომელიც მას მოკვლით ემუქრება.**

## ლიკა ქაჯაია

**— ამ ასაკში დამოუკიდებლად ცხოვრება რამდენად ადვილია?**

— მე ეს გამიადვილდა იმიტომ, რომ შინიდან წამოსვლის შემდეგ, პოპულარობას მალევე მივაღწიე. თან, ჩემი გარეგნობის წყალობით ფოტოსესიებში ვმონაწილეობ და ა.შ. მაგრამ საერთოდ, ამ ასაკში დამოუკიდებლად ცხოვრება ძალიან რთულია.

**— შინიდან წამოსვლის სურვილი რატომ გაგიჩნდა?**

— ოჯახში რაღაც პრობლემები მქონდა... მართალია, მამა უარს არასდროს არაფერზე მეუბნებოდა, მაგრამ რაღაცებს მიკრძალავდა და მეც, ამ აკრძალვებს არ ვემორჩილებოდი.

**— რატომ?**

— ხომ გაგიგონია, აკრძალული ხილი გემრიელიაო. მიმაჩნია, რომ მშობელმა შვილს არაფერი უნდა აუკრძალოს. პირიქით, უფროსებმა პატარებთან უნდა იმეგობრონ. სხვათა შორის, დედას ჩემი ესმის და ჩვენ ვმეგობრობთ. სამწუხაროდ, ის ახლა საქართველოში არაა, საზღვარგარეთ ცხოვრობს, მაგრამ ერთმანეთს ხშირად ვეკონტაქტებით.

**— როცა მშობელსა და შვილს შორის მეგობრული ურთიერთობა არ ყალიბდება, ეს ვისი ბრალია?**

— რა თქმა უნდა, მშობლის! ისინი ახალგაზრდებს ვერ გვიგებენ.

**— იქნებ, მამაშენი იმიტომ ვერ გიგებდა, რომ კაცია და მისთვის რაღაც-რაღაცები მიუღებელი, დამამცირებელია...**

— ჰო, მართალი ხარ. სხვათა შორის, მე მას არ ვამტყუნებ. ის მამაა, კაცია, თან, სხვანაირ ტრადიციებზე აღზრდილი და რაღაცები არ მოსწონდა, მაგრამ...

**— შენ არც ერთი ქართული ტრადიცია არ მოგწონს?**

— რა ტრადიციაზე მელაპარაკები, რომელი ერთი უნდა მომწონდეს (*იცინის*)?

**— ვთქვათ, „ქალიშვილობის ინსტიტუტს“ რა აქვს შენი დასაწუნი?**

— კარგი ერთი, რომელი საუკუნეა?! ეს ძალიან დიდი სისულელეა. კარგი, ვთქვათ გავთხოვდი და ქმარს ქალწულობა ჩავაბარე, მერე, ერთმანეთი რომ არ მოგვწონოს, ოჯახი უნდა დამენგრეს? შემდეგ, როცა ვიღაც გაშორების მიზეზს მკითხავს, რა ვუთხრა, — ქმარმა ვერ დამაკმაყოფილა-მეთქი? რა, ეს უფრო სამარცხვინო არაა? ამიტომაც, სანამ გათხოვდები, მამაკაცი კარგად უნდა გაიცნო!

**— შენ მკითხე, რომელი საუკუნეაო? XXI საუკუნეა, მაგრამ ეს რას წყვეტს?**

— ოოო, რა დროს ტრადიციაა?! იცი, იმას, რასაც მე ასე ხმამაღლა ვამბობ და აშკარად ვაკეთებ, სხვები მალულად აკეთებენ. ვფიქრობ, დასამალი არაფერი მაქვს.

**— მულატკა, ძმაც ვერ გიგებს?**

— ვერა, ისიც ხომ კაცია?! თუმცა, მამისგან განსხვავებით, ჩვენ ერთმანეთს მესიჯებით ვეკონტაქტებით, მაგრამ შინიდან წამოსვლის შემდეგ, ის არ მინახავს.

**— ბავშვობის დროინდელი ძმაკაცები არ გყავს?**

— რა თქმა უნდა, მყავს. მერე?

**— მათ მოსწონთ შენი სითამამე? არ გსაყვედურობენ?**

— ამ ბოლო დროს, რაღაცების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამენ, მაგრამ მაინც, ცდილობენ გამიგონ. მაგალითად, „ჯეობარში“ რომ ვიყავი, ერთ-ერთი ჩემი მეგობარი მოვიდა და მკითხა: რას აკეთებ, როგორ იქცევიო? ვუპასუხე: ეს ჩემი პირადულია და რასაც მინდა, იმას გავაკეთებ-მეთქი. ეწყინა, მისაყვედურა, — ცუდად იქცევიო. მაგრამ ამის გამო, მას ჩემთვის ზურგი არ შეუქცევია.

**— სახეზე, რამდენიმე ადგილას პირსინგი გაქვს. ამის გამო შენიშვნას არავინ გაძლევს?**

— არა. უბრალოდ, მეკითხებიან: ნუთუ, არ გტკივაო?

**— როგორ ფიქრობ, შენი თაობა ზედმეტად უკომპლექსოა?**

— ამას ყველაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ ძირითადად, მართლაც ასეთები არიან და ეს ძალიან მომწონს. მაგრამ ზოგს, ეს უკომპლექსობა უზრდელობაში გადასდის, რაც მაღიზიანებს. ვფიქრობ, ჩვენ, თავისუფალმა ადამიანებმა ოქროს შუალედი უნდა ვიპოვოთ.

**— შენ თუ იპოვე ეს ოქროს შუალედი?**

— მგონი, ვიპოვე: უკომპლექსოდ მაცვია, თავისუფლად ვიქცევი, მაგრამ ზედმეტად არავის შევეპასუხები, ხელს არ ვკრავ, არ შევაგინებ. პირიქით, თუ უფროს ადამიანს რაიმე დასჭირდა, სიამოვნებით დავეხმარები...

**— მშობლების გარეშე ცხოვრება არ გიჭირს?**

— კი, ხშირად მეუფლება ნოსტალგია და ამ დროს ძალიან მინდა, მამა ვნახო. სხვათა შორის, ამას წინათ შემთხვევით დავინახე — გარეთ იდგა, უბანში. მე მანქანით ჩავიარე. მინდოდა, გადავსულიყავი და მენახა, გადავხვეოდი, მაგრამ თავი შევიკავე.

**— რატომ?**

— ვიფიქრე, რომ მივიდე, მომკლავს-მეთქი და ცოტა ხანი შორიდან ვუყურებდი.

**— შინიდან წამოსვლა როდის გადაწყვიტე?**

— 3 თვის წინ და მას შემდეგ, ჩემები არ მინახავს. „ჯეობარში“ მონაწილეობის შემდეგ, მამა უფრო გამიბრაზდა. ერთხელ ტელეფონით ველაპარაკე და ლამის ყურმილიდან გამოძვრა. დაქალები მეუბნებოდნენ: სადაც გნახავს, იქ მოგკლავს, არსად შეეფეთოო.

**— როგორ ფიქრობ, რომ გნახოს, მოსაკალავად მართლა გაგიმეტებს?**

— (*ფიქრობს*) მგონი, კი. სხვათა შორის, დედასაც არ მოეწონა, „ჯეობარში“ ასეთი თამამი რომ ვიყავი. ამიტომ, თავიდან მის მოტყუებას ვცდილობდი და ვეუბნებოდი: ყველაფერი მონტაჟია-მეთქი, მაგრამ ის მოვლენებს ინტერნეტით ადევნებდა თვალს და ტყუილი არ გამომივიდა. მერე, გამიგო.

**— მულატკა, როგორი მოსწავლე იყავი?**

— ძალიან ცელქი, დაუმორჩილებელი გახლდით. სამაგიეროდ, კარგად ვსწავლობ-

**უკომპლექსოდ მაცვია, თავისუფლად ვიქცევი, მაგრამ ზედმეტად არავის შევეპასუხები**

დი. მასწავლებლები ამბობდნენ: ასეთი კარგი მოსწავლე და ასეთი ნაგიჟარი არ გვინახავსო. სხვათა შორის, ძალიან მომწონდა, როცა გაკვეთილზე შესვლას ვაგვიანებდი ან სკოლიდან ადრე მოვდიოდი. ვფიქრობდი, რომ სტუდენტური ცხოვრებით ვცხოვრობდი (*იცინის*).

**— „შატალოზე“ არ დადიოდით?**

— როგორ არა?! სკოლიდან ხშირად ვიპარებოდით და ბარში მივდიოდით, სადაც ცოტას დავლევდით, ცოტას — წავუცეკვებდით და ა.შ.

**— მშობლები ამას რომ იგებდნენ, როგორი რეაქცია ჰქონდათ?**

— სხვათა შორის, დედამ ყოველთვის იცოდა, როცა გაკვეთილს ვაცდენდი და ამ ამბავს გაგებით ეკიდებოდა. აბა, სხვები რომ წავიდოდნენ, კლასში მარტო ხომ არ დავრჩებოდი?

**— ისეთი კლასელი არ გყავდა, რომელიც „შატალოზე“ წამოსვლას აპროტესტებდა?**

— როგორ არა, ასეთებიც იყვნენ და სხვათა შორის, ამის გამო, ერთი გოგო ლამის შემომელახა.

**— რატომ?**

— ყველა თუ მიდის, შენ რატომ უნდა დარჩე-მეთქი და ლამის ვცემე.

**— ვინმე თუ გიცემია?**

— როგორ არა?! „ჯეიობარში“ ყოფნის დროსაც ვცემე ვიღაცები (*იცინის*). როცა პატარა ვიყავი, უბანში გოგოებსაც ვურტყამდი და ბიჭებსაც.

**— რა დამსახურებისთვის?**

— რა ვიცი, მამა მყავს კარატისტი და რაღაც ილეთები მეც ვისწავლე... მომწონდა, როცა ჩემი ეშინოდათ და ყველას საცემრად ვიწევდი. სხვათა შორის, უფრო ხშირად ბიჭებს ვურტყამდი.

**— სკოლის პერიოდში შეყვარებული არ გყავდა?**

— სკოლის პერიოდში კი არა, შეყვარებული არასდროს ყოფილვარ. ძალიან მინდა გავიგო, რა არის სიყვარული, მაგრამ ეს გრძნობა ჯერ არ მწვევია და რა ვქნა?!. სამაგიეროდ, მყავდა ბოიფრენდი და როცა მასთან პაემანი მქონდა, გაკვეთილიდან ვდგებოდი და გარეთ ისე გავდიოდი, რომ მასწავლებელს არაფერს ვეკითხებოდი (*იცინის*).

**— მერე, მასწავლებლები არ გიბრაზდებოდნენ?**

— მათთან ისეთი ურთიერთობა მქონდა, რომ ყველაფერს მიგებდნენ. პედაგოგების საყვარელი მოსწავლე ვიყავი.

**— როგორი ბიჭები მოგწონს?**

— იცი, ძალიან ცვალებადი ხასიათი მაქვს: შეიძლება, ამწუთას ვიღაც მომეწონოს, მაგრამ ხვალ ვთქვა: ვაიმე, რას ჰგავს-მეთქი. მამაკაცი ვაჟკაცი, სიმპათიური, ყურადღებიანი უნდა იყოს. ლამაზი კაცი კი არაფერში მჭირდება — რა, ვიტრინაში ჩავსვა და ვუყურო?..

**— შენზე ალბათ, ბევრი ჭორაობს...**

— მე არასდროს და არავის ამბავი გამირჩევია. ბევრს შური ალაპარაკებს, ბევრი კი მხოლოდ იმიტომ ჭორაობს, რომ საქმე არა აქვს და არ იცის, რა აკეთოს. ადრე, ჭორიკანებს შეიძლება, საცემრად გავკიდებოდი, მაგრამ ახლა, ამაზე რეაქცია აღარ მაქვს.

**— ამბობენ, ნებისმიერ ჭორში 99% სიმართლეაო...**

— რა სისულელეა?! ვიღაც ბოროტი რაღაცას რომ გამოიგონებს, ეს სიმართლე როგორ იქნება? ვერ ვიტან, როცა ვიღაცაზე ჭორაობენ. თუ ადამიანი პირადად შენ, ცუდად არ შეგხებია, რა შენი საქმეა, ის როგორ ცხოვრობს და რას აკეთებს?..

**— მულატკა, სკოლაშიც ასე გამომწვევად იცვამდი?**

— (*იცინის*) კი, ნამდვილად ასე იყო. ასეთ სამოსში თავს კომფორტულად ვგრძნობ.

**— შენს თაყვანისმცემლებზე რას მეტყვი?**

— თაყვანისმცემლები არასდროს მაკლდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც პოპულარული გავხდი, მათმა რიცხვმა საგრძნობლად იმატა.

**— და როგორია პოპულარობა?**

— კარგია მანამ, სანამ არ მოგბეზრდება.

**— შენ უკვე მოგბეზრდა?**

— ცოტათი. არიან ადამიანები, რომლებიც მირეკავენ და უაზრო კითხვებს მისვამენ ან ამას ინტერნეტის მეშვეობით აკეთებენ. მაგალითს ვერ მოგიყვან, რადგან ძალიან საშინელ რაღაცებს ამბობენ.

**— გლანძღავენ?**

— ვერა (*იცინის*). ასეთებს ვეუბნები: მულატკა არ ვარ, სხვაგან მოხვდით-მეთქი. მოკლედ, ხანდახან ვინაობის დამალვაც მიწევს. იცი, დარწმუნებული ვარ, ასეთი ადამიანები თავად საშინელ რაღაცებს სჩადიან, მაგრამ ყველაფერს საგულდაგულოდ ნიღბავენ და პატიოსანი, უმწიკვლო ადამიანების როლს თამაშობენ. ასეთები ძალიან საშიშნი არიან. სამაგიეროდ, არსებობენ ისეთებიც, რომლებიც შავსა და თეთრს კარგად არჩევენ. როცა „ჯეიობარიდან“ გამოვდიოდი, ვფიქრობდი, რომ ქუჩაში ხალხი ლანძღვას დამიწყებდა. ერთხელ, ვიღაც უფროსმა ქალმა მიცნო და დამიძახა. ზურგი შევაქციე, ვითომ ვერაფერი გავიგონე — შემეშინდა, აქ არ გამლანძღოს-მეთქი. რომ არ მომეშვა, მივუბრუნდი და იმის თქმას ვაპირებდი, — უკაცრავად, ვიღაცაში გეშლებითმეთქი, რომ ქალმა მოფერება დამიწყო: ჩემო საყვარელო, იცი, როგორ გგულშემატკივრობდი? მინდოდა, ფინალში შენ და დათუნა მენახეთო... შემდეგ გამეცნო — ლექტორი გახლდათ, ქიმიკოსი. ქალს გაკვირვებული ვუყურებდი. ამ ამბავმა ისე გამახარა, ვინმეს ჩემთვის სიყვარული რომ აეხსნა, დარწმუნებული ვარ, ასე არ მესიამოვნებოდა...

**— თაყვანისმცემლები სიურპრიზებს არ გიწყობენ?**

— სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი ბიჭები აღარ არიან... როცა „ჯეიობარში“ ვიყავი, საჩუქრებს თითქმის ყოველდღე ვიღებდი. სხვათა შორის, ერთხელ ვიღაც 16 წლის ანიმ მომწერა წერილი, რომელიც ახლაც შენახული მაქვს. მასში ეწერა: გთხოვ, ფანჯარიდან მაინც გამომხედეო. იქვე იდო კულონიც. სამწუხაროდ, გოგონას თხოვნა ვერ შევუსრულე, ფანჯრიდან ვერ გავხედე, რადგან ჩვენამდე წერილმა ძალიან გვიან მოაღწია. ანი, თუ ამ ინტერვიუს წაიკითხავ, შემეხმიანე... სკოლის პერიოდში მყავდა ისეთი თაყვანისმცემლები, რომლებიც საჩუქრებით მანებივრებდნენ. ისინი მაგიდაზე მიყრიდნენ რაღაცებს და გარბოდნენ. მახსოვს, ერთი ბიჭი გაკვეთილზე შემოვიდა და მასწავლებელს სთხოვა: თუ შეიძლება, მულატკას ერთი წუთით გავიყვანო. როცა გავედი, ხელში რაღაც შემომაჩეჩა და გაიქცა. ჩანთა და სუნამო იყო. მეორე დღეს სკოლაში მამამისი მოვიდა, ჩვენს საკლასო ოთახში შემოვიდა და თქვა: ერთი მაჩვენეთ, ვინაა ეს მულატკა ისეთი, ჩემი შვილი რომ გადარიაო?! როცა მნახა, აღიარა: ვა, ჩემს შვილს მართლაც, კარგი გემოვნება ჰქონიაო (*იცინის*).

**— ახლა თუ გყავს „ბოიფრენდი“?**

— კი, მაგრამ მის ვინაობას არ გაგიმხელ. ისე, ასაკით ჩემზე უფროსია.

**— დაბოლოს, რას ურჩევდი შენს თანატოლებს?**

— იყვნენ უბრალოები, სხვაზე ნურასდროს ილაპარაკებენ და ყოველთვის სიმართლის მხარეს დადგნენ.

# „ზოკში ვარ, გოგოებისკენ გასეღვაც აღარ მინდა...“

**გიორგი:**

„არ ვიცი, საიდან დავიწყო... 2003 წელს გავიცანი გოგო, რომელიც მაგრად მომეწონა. ჯერ დავუახლოვდი, მერე სიყვარულში გამოვუტყდი და მანაც, თანხმობით მიპასუხა. 2007 წლის აპრილამდე ერთად ვიყავით, ერთმანეთის გარეშე ვერ ვძლებდით, ერთმანეთის ყველა ნაბიჯი ვიცოდით. მარტის თვეში გამოჩნდა ბიჭი, რომელიც ჩემს შეყვარებულს ეკურკურებოდა, მასზე შეყვარებული გახლდათ. გოგოს ის ეზიზღებოდა, მისი დანახვაც არ უნდოდა. ვიცოდი, რომ იმ ბიჭს უყვარდა, მაგრამ რადგანაც ჩვენი ურთიერთობის შესახებ მანაც ყველაფერი იცოდა, მეგონა, შეეშვებოდა, მაგრამ... ერთ მშვენიერ დღეს შეყვარებულმა მითხრა, — აღარ მიყვარხარ, სხვა შემიყვარდაო. ამ ამბის შემდეგ შოკში ვარ. საერთოდ, გოგოებისკენ გახედვაც აღარ მინდა. არ ვიცი, რა ვქნა, მირჩიეთ რაიმე. წინასწარ გიხდით მადლობას“.

*P.S. თუ გიორგის წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს... და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (ანუ სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესის“ გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.*

ბაბოსგაურება

# „ეეგზიგლეპიან კაცეპი, ჩოკლეპიც პატარა ბოგონეპს აპჩიყვეპენ“

„გზის“ №7-ში დაიბეჭდა უცნობი გოგონას მესიჯი, სათაურით – „არ მინდა, ვიღაცის საყვარელი მერქვას“. ის გვწერდა, რომ 15 წლის ასაკში დედა გარდაეცვალა, მამამ ჯი, რომელიც სამუშაოდ საზღვარგარეთ იყო წასული, შვილებზე (უცნობს პატარა ძმა ჰყავს) ხელი აიღო, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ საქართველოში აღარ ჩამოსულა. გოგონას ასაკით უფროსი მამაკაცი შეუყვარდა, რომელმაც ამით ისარგებლა და ის ლოგინში ჩაიწვინა. ამის გამო უცნობი ძალიან წუხს და ამბობს, რომ მას ღმერთის რცხვენია.

**კესო,** *14 წლის:*

„ჩემო კარგო, მამაშენი არავითარ შემთხვევაში არ დაადანაშაულო. ვინ იცის, იქნებ ახლა მასაც უჭირს რაიმე. შეეცადე, იმ კაცთან ურთიერთობა შეწყვიტო“.

**პრანჭია:**

„ნუ გეშინია, ღმერთი შენთანაა და ყოველთვის დაგეხმარება. რაც შეიძლება ხშირად იარე ეკლესიაში და არ დანებდე! ეგ კაცი დაივიწყე! ჯერ ახალგაზრდა ხარ და მალე შეხვდები ადამიანს, ვისთანაც ბედნიერი იქნები“.

**უცნობი:**

„შენი ამბავი ჩემსას ძალიან ჰგავს. შეცდომა სიყვარულმა შეგნებულად ჩამადენინა. 2 წლის წინ, მეც შენსავით მტკიოდა სული, გაჩენის დღეს და კიდევ, იმ დღეს ვწყევლიდი, როდესაც ის გავიცანი. სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი, მეგობრებს ვემალებოდი, საკუთარ თავში ჩავიკეტე და შინიდან გასვლა აღარ მინდოდა. ასე მეგონა, ჩემი ამბავი ყველამ იცოდა და ზურგს უკან დამცინოდნენ. ჰოდა, მეც მრცხვენოდა. 2 წელი ტირილში გავატარე. მუდმივად დამამშვიდებლებს ვსვამდი, რადგან უძილობა და ნევროზი მაწუხებდა... გირჩევ, ეკლესიაში წახვიდე, მოძღვარი შეარჩიო და აღსარება ჩააბარო. აღსარების საიდუმლოს თვით ქრისტე ესწრება და ისმენს. ჰოდა, თუკი შეცდომებს გულით მოინანიებ, ყველა ცოდვა მიგეტევება და სულის სიმშვიდეს მოიპოვებ. თუ სურვილი გაგიჩნდება, დამიმესიჯე და ვიმეგობროთ“.

**მარი,** *13 წლის:*

„თუ გახსოვს, იესომ მარიამ მაგდალინელს მიუტევა ცოდვები და შენ, მით უმეტეს, მოგიტევებს. 12 წლის ვიყავი, როცა დედა დავკარგე. შენი გაცნობა მინდა და თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნება, ნომერი ლიკას გამოართვი“.

**ანასტასია,** *13 წლის:*

„ღმერთო, დაგვიფარე ყველა!.. ეს რა ხდება? ამქვეყნად არავის ვენდო?.. უცნობო, გწამდეს, შენთანაც მოვა ბედნიერება“.

**უცნობი:**

„ვერ ვხვდები, ძალით როგორ ჩაგიწვინა? ამბობ, — ჩემი სიყვარულით ისარგებლაო. თუ ძალით ჩაგიწვინა, აქამდე რატომ გაქვს მასთან ურთიერთობა? სხვას ნუ ადანაშაულებ იმაში, რაშიც ნაწილობრივ, შენც ხარ დამნაშავე“.

**ლიმონა-მანუ:**

„რაც მართალია, მართალია — როცა სულიერ სიცარიელეს გრძნობ, ვერ ხვდები, ვინ არის შენი კეთილისმსურველი... ო, ღმერთო, როგორ მეზიზღებიან კაცები, რომლებიც პატარა გოგონებს აბრიყვებენ. ვაი, რომ ის კაცი ერთადერთი არაა ამქვეყნად და ვუი, რომ მის უკან „საკაცეთის“ უმეტესობაა. გამოსავალი? — მათ მოდგმას გოგომ არ უნდა გააბრიყვებინოს თავი. მართლაც, გოგოებს ბატ ტასიკოებს სამართლიანად ეძახიან. ეჰ, კაცს სიყვარული არასდროს ეცოდინება“.

**NONSTOP:**

„პრივეტ“, ლიკ. პირველ რიგში, მინდა გაბედნიერება მოგილოცო. სულ ბედნიერი ყოფილიყავი, ამას ნამდვილად იმსახურებ. ახლა კი მინდა, უცნობს გამოვეხმაურო: ჩემო კარგო, მართლაც რთულ სიტუაციაში ხარ, მაგრამ თავის მოკვლით ვერაფერს შეცვლი. გთხოვ, ამაზე ნუ ფიქრობ. აჯობებს, იმ ადამიანს დაშორდე და მისი არსებობა დაივიწყო. მას რომ ჰყვარებოდი, ასე არ მოგექცეოდა. თუ სურვილი გექნება, დამიმესიჯე. უფალი შეგეწიოს“.

**„ეს რა ხდება? ამქვეყნად არავის ვენდო?..“**

**ალეკსანდრი,** *17 წლის:*

„პრივეტ“, ლიკ. ეს რა ხდება? ყველა თავის მოკვლაზე რატომ ფიქრობს? ხალხნო, თვითმკვლელობაზე ფიქრიც კი მიუტევებელი ცოდვაა. უცნობო, ამქვეყნად ბევრი კარგი რამ არის, რისთვისაც ცხოვრება ნამდვილად ღირს. გამაგრდი! მთავარია, სულით არ დაეცე და ყველაფერი კარგად იქნება“.

**მის რეალი:**

„ღმერთის ნუ გრცხვენია! მთავარია ის, რომ შენს შეცდომას მიხვდი და ინანიებ. ის კაცი შენი ღირსი არაა. შეეცადე, დაივიწყო და ისეთი ვინმე იპოვო, ვისაც მართლა ეყვარები და გეყვარება. შენც ხარ ბედნიერების ღირსი. თუ სურვილი გექნება, დამიკავშირდი“.

**SMS-ბარელი ბიმი,** *17 წლის:*

„ფაქტია, რომ იმ კაცმა გამოგიყენა. თან, შენზე გაცილებით უფროსი იყო და შენნაირ პატარა გოგოს სერიოზულად არ შეხედავდა (ამას საწყენად არ გეუბნები). გამაგრდი“.

**ამაზონკა:**

„კარგია, საკუთარ შეცდომას ასე რომ განიცდი, მაგრამ ნუთუ, არ გრცხვენია მაშინ, როცა თავის მოკვლაზე ფიქრობ? სიამაყე ხომ გაგაჩნია? ჰოდა, დაშორდი მას! იქნებ, გსიამოვნებს მის სათამაშოდ ყოფნა? გამოფხიზლდი!!! არ მისცე უფლება, შენი სხეული დაჯიჯგნოს და მიგაგდოს. ცხოვრება წინ გაქვს და ვის გამო უნდა მოიკლა თავი? უღირსის გამო? წადი ეკლესიაში, სანთელი დაანთე და ილოცე. უფალი გფარავდეს“.

**პატარა:**

„არა უშავს, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. მთავარია, მიწაზე მყარად იდგე და სულით არ დაეცე. ჩემო კარგო, ამჯერად, საკუთარ თავზე მეტად, ვერავინ დაგეხმარება. წარმატებები!“

**ნაზი:**

„საყვარელო, გამხნევდი და უფალი აუცილებლად დაგეხმარება. ტაძარი და რწმენა ხსნის ერთადერთი გზაა“.

**თეთრი ვარდი,** *თელავიდან:*

„ერთ რამეს გეტყვი, ჩემთვის უცნობო ადამიანო: არავის მისცე უფლება, შენი სხეული დაჯიჯგნოს. კაცს, რომელმაც გამოგიყენა, ღმერთი სასუფეველში სამაგიეროს მიუზღავს. ვერ გეტყვი, წარსული დაივიწყე-მეთქი, რადგან ვიცი, ეს გაგიჭირდება. შეეცადე, ამის შემდეგ სწორ გზაზე იარო. წმინდა გიორგიმ დაგიფაროს! პატივისცემით“.

**ფრანცუზ:**

„ჩემო კარგო, თუ არ გინდა, რომ ვიღაცის საყვარელი გერქვას, ეგ კაცი მიატოვე და ცხოვრება თავიდან დაიწყე. მაგრამ ეტყობა, მასზე რაღაცით დამოკიდებული ხარ (ეს შენი სიტყვებიდან ჩანს). იცოდე, ორასი ხიდი რომ ააგო და ერთხელ მიქარო, ყველა მარტო შენს მიქარულს გაიხსენებს. მაპატიე, თუ პირდაპირი ვიყავი და გული გატკინე, მაგრამ ეს შენთვის ვიღაცას აუცილებლად უნდა ეთქვა. უცნობო, ხშირად გაიღიმე — ცხოვრება მშვენიერია და შენ ყველაფერი წინ გაქვს“.

**ნეკატო:**

„თანაგიგრძნობ და გეთანხმები, მამა ცუდად მოგექცა. გთხოვ, იმ პიროვნებას არ მისცე უფლება, სათამაშოდ გაქციოს

და როცა მოესურვება, მაშინ შეგირიგდეს. ღმერთი გფარავდეს, მუდამ, უცნობო და მალე, ლამაზი სიყვარულიც გწვეოდეს“.

**ნატა:**

„მართალია, დიდი შეცდომა დაუშვი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავი უნდა მოიკლა. თუ გრძნობ, რომ იმ ადამიანს არ უყვარხარ, დაშორდი! მერწმუნე, ამით ცხოვრება არ დაგენგრევა“.

**7676:**

„მე შემიძლია, ღირებული რჩევა მოგცე, მაგრამ არ ვიცი, შენ ამას რამდენად გაითვალისწინებ. გეტყობა, კარგი და წმინდა ადამიანი ხარ, რადგან არ გინდა, ვინმეს საყვარელი გერქვას. არა უშავს, მერე რა, რომ შეცდომა მოგივიდა?! მთავარია, შენი სულის სიწმინდე შეინარჩუნო. შეეშვი იმ კაცს და მის გარეშე განაგრძე ცხოვრება. ერთი შეცდომის გამო მთელ ცხოვრებას ნუ დაინგრევ და სახელს ნუ შეირცხვენ... ყველაფერი გამოსწორდება, დამიჯერე. თუ სურვილი გექნება, დამიკავშირდი და ვიმეგობროთ“.

**გულგატეხილი თათა:**

„სასოწარკვეთა უაზრობაა, რადგან გამოსავალი ყოველთვის არსებობს. პირველ რიგში, ცხოვრება თავიდან დაიწყე, იმ კაცს სამუდამოდ დაშორდი და ისწავლე, რაიმე პროფესიას დაეუფლე. ჰო, კიდევ, შენი თავის ფასი იცოდე. მეც დავკარგე დედ-მამა და მესმის შენი. მალე გამოჩნდება შენი შესაფერისი, ღირსეული კაცი, რომელიც ცხოვრებას გაგილამაზებს. მანამდე კი საკუთარ მომავალზე იზრუნე. ისწავლე, ბევრი იკითხე, ტაძარში იარე. მერწმუნე, სულიერად ძლიერ და ჭკვიან ადამიანს ვერავინ და ვერაფერი დაამარცხებს“.

**უცნობი გოგო:**

„ძნელია იმის დავიწყება, ვინც წლების განმავლობაში მხარში გედგა, მაგრამ ჯობია, თავს ძალა დაატანო და დაშორდე, რადგან შენი სიყვარულის ღირსი ნამდვილად არ ყოფილა... ალბათ, იმაში, რომ ამდენი რამ გადაიტანე, მამაშენიც დამნაშავეა — ასეთ მძიმე წუთებში მართლაც, თქვენ გვერდით უნდა ყოფილიყო. ნუ ამბობ, რომ პირჯვარს ვერ იწერ, რომ ღმერთის გრცხვენია. უფალს თუ გულწრფელად სთხოვ პატიებას, ყველაფერს მოგიტევებს. და კიდევ, თუ მეგობარი გჭირდება, შემეხმიანე“.

**გიორგი,** *26 წლის:*

„უცნობო, უნდა შეძლო და ცხოვრება თავიდან დაიწყო. ის მამაკაცი დაივიწყე და შენთან მოახლოების უფლება არ მისცე. ეკლესიაში შედი და სანთელი აანთე. თუ სურვილი გექნება, შემეხმიანე. ნომერი ლიკასთანაა“.

**ნინო:**

„პატარავ, მე ამოგიდგები მხარში და სწორ, პატიოსან გზაზე დაგაყენებ, მაგრამ მთავარია, ეს შენც მოინდომო. შენმა წერილმა უხმოდ ამატირა და მინდა, დაგეხმარო“.

**მგზავრი:**

„კარგია, რომ ღმერთის გრცხვენია. გირჩევ, ეკლესიაში იარე და პირჯვარი ხშირად გადაიწერე. და კიდევ, ის „ახვარი“ ჩამოიცილე“.

# „ღლეს მაკუნამ აგვიხილა თვალები...“

**„გზის“ №6-ში დაიბეჭდა სევდიანი გოგოს (ანუკის) ინტერვიუ, რომელიც ამბობდა, რომ ოჯახიდან წამოვიდა, რადგან ყურადღებას არავინ აქცევდა. ანუკი იმასაც აღნიშნავდა, რომ ძალიან ცუდადაა (სიმსივნე აქვს), მისი დღეები დათვლილია, მაგრამ მშობლებს და ძმას მისთვის არასდროს ეცალათ... ამ ინტერვიუს „გზის“ მკითხველი, ქუთაისელი მაკუნა გამოეხმაურა, რომელიც გოგონას ტყუილში ადანაშაულებდა და ბოლოს, წერდა, — თუ ამის გამო გამიცხავთ, ყველას ბოდიშს მოგიხდით და „გზიდან“ საერთოდ წავალო.**

## ანუ „ჩვენ შენი მეგობრები ვართ და გაგიგებთ“

**ფლამინგო:**

„მაკუნა, შეუგნებელი ნამდვილად არ ხარ. შენ ყველანაირად შეეცადე, ანუკის დახმარებოდი, მაგრამ ძნელია, ემეგობრო ადამიანს, რომელიც მატყუარაა. იქნებ, მოვახერხოთ და ერთმანეთი გავიცნოთ, მეც ქუთაისელი ვარ“.

**მეგრელი კისა,** *16 წლის:*

„გამარჯობათ. ვფიქრობ, რომ სევდიანი გოგო იტყუება. ამით ალბათ, ყურადღების მიქცევა უნდოდა და ეს გამოუვიდა კიდეც. მაგრამ თუ ვცდები, ღმერთმა მაპატიოს. მეც მყავდა დაქალი, რომელიც ყველას გვატყუებდა, თითქოს კიბო ჰქონდა. როცა სიმართლე გავიგე, დავშორდი. მაშინ ეს არც უდარდია, მაგრამ ახლა, შერიგებას მთხოვს... ანუკი, თუ ეს ტყუილია, დროზე თქვი, ღმერთმა არ დაგსაჯოს და ეგ ავადმყოფობა მართლა არ დაგემართოს. კარგად დაფიქრდი და მეგობრებიც დააფასე“.

**ნაზი ბებო,** *რუსთავიდან:*

„რომ არ მომეწერა, გული გამისკდებოდა. რომელი მშობელი აპატიებს შვილს იმას, რომ მან სხვის შვილებს მამა წაართვას? ამ გოგომ ყველანი როგორ მოგვატყუა? მაგისტოლა შვილიშვილი, შვილთაშვილი მყავს და როგორ გამაცურა? როგორ შეიძლება, ამდენი ტყუილი? მე პირადად, „უხერხულში“ ვარ, რადგან მან ჩვენ შეურაცხყოფა მოგვაყენა. ჩემმა ქუთაისელმა გოგომ, მაკუნამ ის ისე მიიღო, როგორც მეგობარი და ბოლოს, რა გამოვიდა?.. ლიკა, შვილო, მან ხომ შენც მოგატყუა? ჩემამდე არ მოდის, რაში დასჭირდა ეს ყველაფერი? მეც გამწარებული ვარ, ძმისგან, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ცუდი რაიმე ჩავიდინე, უბრალოდ, მშობლებს გოგოზე მეტად, ბიჭი უყვარდათ და მე ამას შევეგუე. ლიკა, ბოდიში“.

**პრანჭია:**

„სევდიანი გოგოსი არ მჯერა და მაკუნას ყველაფერში ვეთანხმები. შეიძლება, მას მართლაც აქვს რაღაც პრობლემები, მაგრამ ასე არავინ უნდა გააბრიყვოს. რომ თქვა, სიმსივნე მაქვსო, ამით რისი თქმა უნდოდა? ეტყობა, სახლიდან რომ წამოვიდა, ამაშიც იყო რაღაც პრობლემა. მინდა, ვუთხრა, რომ ასე, ტყუილებით ვერ იცხოვრებს... დღეს მაკუნამ აგვიხილა თვალები, ხვალ ამას სხვა გააკეთებს. ასე რომ, ამქვეყნად არაფერი იმალება. იცხოვრე სიმართლით და ღმერთი არ გაგწირავს“.

**მარ-ათენი:**

„მაკუნა, მჯერა, რომ არ იტყუები და მის დახმარებას გულით ცდილობდი. ამ გოგოს თავიდანვე შევატყვე, რომ პრობლემა საკუთარ თავში უნდა მოეძებნა... მაკუნა, შენ არა და, ნამდვილი მატყუარები „გზიდან“ ნაღდად უნდა გაქრნენ“.

**მგზავრი:**

„ძალიან ცუდია, ვიღაცები მკითხველების გაბითურებას და მათ გრძნობებზე თამაშს რომ ცდილობენ. მაკუნა, დიდი მადლობა იმისათვის, რომ ყველაფერი პირდაპირ თქვი. კარგი ადამიანი ხარ“.

**მეგრელი კანიბალკა:**

„არ მინდა დავიჯერო ის, რაც სევდიან გოგოზე წერია, რადგან მას პირადად ვიცნობ და ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. თუმცა, ვერც იმას დავიჯერებ, რომ მაკუნა იტყუება. მე მასაც ვიცნობ, ისიც კარგი გოგოა. ამიტომ, ორივეს გთხოვთ, გაჩუმდით! მაკუნა, შენ მეტი აღარაფერი დაწერო მასზე და ანუკი, თუ ეს ყველაფერი გამოიგონე, აღიარე, გთხოვ. ჩვენ შენი მეგობრები ვართ და გაგიგებთ. მაპატიეთ, თუ თქვენს საქმეში ვერევი, მაგრამ ამას მეგობრობის ხათრით ვაკეთებ“.

*დაბოლოს, მაკუნას მესიჯს თავად ანუკიც გამოეხმაურა:*

„ღამე მშვიდობისა, ლიკა. მაკას „ესემესით“ აღფრთოვანებული ვარ. პირველ რიგში, იმას ვიტყვი, რომ თუ თეატრალურში ჩავაბარე, პირველსავე სპექტაკლზე მოსაწვევს გავუგზავნი... მაკუნა, რა უფლება გაქვს, ჩემს პირად ცხოვრებაზე ჩემი თანხმობის გარეშე რომ ლაპარაკობ? შენს ცხოვრებას მიხედე, ჯობია. ჰო, შენნაირი არ ვარ, ლანძღვა რომ დაგიწყო... რაც შეეხება ფულს, ჩემი მეგობრები 5-10 ლარს მაძლევენ და არა მგონია, ამით რაიმე წამალი ვიყიდო... რაც შეეხება ჩემს სიყვარულს, ის მაშინ ცოლს გაშორებული იყო“. ■

# „მეც თქვენი ტოლი ვარ, გული არ ბერდება... კაბასაც ჩავიცვამ მოკლეს...“

**კაბა მართლაც მოკლე ეცვა, შავი — წითელი მაქმანით, ბაკურ ბაკურაძის დიზაინით შეკერილი. პროფესიით ექიმ-თერაპევტმა, 2000 ლექსისა და 400-მდე სიმღერის ტექსტის ავტორმა ნანა ცინცაძემ, ცოტა ხნის წინ კინომსახიობთა თეატრში ახალი ალბომის, სახელწოდებით — „ვარსკვლავთცვენა“ პრეზენტაციაზე მიგვიპატიჟა. ალბომში მის ტექსტებზე დაწერილი 21 სიმღერაა შესული, რომელსაც მხოლოდ ახალგაზრდა შემსრულებლები ასრულებენ. საღამომ თბილ და სასიამონო გარემოში ჩაიარა. წამყვანის ამპლუაში თავად მასპინძელი მოგვევლინა. ნანა ცინცაძე თითოეულ გამომსვლელს საკუთარი ლექსით ეგებებოდა, მათ შორის იყვნენ: ნოდიკო ტატიშვილი, დათო არჩვაძე, სოფო კუჭავა, სოფო ბედია, ნინო ჩხეიძე, ჯაბა ბოჯგუა და სხვები. იმ დღეს მაყურებლის წინაშე ნაცნობ სახეებთან ერთად, ახალბედა მომღერლებიც წარდგნენ.**

მაია ღულუნიშვილი

**— ქალბატონო ნანა, რატომ დაარქვით ალბომს „ვარსკვლავთცვენა“? მონაწილეთაგან — ზოგიერთისთვის სრულიად უცნობი იყო...**

— მომღერლებს, რომელთა მიერ შესრულებული სიმღერებიც ამ დისკში შევიდა, სხვადასხვა ტელეპროექტიდან იცნობს მსმენელი. ამ ადამიანებს გარკვეული სიტყვა უკვე აქვთ ნათქვამი. თუმცა აქვე იბადება კითხვა, რამდენ ხანს გასტანს მათი პოპულარობა. ღმერთმა ქნას, რომ ამ ადამიანებისგან რამდენიმე მაინც დარჩეს ცაზე მოკაშკაშე ვარსკვლავად, რომლებსაც ჩამოვარდნა არ ემუქრება. ჩემი სურვილი იყო, ეს ახალგაზრდები საზოგადოების წინაშე წარმედგინა, ამ დღეს ზოგიერთის დებიუტიც კი შედგა. უკვე მზად არის ჩემი ტექსტების მიხედვით დაწერილი ქალაქური სიმღერების ალბომიც. მასში შესულია ისეთი რანგის მომღერლების შესრულებული სიმღერები, როგორებიც არიან: ეკა კვალიაშვილი, თემურ თათარაშვილი, მერაბ სეფაშვილი, გიო ხუციშვილი, მამუკა ონაშვილი, ნატო გელაშვილი და სხვები. კომპაქტდისკები სტუდია „თბილისში“ დამზადდა. რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მერაბ შაყულაშვილს. მას უნდოდა ჯერ ქალაქური სიმღერები წარგვედგინა საზოგადოებისთვის, შემდეგ კი ახალგაზრდების. მაგრამ მე არ დავთანხმდი. რადგან ეს ახალგაზრდები საოცრად ელოდნენ ამ დისკის გამოსვლას. მინდა, ამ ფორმით მათ მიმართ დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოვხატო. მათ ძალიან დიდი მხარდაჭერა სჭირდებათ, ჩვენგან. ამ პროექტში ჩემი სული და გული ჩავდე, როგორი გამოვიდა, ეს საზოგადოების გადასაწყვეტია. მინდა ჩემი შემოქმედება ხალხისთვის მისაღები იყოს. თუ შეყვარებულებს ერთმანეთს უფრო მეტად შეაყვარებს, დასაფიქრებელზე დააფიქრებს და გასახარელზე გაახარებს, მაშინ მე ბედნიერი ვიქნები. ბედნიერება სიყვარულის საფუძველია. სწორედ სიყვარულმა შეგვაძლებინა ის, რომ საღამო ასეთი თბილი და ემოციური გამოვიდა. ძალიან მადლიერი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც ამ დღეს გვერდით მედგა. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ესტა კაცობაშვილს, ნიკა თავდიშვილს, ქალბატონ თამარსა და ნინოს. ამ ადამიანებმა ძალიან დიდი დახმარება გაგვიწიეს.

**— თქვენს ახალ შემოქმედებით ნაყოფს როდის გაეცნობა საზოგადოება? რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?**

— უკვე თითქმის მზად არის ჩემი ლექსების კრებული, რომელიც ყველაზე დიდი მოცულობის გახლავთ მათ შორის, რაც აქამდე გამომიცია. მასში თითქმის ყველა ჩემი ლექსი შევა. მის დიზაინზე ჩემი ნათლული თამუნა ჩიკვილაძე მუშაობს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, უკვე მზად არის ქალაქური სიმღერების ალბომი, რომელსაც უახლოეს მომავალში წარვუდგენთ საზოგადოებას. აგრეთვე გეგმაში გვაქვს ალბომი, რომელშიც ნამდვილი ვარკვლავების მიერ შესრულებული სიმღერები შევა და მას „ცაზე შერჩენილ ვარსკვლავებს“ დავარქმევთ. ■

ამ ადამიანებს გარკვეული სიტყვა უკვე აქვთ ნათქვამი

## ცრუგანგაში

თუ თავბრუ საყვარელი ადამიანების მკლავებში განაბულს, დიდ აუდიტორიაში გამოსვლის წინ, ანდა მრისხანე უფროსის მიერ მოწყობილი გაცოცხვისას დაგესხათ, არ ინერვიულოთ. ჯანმრთელობა წესრიგში გაქვთ, ხოლო თავბრუსხვევის მიზეზი ადრენალინის დიდი რაოდენობით გამოყოფაა, რაც სისხლძარღვების გლუვი კუნთების სპაზმს იწვევს.

ორბიტაზე ყოფნის პირველი კვირის მანძილზე, კოსმონავტებს, როგორც წესი, თავბრუსხვევა ტანჯავს. მიზეზი კი ისაა, რომ ამ პერიოდში ორგანიზმი უწონადობას ეგუება, მიმდინარეობს სისხლის გადანაწილება, ხოლო მაღლა-დაბლას გარკვევაში მყოფი ვესტიბულატორული აპარატი საერთოდ „ჭკუაზე იშლება“.

თავბრუსხვევა ხშირად ტრანსპორტში, კარუსელზე ანდა კინოთეატრში (თუ ფილმი „ხელის კამერის“ ტექნიკითაა გადაღებული) ნჯღრევასაც ახლავს თან. ამაში დამნაშავე კი ჩვენი ვესტიბულატორული აპარატის მიერ აღქმულსა და ჩვენ მიერ დანახულს შორის არსებული შეუსაბამობაა. ტვინი ორივე სიგნალს ერთდროულად აანალიზებს, რის გამოც ყველაფერი ერთმანეთში ირევა და უსიამოვნო შეგრძნებებსაც სწორედ ეს იწვევს. წყლის ტრანსპორტით მგზავრობით გამოწვეული ასეთი მდგომარეობა „ზღვის ავადმყოფობადაა“ ცნობილი. მისი სიმპტომები ზოგიერთ ადამიანს უფრო მკვეთრად, ზოგს კი ნაკლებშესამჩნევად აქვს გამოხატული. სხვათა შორის, „ზღვის ავადმყოფობის“ ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ „მსხვერპლს“ ლეგენდარული ადმირალი ნელსონი წარმოადგენს.

საშიში არც სიმაღლეზე ყოფნით გამოწვეული თავბრუსხვევაა. უბრალოდ უნდა გვახსოვდეს, რომ დიდხანს შორს ყურების შემდეგ, ადამიანს ახლომდებარე საგნებზე მზერის ფოკუსირება უძნელდება.

თავბრუსხვევა შეიძლება, წონასწორობაზე პასუხისმგებელი თავის ტვინის განყოფილებების სისხლით მომარაგების შეფერხებამაც გამოიწვიოს. ამისთვის კი ავად გახდომა კი არა, თავის უხერხულად მობრუნება, ანდა უკან გადაქნევაც სრულიად საკმარისია. ამიტომაც კისრის კუნთების ვარჯიშების შესრულებისას მაქსიმალური სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ. ხოლო თუ ჭამა ხშირ-ხშირად გავიწყდებათ (ამას, პირველ რიგში, დიეტაზე მყოფთა გასაგონად ვამბობთ!), თავბრუ შეიძლება, სისხლში გლუკოზის ნაკლებობის გამოც დაგეხვეთ.

*რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი*

# რატომ გვესხმის თავბრუ?

**თავბრუსხვევა ავადმყოფობა კი არაა, მისი ერთ-ერთი ნიშან-სიმპტომია, რაღაც თავის ტკივილის ან მაღალი ტემპერატურის მსგავსი მოვლენა. ხოლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი კონკრეტული ავადმყოფობის სიმპტომია, ეს ექიმების დასადგენია. თუმცა, ამ კუთხით გარკვეული ცოდნის მიღება არც პაციენტებს აწყენდათ.**

## დროა, ვიმკურნალოთ

თუ თავბრუ სისტემატურად გეხვევათ, მაშინ ფიზიოლოგიურ კი არა, პათოლოგიურ თავბრუსხვევასთან გვაქვს საქმე. ანუ ასეთი თავბრუსხვევა უკვე რომელიმე ავადმყოფობის სიმპტომია. ხოლო იმის დადგენაში თუ კონკრეტულად რომელ ავადმყოფობაზეა საუბარი, თავბრუსხვევის თანმხლები შეგრძნებები დაგეხმარებათ.

## მხოლოდ თავბრუსხვევა და სხვა არაფერი...

თავბრუსხვევის საკმაოდ ხშირი მიზეზი შიდა ყურში მდებარე ვესტიბულატორული აპარატის დაავადებაა. ასეთ თავბრუსხვევას ჭეშმარიტს ანუ ვერტიგოს უწოდებენ. ის მწვავედ ვლინდება და თან სივრცეში საკუთარი სხეულის ანდა ირგვლივ მყოფი საგნების გადაადგილების ილუზია, გულისრევა, პირღებინება და ცივი ოფლიც ახლავს. ეს უსიამოვნებები შეიძლება, ისეთი იშვიათი ავადმყოფობის ფონზე წარმოიშვას, როგორიც ოტიტია. ამ დროს თავბრუსხვევას თან ყურში ტკივილის შეგრძნებაც ახლავს.

## თავბრუსხვევას + სმენის დარღვევა

თუ თავბრუსხვევა ვლინდება შეტევების სახით, რომლებიც რამდენიმე საათს გრძელდება და თან ყურებში ხმაური ან სტვენაც ახლავს, საქმე მენიერის დაავადებასთან გვაქვს. ამ დაავადებას შიდა ყურის ვესტიბულატორული ნაწილების გარემომცველი სითხის მომატება, ანდა მასში ელექტროლიტების თანაფარდობის ცვლილება იწვევს. საინტერესოა, რომ ასეთი დაავადების გამო სმენის დაქვეითებისას შესაძლებელია, გარკვეული სიხშირეების ამოვარდნა მოხდეს. ანუ ადამიანს შეიძლება, მშვენივრად ესმოდეს ჩურჩულით ნათქვამი ყოველი სიტყვა, ჩვეულებრივი საუბარი კი ვერაფრით გაარჩიოს.

თუ თავბრუსხვევა შეუმჩნეველად, თითქოს ნელ-ნელა ვითარდება და სმენის ცალმხრივი დაკარგვაც ახლავს თან, მაშინ აუცილებელია, თავის ტვინის სიმსივნის გამორიცხვა. ხოლო თუ მკვეთრად ცალმხრივი სიყრუე მყისიერად დგება, მაშინ უფრო ნაკლებად საშიშ პერილიმფატიკურ ფისტულასთან ანუ შუა და შიდა ყურს შორის არსებული მემბრანის გასკდომასთან გვაქვს საქმე. ამ მიზეზით გამოწვეული თავბრუსხვევის განმასხვავებელი თავისებურება ისიცაა, რომ ის ხველების ან ცემინების დროს ძლიერდება.

## თავბრუსხვევას + თავის ტკივილი

გულისრევით, ყურებში ხმაურის შიშის თანხლებით მიმდინარე თავბრუსხვევა შეიძლება, შაკიკის მომასწავებელი იყოს.

ხოლო თუ ადამიანი თავბრუსხვევასა და თავის ტკივილს ერთდროულად გრძნობს, ამის მიზეზი შეიძლება, მოწამვლა (მაგალითად, ალკოჰოლური მოწამვლა ან მძიმე ინფექციური დაავადებებით გამოწვეული ინტოქსიკაცია) ანდა ქალა-ტვინის ტრავმა იყოს.

## თავბრუსხვევას + კოორდინაციის დარღვევა

მწვავე თავბრუსხვევა, რომელსაც თან ახლავს გონების დაკარგვა, მხედველობის დარღვევა, მგრძნობელობის შეცვლა, სისუსტე, კოორდინაციის გართულება, შეიძლება, ისეთი სერიოზული მიზეზით იყოს გამოწვეული, როგორიც თავის ტვინში სისხლის მიმოქცვის მწვავე დარღვევა ანუ ინსულტია. ასეთი სიმპტომების გამომჟღავნებისთანავე აუცილებელია სასწრაფო დახმარების დაუყოვნებლივ გამოძახება.

## თავბრუსხვევას + ფსიქოლოგური დისკომფორტი

გონების „დაბინდვის“, ცუდად გახდომის, ვარდნის შიშის შეგრძნება თავბრუსხვევას შეიძლება, ნევროზის ან დეპრესიის დროს ახლდეს თან. ასეთ თავბრუსხვევას ფსიქოგენურს უწოდებენ და ზოგჯერ კვირაობით და თვეობითაც გრძელდება.


აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

| გამოცემის დასახელება | 1 კვ. ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. ოჯახის ჟურნალი | 0.88 | 11.2 |
| 2. ЗДОРОВЬЕ | 6.08 | 36.0 |
| 3. КАРДИОЛОГИЯ | 14.00 | 84.0 |
| 4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА | 11.00 | 66.0 |
| 5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ | 9.55 | 57.3 |
| 6. МЕДИЦИНА ТРУДА | 14.00 | 84.0 |
| 7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС | 50.95 | 305.6 |
| 8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ | 9.55 | 57.3 |

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
საagენტო
ელვა

ქ. თბილისი
თოხლაძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

## მოძრაობის დროს გაძლიერებული თავბრუსხვევა

თავბრუსხვევა აწუხებდა ისეთ ცნობილ ადამიანებს, როგორებიც იყვნენ: იულიუს კეისარი, მარტინ ლუთერ კინგი და ედგარ პო.

ხალხური გადმოცემით, თავბრუსხვევის პროვოცირებას ვერხვის სიახლოვეს დიდხანს ყოფნაც იწვევს, რადგან ამ ხეს ენერგიის „გამოწოვა“ შეუძლია.

მდორედ მიმდინარე თავბრუსხვევა, რომელიც მოძრაობის დროს და განსაკუთრებით მაშინ ძლიერდება თუ ადამიანი თავბრუსხვევის წარმოშობის მომენტში თავს ატრიალებს, ალბათ, უფრო კისრის ან ხერხემლის ოსტეოქონდროზთან უნდა იყოს დაკავშირებული.

თუ თავბრუსხვევა სხეულის მდებარეობის შეცვლითა და მხოლოდ თავის გარკვეული მდებარეობის დროს წარმოიშობა (შეტევა, ჩვეულებრივ, რამდენიმე წამიდან რამდენიმე წუთამდე გრძელდება და მშვიდ მდგომარეობაში გაივლის), შეიძლება, ეჭვი კეთილთვისებიან პოზიციურ თავბრუსხვევაზე მივიტანოთ. ამ დაავადების არსი ვესტიბულარული აპარატის გარკვეული რეცეპტორების დაშლაშია, რასაც კალციუმის კარბონატის კრისტალების გამოთავისუფლება მოსდევს. თავბრუსხვევას სწორედ ამ კრისტალების მიგრაცია იწვევს.

## თავბრუსხვევა წამლის მიღების შემდეგ

თავბრუსხვევა შეიძლება, ზოგიერთი სამკურნალო პრეპარატების — ალერგიის საწინააღმდეგო (სუპრასტინი, დიმედროლი), გაცივების საწინააღმდეგო (კოლდრექსი, ტერაფლუ) საშუალებების, ზოგიერთი ანტიბიოტიკების, საძილე საშუალებებისა და ტრანკვილიზატორების მიღებამაც გამოიწვიოს.

## როგორ მოვიქცეთ?

თუ მოულოდნელად თავბრუ დაგეხვათ, მთავარია, დამშვიდდეთ და შეეცადოთ, არ დაეცეთ, რადგან თავბრუსხვევის დროს ძალიან ხშირად წონასწორობაც ირღვევა. ამ დროს ჯობს, ჩამოჯდეთ, ანდა საერთოდაც წამოწვეთ, რათა თავი და მხრები ერთ დონეზე გქონდეთ. ეს ხელს შეუწყობს ტვინის სისხლით მომარაგების გაუმჯობესებას. არ გააკეთოთ მკვეთრი მოძრაობები. შეიძლება, მზერა უძრავ საგანზე გადაიტანოთ ანდა თვალები საერთოდ დახუჭოთ.

და, რაღა თქმა უნდა, არც ის უნდა დაგავიწყდეთ, რომ თავბრუსხვევა ობიექტური მიზეზებით არაა გამოწვეული, დიდხანს გასტანს და გარკვეული დროის შემდეგ მეორდება, სასწრაფოდ ექიმ-ნევროლოგს უნდა მიმართოთ.

ჟურნალი ჟურნალში

# გზა ჟურნალები

21.02. – 27.02.2008



ერთ-ერთ ყრიმინალურ ავტორიტეტთან უნდა მემუშავა. მიზანი – ურჩების მორჯულება...

გავიხედე და მორბის 3-მეტრიანი ნაბიჯებით. დამეწია და ფრამის თავზე გადამახია ეს სიმწრით მოპოვებული „გზა"...

## უსამართლო გადაწყვეტილება

## იდეალური ქალის ნათქვამი ფრაზები

მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, სიურპრიზი მოგიწყოთ: გოგონებო, აბა, გავიხადოთ!

## ფოტოტესტი

შენი საყვარელი გამოთქმა ასეთია – „რაღაცას გეტყვი, მაგრამ ჩვენ შორის დარჩეს"...



# უსამართლო მაღანყვეტილება



**„უკაცრავად, თქვენ აფერისტი ხომ არ ბრძანდებით? თამარეული“. ეს ერთ-ერთი მკითხველის შეკითხვაა, რომელმაც ძალიან გამანაწყენა, რადგან მის შეკითხვაში ვერანაირი ლოგიკა ვერ დავინახე. როგორ ჩანს, ეს ადამიანი სულ ახლახან გახდა ჩვენი მკითხველი და აზრზე არ არის, აქ რა ხდება. ჰოდა, მინდა ვუთხრა, რომ ნერვები მოთოკოს, თავს შეუძახოს, „გზავნილები“ დაწყნარებულ გულზე წაიკითხოს და თუ უნდა, დაამესიჯოს, თუ არა და, აფერისტების ძებნა განაგრძოს (ალბათ, ეს მისი პროფესია თუ არა, ჰობი მაინც იქნება). მე კი ამ კვირაში რატომღაც კიდევ ერთი ცილისწამების მსხვერპლი გავხდი და ახლა, პირველ რიგში, სწორედ ამ მესიჯს გაგაცნობთ.**

## იგეთი ხაშლამა და უცნობი შვილი ანუ „ქალაქის მერი გისმენთ“

*მარი ჯაფარიძე*

### ცილისწამება

„შუაღამე მშვიდობისა, მარი! ძლივს მოვიცალე მესიჯის მოსაწერად. უნდა მოგიყვე ჩემი სიზმრის შესახებ და როგორ ვიეჭვიანე შენზე.

სანამ დავიძინებდი, ჩემს რჩეულს ვემესიჯებოდი, მაგრამ უეცრად ტელეფონი გათიშა და სადღაც გაქრა. მე ჩამეძინა და სიზმარში ვნახე, რომ ქორწილი აქვს და ჯვარს იწერს. მისი დედოფალი თურმე საოცრად მდიდარია (არადა, ცხადში მეც შეძლებული ვარ), მე კი ძალიან ღარიბი ვიყავი. მეგობარმა შემატყობინა, რომ ჯვარს ბარბარეს სახელობის ეკლესიაში იწერენო. რადგან ეს გავიგე, წასვლა გადავწყვიტე. მივედი და ვნახე, რომ დედოფალს სილამაზით ვჯობდი, ოღონდ მას საოცრად ლამაზი, წითელი კაბა ეცვა. ტირილით გამოვბრუნდი, მაგრამ სიძებატონი გამომეკიდა და დაწყნარება დამიწყო: — ნუ ტირი, მე შენ მიყვარხარ; უბრალოდ, ის ცნობილი სახეა, თანაც მდიდარი და მაგიტომ შევირთეო. მე ვეჩხუბებოდი, ტელეფონი რატომ გამორთე ან რატომ არ მითხარი, რომ ცოლს ირთავდი-მეთქი. ამას ვეუბნებოდი და ამ დროს „დასტავლენოს“ ხმამ გამაღვიძა. დაძინებამდე ჩემს რჩეულს სასაყვედურო მესიჯი მივწერე და იმის „დასტავლენო“ მოვიდა. ისევ ძილბურანში ვარ და ვფიქრობ, ნეტავ, პატარძალი ვინ იყო-მეთქი? ამ დროს მოდის შენთან გამოგზავნილი მესიჯის „დასტავლენოც“. სხვა რაღა მინდოდა? ვიფიქრე, ჩემი ვაუბატონი ჯვრისწერიდან სახლში წავიდა, კინო „საქართველოსთან“ ცხოვრობს და შენც ხომ იქვე — კიკვიძის პარკთან მუშაობ, თანაც, როგორც ვიცი, ღამითაც გიწევს მუშაობა. მეტი რაღა მინდოდა? დავასკვენი, ნამდვილად მარი იქნებოდა-მეთქი. მაგრამ... ტელეფონზე მესიჯი მომივიდა: ჩემი რჩეული მწერდა, სამსახურში ვარ და ტელეფონი არ იჭერსო. დავმშვიდდი და გავაცნობიერე, რომ ძილბურანში შენზე ვიეჭვიანე. სიხარულო, მაპატიე ასეთი ცილისწამებისთვის. მიყვარხარ“.

### პატარა ორგანიზატორი

„რამდენიმე დღის წინ, დაქალებთან ერთად, მარჯანიშვილზე მოვსეირნობდი. ცეკვის რეპეტიციიდან ვბრუნდებოდით და რასაკვირველია, ყველა ვიტრინას დამშეულები შევუყურებდით. :) დასანაყრებლად საჭირო თანხა შევაგროვეთ და მივადექით საცხობს. როგორც პატარა ორგანიზატორმა, მე ვითავე სანოვაგის მოტანა. გადავიხადე საჭირო თანხა და ხურდად დარჩენილი 20 თეთრი ზრდილობიანად დავუტოვე გამყიდველს. გამოვბრუნდი და... მესმის: შენი მათხოვარი ვინაა, შე თავხედო. არ იყო ახლა ის ქალი უსამართლო?! სოოფვ“.

### უდანაშაულო

„ჰოდა, ეს ამბავი ასე მოხდა (კარგი დაწყებაა, არა?)... მე და ჩემი დეიდაშვილი ვიქნებოდით ასე, 10 წლის (ცნობისთვის, ტოლები ვართ) და ერთ დღესაც ლოგინში ვნებივრობდით. რა მოელანდა არ ვიცი (ველური რომ დაიბადება ადამიანი), მკრა წიხლი და იატაკზე მომადენინა ზღართანი. :) ჩემს ტირილზე ბებია და პაპა შემოცვივდნენ. მე კი ვუთხარი, ჩემით გადმოვვარდი-მეთქი (მაინც დეიდაშვილი იყო და დავინდე), მაგრამ მის მაგივრად მე მომხვდა. გამომიცხადეს, ნაპირზე წოლა

რომ გიყვარს, ეგრე მოგიხდებაო. :) ჩემი ძვირფასი ნინიკო კი ისე იყურებოდა, თითქოს ის არაფერ შუაში იყო. ნეფერტიტი“.

## პატიოსანი მამიკო

„უსამართლობაა, როდესაც მე და ჩემს ძმას ამა თუ იმ გადაცემის ყურება გვინდა და მამაჩემი თავისი ბოტოტა თითებით პულტით სხვა არხზე რთავს. გაიძახის, გარყვნილებას აჩვენებენ და მარტო საინფორმაციოს უყურეთო. თითქოს, პირველყოფილები ვიყოთ. იმ დღეს შევასწარი, ეროტიკულ ფილმს უყურებდა. კაკო ყაჩაღივით შევვარდი ოთახში და შევძახე: „აიტ, რას უყურებ, პატიოსანო მამიკო?“ — არაფერს, არც მიმიქცევია ყურადღება, ჟურნალს ვკითხულობდიო. იმდენი შველა მე და ჩემს ძმას, რაც არ უყურებდა. :) ღიმილა“.

## სახელი, უბრალოდ – „X“

„დავიღალე ამ ცხოვრებით და ნიღბის ტარებით. მინდა, ვინმეს მაინც გადავუშალო გული, თორემ უკვე ბოღმა მახრჩობს. ამ მესიჯმა დღის სინათლე გინდ ნახოს და გინდ არა — საშიში აღარაფერია. ყველა მკვდარია, ვისაც რაიმე აკავშირებს ამ ამბავთან. მაშ, დავიწყებ: ვცხოვრობ ერთ-ერთ რაიონში და ამავე რაიონში დავდიოდი ხრიდოლზე (ორთაბრძოლის ძველი ქართული სახეობაა). საკმაოდ კარგად ავითვისე და უკვე ტოლს არავის ვუდებდი. ცხოვრებაც მიედინებოდა თავის კალაპოტში. ერთ დღესაც დარბაზში ვვარჯიშობდით, როცა ჩემმა მწვრთნელმა მანიშნა, რომ მასთან მივსულიყავი. მითხრა, ახლობელმა ჩემთან თავისი საუკეთესო მოჩხუბარი მოიყვანა და უნდა შეეჯიბროო. როგორც კი უცხო ადამიანები შემოვიდნენ, დარბაზიდან ყველა სხვა ბიჭი დაითხოვეს. რაღაც, არ მესიამოვნა.

სერიოზული ხალხი ჩანდა — კოსტიუმებში გამოწყობილი, ჰალსტუხიანი ტიპები იყვნენ. რაც შეეხება ჩემს მოწინააღმდეგეს, ის ჩემზე ბევრად უფროსი და ჯანიანი ჩანდა. ისეთი გამოხედვა ჰქონდა, რომ ძარღვებში სისხლი გამეყინა, მაგრამ უკან მაინც არ დამიხევია. პირიქით, მისმა გამოხედვამ კიდევ უფრო გამაღიზიანა. სანამ ბრძოლა დაიწყებოდა, ერთ-ერთმა მამაკაცმა „ტრენერი“ თავისთან მიიხმო და როგორც მივხვდი, რაღაც არასასიამოვნოზე შეთანხმდნენ; ამაზე ჩემი „ტრენერის“ უსიამოვნოდ დანისლული მზერა მეტყველებდა. ბრძოლა შიშველი ხელებით და არანაირი დანდობა.

ბრძოლის დეტალებს არ მოვყვები, მაგრამ ის ბიჭი იქიდან უგონო მდგომარეობაში, ცხვირჩამსხვრეული და ხელმოტეხილი გაიყვანეს. ამ ამბიდან ერთი თვე იყო გასული, როცა დარბაზში მიმავალს ბოლო მოდელის „მერსედესში“ მიკრეს თავი და მაშინ მივხვდი ერთი თვის წინ მომხდარი ამბის მიზეზს. ერთ-ერთ კრიმინალურ ავტორიტეტთან უნდა მემუშავა. მიზანი — ურჩების მორჯულება. შემდეგ მოხდა ისე, რომ ხელში დამჭრეს და უკვე აღარ ვვარგოდი სამუშაოდ, რადგან მყესი მქონდა დაზიანებული. გამაფრთხილეს, რომ თუ ამ ყველაფერს ვინმესთან ვიტყოდი, ოჯახს გამინადგურებდნენ. მითვალთვალებდნენ კიდეც და ეს ბევრჯერ შევნიშნე. შემდეგ, შემომთავაზეს, ოპერაციის გაგიკეთებთო, მაგრამ მე უარზე დავდექი და მათგან თავის დასაღწევად, საკუთარი ხელით გადავისვი დანა მარჯვენა ფეხზე. ახლა კი ვცხოვრობ მშვიდად და წყნარად, მაგრამ წარსული — წარსულია და მას ვერასოდეს დაივიწყებ. სახელი კი უბრალოდ — „X“.

## ,გარეცხდი, გოგო?“

„დისშვილი მყავს — სალომე, მაგარი „პრიკოლი“ ბაიაა. ზაფხული იყო და ჩემმა დამ მისახედად დამიტოვა. ახლა ჩვენი ერთად ყოფნის ერთ დღეს აღგიწერთ. გათენდა დილა. თვალები გავახილე და დავინახე, რომ დოინჯშემოყრილი ეს პატარა სქელნა თავზე წამომდგომოდა. — მე გავილვიძე, თქვენ კიდევ გწევთ და გწევთ. მომაწოდა მაისური და მითხრა: — გადმომიკოტრიალე! — ჩემს გოგონას და მას ვაქმევდი და წყალი მომთხოვა. მე ქიქაზე მივუთითე: — ხომ იცი, სადაც არის წყალი? დალიე. სალო კი ბუზღუნებს: — ოოო, რა ყველაფერს მე მავალებთ? მერე გავუშვი ეზოში სათამაშოდ და სარეცხი გავფინე. ცოტა ხანში სალომეს ყვირილი მესმის: — ქალო, წინწკვლა მოდის! ამოვიდა სახლში და თქვა: — დედა, რა სიწვიმეა. რომ მოშივდა, მკითხა: — რას გვაჭამ სადილად? მერე ნინიკო დაგბანე. მოუჩოჩდა და ჰკითხა: — გარეცხდი, გოგო? მეზობელს 2 სახელი აქვს, თემო და ხარება. სალომემ მითხრა, რომ ტელევიზორში „თემო პაპა და გოგია“ იწყებოდა. კახელი დეიდა სალომე“.

## უსამართლობის მორევი

„უსამართლოა ჩემი უახლოესი დაქალი: დამაგიომა, მასაჟს გაგიკეთებო და წიხლქვეშ გამიფინა (ასე მუხანათურად გამისწორა ძველი ანგარიშები). უსამართლობაა, მუშებმა რის ვაი-ვაგლახით ნაშოვნი და შემდგომ ტუალეტის კარზე მიკრული მერილინ მენსონის პლაკატი რომ გამიხიეს (დარწმუნებული რომ არ ვიყო, მართლა შემთხვევით მოუხდათ, დავხოცავდი ორივეს და გვამებს ლიფტში შევჩურთავდი); უსამართლოა ამინდი: ჩემს საყვარელ ჯემპრს რომ გავფენ გასაშრობად, მაშინ წამოვა წვიმა და თოვლი (ამინდიც მე მეკაიფება); უსამართლოა ჩემი მეგობარი, ფარშავანგს რომ მეძახის (კვატი კიდევ ჰო,

## უცნობი შვილი

**„მამაჩემი დაწყებითი სკოლის დირექტორი იყო. ხანდახან გაკვეთილებსაც ატარებდა. სახლში ყოველთვის მაფრთხილებდა, სკოლაში მამიკო არ დამიძახოო. ჰო, მაშინ მეორე კლასში ვიყავი და კლასის დამრიგებელიც ბიცოლაჩემი გახლდათ. მოგეხსენებათ, მაშინ ცარცის პრობლემა იყო და ერთ მშვენიერ დღეს, დამრიგებელმა ცარცის მოსატანად მე გამიშვა. მივადექი მამაჩემის საკლასო ოთახს, დიდი შემართებით დავაკაკუნე, გამოვაღე კარი და ვთქვი: თემურ მასწავლებელო, გიული ბიცოლამ ცარცზე გამომიშვა-მეთქი. იქ სიცილი დამაყარეს... ლამის ბლავილით გამოვიქეცი უკან. უცნობი შვილი“.**

მაგრამ ფარშავანგი? ნაღდად არ ვგავარ); უსამართლოა დედაჩემი: ის ჩემს საყვარელ მომღერალზე (რომელმაც სიმღერისას, მისი თქმით, ლამის გლანდები გვესროლოს) ამბობს, ყროყინებსო (დეე, მასავით რომ ვყროყინებდე, შენ კი აღარ გთხოვდი ხოლმე, ფულს, პირადი ხარჯებისთვის); უსამართლოა ჩემი მოხუცი „სამსუნგი“ (მობილური ტელეფონი): მე-4 სართულიდანაა „გადამხტარი“, კედელზე 3-ჯერ შემსკდარი, ასფალტზე რამდენჯერ აქვს ძიუდო ნაჭიდავები, სათვალავი ამერია, მაგრამ ჩემდა ჭირად, ავად თუ კარგად, მაინც მუშაობს და სანამ მუშაობს, ვინ მაღირსებს ახალ მობილს? უსამართლოა დაქალის ძმაც: საკუთარ დას ეუბნება, გაჭყლეტილ გომბეშოს ჰგავხარო და აკომპლექსებს ანგელოზივით გოგოს; დაბოლოს, ამდენი უსამართლობის წაკითხვის მერე, ჩემი უცნობი, მაგრამ უსაყვარლესი მარიამული მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას და ამ ნაბოდვარს არ დაბეჭდავს, მაგრამ იმედი ცოდნას და გამოცდილებას გვერდს უვლისო, მართალი უთქვამს ბიძია ჯეკს (ლონდონს) და მეც მეიმედება. P.S. დღეიდან „მამაცი თოჯინა“ აღარ ვარ, გრუნკას სახელით დავამსიჯებ ხოლმე. სიყვარულით, მამაცი გრუნკა“. :)

## უსამართლობის ფილოსოფია

„რომელ ერთ უსამართლობაზე მოგიყვეთ? იმაზე, რომ საქართველოს მოსახლეობის 80% უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, ღიპიანი ჩინოვნიკები კი საკუთარ ფულს უკვე ვეღარ ითვლიან? რომ ათასობით მოხუცი შუა ზამთარში ქუჩაში მათხოვრობს, „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ კი ერთ სადილზე რესტორანში იმაზე მეტს ხარჯავენ, ვიდრე ჩვენ, ჩვეულებრივი მოკვდავნი მთელი ცხოვრების მანძილზე ვიშოვით? თუ იმაზე, ღმერთი ზოგს უხვად რომ აბერტყავს თავზე თავის მადლიან კალთას, აჯილდოებს ყოველგვარი ამქვეყნიური სიკეთით, ზოგს კი რატომღაც წირავს და ისეთი უსახური და უბედური იბადება, რომ კითხვაც კი გვიჩნდება: ნეტავ, რისთვის გაჩნდა ამქვეყნად, ღმერთმა რატომ გაიმეტა ასეთი წამებისთვისო? ერთი სიტყვით, ხანდახან მართლა მგონია, რომ ეს ქვეყანა ჩალითაა დახურული და უსამართლობა ზეიმობს. თუმცა, ალბათ, ამაზე არ უნდა ვიფიქრო. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ხომ ღვთის ნებაა... პენსიონერი“.

## ძაღლური ერთგულება

„ბავშვობაში, ჩვენი „დედალი“ ძაღლი — გეკა გააქტიურდა ძალიან. მეზობლის ძაღლები ეტრფოდნენ და ჩვენს ბოსტანში იმართებოდა მათი თაფლობის თვე. გამწარებულმა მამაჩემმა გეკა თხილის ხეზე მიაბა და შუბლში ტყვია დაახალა. თავისი ჭკუით, მოკლა. მერე, მეზობლებში სატრაბახოდ წავიდა. თურმე ტყვია ძვალს აესხლიტა და მე და ჩემი ძმები რომ მივედით, საწყალი გეკა ამოტრიალებული თვალებით შველას გვევედრებოდა. გადავუხვიეთ ჭრილობა და ნალიაში დამალულს, ყოველდღე ვუკეთებდით „პერევიაზკას“. ერთხელ, საღამო ხანს, სამსახურიდან მომავალმა მამიკომ კარი შემოაღო თუ არა, მომაგრებული და თავშეხვეული გეკა კუდის ქიცინით გაეგება. ძაღლური ერთგულება დაიწვას, თორემ კი უნდა სცემოდა ფეხებში. მამამ გულზე ხელი მიიდო და ჭიშკარს მიესვენა. კაცს კინოში ეგონა თავი. ასტე მოხდა ეგ ამბავი, ჩემო მარია. მომბეზრდა შერიფის ცოლობა და აწი სხვა ნიკით შემოგიერთდებით ხოლმე“.

## ჯონი

„ჩემი ქმარი რამდენიმე თვით საზღვარგარეთ გაემგზავრა, მე კი მარტოს მიწევდა ათასგვარი პრობლემის მოგვარება. გვერდით არავინ მედგა, სულ მარტო ვიყავი. მადლობა ღმერთს, ფინანსური პრობლემა არ მაწუხებდა. ამ დროს გამოჩნდა ჯონი, რომელსაც საოცრად მივეჩვიე. მას შევუყვარდი, სულიერად გვერდით მედგა და მამხნევებდა. მეც რაღაც გრძნობა გამიჩნდა. ახლა მეუღლე დაბრუნდა, მაგრამ ვგრძნობ, რომ რაღაც ისე აღარ არის, როგორც ადრე. სულ ჯონიზე ვფიქრობ. ქმარი მიყვარს, მაგრამ გაორებული ვარ. მითხარით, ჩემი მხრიდან ხომ არის ეს უსამართლობა? ქმარი ჩემი და ჩვენი შვილის



ჯანსაღი ძილი
ახანგაძლივებს სიცოცხლეს და
ამოყოფს საამოსო დღეს.

## „დუდუნა წვიმა“

„დაწყებით კლასში ვიყავით, როცა ჩვენი კლასის ხელმძღვანელი და „ყველაფრის“ მასწავლებელი ავად გაგიხდა. მაშინ ასე იყო, მეოთხე კლასამდე ყველა საგანს ერთი პედაგოგი უძღვებოდა. ახლაც ღიმილით მახსენდება მის მიერ ჩატარებული ფიზკულტრის გაკვეთილები, რომელიც მხოლოდ გამამხნევებელი ვარჯიშებით შემოიფარგლებოდა: ეს 80 წელს მიტანებული ქალი საოცარი მონდომებით გვიჩვენებდა „რთულ“ ილეთებს, რომლის სირთულეც ხელის თითების მიწაზე შეხებითა და ფეხებშუა ტაშის შემოკვრით განისაზღვრებოდა. იმდენად ვიყავით შეჩვეული ჩვენს სათნო და კეთილ მასწავლებელს, რომ მის შემცვლელთან შეგუება ძალიან გაგვიჭირდა. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ეწ. სიმღერის გაკვეთილზე მოხდა. ეტყობა, ამ ჩვენს ახალ პედაგოგს, მეტყველების აპარატთან დაკავშირებით, რაღაც პრობლემები ჰქონდა, რაც ბგერათა შეუსაბამო ხმარებაში მდგომარეობდა. ასე, მაგალითად: ასო-ბგერა „ს“-ს ნაცვლად ამბობდა „შ“-ს, „კ“-ს ნაცვლად — „კ“-ს და ა.შ. ჰოდა, სიმღერის გაკვეთილზე გადაწყვიტა, „დუდუნა წვიმა“ ესწავლებინა, რაც ჩვენი და მისი უბედურების მიზეზი გახდა. გადმოგვხედა კლასს და დაიწყო: — აბა, ბავშვებო, გაიმეორეთ — „დუდუნა წვიმა-ა-ა მო-ო-ოვიდა-ა-ა“_ ჩვენც ცოტა გაკვირვებულებმა, მაგრამ მორჩილად გავიმეორეთ — „დუდუნა წვიმა მოვიდა“. — ბავშვებო, „დუდუნა“ კი არა, არამედ — „დუ-დუ-ნა“. დაგვიმარცვლა და სცადა, საკითხში ჩვენი გარკვევა. ჩვენც ისევ მორჩილად გავიმეორეთ — „დუ-დუ-ნა წვიმა-ა-ა“_ პატმასწმა უკვე ხმას აუწია, და ისე დაგვიმარცვლა: — „დუ-დუ-ნა-ა-ა!“ ჩვენც ყველამ, როგორც ერთმა, დავჭექეთ — „დუ-დუ-ნა-ა-ა წვიმა-ა-ა“_ ახლა უკვე იკივლა მოთმინებიდან გამოსულმა და ჩვენც კივილითვე მივეცით ბანი: — „დუ-დუ-ნა-ა-ა წვიმა-ა-ა-ა“_ არ ვიცი, რამდენად სამართლიანი იყო მისი გადაწყვეტილება, როცა სათითაოდ ფეხზე გვაყენებდა და უკვე სიმღერის ხასიათზე ნაკლებად მყოფი, ჯიუტად გვამეორებინებდა, მასზე არანაკლებ ხასიათ და ნირწამხდარ ბავშვებს, „დუდუნა წვიმას“ და ჯიუტადვე გვექაჩებოდა თმაზე, ისევ და ისევ „დუდუნა წვიმის“ მოსმენის მიზნით, მაგრამ ფაქტი ერთია — სიმღერის გაკვეთილიდან გამოსულები, დიდი შესვენებიდან გაკვეთილზე შესულებს უფრო ვგავდით, გაოგლილები, გაჩეჩილები და უსაშველოდ დაღლილები, ხოლო მასწავლებელი დაწყებითი კლასიდან კი არა, დამამთავრებელი კლასიდან გამოსულს. :) ბოხო“.

გამო ათასგვარ გასაჭირს იტანდა, მე კი ვერ დავუფასე. კიდევ კარგი, ჯონის არ შევხვედრივარ. ტელეფონით ვიცნობდი და სურათები გავცვალეთ. ლისიჩკა“.

## „ლაილაიკოლოფა“

„ლელუჩიას მესიჯმა ჩვენი ყაზბეგელი კურსელები გამახსენა. მართალია, ჩვენთან ჩვეულებრივი ქართულით მეტყველებენ, მაგრამ როგორც კი ვინმე მოხევეს შეხვდებიან, მაშინვე იწყება ისეთი დიალოგი, რომელიც თარჯიმანს საჭიროებს. მათგან გავიგე, რომ იქაურები მაგნიტოფონს „ლაილაიკოლოფას“, ვერტმფრენს კი „ცამთყვლეფს“ ეძახიან. ჰოდა, იმ დღეს მათი კლასელი ბიჭები შეგვხვდნენ და ერთმა თქვა: ჩვენკენ ერთი სოფელია, იქ კი ასე ლაპარაკობენო: გამნიგუმნი დაჰყვა მიგნიასა კურიელითა, დაიჭირა, დააცალა გლაზები, დაასხა ზიმბაბვე და იბობოიჩაო. გაიგეთ რამე? ვერც მე, მაგრამ გადამითარგმნეს და აი, თარგმანიც: კატა დაჰყვა თაგვს მოტოციკლეტით, დაიჭირა, დააცალა თვალები, დაასხა კეტჩუპი და მოილხინაო. ხომ მაგარია? არ გამიბრაზდეთ, მოხევეებო, ძალიან მიყვარხართ ყველანი, განსაკუთრებით ნათია და თამო. ჩორი-ჩორი, ჩემო „ტიტანიკა“ ქალო, მე მინდა შენს კლუბში, მიუხედავად იმისა, რომ „მგზავრებში“ ვარ. ლორელაი“.

## გზა სანზონიდან – მაღლივამდე

„სწორედაც რომ უსამართლო გადაწყვეტილებაა, სანზონიდან მაღლივამდე ერთი „ჩაჩოდავი“ ავტობუსიც რომ არ დადის. უსამართლობაა ისიც, რომ სწავლა 9-ის ნახევარზე გვეწყება. ჩვენმა ლექტორებმა რომ იცოდნენ, ყოველ დილით როგორ მივდივარ მაღლივში, ისე დამიწერდნენ ფრიადებს. მოკლედ, მოგიყვებით ჩემს დილის ვოიაჟზე. ყოველი დღე იწყება იმით, რომ 7-ის ნახევარზე რეკავს მაღვიძარა და ჩემში იღვიძებს მხეცი. დაბოღმილი მაღლივზე და საერთოდ, მთელ ქვეყნიერებაზე, ვცდილობ, ავდგე; ვიცვამ და გავრბივარ (ხშირად სიბნელეში მაკიაჟი ისე გამიკეთებია, მთლად წითელი გავსულვარ). გურამიშვილის დაღმართს ისე ჩავირბენ ხოლმე, ილინი მიმიქარავს. :) სამარშრუტო ტაქსის ლოდინს აზრი არა აქვს, ისევ ეს დალოცვილი მეტრო. აქ კიდევ, თუ გადავურჩი თათრის ბავშვებს, რომლებისაც პანიკურად მეშინია და ნორმალურად ჩავედი „დელისამდე“, მაგა(დ)ია! :)კარგი, ავჩერჩეტდი „დელისზე“, ახლა უნდა ველოდო მაღლივის „მარშრუტკას“. თუ თავის დროზე მოვიდა, ვასწრებ ლექციაზე, თუ არა და, ყოფილა შემთხვევები, ნახევარი საათი ვმდგარვარ და ბოლოს, ყინულის ძეგლად გადავქცეულვარ. :) ჰოდა, მერე ლექციაზე რომ ვაგვიანებ, მსაყვედურობენ. არაა უსამართლობა? P.S. აქ ვიღაც მაღლიველია. ლოუდსპეაკერ, გეთანხმები, მაღლივი ჯოჯოხეთია. თაგუნია“.

## ბრძოლა „გზისთვის“

„ეჰ, რაღაც მეუცხოვა „გზავნილები“ უჩემმესიჯოდ. :) თუმცა, რას დამიბეჭდავდი, რაც არ გამომიგზავნია? ახლა მიჭირავს „გზა“ გამარჯვებული იერით. რატომ? მოგახსენებთ. საერთოდ, დედას მოაქვს „გზა“. არ გეგონოთ, სხვებივით წეწვაგლეჯა გვქონდეს. პირიქით,

როგორც საყვარელ შვილს, მითმობს ხოლმე, სანამ არ წავიკითხავ. :) ჰოდა, ამას ვამბობდი: დღეს, „გზისთვის“ გასვლამ მე მომიწია. ჰოდა, წავედი და 2 ცალიღა იყო დარჩენილი. ერთი, ჩემ წინ მდგომმა ქალმა იყიდა. ის-ის იყო გავიფიქრე, მოვასწარი-მეთქი და რას ვხედავ? ვიღაც ბიჭმა სტაცა ხელი. რომ ვეცი!! ხელიდან ვგლეჯდი და არ მაძლევდა. ჰოდა, გამოვტაცე და გამოვიქეცი. ისიც გამომეკიდა (ამ დროს გამყიდველი „ფორთოჩკიდან“ გამოძვრა და ორივე გვწყევლა). ჰოდა, ეს „ჯენტლმენტი“ მიბრუნდა და ფული მისცა. გავიხედე და ისევ არ მორბის, 3-მეტრიანი ნაბიჯებით. :) დამეწია და ლამის თავზე გადამახია ეს სიმწრით მოპოვებული „გზა“. ბოლოს, ასე შევთანხმდით: მე ჩემს ტელეფონის ნომერს მივცემდი და „გზა“ დამრჩებოდა. ჰოდა, ჩემი ძველი მასწავლებლის ნომერი მივეცი. :) საინტერესოა, რომ დაურეკავს, რას ეტყვის? P.S. მე თვითონ აღარასოდეს ვიყიდი „გზას“, უმჯობესია, ისევ დედაჩემმა შეიძინოს. „ვოტ ტაკ“! :) ლოუდსპეაკერ, გაიხარე! გული არ გაიტეხო და მაინც გზავნე და გზავნე, მესიჯები. მარი „სიფორცხლეა“ და დაგიბეჭდავს. :) ამაზონკა“.

## ოინბაზი

„წინა კვირას, რამდენიმე დღით, საავადმყოფოში დაწოლამ მომიწია. გვერდით ოთახიდან შუაღამისას სიცილი გავიგონე და საეჭვო სურნელმაც ცხვირში შემიღიტინა. ვაჰ, კაცო, აშკარად პლანია! თან სიმპტომებიც ემთხვევა, იხევიან სიცილით. ჯერ, საავადმყოფოს მესვეურებზე გვარიანად მომეშალა ნერვები. მერე, იმაზე დავიწყე ფიქრი, როგორ ჩამემწარებინა კაიფი ვაუბატონებისთვის (ფრიად „დაგრუზული“ გახლდით). დავიწყე იმ არბალეტის ძებნა, რომლის ისარსაც ქეშები ღრუბლებიდან უნდა გამოეწიხლა. ჰოდა, მოვიფიქრეეე! დავავლე ჩემს წვეთოვანს კათეტერიანი ხელი, გამოვიძურწე პალატიდან, ჩემს „მხიარულ“ მეზობლებს მივუკაკუნე და ძმარდალეული სიფათით ვახალე: ხანძარია, სასწრაფო ევაკუაციაა საჭირო, ექთანმა თქვენი გაფრთხილება მე მომანდო, ავადმყოფი გამოიყვანეთ-მეთქი. თან ამ დროს პლატაში შევიხედე და ნეტავ არ შემეხედა. ვხედავ, ფეხმოტეხილი ბიჭი წევს და ზედ გირები ჰკიდია. :(ენაზე ისე მწარედ ვიკბინე, ბღავილში კინაღამ „ჭირისუფლებს“ გადავუჯოკრე. ერთი იხუვლეს და კარში ერთმანეთს ასწრებდნენ. მოვასწარი და კარს ამოვეფარე, თორემ საღლავაშე ცომივით გამაბრტყელებდნენ. :( მერე, მთელი საათი ამ ფეხმოტეხილს ვაწყნარებდი. ვეუბნებოდი: გეხუმრეთ, დიდი ბოდიში, არ მეგონა თუ დაიჯერებდით... კაააი, დაიკო, არაფერია, ჯიგარი ხარ! გავა 2 წუთი და: — აუ, სად ვკვდები, ტო? ჩეემი დედა... და ასე მანამ, სანამ არ ჩაეძინა. ის 3 ტიპი კი უკან აღარ მობრუნებულა. ალბათ, მერე მეძებდნენ, მაგრამ მეორე დღეს გამომწერეს. თუ მომაგნეს, ვერ გადავურჩები. :) მოკლედ, არ მასვენებს გამჩენი. ასეთი „შტუკა“ კიდევ თუ გავაჩალიჩო, მე ვიყო ნაციონალი! ილინი“.

## განწირული

„თავისუფალმა თემამ ჩემი ტვინის მიმკვდარი უჯრედები გამოაცოცხლა და წარსულიდან მივიწყებული ფაქტები ამომიტივტივა. ამ ზაფხულს ხველამ ძალიან შემაწუხა და ექიმთან წავედი. 1-საათიანი გამოკვლევის შემდეგ, ექიმმა ნაღვლიანი გამომეტყველებით ჩაილაპარაკა: ეჰ, რა იქნებოდა, სიგარეტი არ მოგეწია... ექიმის სიტყვებითა და ფიზიონომიით შეშინებული წამოვხტი და ვიყვირე, რა მჭირს-მეთქი? ის კი მეუბნება, ცხოვრება მოულოდნელობითაა სავსე, მთავარია, არ დანებდე და ბრძოლა გააგრძელოო. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ამ ფრიად პატივცემული ექიმის რჩევით, 2 წელი მთაში უნდა მეცხოვრა, თორემ რაც დამემართებოდა, ხელის მოძრაობით მიჩვენა. მე უფრო კვალიფიციურ ექიმთან მისვლა ვარჩიე, რომელმაც დიაგნოზი „შემიმსუბუქა“ და კი ვარ ახლა ცოცხალი. აი, ასეთი ექიმები გვყავს ბათუმში, მაგრამ ყველა ასეთი არ გეგონოთ. ღამურა“.

## ნატური „ისა“

„მეზობელი მყავს — სვანუკა. ერთხელ, „მარშრუტკაში“ კევს ღეჭავდა და დააცემინა. ხელის აფარება ვერ მოასწრო და მის წინ მჯდომ კაცს რქასავით დაეწება შუბლზე. მერე წავიდა — ტუუუ... ერთხელ, მიდის სვანუკა და უკან იყურება. ბრახ, გაისმა და განწირული კივის — მიშველეთ, მანქანა დამეჯახაო. რომ აღარ გაჩუმდა, გვერდით მდგომმა კაცმა მოიყვანა აზრზე: — ქალო, ეს მანქანა ერთი საათია, არ დაძრულა, როგორ დაგეჯახებოდაო? ერთხელ, ქარია. ჩაუცვამს „პლაში“ და მიაფრიალებს სვანუკა. ჩაუფრიალა გაჩერებულ მანქანას და ტკაც! გააგრძელა გზა. შე ქალო! სარკე არ მოტეხა, ამ შობელძაღლმაო? — გადმოხტა შეწუხებული მძღოლი. — მეეე? მოიხედა „ლამაზმანმა“. — უი, რას ჰგავხარ ქალო, გაიარეო, მიაძახა მანქანის პატრონმა. ერთხელ, ნომერი აკრიბა შეცდომით. — ნატური თაფლი მინდაო. კაცმა მორიდებით უთხრა — შეგეშალათ, ქალბატონოო. დააჭირა ღილაკს თითი და ისევ იქ დარეკა. კვლავ იგივე პასუხი მიიღო. სვანუკამ უთხრა: — რა შემეშალა, კაცო, მითხრეს, ამ ნომერზე ნატური თაფლი აქვთო. კაცი გაბრაზდა. — ქალბატონო, ნატური თაფლი არა და ნატური „ის“ მაქვს, თუ გინდაო. აბა, ასეთი „ანტიკვარი“ მეზობელი მყავს და ძალიან ჯიგარი ადამიანია. ციალ, გეფერები და გკოცნი შორიდან. ძალიან მიყვარხარ! მარ-ათენი“.

## მხიარული ჭირისუფალი

„იმდენი ხანია, „გზა“ არ მიყიდია, არც კი ვიცი, მზისა და მთვარის შუქზე, რა თემა გაქვს გამოტანილი. რა ვქნა, საწყალ ბაბუაჩემს დავტიროდი და ჭირისუფალ შვილიშვილს, აბა, სად მეცალა მესიჯებისთვის? არადა, ბებიაჩემს ვამზადებდით, „მარილზე

წასასვლელად“ (ნუ, მე რას ვამზადებდი, მიქელ-გაბრიელმა გამოუგზავნა წერილი, რომელიც თურმე ბაბუაჩემს ეკუთვნოდა და ჩვენ კარგად ვერ წაგვიკითხავს. დასაფლავებაზე ისეთი თოვლი იყო, ლამის დაუმარხავი დარჩა კაცი. კიდევ კარგი, ვერ ხედავდა, თორემ ცხელ გულზე ბუნებასაც კი არ დაინდობდა და გულიანად შეუკურთხებდა (შეიძლება იგინებოდა კიდეც და ჩვენ არ გვესმოდა). არა, მე რა უნდა გამეგონა, ან რაღა მალაპარაკებს ამდენს? თბილისიდან სოფელში მიმავალი (ბაბუა უკანასკნელ გზაზე ხომ უნდა გამეცილებინა), უღელტეხილზე გავიჭედე და ორი დღე არც მკვდრებში ვეწერე და ცოცხლებსაც ვაწუხებდი. ლამის ჩემი გადიდებული სურათიც მოათავსეს, მოჩუქურთმებულ და გალაქულ ჩარჩოში (არადა, რა პატივია!). ეჰ, მეც შვილიშვილი ვარ, რა... კარგი შვილიშვილი მხიარული ჟურნალის ფურცლებზე ასე ირონიულად ხომ არ გამოაქვეყნებდა საყვარელი ბაბუის იმ ქვეყნად წასვლას? მხედავდეს და იცოდეს, ახლა რას ვაკეთებ! თავისი განუყრელი ჯოხით თავზე დამადგებოდა და დამტუქსავდა. ფუი, ბაბუა, შეგირცხვეს აი ნამუსი, თუ გაქვს, რა თქმა უნდა, საერთოდო... არა, იქნებ, თავზე დამტრიალებს კიდეც და ვერ ვხედავ? ვაი, ჩემო საწყალო თავო. ეგებ, გაამზადებინა კიდეც სამფლობელო მიქელას. აი, მეც შვილიშვილი მქვია, რა. კი ვარ ღირსი, რომ წამიყვანოს, აპა, არაააა? ეს კიდევ არაფერი. ვაითუ, სულ ტყუილად ვწერ ამას და მარი არც აპირებს დაბეჭდვას? გიჟი გოგო. გიჟი ვარ, აბა, რა ვარ, ამას ნორმალური ადამიანი დაწერდა? :) გკოცნით ბევრზე ბევრს, სანამ ბაბუაჩემს ბებიაჩემის მაგივრად წავუყვანივარ. კიდევ და კიდევ, გიჟი გოგო“.

## ჩირი

„მინდა, ერთი სახალისო ამბავი მოგიყვეთ. ბიძაშვილ-მამიდაშვილები ერთად რომ შევიყრებით, კარგად ვმხიარულობთ ხოლმე. ჰოდა, ერთხელ, მუსლიმანებზე და მათ ადათ-წესებზე ვლაპარაკობდით. ამ დროს მამიდაშვილმა ანეკდოტი დააბრეხვა: მუსლიმანთა სალოცავთან ქურდები მისულან და ფეხსაცმელები მოუპარავთ. ერთ-ერთს ზემოთ აუხედავს და უთქვამს: ბიჭო, ბარემ ეს ჩირიც გავაყოლოთო. წინდაცვეთის მერე „ისინი“ ხომ სალოცავთან ინახება? ჰოდა, ამათ ჩირი ჰგონებიათ. მეორე დღეს წავედით ნათესავთან და კარი რომ გაგვიღეს, ჰოი, საშინელებავ... იმდენი ფეხსაცმელი ეყარა, თითქოს მთელი მუსლიმანური სამყარო იქ ლოცულობდა. კარგ ბალერინას შეშურდებოდა, ჩემი ჰაეროვანი ხტომა, მათ გადასალახავად. ჰოდა, ამ გაწამაწიაში ვარ და ჩემი დამთხვეული მამიდაშვილი ჩუმად მეუბნება: — ერთი ზემოთ კარგად აიხედე, ჩირიც ხომ არ არის სადმეო? დარიდურა“.

## მოგზაური

„ამას წინათ, მე და ჩემი მეგობრები — გოგი და ნინო რუსთავში დაბადების დღეზე მივდიოდით. გოგი რუსთაველი აბორიგენია, აი, მე კი რუსთავი სიზმარშიაც არ მენახა. ჯერ ფონიჭალას არ ვიყავით გაცილებულები, უკვე მეხუთედ ვეკითხებოდი გოგის — ესაა, რუსთავი? მალე მივალთ, რუსთავში? კაია რუსთავი? მოკლედ, ყველა კითხვაში ნანატრი რუსთავი ფიგურირებდა. ბოლოს, გულშეღონებულმა გოგიმ მომახალა: — ქალაქის შესასვლელთან ცხენებია და სანამ მათ არ დაინახავ, მანამდე შენი ხმა არ გავიგონოო. ცხენებიოოოოო? დავქაჩე თვალები და ავეტყლიზე ფანჯარას, ემანდ, არ გამომრჩეს-მეთქი. 1, 2, 3, 4, 5 წუთი... ვაჰ, არ ჩანან ცხენები. :( მივუბრუნდი გოგლიკას და დასაზუსტებლად ვკითხე: გოგ, ის მაინც მითხარი, ეს ცხენები დაბმულები არიან თუ შემოღობილში ჰყავთ-მეთქი? ე, ბიჭო, ჩაბჟირდა ხალხი! მე აქეთ-იქით ვიყურები და ვფიქრობ: რა აცინებთ ამ უპატრონოებს, სად უნახავთ შუა ტრასაზე თავისუფლად მოსეირნე ცხენები-მეთქი? რომელი ელია წინასწარმეტყველი მე ვიყავი? რას წარმოვიდგენდი, ეს ცხენები პიედესტალზე შემოსკუპებული, „ხელოვნური“ ცხენები თუ იქნებოდნენ, ა? ილინი“.

## გადარჩენილი

„ამას წინათ, ქალაქში დიდი თოვლი რომ მოვიდა, იმაზე მოგიყვებით. ქაჩალსა და თავის ფხანაზე ხომ გაგიგონიათ? აი, ზუსტად ისე მოუვიდა ამინდსაც... როგორია, 12 სმ-იანი ქუსლებით ამ ყინულზე ფოფხვა? თან, ჩემს ქუჩაზე ისეთი „პადიომია“, მშრალ ამინდშიც „ოთხით“ ავდივარ სახლამდე. ერთხელაც, ამ აღმართს გულშეღონებული შევუდექი. ვიფიქრე, ტროტუარზე ძალიან მოყინულია-მეთქი და გორელივით („ვით“ რაღა შუაშია?) შუა გზაზე დავადე თავი. ااااატყდა კაცო, პიპინი და ვაი-ვიში, ხან ზემოთ ამსვლელი მძღოლი მიპიპინებს უკნიდან, ხანაც ზემოდან ჩამომსვლელი მიღიმის, ხელის ქნევით. თურმე ჯერ სად ხარ? ერთი უბედური, 36 ნომერი „მარშრუტკა“ დადის, ჯავის ქუჩაზე და ისიც ხან რომელ „პავაროტში“ ბუქსაობს, ხანაც მთელი ნახალოვკა აწვება დასაქოქად... ჰოდა, მოდის ეს „36“ და არ მოცურდა? ვეღარ ჩერდება და მოდის პირდაპირ ჩემკენ.



ნუ გაოცდები ცხოვრების, დაღლილი მოყვდები.

მე კიდევ, ვდგავარ „სტუკიანი მატორივით“, გვერდით ნადნობი წყალი ნილოსივით მოედინება და ვერც გავცურავ, ვერც გადავახტები. წინ „მარშრუტკა“, მარცხნივ ყინული, უკან მობრუნებას ვეღარ ვახერხებ. დავხუჭე თვალები, დიდი-დიდი, მოვკვდე, სხვა რაღა მომივამეთქი? უცებ, ვიღაცამ არ ამიტაცა? ჰოდა, ქეც გადაახტა ნილოსს კენგურუსავით. ესეც ჭკვიანური გადაწყვეტილება! მევლო ტროტუარზე, ჰა-ჰა, 5-ჯერ წავქცეულიყავი. იმ ტიპის გადასარჩენი რა მჭირდა, ძამა? ილინი“.

## „გრევი“

„უსამართლო გადაწყვეტილება მაშინ მივიღე, როცა ჩვენმა ერთ-ერთმა ძმაკაცმა გერმანიიდან, მე და ჩემს ძმაკაცს დიდი „გრევი“ ანუ „პადარაკი“ გაგვიკეთა. გამოგზავნილი საჩუქრის გამოსატანად მე წავედი. ძმაკაცის საჩუქარი თავად მივისაკუთრე, რადგან უფრო მოზრდილი იყო, ჩემი საჩუქარი კი ჩემს ძმაკაცს გადავულოცე. როცა საჩუქარს ვხსნიდი, ყუთზე ეწერა — „ეს ვახოს“. ანუ ჩემს ძმაკაცს, მაგრამ ქაღალდი უცბად გავხიე. გულის ფანცქალით ვხსნიდი, რადგან წინასწარ ტელეფონზე საუბრისას მითხრა, რომ ვახოს მაგარ საჩუქარს უგზავნიდა. ბოლოს, როგორც იქნა, გავხსენი და დამხვდა ჩემი ძმაკაცის ანუ იმის, ვინც „გრევი“ გამოგზავნა, პლაკატისმაგვარი სურათი. გაჭიმული დგას და ერთი ხელით „სამი თითის კომბინაციას“ აკეთებს, ხოლო მეორე ხელის შუათითი ისე აქვს აბზეკილი, როოომ... თან საოცრად „ძერსკულად“ იმზირებოდა ფოტოდან... ფოტოს უკანიდან ეწერა — ეს ვახოს, ჩემგან. ჩემი საჩუქარი რომ გახსნა ჩემმა ძმაკაცმა, აღმოჩნდა, რომ ჩემი საოცნებო მანქანის გასაღები იდო ანუ მანქანა გამომიგზავნა, მაგრამ რად გინდა? ხომ არ ვეტყოდი, ჩემია-მეთქი? არ ვიქნებოდი მართალი. ჩემი ძმაკაცი კი გრიალებს იმ მანქანით. არც მე ვაკლებ, მაგრამ კი შემრჩა ეს სამი თითის კომბინაცია და“...

*ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.*

## რესტორანში „პაპალამ“

„ნუნუ ბებო სახლს აღაგებდა. დაიღალა და ცოტა ხნით ჩამოჯდა. ჩემი ანა მიყურებს და მეუბნება: — ნუნუ ბებოს ელემენტები დაუჯდა“.

„ერთი თელაველი ქელეხში იყო. მერე მოჰყვა: — იგეთი ხაშლამა მოიტანეს, იგეთი, იგეთი, რომა ხალხი ათი წუთი ფეხზე ამდგარი ტაშს უკრავდაო. კახელი სალომე“.

„მარი, ბევრმა კი გითხრა, „გზა“ კვირაში ორჯერ გამოუშვიო მაგრამ თუ მთლიანი ჟურნალი არა, მარტო „გზავნილები“ მაინც... არ შეიძლება? :) და კიდევ, მგონი, კარგი თემა იქნებოდა, რა უხერხულ და სასაცილო სიტუაციაში აგდებს ადამიანს ქართული ენის კარგად არცოდნა. მართალია, ახლა დავიწყე დამესიჯება, მაგრამ „გზას“ დაარსებიდან ვკითხულობ და ასე მგონია, ყველას გიცნობთ. ამიტომ, ყველას რეალურად გაცნობა ძალიან მინდა. ნანიკელა“.

„მდაა, როგორც ვატყობ, ჩემი სიტყვა — „აშხფოთებული“ ძაან მოეწონათ მგზავნელებს და „გზავნილებში“ დიდი პოპულარობით სარგებლობს. საავტორო უფლებები არ დაგავიწყდეთ, ჩემო კარგებო. :) ისე, თუ დაგჭირდეთ, არაა პრობლემა, მომმართეთ, მე საკუთარი ლექსიკონი მაქვს და მასში მრავალ საინტერესო სიტყვას იპოვით. მზად ვარ, გემსახუროთ. პენსიონერი“.

„უსამართლო გადაწყვეტილებები ჩვენს ქვეყანაში ხომ ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორიც ძველი თოვლი — ქუთაისში (ეს თოვლი კი არა, თეთრი წვიმაა). მაგალითად, ჩემი ლექტორი, რომელმაც ანბანივით იცის მარკეტინგის ყველა სფერო, ვერ ახერხებს, რომელიმე ბანკში დაიწყოს მუშაობა. სამაგიეროდ, ბანკში მუშაობს ჩემი კურსელი, რომელსაც ამ საქმის არაფერი გაეგება“.

„მარიმიშონ, ვზივარ ახლა ჩემს ავტოში, რომელმაც ისეთ აღმართში მიღალატა (თოვს ახლა ჩვენთან უსაშველოდ და „დაბუქსავდა“, აღმართზე ვერ გაქაჩა), რომ მხოლოდ ჩემს მუხლისთავებს ვხედავ და მაინც თქვენზე ვფიქრობ და მინდა, სიყვარულში გამოგიტყდეთ: კარდიოლოგო, პარიჟანკავ, ფინტიკოზავ და კამელიავ, მიყვარხართ და გკოცნით, ამ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან და გეხუტებით. ბოხო“.

„უსამართლო გადაწყვეტილებაო? ეჰ, უსამართლო გადაწყვეტილების მსხვერპლი რამდენჯერ ვყოფილვარ. ამაზე მეტი უსამართლო გადაწყვეტილება რაღაა, როცა ძლივს ჩავაბარე ბავშვმა და ახლა კი სწავლის გადასახადს ვერ ვიხდი და სწავლას თავი უნდა დავანებო. ცელქი“.

„გამარჯობა, ჩემო კარგო მარი. ახლა მეხუთედ ვკითხულობ ძველ „გზას“. ათენში ვარ. ახლა აქ მკვდარი საათია და 6 სთ-მდე ყველას სძინავს; მე კი არ მეძინება და გიმესიჯებ. ახალ თემას კვირამდე ვერ გავიგებ. არადა, ტელევიზია აცხადებს, შაბათ-კვირას ან წყალი წაგვიღებს, ან მეწყერიო. გუშინ 2-ჯერ იყო მიწისძვრა. მეშინია, მაგრამ მაინც წავალ კვირას ომონიაზე და ვიყიდი „გზას“. მარი, ძალიან მიყვარხარ. გერასიმე“.

„ნანიკელა, 9122, დიდი სიხარულით და სიყვარულით გელით ჩემს კლუბში! ლოუდსპეაკერ, გმადლობთ, რომ შენთან მეპატიჟები, მაგრამ მე თვითონ ვქმნი კლუბს და... იქნებ, შენ მოხვიდე ჩემთან? ჩემს კლუბში ყველა თანაბარი უფლებებით ვისარგებლებთ. არანაირი ლიდერი და კაპიტანი... ნანიკელა, კლუბს „გზადაგზა“ ჰქვია. მსურველებო, ნუ მორცხვობთ, ნურც ყოყმანობთ, გაწევრდით ყველაზე მხიარულ კლუბში. ჩვენ ერთად ჩამოვყალიბდებით. გაკოცეთ. კარდიოლოგი“.

„არასწორი გადაწყვეტილება იყო, პლანის მოწევა რომ დავიწყე. შემაცდინეს, მოსწიეო. ჰოდა, ვარ ახლა დაბოლილი. აპაა! იმედია, ბოხო 500-ლარიან ჯარიმას არ ამკიდებს. ფელამუშა“.

„სამსახურში ვართ. ჰოდა, ერთი ჩვენი თანამშრომ-

ელი გვეუბნება, რესტორანში გეპატიჟებით, „პაპალამო“. ჰოდა, იქ ამბავი აიწიაა... ფელამუშა“.

„ჩემს უბანზე მინდა გიამბოთ. მოკლედ, მაგარი უცნაურია, რა! ეს ერთადერთი უბანია საქართველოში, სადაც: 1)მამა ლიფტიდან გამოსულ შვილს ეუბნება, კარი დახურეო. 2)გარაჟის სახურავზე აწერია: „არ გაიაროთ, დამპალია“. აბა, ჰე, თქვენი მუდამ მუხიანელი აბსურდა“.

„ჩემს მამიკოზე მოგიყვებით: ზაფხულში თურმე სახლში მარტო ყოფილა და „რაკოვინა“ გაეჭედა. იქ შემთხვევით ლობიოს მარცვალიც ყოფილა ჩავარდნილი. 5 დღის შემდეგ კი... სახლში მისულ მამაჩემს სამზარეულოს ნიჟარაში ამოსული ლობიო დახვდა... ერთხელ კი რუსისთვის უნდა ეთქვა, შემოგევლეო და იცით, რა უთხრა? „ბეგუ ვოკრუგ ტებიაო“. აბა?! აბსურდა“.

„მარი, ნუ, უსამართლო გადაწყვეტილება მაშინ მიიღე, როცა ჩემი მესიჯების დაიგნორება დაიწყე. არადა, არაფერი დამიშავებია და ცოდვა არა ვარ? ნეკატო“.

„ჯარისკაცებზე გამახსენდა, ბიძა მყავს ჯარისკაცი. ჰოდა, დღე და ღამე ტვინს ვუჭამ, უსაქმური ხარ, რაში გიხდის ეს სააკაშვილი ხელფასს-მეთქი? :) უმეტესად, ვჯობნი, მაგრამ იმ დღეს მოვიდა და მითხრა: დაგვიღამდა მე და ძმაკაცს და ღამე ფეხით მოვდიოდით, დაცვის პოლიციამ ჩაგვიქროლა და „დაატორმუზა“, გადმოვიდნენ და გვკითხეს, იმ შუაღამისას რა ჯანდაბას ვაკეთებდით გარეთ. ჰოდა, ძმაკაცმა ამოიღო საბუთი და აჩვენა, იმან სიბნელეში „კაპრალის“ მაგივრად „კაპიტანი“ წაიკითხა და ჩესტის აღებასთან ერთად, სულ ძუგძუგით ჩამოგვიყვანა რუსთავშიო. :) ამაზონკა“.

„4 წლის წინ ჩემმა გამომცდელებმა უსამართლო გადაწყვეტილება მიიღეს და მისაღებ გამოცდებში ჩამჭრეს. იძულებული გავხდი, ფასიანზე ჩამებარებინა და უკვე 4 წელია, დედაჩემის ბიუჯეტი კატასტროფულად მცირდება. მაპატიე, დედიკო, „ხაზინა“ რომ გამოგიცარიელე. მე ხომ უსამართლო გადაწყვეტილების მსხვერპლი ვარ. ხალხო, არ იფიქროთ, თავს გაცოდებდეთ, მართლა მქონდა უფასოზე მოხვედრის შანსი“.

„თემის სათაური რომ წავიკითხე, ჩემი ბებია-ბაბუები გამახსენდა. ჩემი მშობლები მათი უსამართლო გადაწყვეტილების მსხვერპლი არიან. ისინი 33 წლისანი იყვნენ, რომ დაქორწინდნენ. „ქამუშაძის გაჭირვებაში“, სონიას რომ ძალით მიათხოვებენ ოტიას, ისე მოხდა მათი ქორწინება. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, არც ერთი მათგანი ოჯახის შექმნაზე არ ფიქრობდა. მამაჩემს კარგად არ ვიცნობ, დედაჩემს კი ძალიან უჭირს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება. თურმე, ვისაც ურიგებდნენ, ყველა დაიწუნა. თავიდან მამაჩემსაც იწუნებდა, მაგრამ თავისი და მამაჩემის მშობლების ხათრით გაჰყვა ცოლად. გავიდა ორი წელი და უკვე თავიანთი გადაწყვეტილებით, ისინი გაშორდნენ, მე კი უმამოდ გავიზარდე. გოგა“.

„ჩემმა ძმამ მითხრა, შენი საჯდომი და მადა ერთმანეთის პროპორციულია და

## ცელქი

„კასპში საოცრად ცელქი მეზობლის ბიჭი მყავდა. მისი სადიზმის პირველი გამოვლინება მაშინ დავაფიქსირე, როცა კატა გახურებული ღუმლის „დუხოვკაში“ შესვა და შემდეგ ნახევრად დახრუკულ და კნავილისაგან ხმაჩახლეჩილ ფისოს კარი გაულო და უცოდველი სახით ჰკითხა: — რაო, დაგცხა, ფისო? იმ დღიდან მოყოლებული, ყველამ კარგად იცოდა, ვინ კიდებდა მათ ეზოებში ხეზე მკვდარ კატასა თუ ძაღლს. შემდეგ იყო ბიძამისის ქორწილის წინაღამეს ტუალეტში ჩაყრილი ბევრი საფუარი. დილით კი, როცა ეზო ყავისფერი, საშინელი სუნის მქონე, სქელი მასით დაიფარა, დამხმარე ქალები მიხვდნენ, სად გაქრა ხაჭაპურის ცომის მოსაზელად მოტანილი საფუარი. იმ დღეს გაიგო დათომ პირველად მამისგან, რომ ქამარი მარტო შარვლის დასამაგრებლად არ გამოიყენება და თურმე გვერდების დაწითლების საუკეთესო საშუალებაც ყოფილა; მაგრამ არც ამან გაჭრა, რადგან დამსჯელმა მამამ იმ საღამოსვე ნახა, როგორ შეიძლება ერთი ახალი პიჯაკი სულ რამდენიმე წუთში გადაიქცეს გამოუსადეგარ, ოცამდე პატარა ჩვრად. ამ ამბავს მალე მოჰყვა ბაბუის გასვენების დღეს ტუალეტის ქაღალდზე წასმული პილპილი და ყველას გვიკვირდა, იქიდან გამოსული ზოგიერთი სტუმარი რატომ გვეკითხებოდა უკანალზე მთელი ძალით ხელმიჭერილი და სიმწრით ოფლდასხმული სახით, სად იყო სააბაზანო? იმ დღეს, უკანასკნელ გზაზე, შოთა პაპას ყველაზე მეტი სწორედ მათი ცრემლი გაჰყვა. კამელია“.

ერთი თავი ყურია,
2 – სიმახინჯეა.

ამიტომ, რაიმე კონსენსუსს უნდა მიაღწიონო. თვითონ სომალელ ბავშვს ჰგავს, მე კი ერთი ლუკმა ასმაგად მერგება. სამართლიანია, ეს? დედაჩემს დღეს ფულზე დავენაძლევე, რომ „გზავნილებში“ ჩემს მესიჯს ვერ ამოიცნობდა. არ მქონდა გამოგზავნილი და რას ამოიცნობდა?“.

„უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო ბედმა, რადგან ქმარს დამაშორა, რომელიც ყველაზე ძალიან მიყვარდა და მის გარეშე ვერც კი წარმომედგინა ცხოვრება. ახლა ჩვენს შვილს მარტო ვზრდი. ბავშვი მამის „ქსეროასლია“. სულ მამამისს მახსენებს ხოლმე. მას კი ვეტყვი, რომ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღე მაშინ, როცა მიგვატოვე, მაგრამ ახლა ჩემთვის უკვე სულერთი ხარ. ცხოვრება წინაა და იმედი მაქვს, ცხოვრებაში გამიმართლებს. მე ხომ ჯერ 19 წლის ვარ. პუპსიკა“.

„ამას წინათ, მესტიელი ბიჭი გავიცანი. ვუთხარი: მეც სვანი ვარ, მაგრამ სვანური არ ვიცი და ვერ ვლაპარაკობ-მეთქი. მერე რა, ხომ გესმისო და თავად სვანურად მელაპარაკებოდა. ვიფიქრე, წავიხუმრებ ცოტას-მეთქი და ანეკდოტი მოვყევი. კახეთში ვირი დაკარგეს და სვანეთში უპოვიათ, დაწყებითების მასწავლებლად-მეთქი. აი, აქ უკვე მაგრად დამერხაა! :-) ვინც მაგი დაწერაო (ისეთი სიტყვებით იგინებოდა, კახელებს არც დაესიზმრებათ). მარ, იმ ბიჭის გვარს, ჩემი შენდამი დიდი სიყვარულის ხათრით არ დავაკონკრეტებ. :-):-) ვკითხე, მარი ჯაფარიძეს ხომ არ იცნობ-მეთქი? კი, 7 მარის ვიცნობ და შენ რომელი გაინტერესებსო? :-) აი, ის, მეშვიდე-მეთქი. ეგ რად გინდა, ქალიაო. :-):-) P.S. მარ, დიდ იმედს ვიტოვებ, რომ ის მე-7 მარი ჯაფარიძე ხარ, ქალი როა. :-):-) ანარქია“.

„ლოვე“ არ მყავს და დღეს სახლიდან გასვლა არ მინდოდა, გული ვერ გაუძლებს, ამდენი ჩასკვნილ-ჩახუტებულის დანახვას-მეთქი, მაგრამ რომ არ გამევლო ქუთაისის ქუჩებში, რაღა მომეწერა შენთვის? კაფეებში ამბავიაااა... უკაცრავად, მალე მორჩებით, ჩვენც რომ შევიდეთ და „ვიზასაოთ“? მაინც სად იყო ამდენი იაია და ყოჩივარდა, ვარდისფერი პლუშის დათუნია და ერთი ვარდი? არა, არა, ამას მირჩევნია, სახლში წავიდე. თაისი“.

„გმადლობთ, მარ, ჩემს ფსიქიკას რომ გაუფრთხილდი და მესიჯები დამიბეჭდე. გამიხარდა, რომ ჩემი მესიჯები წლის ყველაზე დიდი ცენზორის რისხვას გადაურჩა და წლის ყველაზე დიდი კრიტიკოსების თვალს მოხვდება. შემდეგ ხუთშაბათს თუ არ დამიბეჭდავ მესიჯებს, წლის ყველაზე დიდი უსამართლო გადაწყვეტილება იქნება. თაისი“.

„თემას არ ეხება, მაგრამ... პათოფიზიოლოგიის ლექტორმა გვამცნო, რომ თურმე მეგრელობაც ერთ-ერთი დაავადებაა. მაგალითად, როგორიც: იშემია, ჰიპოქსია, კახექსია, ანორექსია, ჰიპერტენზია და კიდევ ათასი პათოლოგია, რომელიც ისევე „ია“-თი ბოლოვდება, როგორც მეგრული გვარები. ჩემი გვარიც „ია“-ზე მთავრდება და გამოდის, რომ თანდაყოლილი სენით ვარ შეპყრობილი. ნეტავ, რომელი მედიკამენტი შველის დაავადებას — „ანტია“? იმედია, ოპერაციული ჩარევა არ დამჭირდება. პოეზიის დედოფალი“.

„ეჰ, სოფელო, სოფელო... მოვედი და აი, ხუთშაბათიც მოვიდა, „გზის“ გარეშე. :( არც თემა ვიცი რა არის, არც ის ვიცი, ჩემი კლუბელები რას შვრებიან... მოკლედ, ინფორმაციულ ვაკუუმში ვარ. ერთადერთი, არკადი ძიას სიკვდილი გავიგე, სანდო წყაროდან და სამძიმრებს ვეღარ ავუდივარ. მარ, გასულ კვირას ცოტა მესიჯი გამოგიგზავნე და არ გამიკვირდება, ამ ნომერში ჩემი SMS რომ არ იყოს. ისე კი, გული დამწყდება. ჰო, მართლა, ტელეფონიც გამიფუჭდა და ახლა ჩვენს წელთ აღრიცხვამდე გამოშვებული „ნოკიით“ გიმესიჯებ. აქედან დამესიჯება კი გმირობის ტოლფასია. ეჰ, იქნებ ვინმემ ხელისუფლებიდან წაიკითხოს ეს მესიჯი და გადმომცენ „ღირსების ორდენი“. ზუგდიდელო მგზავნელებო, ვიცი, რომ საკმაოდ ბევრნი ხართ. ჰოდა, შაბათს, 23 თებერვალს, 2 საათზე,

„უსამართლო გადაწყვეტილებას იღებს ჩვენი უბნის „მოშავო ელემენტი“, უპატრონო კატა, რომლის საქმლის მომნელებელი სისტემა ბრწყინვალე ფორმაშია და შედეგად, მუდმივად შეურაცხყოფს მეზობლის კარის წინ დაგებულ საფენს, რის გამოც, ყოველ დილით, ზემოთ აღნიშნული ოთხფეხის მიმართ სამართლიანად ისმის დაზარალებული მხარის გულმხურვალე წყევლა-კრულვა. კარგით რა, ნანი ბებო, ეგ კატა თავხედი, უნამუსო და გაუზრდელი რომ არის, კი ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ აშკარად მამალია და ამოგიწყდა ქმარ-შვილიო, რომ წყევლი, მაინც უხერხულია. ერთიც ვნახოთ, გაუტყდეს, მოგიბრუნდეთ და გაგინოთ? კარდიოლოგი“.

ნაძღვლოს ჭლოს ცხოვრების
ძახილზე ? ამაზ ოდდა გაგეთოს და
ძოლოდ ჭოკზე ამ ჩაიცვიდოს.

ატრიუმის წინ გელოდებით. ყველას აუცილებლად „გზა“ გეჭიროთ. კანიბალკა გიხმობთ. :) „მგზავრებო“, მენატრებით, მიყვარხართ. მალე ჩამოვალ და დავიწყოთ გეგმების განხორციელება. გენაცვალოთ თქვენი ლანკა. მეგრელი კანიბალკა“.

„ოჯახში ჩემს უფლებებს არღვევენ. დღეს „გზა“ დიდი ამბით ვიყიდე და დედაჩემმა წამართვა. ახლა ზის და „გზავნილებს“ კითხულობს, თან ჩაის სვამს და სიცილისგან ლამის მთელი ჭიქა ზედ გადაისხას. დე, იცოდე, ჩემი ცოდვა რაღაცას მოგწევს. ან ჟურნალი დამითმე, ან მდუღარე ჩაი გადადგი გვერდზე. ესმერალდა“.

„ქ-ნ სხდომის თავმჯდომარეს ვთხოვ, მიკროფონი ჩამირთოს. წინასწარ გაფრთხილებთ, ვერ ვფარავ ჩემს ემოციებს. რამდენიმე კვირის წინ, „გზაში“ ერთი მგზავნელი „აშხფოთების“ სენით დაავადდა. ეს არ ეყო და იქიდან მოყოლებული, ისე ღიად ავრცელებს ამ სენს, რომ გადაგვდო ყველას. აბა, რას მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ყოველი მეორე მგზავნელი „აშხფოთების“ სიმპტომებს უჩივის? ქ-ნო მარი, მკაცრად გააფრთხილეთ ეს უკანასკნელი და გამეორების შემთხვევაში, მიკროფონი გამოურთეთ. ა, მეც დამიწყო უკვე შეტევა. მორიგი „აშხფოთებული“, ლეო91“.

„სიყვარულის დღე და რამეო და ყველა ჩახვეული და ყვავილებით ხელში „დაიპლაკვება“. მე კიდევ, მინდვრის თაგვივით მარტო მივდივარ. :) პრინციპში, რატომ მარტო? ყვავილების მაგივრად, დროშასავით აღმართული „გზა“ მიჭირავს და ერთი სული მაქვს, სახლში როდის მივალ, „მადიანად“ რომ წავიკითხო. ჩორი-ჩორის კლუბში მინდა. ემილი“.

„ერთი ჩემი ბავშვობის მეგობარი წყალტუბოდან ზესტაფონში გათხოვდა. უფრო სწორად, შეუყვარდა და გაიპარა. დედამისმა ეს რომ გაიგო, გაგიჟდა. მიუვარდა იმ ბიჭს ზესტაფონში და სულ მათხოვარი ეძახა. ხოლო ქალიშვილს მიაკივლა: „ის“ თუ გინდოდა, წყალტუბოში მაგის მეტი რა იყო, ზესტაფონში არ წამოსულიყავიო. მიუხედავად ამისა, ისინი ბედნიერად ცხოვრობენ და 7 შვილს უზრდიან ჩვენს ქვეყანას. გკოცნი. გერასიმე“.

„ჩემი მამიდაშვილი ნინა, 15 წელია საბერძნეთში ცხოვრობს და საავადმყოფოში მუშაობს. ჰოოდა, თურმე ნემსს უკეთებდა ერთ მოხუცს და იმან სთხოვა, გადამაბრუნეო. ნინოს უთქვამს, ეგ მე არ მევალებაო და ამ ამბავს ისე აღფრთოვანებული მიყვება, დამტვრეული ქართულით, რომ სიამოვნებით გავწეწავდი, მაგრამ სტუმარი ღვთისაა. :) მოამბე-04“.

„ჩემს სოფელში ერთი „კოლორიტი“ კაცი ცხოვრობდა. იშვიათი იუმორის პატრონი იყო. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, მეზობელი სოფლიდან სტუმრად ქალბატონი ეწვია, ბაწარჩაბმულ ძროხასთან ერთად. მოიკითხეს ერთმანეთი და აი ძროხა დასამაკებელია და იქნებ მიშველოო, ამოღერღა ქალმა მისვლის მიზეზი (ბატონს ბუღა ჰყავდა). — რას ლაპარიკობ ქალო, ქალის თავი აღარ მაქვს და მაგი სად შემიძლიაო? შეიცხადა კაცმა :) აი, ასეთი მხიარული ხალხი ცხოვრობს ჩემს მშობლიურ მხარეში. ვირუსა-89“.

„მარ, ალბათ, გძინავს, მე კი არ გეშვები და ვირუსივით შევეყარე შენს მობილს. ლიმონას ვეტყვი, რომ „გზავნილებში“ შეუმჩნეველი არავინაა. თითოეული მგზავნელი მნიშვნელოვანია. არა უშავს, თუ ერთ კლუბში არ ვიქნებით. „გზავნილებში“ ხომ ყველა ერთად ვართ? მეც მიყვარხართ ყველა. კარგები ხართ. პენსიონერის ნომერი მინდა, როგორ გავიგო? კარდიოლოგო, არ გინდა სადამსჯელო ექპედიციები. მე მახსოვს 7 ნოემბერი :) და ამიტომ ვწევრდები შენთან. მიმიღებ? ოღონდ, ექიმი არ ვარ, ჟურნალისტი ვარ. ვირუსა-89“.

„მარი, ალბათ, სიბრაზისგან,/ ცეცხლის ალი მომედება,/ შენთან წამოსულ მესიჯებს,/ იცი, გზად რა ემართება?/ ქრება ისე, როგორც ნისლი,/ როგორც ღამის მოჩვენება,/ არ ეღირსათ საცოდავებს,/ შენს თითებში მოსვენება./ მათი თბილი „დასტავლენო“/ გაყინულ გულს აღარ მითბობს,/ შენი ურჩი ტელეფონი,/ საბრძოლველად ჩუმად მიხმობს./ არც ეს მოვა ალბათ შენთან,/ მგონია და თანაც ვშიშობ,/ „ჯეოსელი“ ავაშენე,/ მჯერა, სიურპრიზს მომიწყობს./ მარი, კი არ გამიბრაზდე,/ სიმართლის თქმას გული ითხოვს,/ არ გეგონოს, გებუტები,/ რაც მოხდა და იყო, იყო.../ მგზავნელებო, მინდა ჩემი,/ სიყვარული დაგიმტკიცოთ,/ არ არსებობს, რომ ოდესმე/ შევიცვალო, დაგივიწყოთ./ ჩემს გულში გაქვთ ბინა მარი,/ შენ და „გზის“ მთელ იმპერიას,/ ეჰ, რამდენი ვილაქლაქე,/ უკვე თავგზა ამერია./ თქვენზე ფიქრში სიყვარული,/ თვალზე ცრემლად მომერია,/ გეფერებით და გეხვევით/ ყველას, თქვენი კამელია./ P.S. თუ კი ჩემმა პოლიტლექსმა,/ დააბრუნა „ოქროკაცი“,/ მაშინ მიშკა პრეზიდენტო,/ მე ვიქნები შენთან ვალში./ კამელია“.

„ელისო? ახლა გავიხსენე, რომელი ელისო ამესიჯებს. რამდენჯერმე მეც გაგილამაზებივარ და გადავწყვიტე, „ვსიო“, ელოს გარდა არავის ვენდობი-მეთქი, მაგრამ ამას ჰქვია უბედობა. სალონი დახურეს. ელისო კი ბევრი ძიების შემდეგ, პატრულის ფორმით გაიჩითა. :) მაშ,

**„სამსახურში ტელეფონმა დარეკა. — ქალაქის მერი გისმენთ! — ვუპასუხე. გათიშა და კიდევ დარეკა. მე ისევ იგივე ვუპასუხე. მესამედ უკვე სხვას დაარეკვინა. იმასაც რომ იგივე ვუპასუხე, სულ გაგიჟდა. თურმე, გენერალური დირექტორი ყოფილა. „იზვინი“, ბოსს. დვა პოლუს“.**

ჰო, თან ზაო ძიამ თქვა, გათხოვდაო. ახლა კი უხსენი სომხებს, ასე არ ამაჭრა, მანდ არ ამიფუვოოო. ხომ ხედავ, რა გასაჭირში ვარ? :( ჰო, რაც შეეხება სამბუჩქიან პარკს, ახალგაზრდები გაზაფხულზე გამოჩნდებიან. ახლა არდადეგები აქვთ. ჯარჯი".

„აუ, ამ „დასტავლენოს" ლოდინში ლობიო დამეწვა, რა! მარ, ჩართე რა, ტელეფონი? გეხვეწები, რა? თორემ გადავხტები აქედან

ყოფილა თავისუფლებაა! ახლა 2 დღეა, შეყვარებულს დავასწარი და ავახვევინე, მაგრამ მისი სურათი ახლაც საფულით დამაქვს. ჩემს საქციელს არ ვნანობ. გული დავიცალე, მაგრამ მე ის ჯერ კიდევ მიყვარს. ჯარჯი".

„ყოველთვის ვკითხულობდი „გზას", მაგრამ არ გწერდი. ახლა კი ჯერ ბებო გარდამეცვალა, მერე პაპა და ჩავრჩი სოფელში. კაი ხანია, „გზა" არ მინახავს.

**„ჩემს სოფელ ნიკორწმინდაში ერთი კაცი ცხოვრობს და ყლურწვა უყვარს. ერთხელ, ზამთარში ცოლის სოფელში იყო და იქიდან ფეხით წამოვიდა. თოვლში 9 კილომეტრი იარა და ჩვენს სოფელში რომ ჩამოვიდა, სიგარეტი მოუნდა. ქარი უბერავდა და ზურგით შებრუნდა, რომ მოეკიდებინა. მოუკიდა და... იქით წავიდა, საითაც შებრუნდა... შუალამისას კი კვლავ ცოლის სოფელში ჩავიდა. მისი რეაქცია არ ვიცი, როგორი იქნებოდა. :) აბსურდა".**

და მერე ჩემს სიკვდილს დაგაბრალებენ და დედაჩემს ვერ გადაურჩები. :) ვხუმრობ, მართლა კი არა! ახლა ცუდად ვარ. თან მაგრად. ყელი მტკივა, სიცხე მაქვს და პლუს ამას, წამლების დალევას მაიძულებენ! ფუ, რა საშინელებაა! კაი, წავედი, წავედი, წამალი მაქვს დასალევი და უნდა დავიმალო. თქვენი იდუმალუკა. ყველანი მაგრად მიყვარხართ".

„მარიკუზა, შენ არ გაგიგია, ფეხმძიმე ქალის გაწბილებისთვის ვირთხები შეგჭამენო? რათ გამაწბილე? 4 მესიჯიდან ყველა რომ დამიბლოკე? ახლა მაინც აჩვენე სინათლე, კაცო, ვახ... შენი უსამართლო გადაწყვეტილების გამო, ჩემმა ფერებით გზრდილმა მესიჯუკებმა ისევ ღამის სიბნელეში დაიდეს ბინა. ბასასუნა".

„უსამართლო გადაწყვეტილებით, სინჯებზე მოსკოვში წასული ქალი, 2 თვეში უკან დამაბრუნეს. თუმცა, არც მთლად დამწყვეტია გული... მზიან თბილისში ჩემი სატრფო მელოდებოდა. ბასასუნა".

„აუ, რა ძალიან უმაგრესი

მალე ჩამოვალ და შემოგიერთდებით. ყველანი მაგრები ხართ. კუსუნსულა14".

„დღეს „მარშრუტკის" მძღოლი უყვებოდა ნაცნობს, საერთო ნაცნობზე. დამთვრალა თურმე ეს საერთო ნაცნობი, წასულა სოფლის სასაფლაოზე, მოუძებნია მათემატიკის მასწავლებლის საფლავი და ებაასება სურათს. ხმამაღლა ეკითხება რაღაც ფორმულას, სურათი კი დუმს. ეს განაგრძობს: რომ გეკითხები, რეიზა არ მპასუხობ, ვითომ? არ იცი, თუ არ გესმის? ასე ვიყავი მეც კიდო, გაშტერებული სკოლაში, რომ მეკითხებოდი და ვერ გპასუხობდი, კაი იყო?"

„უსამართლობაა, აბა, რა დავარქვა იმას, როცა მეუღლე მთელი თვე სამსახურშია და ხელფასს მე ველოდები? უსამართლოდ ვიქცევი მაშინაც, როცა მეუღლე მირეკავს და კაფეში მეპატიჟება, მე კი ვეუბნები, რომ სტუმრები მყავს და ვერ წამოვალ-მეთქი. არც ისაა სამართლიანი, როცა მობილურზე ანგარიში მაქვს და მაინც მისი მობილურით ვრეკავ. ანდა დაბადების

დღეზე, ყველას თვალწინ სავარცხელს ვჩუქნი (ის ხომ მელოტია). ყველაფერი რომ ჩამოვთვალო, მგონი, მეც ვერ დავიჯერებ. P.S. ვეცდები, გამოვსწორდე, თორემ... აბლახანუმი".

„ჩემმა მეუღლემ ზუმერად დააყენა — „მიწამ კი ჩაგიკეტოს პირი, შე უხსენებელო, შენ" და ის ველარ გაითვალისწინა, რომ შეიძლებოდა, არასასურველი ყოფილიყო ზოგიერთისთვის. დილით სამსახურიდან უფროსმა დაურეკა. კაცს რამდენიმე წამი ხმა არ ამოუღია და ბოლოს, ძლივს დაამთავრა სათქმელი. მე და ჩემი მეუღლე გვიან მოვედით აზრზე და კარგად ვიცინეთ. თან, მგონი, ცოტათი შეგვრცხვა კიდეც. LILY19".

„იცით, რა არის უსამართლობა? მე, რომელსაც ვაშლი ძალიან მიყვარს, ეზოში ვაშლის პატარა ნერგები მიდგას, რომელიც ჯერ ვერ დაისხამს, დიდი ხეები კი მხოლოდ ჭიან ნაყოფს ისხამს. ჩემს მეზობელს კი ვაშლი დიდი რაოდენობით უდგას. იცით, როგორ მიყვარს მათთან სტუმრობა? აბა, ნახვამდის. კოიოტი".

„მარ, რას გვიშვრები, რას, რას? ჯერ ამ ყინვაში „გზის" საყიდლად გასულები, დაბლა ხოხვით ხომ ვატყავებთ ასფალტს? ეგ არაფერი, მთელ მგზავნელ-მკითხველებს ხომ გვალოკვინე იდაყვები? :) ეგეც ააარაფერი, დაუკითხავად შემოიჭერი ჩვენს გულებში და მგზავნელებო, თქვენ რა გგონიათ, აპირებს სადმე წასვლას? ა-ა-პა-პა! არც იოცნებოთ! მოკლედ, დიდ შარში ვართ! :) ასეთი შარი არ მოგკლებოდეთ, ხალხნო! ილინი".

*დღეს ამით ვამთავრებთ „გზავნილებს". მომდევნო ნომრის თემად კი გთავაზობთ — მეექვსე გრძნობა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61. ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.*

**ეარგად დააკვირდი სურათს რამდენიმე წუთის განმავლობაში და გაეცი პასუხი კითხვაზე: რომელ ნივთს მოიპარავდი? შემდეგ კი ფოტოტესტის პასუხები იხილე.**



1. თუ გაიფიქრე, რომ სათვალეს მოიპარავდი, სავარაუდოა, რომ დახვეწილი გემოვნება გაქვს და ლამაზ, ნატიფ ნივთებს პატივს სცემ. ალბათ, შენს კოლექციაში ბევრი ისეთი ნივთია, რომელიც ადამიანის თვალსა და გულს ახარებს.

2. თუ პერანგს მოიპარავდი, ალბათ, შენი გარდერობი სავსე იქნება უსარგებლო, ძვირად ღირებული ტანისამოსით და ახალი ნივთებისთვის ახალი გერდერობიც გაქვს შეკვეთილი. თუ რაიმე ნივთი მოგეწონა, ფულსაც კი სესხულობ, ოღონდ ის დაისაკუთრო. სავარაუდოა, რომ საპირისპირო სქესის მიმართაც სწორედ ასე იქცევი. თუ მოგეწონება, შენი უნდა გახდეს.

3. თუ ჰალსტუხს მოიპარავ, მაშინ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე, პატივმოყვარე ადამიანი ყოფილხარ. გიყვარს, როცა ყურადღების ცენტრში იმყოფები და ყველაფერს გააკეთებ საიმისოდ, რომ ყველაზე წარმატებული და უკეთესი იყო.

4. თუ მაგიდაზე დაწყობილ ქაღალდებს მოიპარავდი, სავარაუდოა, რომ ჭორიკანა, ცნობისმოყვარე ადამიანი ხარ და სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფაც გიყვარს. უშენოდ არსად არაფერი ხდება და ყოველთვის იცი, ვინ ვისი საყვარელია, ვისი – ცოლი. ენაზე კბილის დაჭერაც გიჭირს და თუ რაიმე საიდუმლოს ყური მოჰკარი, რამდენიმე წუთის შემდეგ ის უკვე ყველას ეცოდინება. შენი საყვარელი გამოთქმა კი ასეთია – „რაღაცას გეტყვი, მაგრამ ჩვენ შორის დარჩეს".

5. თუ კომპიუტერს მოიპარავდი, სავარაუდოა, რომ შენთვის უმთავრესია ნივთის – ღირებულება, ადამიანის – გარეგნობა და მატერიალური მდგომარეობაა.

6. თუ სტეპლერს მოიპარავ, ალბათ უცხო ნივთებზე გიჟდები. ყიდულობ ყველაფერს, რაც მოგეწონება, მიუხედავად იმისა, მათი დანიშნულება იცი თუ არა. დარწმუნებული ვარ, შენს სახლში აუცილებლად მოიძებნება ელექტროხერხი, ტრომბონი და მოკრივის ხელთათმანი.

# როგორი ეცლა იყოს იდეალური მამაკაცის ანთქვამი ფრაზები



— ძვირფასო, როცა დაგჭირდება, შეგიძლია, ჩემი მანქანით ისარგებლო.

— თითქოს შეუძლოდ ვარ, ბულიონს ხელით ხომ ვერ მაჭმევდი?

— აიღე ჩემი საფულე და მაღაზიაში წადი.

— ნუ ჩქარობ, მთელი ცხოვრება დაგელოდები, ვიდრე შენ უცებ გაემზადები.

— ჩემთვის ერთადერთი და განუმეორებელი ხარ.

— ახლა მე წავალ და დავახვევ.

— როგორც ყოველთვის, შენ მართალი ხარ.

— თუ ჩემთან მოიწყინე, შეგიძლია, რამდენიმე საათით პაემანზე წახვიდე. გამიხარდება, თუ ბედნიერებით სახეგაბრწყინებულს დაგინახავ.

— რამდენი ხანია, ჩემი საყვარელი სიდედრი არ მინახავს?

— მეგობრებთან წადი და მშვიდად იყავი. ყველაფერს გაკეთებულს დაგახვედრებ.

— სადილი მიგეწვა? არა უშავს, მაინც გემრიელია.

— ვაღმერთებ სერიალებს.

— ბებიაშენი ძალიან მაგარი ქალია. მასთან ერთად სიამოვნებით გავისეირნებ.

— ვიცი, რომ დამნაშავე ვარ.

— შენ გარდა სხვა ქალებს საერთოდ ვერ ვამჩნევ.

— რა სულელი ვარ...

# როგორი ეცლა იყოს იდეალური ქალის ანთქვამი ფრაზები

— მაპატიე, მართალი არ ვიყავი.

— ნუ ღელავ, ახლა სამივეს გავლახავ, კარატეში შავი ქამრის მფლობელი ვარ.

— ძვირფასო, დარწმუნებული ხარ, რომ რაც დალიე, უკვე საკმარისია?

— ძალიან ბევრს ხომ არ ვლაპარაკობ?

— გადავწყვიტე, დღეიდან სახლში შიშველმა ვიარო.

— მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, სიურპრიზი მოგიწყოთ: გოგონებო, აბა, გავიხადოთ!

— ცოტა ხნით გაისეირნე, მე მანამდე კედლებს შევათეთრებ.

— რა გავაკეთო, რომ დანაშაული გამოვისყიდო?

— მე დედაშენს მოვინახულებ, შენ კი შეგიძლია, მეგობრებთან ერთად სტრიპტიზბარში წახვიდე.

— როგორ მიყვარს, როცა მთვრალი მოდიხარ...

— მე კარგი ხელფასი მაქვს. შენ რატომ უნდა იმუშაო? ჯობს, „პოკერის“ თამაში ისწავლო.

— გინდა, მეგობრებთან ერთად ქალებში წახვიდე?

— მოდი, ლუდი დავლიოთ და ფეხბურთს ვუყუროთ, მაღაზიაში კი სხვა დროს წავიდეთ.

— ძალიან მიყვარს, როცა შაბათობით დროს მეგობრებთან ერთად ატარებ და მინდა, იმდენი დრო გქონდეს, რომ კვირასაც იგივე გააკეთო.

— ჩვენი მეზობელი ისევ სახურავზე ირუჯება. ხომ არ ახვალ, რომ ნახო, როგორ არის?

— შენ არ შეწუხდე, მანქანაში ზეთს მე გამოვცვლი.

— დედაშენი დედაჩემს სჯობია.

— დაივიწყე სიყვარულის დღე და საჩუქრისთვის ფულს ნუ დახარჯავ, აჯობებს, თუ შენი მანქანისთვის ახალ დისკებს იყიდი.

— ხვალ სანადიროდ რატომ არ მიდიხარ? ქორწინების წლისთავს გაისადაც აღვნიშნავთ, შენი მეგობრები კი უშენოდ მოიწყენენ.

— შენ დასვენება გჭირდება, ამიტომ, მაცივრიდან მე თვითონ მოგიტანს ყველაფერს, რაც დაგჭირდება. ●

# ყველაზე ორიგინალური სასამართლო პროცესები

**თურმე, შეგიძლია, თვით უფალ ღმერთსა და ტელევიზიასაც ჰი უჩივლო, ხოლო საჩივრის მიზეზი ჰი შესაძლოა გახდეს როგორც ინტიმური ურთიერთობების აღდგენის მოთხოვნა, ასევე „ნასას" ჰოსმოსურ პროგრამასთან ინტერესების შეუსაბამობა.**

ყველას ახსოვს 2007 წლის სექტემბერში მომხდარი გახმაურებული შემთხვევა, როდესაც ნებრასკის შტატის სენატორმა, ერნი ჩემბერსმა სასამართლოში ღმერთის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა იმის გამო, რომ ის ადამიანებს სხვადასხვა სახის სტიქიას, კატასტროფასა და გასაჭირს უგზავნის. რა შეიძლება ვთქვათ ამ ადამიანის შესახებ? ალბათ ის, რომ ერნი ნამდვილი პატრიოტია და კარგი იუმორის გრძნობა აქვს.

მსგავსი კაზუსები თურმე სასამართლოსთვის იშვიათობას არ წარმოადგენს. მაგალითად, 2004 წელს, ამერიკელმა ტიმოთი დამუშელმა ადგილობრივ ტელეკომპანიას უჩივლა იმის გამო, რომ მისი ცოლი გასუქდა, შვილები კი დისტანციური მართვის პულტის მონებად იქცნენ. სასარჩელო განცხადებაში სწორედ ასე მიანიშნა: „დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ცოლის ზედმეტი კილოგრამები სწორედ ტელევიზიების ბრალია, რომელსაც ის ყოველდღე, დილიდან საღამომდე უყურებს". სასამართლო პროცესი ძალზე გაჭიანურდა და დავა დღემდე გრძელდება.

ბრაზილიელმა ქალბატონმა საყვარელს იმის გამო უჩივლა, რომ მან სასიყვარულო ფრონტზე ფიასკო განიცადა. მან სასარჩელო განცხადებაში მიუთითა, რომ საყვარელი მის სიამოვნებაზე არ ფიქრობს, სექსის მერე იძინებს და თანაც, ხვრინავს. პროცესს მედიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ მოსარჩელეს საქმის აღძვრაზე უარი უთხრეს. რა თქმა უნდა, მასთან ურთიერთობაზე საყვარელმაც უარი განაცხადა.

გერმანელი სახელმწიფო ადვოკატი, იურენ გრეფი ერთ-ერთი პენსიონერი ქალბატონის საქმეზე მუშაობდა. ქალი აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ დავალიანების გადასახდელ უწყებაში მითითებული იყო 287 მილიონი ევრო. პენსიონერის შემოსავალი კი წელიწადში 17 ათას ევროს შეადგენდა. ადვოკატმა საქმე იოლად მოიგო, მაგრამ პენსიონერი ქალბატონი სხვა სირთულეს წაანყდა. საქმე ის გახლავთ, რომ ადვოკატის ჰონორარი სწორედ იმ თანხიდან გამოითვლება, რომლის გამოც დავა მიმდინარეობდა (ამ შემთხვევაში — 287 მილიონი ევრო) და მისმა ჰონორარმა 440.243 ევრო შეადგინა. აღნიშნული თანხის გადახდამ სახელმწიფოს მოუწია.

1972 წელს იორკშირის სასამართლო ვინმე რეჯინალდ სედვიკის საქმეს განიხილავდა. მას ბრალად რკინიგზის სადგურის მოპარვა ედებოდა. სასარჩელო განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ მოპასუხემ რკინიგზის სადგურის ცარიელი შენობა დაშალა და მისი ტერიტორიიდან, არაკეთილსინდისიერი მიზნებისთვის 24 ტონა რელსი გაიტანა. განსასჯელმა აღიარა, რომ მან აღნიშნული ქმედება ნამდვილად ჩაიდინა, მაგრამ ის დაქირავებული იყო ერთ-ერთი კომპანიის მიერ, სწორედ ამ საქმის შესასრულებლად. ადვოკატმა მისთვის გამამართლებელი განაჩენის გამოტანას მიაღწია, მაგრამ ფირმა, რომელმაც რეჯინალდი დაიქირავა, დღემდე უცნობია.

2005 წელს მასაჩუსეტსის შტატის სააპელაციო სასამართლომ არ მიიღო საქმე, რომელშიც მოითხოვდნენ ოფიციალურ გადაწყვეტილებას „სახიფათო სექსუალური პოზების შესახებ". ვინმე 32 წლის მარიო თავის სატრფოს უჩიოდა იმის გამო, რომ სექსის დროს ქალბატონი ჩვეულებრივი პოზების ნაცვლად უცნაურ, ჯანმრთელობისთვის სახიფათო პოზებს ირჩევდა და ამით მის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიდა. ამის დასტურად საქმეს სამედიცინო ცნობა დაურთო, სადაც ეწერა, რომ ის არაერთხელ მიიყვანეს საავადმყოფოში კიდურების მოტეხილობითა და თავის ქალის ტრავმით. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქალბატონი დაისჯებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე მამაკაცის სასქესო ორგანოს დაემუქრებოდა.

2005 წელს, რუსმა ასტროლოგმა, მარინა ბაიმ „ნასას" იმის გამო უჩივლა, რომ ამ უკანასკნელმა სამყაროს კოსმოსური ბალანსი დაარღვია. ის ამის გამო 265 მილიონ დოლარს ითხოვდა. მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გასულ წელს ინდოეთის სასამართლოს წინაშე საკმაოდ რთული საკითხი დადგა. მათ უნდა დაედგინათ, ბატარეით აღჭურვილი ვიბროპრეზერვატივი სექსსათამაშოა თუ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება. მწარმოებელი ირწმუნებოდა, რომ ეს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება გახლდათ და ერის გაჯანსაღებაზე ზრუნვას ისახავდა მიზნად. ოპონენტები კი ამბობდნენ, რომ ეს სექსსათამაშო იყო. დავის მიზეზი ის გახლდათ, რომ ინტიმური საქონელი, რაც სექსშოპებისთვისაა განკუთვნილი, ინდოეთში მკაცრადაა აკრძალული.

2006 წელს, შანხაელი ახალგაზრდა სასამართლოში იმის გამო მოხვდა, რომ ინტერნეტაუქციონზე საკუთარ სულს ყიდდა. ვებგვერდის მფლობელებმა მისი განცხადება გააუქმეს და გამყიდველს უთხრეს, რომ მის ლოტს ისევ გაიტანდნენ აუქციონზე, თუ ის „ზემოდან" წერილობით ცნობას წარმოადგენდა იმის შესახებ, რომ სული ნამდვილად მას ეკუთვნოდა.

2004 წელს სასამართლოს მოხელემ საკუთარი ქალაქის, ნიუ-იორკის მერიას უჩივლა იმის გამო, რომ მისი უნიტაზი აფეთქდა. სულ რაღაც 5 მილიონი დოლარის სანაცვლოდ, ის თანახმა იყო, მერიისთვის მისი სხეულის ნაწილების ამპუტაცია ეპატიებინა. სხვათა შორის, მისი სარჩელი დააკმაყოფილეს.

2006 წელს ნევადის შტატის სასამართლო იხილავდა საქმეს, სტიპტიზის შესახებ. კანონის მიხედვით, სტრიპტიზის მოცეკვავე ქალბატონებს ეკრძალებოდათ კლიენტთან მიახლოება, მათთან შეხება და მუხლებზე დაჯდომა. იურისტები სერიოზული სახით განიხილავდნენ, მიეცათ თუ არა უფლება ქალბატონებისთვის, რომ მამაკაცებს შეხებოდნენ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ გადაწყდა: იმისათვის, რომ მამაკაცის უფლებები არ დაირღვეს, ქალბატონები მათ ცეკვის დროს არ უნდა შეეხონ!

# შავ ამის აეროგრაფია?



**ხანდახან ჩვენს მკითხველებს უცნაური შეკითხვები უჩნდებათ ხოლმე. მაგალითად, ამ კვირაში ერთ-ერთმა მკითხა, რა არის აეროგრაფია და როგორ მოვახერხო მისი შესწავლაო რადგან ეს ადამიანი ესოდენ მოწადინებულია, რომ აეროგრაფია შეისწავლოს, მე მისი დახმარება გადავწყვიტე. იმედი მაქვს, ეს თემა სხვა მკითხველებისთვისაც საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდება.**

აეროგრაფია გახლავთ მანქანის, მოტოციკლის, სნოუბორდის, დამცავი ჩაფხუტის, კომპიუტერის სისტემური ბლოკის, ტელეფონისა თუ სხვა მსგავსი საგნების ზედაპირზე აეროგრაფის საშუალებით ნახატის გადატანა.

აეროგრაფი (საჰაერო ფუნჯი), პულვერიზატორის მსგავსად, საღებავის მისასხურებელი მოწყობილობაა, მაგრამ მისგან განსხვავებით, მისხურების გაცილებით ზუსტი და წვრილი სპექტრი აქვს, რომლის სიზუსტეც სპეციალური რეგულატორის მეშვეობით იცვლება. აეროგრაფით წვრილი კონტურებისა და ნახატის მცირე ზომის დეტალების გაკეთებაც კი შესაძლებელია. ნახატის სიზუსტე, სილამაზე, სირთულე და ხარისხი მხოლოდ მხატვრის ნიჭზე, ფანტაზიასა და პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული.

აეროგრაფიანი ავტომობილი იგივეა, რაც მაღალი წრის ქალი. მისი დაუფლება ყველას სურს, მაგრამ ბევრს არ შეუძლია. ვისაც ასეთი ავტო ჰყავს, შეუძლია, მისით იამაყოს, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, ვის მოსწონს ასეთი ავტო — თინეიჯერს, პენსიონერს თუ მსხვილ ბიზნესმენს? თურმე, ნუ იტყვით და, ის ყველა კატეგორიის ადამიანს მოსწონს. ნახატის თემატიკა და მისი შესრულების ხარისხი პატრონის გემოვნებაზე მეტყველებს, მის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს და ფუფუნების ერთ-ერთი დეტალია, რადგან გაჭირვებული ადამიანი თავისი ავტოსთვის ნახატს არ უკვეთს.

ძარაზე გაკეთებული აეროგრაფია ერთ-ერთი საშუალებაა, რომ ავტომობილს უნიკალურობა შესძინო. იმისთვის, რომ ავტომობილზე ნახატი გააკეთო, შესაბამის სამსახურს უნდა მიმართო. როგორც წესი, ასეთ სტუდიებში გამზადებული ესკიზები აქვთ, საიდანაც შენთვის სასურველს შეარჩევ, მაგრამ მხატვარს შენი ფანტაზიის ხორცშესხმაც ძალუძს. ავტომობილზე შესრულებული აეროგრაფიული ნახატი დამატებითი დამცავი სისტემაა, რადგან ასეთი ავტოს გატაცების სურვილი, ალბათ, ვინმეს ნაკლებად გაუჩნდება.

უნდა ითქვას, რომ ეს სიამოვნება საკმაოდ ძვირი ჯდება, რადგან მისი შესრულების პროცესი საკმაოდ რთული გახლავთ.

ავტომობილზე ნახატის გაკეთების ტექნოლოგია 1878 წელს, ამერიკელმა იუველირმა ებნერ პილერმა გამოიგონა და დააპატენტა კიდეც. რამდენიმე ძველი მილის, საკერავი ნემსისა და თვითნაკეთი კომპრესორის საშუალებით პირველი აეროგრაფი ააწყო და თავის სახელოსნოში მშობლიური აიოვის შტატის პეიზაჟების ხატვას მიჰყო ხელი.



მისი გამოგონება ერთ-ერთმა ფირმამ შეიძინა, რომელმაც 1884 წლიდან, ფერწერის ახალი სახეობის რეკლამირება დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ, ეს მეთოდი ფოტოგრაფებმა აითვისეს და შავ-თეთრი ფოტოების შეღებვა დაიწყეს. ზოგიერთი ფოტოგრაფი ფოტოზე მთელი უკანა ფონის შეცვლას ან რაიმე დეტალის დამატებასაც კი ახერხებდა.

აეროგრაფიის ნამდვილი ბუმი XX საუკუნის პირველსავე წლებში დაიწყო. მხატვრისთვის აეროგრაფი ისეთივე მოდური და აუცილებელი იყო, როგორიც ახლა — კომპიუტერი. საჰაერო ფუნჯის დახმარებით განცხადებებს, აფიშებს, სარეკლამო პლაკატებსა და ჟურნალის ილუსტრაციებსაც კი ხატავდნენ.

მანქანაზე გაკეთებული პირველი ნახატები უტილიტარულ ფუნქციას ასრულებდა. რბოლის დროს, მისი საშუალებით, ავტომობილს ნომერს აწერდნენ. ცოტა მოგვიანებით კი, სარბოლო ავტომობილებზე სპონსორების რეკლამაც გამოჩნდა. ავტოსპორტი თანდათან პოპულარობას იხვეჭდა და სპონსორების რაოდენობაც იზრდებოდა, რის გამოც, სარბოლო მანქანების ბორ-

ტის თითოეული სანტიმეტრი მომგებიანი ხდებოდა. ამის გამო, ავტოებზე შესრულებული არაკომერციული ნახატები (მოპოვებული თასები, ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებები) თანდათან დავიწყებას მიეცა. 40-იან წლებში, ამერიკასა და ევროპაში სპეციალური ფირმები შეიქმნა, რომლებიც კლიენტს ავტომობილზე მარტივი, რამდენიმე ფერისგან შექმნილი ნახატის გაკეთებას სთავაზობდნენ. 50-იანი წლების ბოლოს კი ასეთი ფირმების რიცხვი გაიზარდა და უკვე შესაძლებელი გახდა რთული, ფოტოგრაფიული სიზუსტის ნახატების შექმნაც.

საინტერესოა, როგორ ხდება თანამედროვე ნახატის შექმნა? ხატვა თემის შერჩევით იწყება და პირველ რიგში, კომპიუტერზე შექმნილი ესკიზი მანქანაზე გადაიტანება. თუმცა, მანამდე მანქანის ყველა დაჟანგული თუ გაკაწრული ადგილის გასუფთავება და აღდგენა ხდება, მერე კი ნახატი სრულდება, რის შემდეგაც ავტომობილი მღებავის ხელში ხვდება. ისინი ნახატს დამცავი ლაქის რამდენიმე ფენას უსვამენ და სპეციალურ საშრობში აშრობენ. ამ ყველაფერს დაახლოებით 2 კვირა სჭირდება. თუმცა, რთული ნახატის შესრულებისას, შესაძლოა, პროცესმა თვეზე მეტხანს გასტანოს.

აეროგრაფიის შესრულების საფასური ნახატის სირთულეზეა დამოკიდებული და ერთი დეტალი 500-1.000 ევრო ღირს. კაპოტზე შესრულებული ნახატის ფასი, როგორც წესი, ორმაგდება. ●

## ჩვენს წარმოშობა სავიზიტო ბარათი

სავიზიტო ბარათის წარმოშობის 3 ვერსია არსებობს. პირველი ვერსიის თანახმად, ისინი ჩვ.წ.აღ-მდე, II საუკუნეში, ძველ ჩინეთში წარმოიშვა. ჩინელი ჩინოვნიკები იძულებულნი იყვნენ, საკუთარი სახელი, გვარი და თანამდებობა წითელ ქაღალდზე დაეწერათ. ამ სავიზიტო ბარათის გაგზავნა წვეულებაზე მისაპატიჟებლად, ასევე მიღებული იყო. დამზადებული სავიზიტო ბარათების ჩუქება, დიდი პატივი გახლდათ.

სავიზიტო ბარათი, ევროპაში პირველად, ოფიციალურ წყაროებში ლუდოვიკო XIV-ის მეფობის დროს გახლავთ მოხსენიებული. ის ჩვეულებრივ, სათამაშო ბანქოს წარმოადგენდა, რომელზეც ვიზიტორის სახელი იყო დაწერილი. სავიზიტო ბარათის სახელწოდებაც ფრანგულიდან მოდის.




რუსეთში სავიზიტო ბარათები ეკატერინე II-ის მეფობის დროს გამოჩნდა და თანდათანობით, დიდებულთა ყოფაშიც დაიმკვიდრა ადგილი. მათი დამზადება ხელოვნების ნიმუშის დონემდე ავიდა და ამ საქმიანობით საუკეთესო მხატვრები იყვნენ დაკავებულნი.

პირველი დაბეჭდილი სავიზიტო ბარათი გერმანიაშია აღმოჩენილი და ის 1786 წლით არის დათარიღებული. წარმოებისა და საბანკო საქმიანობის განვითარებასთან ერთად, სავიზიტო ბარათი საქმიანი ეტიკეტის აუცილებელ ატრიბუტად იქცა, ამან კი მისი დიზაინი მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოში მოაქცია. ●

## ცოლებზე ამბობენ ყველა შეცოლამაც თავადის ღალატამდეც ყოფილ, თუ...

1. ნებისმიერი ბოთლის გახსნისას მისი თავსახურის შიდა მხარეს საგულდაგულოდ ათვალიერებ.

2. საღეჭი რეზინის ყიდვისას გამყიდველს ეუბნები: „ესა თუ ის „ორბიტი“ მომეცით“. იმიტომ კი არა, რომ სწორედ ის მოგწონს, არამედ იმიტომ, რომ მას რეკომენდაციას „მითური“ სტომატოლოგები უწევენ.

3. ყველა მაგარი მანქანა 20 ათასი ევრო ღირს და ნაწვიმარ გზაზე მოძრაობისას, წყლის ლამაზ შხეფებს ტოვებს.

4. ნებისმიერი მობილური ტელეფონი სურათებს უნდა იღებდეს, მღეროდეს და ყავასაც ადუღებდეს. მერე კი გაოცებული დაჰყურებ საკუთარ ტელეფონს და გიკვირს, რატომ არ გიმზადებს ვახშამს და რატომ არ გიმღერის „იავნანას“?

5. სრულიად ჩვეულებრივი სარეცხის ფხვნილით სარგებლობ, რადგან ექსპერიმენტებმა დაგღალა.

6. „ბაუმ ჩიკი, ბაუმ, ბაუმ“... სიმღერაა და სარძლო მამამთილის სილამაზემ კი არა, დეზოდორანტის სურნელმა მონუსხა.

7. ყველა ფეხბურთელს გოლი ჰაერში ნახტომის გაკეთების შედეგად გააქვს. მერე კი გიკვირს, რატომ არ იქცევა ასე ბექჰემი.

8. ყველა დედამთილი ისეთი საყვარელი და კარგია, როგორიც იმ ზეთის რეკლამაშია.

9. თუ თქვენი ბავშვები ლუდის გარდა შოკოლადზეც გიჟდებიან.

10. თუ ღამით დუტა გესიზმრება.

10. თუ ამ გვერდის წაკითხვისას იტყვი: „კარგი, რა, რეკლამა ტელევიზორშიც გვეყოფა!“ ●

# მიკვეთილი

დასაწყისი იხ. „გზა“, №45-7

**უკვე რამდენიმე თვეა, „გზაში“ რეალური მოვლენის საფუძველზე აგებული დეტექტიური ამბავი იბეჭდება, რომელიც ე.წ. „რუსთაველი მანიაკის“, ფრიდონ პირტახიას მიერ ჩადენილ, სერიულ მკვლელობებს ეხება. ეს ტრაგედია 1999 წლის აგვისტოში დაიწყო და ბოლო მკვლელობა 2000 წლის 29 ივლისსაა დაფიქსირებული. ჩვენ მიერ წარმოდგენილ რეალურ ამბავში ყველა მოქმედი პირის სახელი შეცვლილია, მთავარი პერსონაჟის გარდა. ამბის თხრობას იმ მომენტიდან განვაგრძობთ, როდესაც პოლიციიდან მშვიდობით გამოსული ფრიდონი შინ, მეზობელს მასპინძლობდა და ამ დროს რეზოც მოვიდა. ეს ის კაცი გახლდათ, რომელიც ფრიდონთან ერთად, პოლიციაში ეჭვმიტანილის სახით დააკავეს. მანამდე, ფრიდონმა მეზობელს პოლიციაში ყოფნის ამბავი დაუმალა.**

*მარი ჯაფარიძე*

— რაღა რა იყო, შე კაცო, დილით შინიდან გავედი და პოლიციამ დამაკავა. ვეკითხები, რა გინდათ, რას მერჩითმეთქი და — გინდა თუ არა, მანიაკი ხარ და უნდა დაგაკავოთო.

— აჰა, ფრიდონ, ხომ გითხარი, რომ ქალაქში მანიაკი დადის-მეთქი? შენ კიდევ, არ გჯეროდა, — მიუბრუნდა მეზობელი ფრიდონს, რომელიც ოთახში იმწუთას შემოვიდა. მას ხელში არყის ბოთლი და ჭიქები ეჭირა. თავი მდუმარედ დააქნია და ისევ სამზარეულოში გავიდა.

— რა არ დაიჯერა, კაცო, ეგეც იქ მოაბრძანეს, ცოტა მოგვიანებით.

— რას ამბობ, მართლა?

— ჰო, აბა, მარტო ეგ კი არა, ლამის მთელი ქალაქი დააკავეს და იქ მოიყვანეს. გავიხედე და ფრიდონაც არ გაიჩითა? ორმა პოლიციელმა მოიყვანა და კაი მანიაკივით არ შემოაგდეს ოთახში. მაგარი შიში ვჭამე, ძმაო, მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა. ფრიდონაც გაფითრებული და ნირწამხდარი იყო. მაგრად შეშინდი, არა? — მიუბრუნდა ოთახში შესულ ფრიდონს.

— სხვა სალაპარაკო არაფერი გაქვს? — შეუღრინა ფრიდონმა, მაგიდაზე კიტრი, პომიდორი და ყველი დააწყო და თვითონაც სუფრას მიუჯდა.

ამის მერე, ამ თემაზე აღარაფერი უთქვამთ. ათიოდე წუთის შემდეგ, ფრიდონმა მოიბოდიშა, წამოვწვებიო და

**ფრიდონაც გაფითრებული და ნირწამხდარი იყო. მაგრად შეშინდი, არა? — მიუბრუნდა ოთახში შესულ ფრიდონს**

ოთახიდან გავიდა.

როცა მეზობლები კარგად შეჭიკჭიკდნენ, ფრიდონმა კარი შეუმჩნევლად გაიხურა და შინიდან გავიდა.

პატარა სკვერს გაუყვა და მოსეირნე ადამიანებში გაერია. ცოტა ხანში ცენტრალურ გზაზეც გავიდა, თან, აქეთიქით დაბოღმილი იყურებოდა. უეცრად, მის ფეხებთან სამარშრუტო ტაქსიმ დაამუხრუჭა. ნაცნობი მძღოლი აღმოჩნდა, რომელიც თბილისისკენ მიდიოდა. ფრიდონი მას გაჰყვა, მაგრამ ფონიჭალაში გადაიფიქრა, თბილისისკენ აღარ წამოვიდა, მანქანა გააჩერებინა და ჩამოვიდა. ზოოვეტის გაჩერებასთან დადგა და რუსთავისკენ მიმავალ მანქანას დაელოდა.

ცოტა ხანში, შორიახლოს ახალაზრდა გოგონა გამოჩნდა. მხარზე ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული, რომელიც მხრიდან ურჩად უცურდებოდა და წარამარა ისწორებდა. ფრიდონის შორიახლო გაჩერდა. როგორც ჩანს, ისიც რუსთავისკენ მიმავალ ტრანსპორტს ელოდა. ფრიდონმა ცოტა ხანს შეიცადა, შემდეგ

კი გოგონას მიუახლოვდა.

— რუსთავში მიდიხარ?

— კი, — მოკლედ უპასუხა გოგონამ. როგორც ჩანს, არ ესიამოვნა უცნობი მამაკაცი რომ გამოელაპარაკა.

— მერე, არ გეშინია, ასე გვიან, მარტო რომ მიდიხარ?

— არა... ცოტა კი მეშინია, მაგრამ ტრანსპორტი მალე მოვა.

— ნუ გეშინია, მე აქ არ ვარ? — დააიმედა ფრიდონმა. გოგონა დუმდა. სიჩუმე ისევ მამაკაცმა დაარღვია.

— ჩემთან ერთად არ გაისეირნებ?

— არა, — თავი გააქნია გოგონამ და ხმა აუცახცახდა.

— წამოდი, იქით წავიდეთ, — სიბნელისკენ გაიშვირა ხელი კაცმა.

— არა, არა, — ჯიუტად აქნევდა თავს გოგონა.

ფრიდონმა ხელი ჯიბისკენ წაიღო, დანა ამოიღო, გაშალა და გოგონას მუცელზე მიაბჯინა.

— აბა, ვნახოთ, თუ არა... წამოდი, თორემ ინანებ.

გოგონა მოძალადის სურვილს დაჰყვა და უსიტყვოდ წავიდა იქით, საითაც მიუთითეს. ფრიდონი უკან მიჰყვებოდა და მოკლედ უკარნახებდა, საით უნდა წასულიყო.

ორივე ღამის სიბნელემ შთანთქა. ცოტა ხანში რაღაც უკაცრიელ შენობას მიადგნენ, რომელსაც გარს საკმაოდ მაღალი ღობე ერტყა. ფრიდონმა ჯერ გოგონა იძულებით გადაახტუნა ღობეზე, შემდეგ თვითონაც მიჰყვა. აღმოჩნდა, რომ კარს ბოქლომი არ ედო. ის გადაგრეხილი მავთულით იყო ჩაკეტილი. კაცი იოლად გაუმკლავდა ჩაკეტილ კარს და რამდენიმე წუთის შემდეგ, უკვე შენობის შიგნით აღმოჩნდნენ.

კარგა ხნის მერე შენობიდან კაცი მარტო გამოვიდა, ღობეზე გადმობობღდა და ისევ სიბნელეს შეერია. გაჩერებაზე მისულს, დიდხანს ცდა აღარ დასჭირვებია. რუსთავისკენ მიმავალ „მარშრუტკაში“ ავიდა და შინ დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე შუაღამის 2 საათი იყო, სტუმრები როგორც დატოვა, ისევე დახვდნენ. ისევ მაგიდასთან ისხდნენ და ბოთლში დარჩენილ არაყს ინაწილებდნენ. ფრიდონი მათთან მივიდა.

— აუჰ, გაიღვიძე, კაცო? რა იყო, ავად ხომ არა ხარ? — როგორც ჩანს, მათ ვერც შენიშნეს, როგორ გაუჩინარდა მასპინძელი.

— ჰო, ცოტა ვერ ვარ კარგად. ალბათ, ვინერვიულე და იმის ბრალია.

— ალბათ კი არა, ინერვიულე, შე კაცო, აბა, იოლი საქმე ხომ არ არის, კაცს მანიაკობა დაგწამონ?

— აბა, „ყველაწმიდა“ დავლიოთ და წავიდეთ, უკვე გვიანია, — თქვა რეზომ და წამოდგა.

მეზობლები წავიდნენ თუ არა, ფრიდონმა კარი საგულდაგულოდ ჩარაზა და დაწვა. გულში უხაროდა კიდეც, რომ მეზობლებმა მისი წასვლის შესახებ ვერაფერი შეიტყვეს. ახლა უტყუარი ალიბი ჰქონდა და ვერავინ ვერაფერს დაუშავებდა. „როგორ მანერვიულეს დღეს, წავიდნენ ახლა და ეძებონ დამნაშავე. ეგონათ, შერჩებოდათ?“ პოლიციელების მისამართით იმუქრებოდა და იგინებოდა ფრიდონი.

***

— ახალი მკვლელობაა, დავით, — კაბინეტში ზურამ შემოყო თავი.

— ახლა არ თქვა, რომ ისევ ქალი მოკლეს, — გულმა ცუდი უგრძნო სამძებროს უფროსს.

— ჰო, ასეა, ახალგაზრდა გოგონაა, ზოოვეტის კუთვნილ შენობაში უნახავთ, გაფუჭებული მაცივრის კამერაში. გაუპატიურებულია და შემდეგ დამხრჩვალი.

— რას ამბობ? როგორც ჩანს, ჩვენი ვერსია, მანიაკ მკვლელზე მართლდება.

— ორიოდე წუთის წინ დარეკეს და მისი ჩანთიდან ამოღებული საბუთის მიხედვით, მისამართის დადგენა გვთხოვეს.

— დაადგინეთ?

— არა, ჯერ თქვენთან მოვედი.

— იცი, რა? მგონია, რომ დამნაშავის პოვნა ახლა უფრო გაგვიადვილდება.

— როგორ? ჯერ ხომ მკვლელობის ადგილი არ დაგვითვალიერებია?

— ვფიქრობ, რომ ის გუშინ ჩვენებს დაკვებული ჰყავდათ და გაუშვეს. ალბათ, ბევრი ინერვიულა კიდეც. ჰოდა, იმ ნერვიულობისთვის სამაგიერო ასე გადაგვიხადა. იმავე ღამეს მორიგი დანაშაული ჩაიდინა. როგორც ჩანს, დაგვცინა.

— მართალი ხარ, დავით, ალბათ, სწორედ ასე იყო. ახლა გუშინდელ დაკავებულებს ხელახლა გადავამოწმებინებ.

— სათითაოდ ყველა უნდა შეამოწმოთ. ვისაც ალიბი არ ექნება, მაშინვე დააკავეთ. მერე, გამოძიების პროცესში დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.

— ყველა საქმეს სხვადასხვა უწყება იძიებს. ზოგს პროკურატურა, სადგურზე მომხდარ დანაშაულს — რკინიგზის პოლიცია. კარგი ქნებოდა, ამ საქმეებისთვის თავი მოგვეყარა და ყველა ერთად გვენახა. იქნებ, მოწმეების დაკითხვის ოქმებმა ისეთი რამ გვითხრას, რაც რაღაც-რაღაცებს ნათელს მოჰფენს.

— კარგი, დავით, როგორც იტყვი, ისე მოვიქცეთ. შენ უფრო გამოცდილი ხარ. ახლა არ წავიდეთ, დანაშაულის ადგილზე?

**ფრიდონმა ჯერ გოგონა იძულებით გადაახტუნა ღობეზე, შემდეგ თვითონაც მიჰყვა. აღმოჩნდა, რომ კარს ბოქლომი არ ედო**

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ინტუიცია? ლოგიკას ვთხოვთ, ნუ ჩაერევა

**სიტყვა „ინტუიცია" ლათინური „ინტუერისგან" წარმოიშვა, რაც ყურადღებით, დაჟინებით ყურებას ნიშნავს. ინტუიციის დახმარებით შესაძლოა, ხშირად ლოგიკურ საფუძველს მოყლეებულ, რთულ ამოცანასაც გაართვა თავი.**

ბრაფი თარხანი

ინტუიციის არსებობის შესახებ ჯერ კიდევ სოკრატეს სიცოცხლის დროს იცოდნენ. ძველბერძენ ფილოსოფოსს მიაჩნდა, რომ ადამიანს ცხოვრების გზაზე რაღაც შინაგანი ხმა დაატარებს, რომელიც მას ამა თუ იმ საქციელის ჩადენას აიძულებს.

აინშტაინის, ედისონის, მარკონისა და ჰენრი ფორდის მიერ გაკეთებული აღმოჩენები გარკვეულწილად სწორედ ინტუიციის დამსახურება გახლავთ. მაგალითად, ქიმიკოს ფრიდრიხ კეკულეს ბენზოლის ფორმულა დაკლაკნილი გველის დანახვამ შთააგონა, ინჟინერ ბრაუნს კი დაკიდებული ხიდის იდეა — ჩვეულებრივმა აბლაბუდამ; აი, ყველასთვის კარგად ნაცნობმა სოროსმა იცის, რომ თუ ზურგის არეში ტკივილს იგრძნობს, სიტუაცია მის სასარგებლოდ არ გადაწყდება.

ინტუიციას ხშირად ეყრდნობიან ბიზნესმენები, მეცნიერები, პოეტები და კომპოზიტორები. ისინი ფურცელზე იწერენ იმას, რაც თითქოსდა „ზევიდან მოეწოდებათ".

ადამიანები შემთხვევით არ აგვიანებენ იმ ავიარეისებზე, რომლებიც კატასტროფით მთავრდება. კატასტროფების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ის თვითმფრინავები და მატარებლები, რომლებმაც კატასტროფა განიცადეს, თითქმის ყოველთვის მხოლოდ 61%-ით იყო შევსებული. ვიღაც ავად გახდა, ვიღაცამ დააგვიანა, ვიღაცამ, უბრალოდ, გამგზავრება გადაიფიქრა, რადგან შინაგანმა ხმამ ასე უკარნახა.

მეცნიერები დღემდე თავს იმტვრევენ იმაზე ფიქრით, თუ რა არის ინტუიცია. დღესდღეობით ისინი მხოლოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ ეს მატერიის ახალი ფორმა გახლავთ და სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: ნეოსფერა, კოლექტიური გონიერება და კოლექტიური შეუცნობელი.

მათი თეორიის თანახმად, ცნობიერება, აზრი და გრძნობაც მატერიაა და კაცობრიობის მთელი გამოცდილება ერთ „ბიბლიოთეკაშია" თავმოყრილი, საიდანაც, საჭირო ინფორმაციის მიღება თითოეულ ჩვენგანს შეუძლია.

შეკითხვის „გაგზავნა" ასე ხდება: თავდაპირველად, ადამიანი მატერიალურ სიბრტყეში აზროვნებს და ლოგიკას ეყრდნობა. შემდეგ კი უეცრად ეფლობა ინფორმაციის ველში და პასუხს იღებს, რადგან იქ, შეუცნობელ „ბიბლიოთეკაში" წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე ნებისმიერი ინფორმაცია ინახება.

პრობლემა ის გახლავთ, რომ ადამიანს ძალუძს გაიგონოს და გაშიფროს „ზევიდან" მიღებული მინიშნებებისა და წინადადებების მხოლოდ „ნაგლეჯები". თუმცა, როგორც ზემოაღნიშნული თემატიკით დაინტერესებული მეცნიერები ამბობენ, ინტუიციის „ბიბლიოთეკაში" მოხვედრა არც ისე ძნელია. უბრალოდ, რამდენიმე წესი უნდა დაიცვა.

**1. წარმატებას წინ გაუცნობიერებელი სხარული უძღვის.**

გაიხსენე შენი მიღწეული ესა თუ ის წარმატება და ის შეგრძნებები, რომელიც თითოეულ „ტრიუმფს" უძღოდა წინ. სავარაუდოა, რომ ფრენის სურვილი გქონდა ან უბრალოდ, მშვიდად და თავდაჯერებულად გრძნობდი თავს, რადგან წინასწარ იცოდი, რომ ყველაფერი გამოგივიდოდა. ხოლო წარუმატებლობის წინ, ალბათ, აპათიით იყავი შეპყრობილი და ცხვირჩამოშვებული, ცხოვრების ამაოებაზე ფიქრობდი. თითოეული მნიშვნელოვანი მოვლენის წინ, ადამიანი „ზევიდან" იღებს ინფორმაციას და განწყობილებაც ამის შედეგად ექმნება.

იმისთვის, რომ ახალი საქმის ბედის წინასწარმეტყველება შეძლო, მცირე რიტუალის ათვისებაა საჭირო. შენი ყველა ქმედების სურათი, გონებაში წინასწარ წარმოიდგინე. თუ საქმიანი შეხვედრა გელის, ეცადე, საკუთარი თავი გვერდიდან დაინახო: შედიხარ ოფისში, ხვდები საჭირო ადამიანს... რას გრძნობ? სიხარულს, განგაშს, მოწყენილობას, სიცარიელეს... ამის მიხედვით, შეგიძლია, საქმის მომავალი იწინასწარმეტყველო. თუ რამდენჯერმე ასე მოიქცევი, დარწმუნდები, რომ წინათგრძნობა, რომელიც ასეთ დროს გეუფლება, როგორც წესი, მართლდება.

**2. „ზევიდან" მიღებული ინფორმაცია შესაძლოა, ცუდად გეხუმროს.**

წარმოიდგინე ბანალური სიტუაცია: მოღალატე ცოლი გატაცებით ჰყვება, როგორ უყვარს ქმარი და უეცრად, მას სხვა სახელით მოიხსენიებს. უბრალოდ, წამოსცდა, იტყვი შენ და მართალიც იქნები, მაგრამ ვიდრე ენას შეეშლებოდა, მანამდე სიმართლის გზას აზრი ასცდა.

კლასიკური ვარიანტი: როდესაც საუბრის დროს საერთო ნაცნობს ახსენებ და მას ახასიათებ კიდეც, ამბობ: „ის კარგი მამაკაცია", მაგრამ შენ ხომ ამ დროს „მამაკაცის" ნაცვლად „სპეციალისტი" უნდა გეთქვა? ეს უკვე ინტუიციაა. ამ დროს შესაძლოა, მოიბოდიშო კიდეც, მაგრამ იმას ვეღარაფერს უშველი, რომ საკუთარი თავი გაეცი და თურმე, საერთო ნაცნობზე, როგორც მამაკაცზე, ისე ფიქრობ.

კიდევ ერთი სიუჟეტი: შესაძლოა, რომელიმე ნაცნობის შესახებ „წარსულ დროში" გაიფიქრო და სულ მალე მის შესახებ შეიტყო, რომ გარდაიცვალა. ამ შემთხვევაშიც, საქმე კვლავ „ზევიდან" მოსულ, წინასწარ ინფორმაციასთან გვაქვს.

როგორც წესი, გონებაში მუდამ ქაოსია და ადამიანთა უმეტესობა ერთდროულად რამდენიმე საკითხზე ფიქრობს. შეეცადე, 10-15 წუთის განმავლობაში თვალყური მიადევნო იმ აზრებს, რომელსაც გონებაში გაივლებ. გააანალიზე, რისი თქმა სურდა ქვეცნობიერს. თუ რაიმე თემაზე ფიქრის დროს, უეცრად მდუღარე ჩაი გადაისხი, ხელი დაიწვი ან ხელიდან ნივთი გაგივარდა და გატყდა, იცოდე, ეს ყველაფერი შემთხვევით არ ხდება. შესაძლოა, ეს ყველაფერი მომავალი უსიამოვნების მაუწყებელი იყოს.

**3. „ზუსტად ვიცი, რა მოხდება"...**

ეს მოვლენა ჯერ კიდევ აუხსნელია, მაგრამ ალბათ, ყველას

ჰქონია მსგავსი შემთხვევა. გაიხსენე, გამოცდაზე მიმავალს წინასწარ გამოგიცნია თუ არა, იმ ბილეთის ნომერი, რომელიც შეგხვედრია? ალბათ — კი. განსაკუთრებით კარგად კი წინასწარმეტყველება ახლობელ ადამიანებზე გამოგვდის.

საკუთარი ინტუიციის გავარჯიშება შემდეგნაირად შეგიძლია: აიღე ერთი დასტა ბანქო და შეეცადე, პირველი 10 ბანქო გაანაწილო წითელ და შავ მასტად, მხოლოდ საკუთარ ინტუიციაზე დაყრდნობით. როგორც წესი, პირველი მცდელობა არცთუ ისე წარმატებული აღმოჩნდება, მაგრამ შემდგომში „მიზანში მოხვედრის" სიზუსტე მატულობს.

იქ, სადაც წარსულისა და
ზოლი მეოცნებეობა,
სასაათოსა იწყება.

როდესაც გაჩერებაზე დგახარ, შეეცადე, გამოიცნო, რა ნომერი სამარშრუტო ტაქსი ან ავტობუსი მოვა პირველი.

შესაძლოა, რაიმე საკითხის გადაჭრაზე ყოყმანობ; ამ შემთხვევაში, სულ უბრალო მინიშნებაც კი საკმარისია, რომ საკითხი გადაჭრა. მაგალითად, მამაკაცმა, რომელიც არ გიყვარს, მაგრამ მიგაჩნია, რომ მასთან ქორწინება ხელსაყრელია, ქორწინება შემოგთავაზა. შენ კი ყოყმანობ და ვერ გადაგიწყვეტია, რა უპასუხო. ამ საკითხზე ფიქრის დროს, შესაძლოა, ტრანსპორტში ვინმე გაზეთს კითხულობდეს და უეცრად თვალი ერთ-ერთი სტატიის სათაურს მოჰკრა: „ბრედ პიტი ცოლს გაშორდა". ეს, რბილად რომ ვთქვათ, მიგანიშნებს მომავალში მოსალოდნელ არასწორად გადადგმულ ნაბიჯზე.

ნუ ჩაიციკლები ნეგატიურ ნიშნებზე. იფიქრე მხოლოდ კარგზე და ყველაფერი კარგად იქნება.

**4. „რაღაცამ მაიძულა"...**

ადამიანები, რომლებიც კატასტროფას სასწაულის წყალობით გადაურჩნენ, ჰყვებიან ხოლმე, რომ ბოლო წუთს რაღაც ძალამ აიძულა, მგზავრობაზე უარი ეთქვა ან სხვა ტრანსპორტით ემგზავრა. ეს სწორედ ინტუიციაა, რომელმაც მას საფრთხე ააცილა.

თუ უეცრად შიში უმიზეზოდ შეგიპყრობს, ჩვეული მარშრუტი შეცვალე, შეხვედრა გადადე ან სხვა ადგილზე დანიშნე. მიენდე საკუთარ ინტუიციას და იცოდე, რომ ეს დაგეხმარება მცდარი გადაწყვეტილების თავიდან აცილებაში. ●

# რაოდენობა რიცხვია მათთვის, ვისაც სურს, რომ ყველაფერი კარგად იყოს

გრაფი თარხანი

**როდესაც გარშემო ყველაფერი ცუდადაა, გონებაში ცუდი აზრები გიტრიალებს და სახის გამომეტყველება გეცვლება, მოღუშული და ცხვირ-ჩამოშვებული ხდები. ასე ფიქრობს ყველა, მაგრამ მეცნიერები საპირისპიროს ამტკიცებენ. აღმოჩნდა, რომ ყველა უბედურების თავიდათავი სწორედ სახის გამომეტყველება ყოფილა.**



როცა უფროსი გეჩხუბება და თავს რისხვას გატეხს, სცადე იმის წარმოდგენა, რომ მიუახლოვდი და ტუჩის კუთხეები თითებით ისე გაუწიე, თითქოს კეთილად იღიმება. 100 წლის წინ მოღვაწე ფიზიოლოგის, ჯეიმს უილიამსის აზრით, ეს აუცილებლად შველის. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ის მართალია.

ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ საღად აზროვნებს. აქედან გამომდინარე კი ფიქრობს, რომ შესაბამისად, სწორად იქცევა კიდეც, მაგრამ უმეტესობას ავიწყდება, რომ ჯერ უნდა გაიაზროს, შემდეგ — იმოქმედოს. მაგალითად, რაიმე საკითხზე ფიქრის დროს მიდიხარ დასკვნამდე, რომ საქმე არც ისე სახარბიელოდაა. ეს დასკვნა ემოციაზე გავლენას ახდენს, ამის შემდეგ ტვინი სხეულს ბრძანებას აძლევს და სახის გამომეტყველება გეცვლება. ტუჩის კუთხეები დაშვებულია, წელში მოხრილი და მოშვებული ხარ და მზად ხარ, ხმამაღლა იტირო. ე.ი. ჯერ ხდება აზროვნება, შემდეგ ემოციის წარმოქმნა და ამას მოჰყვება სხეულის რეაქცია. ყველაფერი ლოგიკურია, მაგრამ ზემოთ ხსენებულმა ჯეიმსმა განაცხადა, რომ ეს თეორია ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

მთელი საიდუმლო ის გახლავთ, რომ გამაღიზიანებელზე ცნობიერს გაცილებით ნელი რეაქცია აქვს, ვიდრე სხეულს. დავუშვათ, უეცრად, ცხელი ყავა გადაისხი. ამ დროს ჯერ ფეხზე წამოხტები, შემდეგ შესაძლოა, უმისამართოდ შეიკურთხო კიდეც. როგორც ხედავ, ცნობიერმა რეაქცია გვიან გამოხატა. მარტივად და გასაგებად რომ ვთქვა, მან ცოტა მოგვიანებით „ჰკითხა“ სხეულს, რა მოხდა. სხეულმა „უპასუხა“, რომ ფეხი დაუსველდა და დაეწვა, სისხლძარღვები გაუფართოვდა, ადრენალინის დონემ აიწია. „ცხელი ყავა გადაისხა“ — „მიხვდა“ ტვინი. აქედან გამომდინარე, თურმე, ყველაფერი ისე არ ყოფილა, როგორც ზოგიერთ მეცნიერს ეგონა. ჯერ რეაგირებს სხეული, შემდეგ წარმოიქმნება ემოცია და ტვინი მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს განსჯას.

სიტუაციას 2 რამ ართულებს. ჯერ ერთი, რომ სხეული გამაღიზიანებლებზე ძალზე პრიმიტიულად რეაგირებს. მაგალითად, სიცივე, შიში და განგაში ერთნაირად, კანზე ხორკლის დაყრით გამოიხატება და მეორე — სხეულის მდგომარეობის შეცვლა მომენტალურად არ ხდება. მაგალითად, ყავის გადასხმის შემდეგ წარმოქმნილი ადრენალინის რაოდენობა მომდევნო 1 საათის განმავლობაში არ იცვლება. ამ ხნის მანძილზე კი ბევრი რამის გაკეთებას მოასწრებ. მაგალითად, უყვირებ უდანაშაულო ადამიანს, შეაგინებ გამვლელს, რომელმაც შემთხვევით მხარი გაგკრა ან სულაც, სამსახურში წასვლას გადაიფიქრებ. ეს ყველაფერი უკვე გონების კარნახით მოხდება და დარწმუნებული იქნები, რომ სწორად იქცევი. სხეულის რეაქცია წამიერად ვლინდება, მის „ჩაქრობას“ კი გარკვეული პერიოდი სჭირდება.

ქალების შემთხვევაში საქმე გაცილებით რთულადაა. ზემოთ აღწერილ შემთხვევაში, ყავის გადასხმის შემდეგ ქალს დასამშვიდებლად გაცილებით მეტი დრო სჭირდება, ვიდრე მამაკაცს, რადგან სისხლიდან აგრესიის გამომწვევი ჰორ-



მონების გამოსადევნად გაცილებით მეტი დრო სჭირდება. ამის გამო მისი გონება აგრესიის გამოსავლენად ახალ მიზეზს ეძებს.

**რამდენიმე რჩევა მათთვის, ვისაც სურს, რომ ყველაფერი კარგად იყოს:**

• როდესაც იღიმები, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც სასიამოვნო ხდება და გიხარია. თუ არ გეღიმება, აიძულე შენი თავი, რომ რაიმე სასიამოვნოზე იფიქრო და გაიღიმო. ფსიქიატრები ამბობენ, რომ დეპრესიული ავადმყოფების მკურნალობისას კარგ შედეგს იძლევა ტუჩების ვარჯიში. ტუჩის კუთხეები თითებით უნდა გასწიო. მერე რა, თუ ამ დროს სახეზე იდიოტური ღიმილი დაგეფინება. ეცადე, ეს ვარჯიში მაშინ გააკეთო, როცა მარტო იქნები.

• თუ კუნთები დაჭიმული გაქვს და დაძაბული ხარ, ეს სტრესის ან ფიზიკური დატვირთვის შედეგი იქნება. ასეთ დროს, სასურველია, თბილი შხაპის მიღება და მასაჟი. საინტერესო ფაქტია, რომ ზოგიერთი დამამშვიდებელი პრეპარატი (ვალიუმი, ლიბრიუმი) სპორტულ მედიცინაში კუნთების ტკივილის საწინააღმდეგოდ გამოიყენება.

• თუ თვალის გუგები შევიწროებულია, ეს კაშკაშა სინათლის ან ნორადრენალინის (რისხვის ჰორმონი) დიდი რაოდენობის ბრალია. საკმარისია, თვალები დახუჭო და ცოტა ხნით სიბნელეში დაჯდე, გუგები გაფართოვდება და სხეული მიხვდება, რომ ტყუილად ბრაზობს.

• სისხლძარღვების გაფართოებას ჟანგბადის უკმარისობა იწვევს. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც გონება გადაღლილია და ფიქრიც კი ეზარება. ასეთ დროს კონტრასტული შხაპი სისხლძარღვებს აიძულებს, რომ შენს ნებას დაემორჩილოს. კარგ შედეგს გამოიღებს, თუ ლიმონს დაყნოსავ ან დააცემინებ. დაცემინების დროს სისხლძარღვების წამიერი შეკუმშვა ხდება, რაც სიმხნევეს შეგმატებს.

• გაფითრებული სახე შესაძლოა დაღლილობის ან განრისხების შედეგი იყოს. ასეთ დროს საუკეთესო საშუალებაა ცივი შხაპის მიღება ან ტანის თოვლით დაზელა. ასევე სასურველია სახის მასაჟი, რომელიც სისხლძარღვებს გააფართოებს და სახეს ვარდისფერს დაუბრუნებს.

• კიდურებში სისხლის მოწოლა სტრესზე სხეულის პრიმიტიული რეაქციაა. იმისათვის, რომ სისხლი მთელ ორგანიზმში გაიშალოს, უნდა გაიზმორო. სწორედ ეს მეთოდი აქვთ ცხოველებს და ბევრი მეცნიერი აღიარებს, რომ გაზმორება ორგანიზმს სიმხნევეს მატებს და სისხლს მთელ ორგანიზმში თანაბრად ანაწილებს.

●

მოკლე ჩართვა

# როგორი უნდა იყოს ნამდვილი ჯენტლმენი?

• ჯენტლმენობაა, აბა რა, ბიჭს უკან რომ მიჰყვები, გგონია, გაგატარებს, მაგრამ კარი ცხვირში გხვდება. ჯენტლმენობაა, მეტროში ბიჭს რომ გზას დაუთმობ. მგონი, პირიქით ვითავსებთ როლებს. ზოგმა შეიძლება ადგილის დათმობაც მოგვთხოვოს, მაგრამ არიან ნამდვილი ჯენტლმენებიც და ძალიან ამაყი ვარ. ჭიათურა.

• ნამდვილი ჯენტლმენი სერგიასნაირი უნდა იყოს. იმ კაცზე გეუბნებით ლეო-91 რომ წერდა, წინა ნომერში. აბეზარა.

• თუ სწორად მახსოვს, ნამდვილი ჯენტლმენი თვალებს კარგად უნდა ქაჩავდეს, თავის ქნევა უნდა უყვარდეს და დაბოლილის სიფათი უნდა ჰქონდეს. ასეთი მამულიშვილი ჩვენს ქალაქში გიგუნაა, ბოკერია. არ მეთანხმებით? საბრალო, აწყურიდან.

• ნამდვილი ჯენტლმენი (და თუნდაც ლედი) უნდა იყოს სამართლიანი, არ აჰყვეს შურს და ბოღმას და მატნელებს არ უნდა დასცინოს. „ვოტ ტაკ"! მისის-იპი.

• ნამდვილი ჯენტლმენი? მაღალი, უხვი, მდაბალი, „გზაში" მგზავნელი ბიჭიო, ცოტას ყბედობდეს, ბევრს წერდეს, ჰქონდეს სიცილის ნიჭიო. მის რეალი.

●

**იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილიზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.**

**წინა ნომრის შავორიტი ქალბატონი მე-3 მესიჯის ავტორია, 31 ხმით. მეორე ადგილზე 14-ე ნომერი, – 21 ხმით, ხოლო მესამე ადგილზე – მე-6 მესიჯის ავტორი, 20 ხმით. რაც შეეხება მამაკაცებს, მათ შორის ყველაზე დიდი მოწონება 30-ე მესიჯის ავტორმა დაიმსახურა, 26 ხმით. მეორე ადგილზე 27-ე მესიჯის ავტორია, 22 ხმით, ხოლო მესამე ადგილზე, 23-ე მესიჯის ავტორი, 8 ხმით.**

## ქალები



1. ვარ 34/165, პატიოსანი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 40 წლამდე ასაკის მამაკაცს, პატიოსანს და ოჯახის მოყვარულს.

2. ვარ 37 წლის. ძალიან მინდა, სიყვარულით შევქმნა ოჯახი. გავიცნობდი 43 წლამდე ასაკის, უცოლო, დასაქმებულ მამაკაცს.

3. გავიცნობ სერიოზულ, გულთბილ, მოსიყვარულე მამაკაცს. ვარ 21 წლის ნატალია. გთხოვთ, დამირეკოთ სერიოზულებმა. გელით.

4. გავიცნობ 40-45 წლის მაღალ, სიმპათიურ მამაკაცს! ვინც ჩემსავით დააგვიანა ოჯახის შექმნა და აქვს საკუთარი შრომით შექმნილი ცხოვრება, აფასებს ქალს და არა მის მატერიალურ მდგომარეობას.

5. გამარჯობა, მე 22 წლის, პრეტენზიული ნატალია ვარ, რომელსაც ვერავინ მოაწონა თავი! არ მომწონს დაბალი, ცანცარა და უინტელექტო ბიჭები... რა ვიცი, რა ვიცი...

6. ვარ ბათუმელი, 27 წლის, უმაღლესი განათლებით, სიმპათიური, პატიოსანი გოგო. ვეხმაურები „გზა“ №6, 24-ე მესიჯის ავტორს. მიეცით ჩემი ნომერი.

7. ვარ 35 წლის მანდილოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 35-45 წლამდე ასაკის მამაკაცს. დასაქმებულს. სასურველია, ჰყავდეს ავტომანქანა. ვარ ექიმი და მაქვს სამსახური.

8. მყავს 30-ს გადაცილებული, სიმპათიური მეგობარი. ღირსეული, სათნო და დასაქმებული. 35-45 წლის, დასაქმებულო და ღირსეულო მამაკაცებო, ეს თქვენი ბედნიერების შანსია!

9. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 37-45 წლის ქვრივ ან განქორწინებულ მამაკაცს.

10. გავიცნობ სერიოზულ ბიჭს, სამეგობროდ. პრინცესა.

11. ვარ 26/171/63 შავგვრემანი, შავი თვალებით, პატარა ცხვირით და პატარა ტუჩებით, გრძელი, წელამდე თმით. თუ თქვენი გემოვნების აღმოვჩნდი, გამომეხმაუროს 29-30 წლამდე ასაკის, ოპტიმისტი მამაკაცი. დანარჩენი — ლიჩნო. ეჭვიანებმა თავი შეიკავონ. თბილისი.

12. გავიცნობდი 30-35 წლამდე ასაკის, დასაქმებულ მამაკაცს. სასურველია, დასავლეთში ცხოვრობდეს. ელენე, 30 წლის.

13. გავიცნობდი 30-35 წლამდე ასაკის, დასაქმებულ მამაკაცს. სასურველია, დასავლეთში ცხოვრობდეს. ელენე, 30 წლის.

14. ვარ 24 წლის. გავიცნობ 24-30 წლამდე ასაკის, დასაქმებულ, სერიოზულ ბიჭს. სასურველია, დასავლეთში ცხოვრობდეს. სალომე.

15. ვარ 35 წლის ექიმი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 45 წლამდე ასაკის, დასაქმებულ მამაკაცს. უსაქმურები ნუ გამომეხმაურებიან.

16. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს თბილისელი, სერიოზული მამაკაცი, 37-42 წლის, ყველაფრით უზრუნველყოფილი. შვილიანებმა თავი შეიკავეთ. ვარ 37 წლის.

17. გამარჯობა, ვარ 29 წლის, იმერელი გოგო. ვეძებ ნორმალურ, ჭკვიან პიროვნებას, რომელსაც მართლა უნდა მშვიდი ოჯახის შექმნა. დანარჩენი — პირადად.

18. ვარ როგორც სასიამოვნო გარეგნობის, ასევე სასიამოვნო თვისებების ქალბატონი. ოჯახის შექმნის მიზნით მინდა გავიცნო თბილისელი, დასაქმებული, სიმპათიური მამაკაცი.

19. ვეხმაურები იმ ადამიანებს, ვინც მარიკას შეეხმი-

ანა. დიდი მადლობა. კიდევ ერთხელ შემეხმიანეთ.

20. მინდა ვიპოვო ჩემი მეორე ნახევარი.. ვარ სიმპათიური, მორწმუნე და ტრადიციული ოჯახიდან. გავიცნობ სერიოზულ პიროვნებას, 27-35 წლამდე. ნინო, 27 წლის.

21. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, სერიოზულ, განათლებულ, სიმპათიურ, დასაქმებულ მამაკაცს. ვარ 28 წლის, შავგვრემანი, ერთგული გოგო. ქუთაისი. გმადლობთ.

22. ვარ მამაცი გოგონა. გულდედალი არამზადები ნუ დამირეკავთ. ველი შავ „ჯიპზე" „ამხედრებულ" თეთრ რაინდს, რომელიც ბევრ „ჯუსიფრუტ ჯელიჩუსს" და „თოიბოქსის" კევებს მიყიდის.

23. გავიცნობ მხოლოდ 45 წლის ზევით, სერიოზულ, განათლებულ, დასაქმებულ, უზრუნველყოფილ, ქვრივ ან ცოლსგაცილებულ, არადაბალ, არამსუქან მამაკაცს! გვერდში დგომა და სულიერი მეგობარი გსურს?

24. ვარ 21 წლის ალეკო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 17-21 წლამდე მანდილოსანს.

25. გავიცნობ 20 წლამდე ასაკის, თბილისელ გოგოს. ვარ 21 წლის.

26. ვარ 48/178/96, განქორწინებული, დადებითი პიროვნება. გავიცნობ თბილ, გაგებულ, კარგი წარსულის მქონე ქალბატონს, ოჯახის შექმნის მიზნით.

27. გამარჯობა, ცუდად არ გამიგოთ და მსურს გავიცნო მარტოხელა მანდილოსანი, თბილისში მცხოვრები, 30-40 წლამდე ასაკის, დაოჯახების მიზნით. მე 31 წლის ვარ, სამსახურით უზრუნველყოფილი.

28. ვარ 35/176, სიმპათიური მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი ამავე სიმაღლის მანდილოსანს. დავითი.

29. ცოლშვილიან კაცს კიდევ მსურს, რომ შემიყვარონ სხვებმაც. თუ ვინმე დაინტერესდით, მე თვითონ მოვალ თქვენთან.

30. ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ ქალბატონს. ყველა ქალი ხომ ლამაზი არის, ლამაზი არის თავისებურად! ლაშა, 29 წლის. გელი შენ ერთს!

31. მხოლოდ ქალებისთვის, 20 წლიდან, კაცი გამოძახებით! ანონიმურობა დაცულია.

32. გავიცნობ 20 წლამდე ასაკის, ლამაზ გოგოს. გამომეხმაურეთ და არც ინანებთ. ალეკო.

33. ვარ 40 წლის, თბილისელი, დასაქმებული მამაკაცი. გავიცნობ 30-50 წლამდე ასაკის, თბილისელ მანდილოსანს.

34. ვარ 40 წლის, დასაქმებული, მანქანიანი მამაკაცი, მოწყენილი, დროებით უცოლო.

35. ვარ 40 წლის, მაღალი, სიმპათიური მამაკაცი. ვმუშაობ ერთ-ერთ სოლიდურ კომპანიაში. სამეგობროდ გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, სიმპათიურ მანდილოსანს. თუნდაც იყოს ოჯახიანი.

36. ვეხმაურები მე-8 მესიჯის ავტორს. ვარ 50 წლის. მაქვს სამსახური, მანქანა. გთხოვთ მომცეთ მისი ნომერი. შალვა.

37. ხალხო, საყვარელი აბრეზა ვის ახსოვს? გავიცნობ სიყვარულისთვის ლამაზ გოგოს. ვეხმიანები მარიკას. ვარ ბათუმელი, 24 წლის, რომანტიკული მეზღვაური.

38. ვარ 45 წლის, 172 სმ სიმაღლის. ვცხოვრობ კახეთში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-35 წლის მანდილოსანს. უმჯობესია, კახეთიდან. ზურა.

39. ვარ 30 წლის, უცოლო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 25-30 წლამდე ასაკის, პატიოსან გოგოს. ვარ დასაქმებული და მაქვს საკმაოდ ნორმალური შემოსავალი.

40. გავიცნობ გოგონას, სამეგობროდ, 25 წლამდე, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 21 წლის, თბილი და ერთგული. მახო.

41. ვარ 20 წლის, სტუდენტი. მაქვს ბიზნესი, სხვადასხვა სფეროში. დაინტერესებულმა ქალბატონებმა როგორმე მოახერხეთ და შემეხმიანეთ. გიორგი.

42. გთხოვთ მომცეთ „გზა" №7, მე-13 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

43. ვარ 31 წლის, მანქანით და ბინით უზრუნველყოფილი, სერიოზული მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სიმპათიურ, სერიოზულ გოგონას, 35 წლამდე. ლაშა.

44. პრივეტ. გავიცნობ 16-17 წლის, ლამაზ, შავთმიან და შავთვალება გოგოს. თუ ხართ ასეთები, დამიმესიჯეთ. ვარ 19 წლის.

45. გამარჯობა, ლამაზებო და ტკბილებო. მსურს გავიცნო 25-35 წლის, მომხიბვლელი პიროვნება, ეგზოტიკური და ჯერ არგაგონილი სექსისთვის, რომ ჰქონდეს თავისი ბინა.

46. ჯერ ორმოცისაც არა ვარ,/ სიმპათიური გახლავართ,/ თუ ვინმე დაინტერესდით, გაცნობისათვის მზადა ვარ.

47. ვარ 33/172/65, სიმპათიური, სუფთა წარსულის, რეგიონიდან. ოჯახის შექმნის მიზნით.

*დიდა დრის ის ნაწილია,*
*ამოვა ოქროვანების ვეშაპს.*

## ვეძებ



48. ვეძებ ჩემს მოგვარეებს, გაბედავებს, რომლებიც იმყოფებიან თბილისში ან მნიშვნელობა არ აქვს, სად. გთხოვთ, აუცილებლად შემეხმიანოთ. გიორგი.

49. ვეძებ თემქელ კბილაშვილ ემზარს. ახლა 47-48 წლის უნდა იყოს.

## სანერვიანი



• ახალციხელო ელისო, მე კახეთიდან ვარ. აქეთაც გვაქვს, აწყური. უგულოს და მის რეალს მოვიკითხავ. უგულო, მადლობა მოლოცვისთვის, მეც გილოცავ, მოგვიანებით. მის რეალი, ჯიგარი ხარ. მალე შევხვდებით, ბაზარი არაა, ერთად მოვიფიქროთ კლუბის სახელი. გაკოცებთ ყველას. მაგრები ხართ, ბიძია, ვიღაცა ხართ, ტო. საბრალო.

• მარ, გთხოვ, „გზავნილებიდან“ დაგვიანებულის ავტორის, პატარა ბებერის ტელეფონის ნომერი მინდა და როგორ გავიგო? უმორჩილესად გთხოვ, დამეხმარე. წინასწარ დიდი მადლობა. ტლიკინა.

• ქიშო, შენი გაცნობა მინდა ძალიან. ასე მეგონა, ჩემი ძმის გარდა ქიშო არავის ერქვა. მიხარია, რომ გამოჩნდი. სესი, აი, ხომ გამოვჩნდი, სიხარულო? მპუა შენ. :-) სევდია.

• როცა სხვის ზრდილობაზე საუბრობთ, იქნებ მანამდე თქვენსას მიხედოთ? „რეალი“ ძველ დიდებას იბრუნებს და ეს კვირასაც დამტკიცდა. მაინტერესებს, „მილანი“ სეზონში თუ იტანს იმდენ გოლს? მის რეალ, სიამოვნებით გაგიცნობდი, მაგრამ როგორ დაგიკავშირდე? ჩემი რა გაგიკვირდათ, ლამის დაჭამოთ ერთმანეთი, პოპულარობის და შურის მიზნით. ლევა მადრიდი.

• აი, მეც დავბრუნდი! :) ორი სიტყვა მაქვს სათქმელი. მაკუშ, გილოცავ გაბედნიერებას და საღოლ შენ! ასე, ვოტ! :) შენგან ასეთ საქციელს არ ველოდი. :( გაოგნებული ვარ, სიზმარში მგონია თავი. შენ უკვე სხვისი ხარ? ასეთი დასასრული არ მინდოდა. ღმერთი გფარავდეს. ზმიზმი.

• ყველას მოგესალმებით, ხალხოოო! ხომ ხართ ჯგიროთ, ა? მთავარია, მესიჯის წერის ხასიათზე იყოთ. :) ახლა სად უნდა გავიჩითო, იცით? გაცნობის კლუბში? :) სატრფოს ვეძებ. ზმიზმი.

• გადავიფიქრე, არავისაც არ ვეძებ. ვინც მყავდა, იმან რა ხეირი? :) ისე, ჩუმად რომ გითხრათ, კი მომენატრეთ. :) ნელკა ხომ არ გათხოვილა? სიზმარი ვნახე და... :) ზმიზმი.

• ალბათ იქ მიცდის... მე კი აქ ვწვალობ... ღამეს გავათევ მე ცივ საფლავთან... მივშტერებივარ ამ მოკლე ტირეს... წყეული ცა კი წვიმას აპირებს... კელევრა.

• ყველას გილოცავთ სიყვარულობას და ბედნიერებას გისურვებთ. ირინ, სულო! დღეს დავადნეთ ერთმანეთს. მიყვარხარ. deep hearT.

• პრივეტები ყველას. მე ახალი ვარ, მაგრამ დიდი ხანია, რაც „გზას“ ვკითხულობ. თან ძაან მაგარი ხალხი გაიჩითა და... მაგრები ხართ, ძაან! აბა, ვის ეპარება ეჭვი? :) blawy-emo-girl.

• დიდი მადლობა იმათ, ვისაც ასე მოვწონვარ. 9122, კაი ნიკები გქონია. მგელო, ავრილ, მაესტრო, ashley, გაიხარეთ! ვის ვახსოვარ? ნიკი რათ არ მიაწერე? სესი.

• უი, ჰო, სულ დამავიწყდა, გაწევრება მინდა პანკ-კლუბში. ვენაცვალე ყველას, რა! :) მალე ემო გავხდები (გამგები გაიგებს). ჯერ არ ვარ. :)ჰი, ჰი, ჰი... blawy-emo-girl.

• ზურა, ჩემო გუთა, მოენატრე შენს სონას. დამირეკე, რა... მიყვარხარ და იცოდე, სულ მახსოვხარ. შენი თამო.

• ისე, ანი ვარ, 14 წლის. პანკი, ჯიგარი ხარ! ნინო-მილან, ვწუხვარ, გამოჯანმრთელებას გისურვებ! „მილანი“ მაგარია. ვაფშე ყველა მაგრები ხაართ. blawy-emo-girl.

• ეჰ, ჩემს ნიკს დიდი ისტორია აქვს, სიხ, ბაირაღებიც კავშირშია, ისე. :) კარგები ხართ ყველანი. სესი, მპუა შენა. ჩორი-ჩორი, უსაყვარლესი ხარ, სიცოცხლე ხარ, ლიმონასი. :)

• მეგრელო მგელო, მაგადი ხარ. თუ გაგაბრაზებენ, მითხარი, შენთან ვარ. :) ლიმონა, ჩორი-ჩორი და ლორელაი მაგრები არიااااან! სესი კიდევ, უმაგრესი! ლანკას გაუმარჯოოს.... ვერმახტი.

• ძვირფასებო, გულს მტკენს ის, რომ ხშირად სოფლელებს დასცინიან. ჩვენ ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს. ნუ ვიქნებით უგულოები. არავინ არაა არავისზე მეტი. მაკუნტა.

• დღეს ისე საკაიფოდ დავეკარი ყინულს, ბევრს შეშურდა. :) ცოდვებმა იცის! არადა, ბირჟა იყო და ნაზად მივპლაკუნებდი. ეჰ, ცოდოა მაკუნტა.

• ყარაჩოხელებოო, მე ჩემს სატრფოს აღარ ვუყვარვაარ (უხ, იკა, სულ გამაბერინე, სულ გამოვტვინდი. ისე ხომ მაკლდა და ახლა ვაფშე)... დამიბრუნდი, რა! მაკუნტა.

• ჩემი დაქალი მებლატავებოდა, მაგარი ყავა მაქვს, ამოდი, ეგეთი ვაფშე არ დაგილევიაო. ავედი. მოიტანა. ერთი ვიფიქრე, მართლა უცხოა-მეთქი და... არ დამევასა, მაგრამ ხათრით ბოლომდე დავლიე. ბოლო ყლუპზე დედამისი მოვიდა და — ვა, ჟასმინის ჩაის სვამთ? მეც ამიდუღე რა, ნუციო. ლამის გავგიჟდი. მაკუნტა.

*მარტოხელობა — ბოლო ზუსტად იცი, სად დევს შენი ნიჭიერი.*

# MECH MIDA MGZAVREBSHIII

• „ჟიიიზნ ნე ვაზმოჟნო პავერნუტ, ნაზაااად...“ :) ჰო, მართლაც, რა... მარ, რა ხდება, აქ რა კლუბების ჩამოყალიბება წასულა, ა? ნეუჟელი ტაკ ვაზმოჟნო. :) ნუ ი ნუუუ... ზმიზმი.

• ახლა სულ გაღიმებული დავრჩი. :) ბატონო? ვინ რის ხმას იგებს, არჩევნებია, პახოდუ? :) არა, სულ გადაგვარებულა მესიჯომანია. :) ზმიზმი.

• ჰიიი... როგორ ხართ? იცით, მე „გზის“ აქტიური მკითხველი ვარ, მაგრამ პირველად ვამესიჯებ. აბაა, ვინ გამეცნობით? X-woman.

• რაიო, „გზაში“ რატომ ამესიჯებოო? არ გადამრიოთ ახლა, მარტო ის რად ღირს, „მობილიზაციიდან“ მადლობა რომ მოგივა, მესიჯის გაგზავნისთვის. მერე შენს მესიჯს მარი ჟურნალში დაგიბეჭდავს.

• მგელოს შეეშვით. თეო, დაიკიდე სხვისი ნაბოდვარი. მეც და ყველამ ვიცით, რომ მაგარი ჯიგრული ხარ. თავს ნუ გაუყადრებ, ჩემი თხოვნა იქნება. გეხუტე შენა. ჯონ-ჯოლი.

• იმედია არ დამძრახავთ, თუ რამდენიმე რჩევას მოგცემთ მგზავნელებს. იცით, არასასიამოვნო წასაკითხია, როგორ ლანძღავთ და ამკობთ ერთმანეთს. სალუკა.

• კამათობთ, ვინ რისი გულშემატკივარია და რომელი უფრო მაგარია. ურთიერთობების გასარკვევად და სალანძღავად „გზის“ ფურცლებს ნუ გამოიყენებთ. ეგ პირადად შეგიძლიათ გაარკვიოთ. სალუკა.

• შური, სიძულვილი, დაძაბულობა, უსამართლობა ისედაც საკმარია ჩვენს ყოველდღიურობაში და აქ მაინც შევიკავოთ თავი, ჩვენს უარყოფით ემოციებს აქ ნუ გამოვამჟღავნებთ. ჩვენი ცუდი გვერდზე გადავდოთ და აქ მხიარული, საინტერესო მესიჯები ვწეროთ, მოვესიყვარულოთ, მოვეფეროთ ერთმანეთს და ამით გავიხალისოთ ცხოვრება. მადლობა. სალუკა.

• კოსა, ძამი, მენატრები. სად დამეკარგე? დამიკავშირდი. თამო.

• მგესალმებით ყველას! როგორ ხართ? ძალიან მიყვარხართ. მპუა, თქვენ! მოკლედ, მეგობრობა მინდა ვინმესთან. კარგმა ადამიანებმა დამიმესიჯეთ, ვიმეგობროთ.

• გმადლობთ, კარდიოლოგო, შენი ფავორიტი თუ ვიყავი, არ მეგონა. აი, ჩემი კი ნამდვილად ხარ. მიყვარხარ და გაფასებ. კასპელო ცუნცულა, მთელი გულით გილოცავ იუბილეს. კამელია.

• რაღაც, გველი-16 მომაკლდა თვალში. სად ხარ, რატომ დაიკარგე? გერასიმეს მოვიკითხავ, დიდი სიყვარულით. შეგვეხმიანე, არ დაიკარგო. p.s. ფისო, მე ვარ დედოფლისწყაროელი. ენჯი.

• ნელკა, კაკუ, გველი-16, ნიკოლ, ოლეგარიო, კოხი-20, ლუციფერ, ჩუქჩა, შეწირულო, ლეო91, ბაობაო, ზაზუ, მის-13.07, მის სიო, გთხოვთ, დაბრუნდით, ძველების გარეშე ფურცლები გაცივდა. ენჯი.

• მივესალმები ყველა კაი ხალხს. როგორ ხართ, ხომ ხართ ჯიგრულად და მტრებს ხომ არ ახარებთ? პირველად ვამესიჯებ. ათენში მცხოვრებო ქართველებო, გამაგრდით! კობრა, ათენიდან.

• გფარავდეს წმინდა სამება, მზისა და ვარდის ნათელი, ვაზის ჯვრის მადლით, ღვთის რწმენით, გენთოს ცხოვრების სანთელი. ფატი ოდიშვილს.

• მარიკუნა, მაგარი ჯიგარი ხარ, რომ არსებობ და არსებობს „გზავნილები“. ხალხო, არ არის ტყუილი, რაც „გზავნილებში“ წერია. „გზავილების“ დახმარებით სიყვარული ვიპოვე. ათენი-23.

• შენზე ოცნებით მე მთელი ღამე, ღია თვალებით მითენებია, შენზე ძლიერად ჩემო სიცოცხლევ, მე ჯერ არავინ შემყვარებია... ქრისტო, მიყვარხარ. ათენი-23.

• ლუსინია, მ-20 და ია, მოგიკითხავთ. თიში ქალები ხართ. გკოცნით ბევრს. გურული პაკო.

• მარ, არ გეწყინოს და უსამართლო გადაწყვეტილებებს შენ იღებ. ხალხი ათენიდან გიესემესებთ, გულის ფანცქალით ველოდებით „გზაში“ ჩვენს მესიჯებს. გაგვისკდა გულები, გვიშველე, რა!

• ნათესავი მყავს, მარი ჯაფარიძე, 24 წლისაა. მომწონს შენი რუბრიკა, მოკლე მესიჯების გარდა. რას ვიზამთ, თინეიჯერებს თუ უხარიათ, გაიხარონ! სოფა-22.

• როგორ ხართ, ხალხო? ლუსინია, კვირას ხომ გამყინე

კიპისიის ტრასაზე? არადა, რა საყვარლად მოვსრიალებდი. შენი თქმის არ იყოს, მართლა როგორ გაიჯეჯილა ამ დალოცვილმა ზამთარმა. პონი.

• მადლობა, რომ ჩემი წინა მესიჯი დამიბეჭდე. ცხოვრება ძალიან რთულია. ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებ, ზოგჯერ გაგიჭირდება. მეც ბევრჯერ დამიშვია შეცდომა, მაგრამ დედაჩემმა გული მატკინა, როცა უარყო ჩემი პირველი, გულწრფელი სიყვარული. ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ჩაეშალა ჩემი გათხოვება. ბიჭის ოჯახს დასაწუნი არაფერი ჰქონდა. პირიქით. მიზეზი? იკითხავთ, რა იყო? შორს ცხოვრობდა, სხვა ქალაქში და დაუკითხავად ვერ გავბედე. 19 წლის ვიყავი. ბევრიც ვიდარდე, ვიტირე, ვინერვიულე, ვემუდარებოდი, ნება მოეცა, მაგრამ დედაჩემს ეგონა, რომ ჩემთვის ასე სჯობდა. აქ კი მე დავუშვი შეცდომა. მთხოვდა ჩემი რჩეული და ჩუმად არ გავყევი. ბოლოს, წლები გავიდა და დედაჩემიც მიხვდა, რომ შეცდა და პატიებაც მთხოვა, მაგრამ ჩემთვის აზრი აღარ ჰქონდა. ვინც ძალიან მიყვარდა, დავკარგე. მარი, შენ მშვენიერი ნიკი შემირჩიე. გმადლობთ. გაქცეული.

• ვერ ვხვდები, მთელი ჟურნალი რატომ უკავია ამ თინეიჯერების ზომბირებულ მესიჯებს. გენათალე. საკალელო... კანიბალკა, მგელო, მამაცი თოჯინა... გოგონები ხართ თუ ქაჯები? სოფა.

• დიდ მესიჯებს სიამოვნებით ვკითხულობ და ვიცინი, მაგრამ ის პატარა მესიჯები ძაან უაზრობებია რა, დამიჯერე. არ დაბეჭდო ეს მესიჯი. უბრალოდ, შენთვის მინდოდა თქმა, ჯიგრულად. სოფა.

• გეთანხმები, ვარდენა. მარი გვიბლოკავს მესიჯებს ემიგრანტებს და მაგიტომ ვერ ვახერხებთ ერთმანეთის გაცნობას. მე პირადად, ყველა ნომერში გწერთ. სად შევიკრიბოთ? მარ-ათენი.

• კვირადღეა, ქართველები ომონიაზე ვზეიმობთ, მიდის მიკითხვ-მოკითხვა, „ხელფასი მომიმატეს". „უი, მართლა? ძალიან გამიხარდა"! ამ დროს გავიხედე და ნაცნობი სახე დავინახე. ჩემი ძმაკაცი გაიჩითა, შეკრეჭილი თმით. გრძელი თმა ჰქონდა და გაკვირვებულმა ვკითხე: ვა, თოკო, თმა შეიჭერი-მეთქი? — არა, შეკეცილი მაქვსო, პასუხმაც არ დააყოვნა. პონი.

• ყურადღება, ყურადღება! ვაფრთხილებ ქუთაისის მოსახლეობას! თბილისისიდან გამოქცეულია ცირკის ბირჟაზე მდგომი ახალგაზრდა ქალი, რომელიც დაავადებულია შიდსით. სიმაღლით არის 1 მეტრი, წონით — 20 კილო, გრძელი, ქერა თმით. ფრთხილად, ქუთაისელებო!

• ათენში მყოფ ქართველთა საყურადღებოდ: შეიქმნა კლუბი „ემიგრანტები". ვისაც გაქვთ სურვილი, შემოგვიერთდით. ჯერ მხოლოდ მე და ანარქია ვართ. გელით ყველას. ლუსინია.

## ფსიქოლოგია



• სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ, ჩემო პუპსიკა. უშენოდ ვეღარ ვძლებ. ერთი სული მაქვს, გნახო და ჩაგეხუტო. მიყვარხარ. ნაბი.

• მინდა, ქრისტინა ცქიტიშვილს ვუთხრა, რომ ძალიან, ძალიან მიყვარს და ცხოვრებას მირჩევნია. მე ახლა შორს ვარ, მაგრამ მალე ერთად ვიქნებით. მინდა, მთელმა მსოფლიომ გაიგოს, რომ მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ! ათენი-23.



*ცხოვრება შედგა, თუ ყონიაყი,*
*შოშელოსაც ცვალ, ანაყოი*
*ის ქალზე ოეოშოსია,*
*შოშელოთანაც ვძინავს.*

• ქუთაისელი ბიჭების სასტავს: ზურა, გოგა, ირაკლი, მაგრად მენატრებით, სამივე. გოგა, შენ კი მიყვარხარ და ვერ გივიწყებ. ვიტანჯები. არ დამავიწყდება, ბაგრატზე რომ ვიყავით, ერთად. ნეტავ, შენთვის მეთქვა, რომ მიყვარდი. ამით არაფერს ვკარგავდი. ახლა კი შორს ვარ. უკარება.

## ვილოცავ



• გიორგი, გილოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, გახარებული და ჯანმრთელი, თამუნა დედიკოსთან, ბაბიკოსთან, პაპიკოსთან და გია ძიასთან ერთად. 6 წლის ვაჟკაცი გახდი, დედას მონატრებულო პატარავ. მენატრები, ჩემო გიო. გკოცნი ბევრს. შენი დედიკო, ათენიდან. თამუნა.

• დიდი სიყვარულით დაბადების დღეს ვულოცავ პატარა ელენეს და მის მამიკოს, ომარ ბაღდავაძეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბევრ სიხარულს და ულევ სიყვარულს, ცხოვრებაში. უფალი გფარავდეთ, ჩემო კარგებო. ათენიდან ზაირა, მადონა და თიკო, ოჯახებით.

• გამარჯობა, მარი. მე მისის-იპი ვარ. არა, თავი დიდი ვინმე არ მგონია. უბრალოდ, სხვა ნომრიდან გწერ და გამოგეცნაურე. ერთ განცხადებას დამიწერ? გმადლობთ. მინდა, რომ ჩემს თავს დაბადების დღე მივულოცო, ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას ვისურვებ, ქმარ-შვილთან ერთად. არის ეს უსამართლო გადაწყვეტილება? ალბათ ჩემი ქმარი მიხვდება, მე რომ გწერ და მოლოცვას ვინ ჩივის, ნეტავ გადავრჩე.

• ჩემს უსაყვარლეს დაქალს, მაკა ფერაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 19 თებერვალს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, თავის მეუღლესთან და პატარასთან ერთად. ფიქრია, სალონიკიდან.

• ვალენტინობას გილოცავ, კახ! წლები გავიდა და თითქოს ყველაფერი გუშინ დაიწყო... ჩვენ ერთმანეთი მარადისობაში ვიპოვეთ... მ..

• ჩემო ძვირფასო, გილოცავ შეყვარებულთა დღეს! აქ არ დავიწყებ არაფრის ახსნას.

უბრალოდ გეტყვი იმას, რაც შენ უკვე ისედაც დიდი ხანია, კარგად იცი. მიყვარხარ!!! ბუტია.

• ჰოდა, იუბილარიც ვაარ... ანუ, ჩემს თავს სრულყოფილ ბედნიერებას ვუსურვებ. 15 თებერვალს დაბადებულებს გილოცავთ ყველას დაბადების დღეს, ჩემი თამადობით. გაკოცეთ. ვასასი.

• მიყვარხარ ნინო და ვალენტინობას გილოცავ. მარისაგან.

• ყველას, ყველას, ყველას! გილოცავთ ვალენტინობას. ხვალ „გზა“ გამოდის, მმმაგარია! აუ, ბადრი პატარკაციშვილი მაგრად შემეცოდა. ის იყო ალალი, კეთილი და ჯიგარი. ბათ-ლაშა.

• პატარა ნატალი რამაზაშვილს დაბადების დღეს ვულოცავთ. ბედნიერ მომავალს, ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებთ. გფარავდეს ღმერთი, ჩემო სიცოცხლევ. მამიდა, გუჯიკო და ლიზი.

• იანა გენელიძე, მოგვიანებით გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ სურვილების ასრულებას და ყველაფერ საუკეთესოს. „ამირანში“ მაგარი იყო, არა? აბეზარა.

• პრივეტ, მარი. გვინდა გიორგი ჯიხვაშვილს, კოსიას მივულოცოთ გაბედნიერება და თავის ძალიან ლამაზ მეუღლესთან ერთად ვუსურვოთ ბედნიერება და სიხარული. სალი. მარი.

• გიორგი, გილოცავ დაბადების დღეს დიდი ბიჭი გაიზარდე. ღმერთის წყალობა არ მოგკლებოდეს. შენს დედიკოს, თამუს ძალიან ენატრები. გკოცნი, პატარა გიორგი. ათენიდან, ანა.

• ნატალი ასლანიკაშვილს! გილოცავ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს, ბედნიერი დედა და ბებია ყოფილიყავი. დარდი არ გაგკარებოდეს, გეუღერებინოს ქნარია, გქონდეს მომავლის მიზნები, შორს განჭვრეტილი, მყარია, სიკეთის თესვით მამულში, არ მოგეღალოს მკლავია, სიმართლე იყოს სუყველგან, შენი შუბი და ფარია. ნინო და როსტომი. ათენი.

• სოსო, გილოცავ დაბადების დღეს, 24 თებერვალს. ბედნიერება და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. დიდი მონატრებით და სიყვარულით, ათენიდან, ჩემო ბრაზიანო.

• მინდა იუბილე მივულოცო ჩემს პატარა გოგოს, ჩემს მერცხალას, ქუთაისში მცხოვრებ თიკა ხარზეიშვილს, რომელიც 21 თებერვალს ხდება 6 წლის. გილოცავ, დედიკო, მრავალს დაესწარი. ღმერთმა ბედნიერი ბავშვობა გაჩუქოს. გაიზარდე სასახელო და ჭკვიანი გოგო. გილოცავენ, მონატრებული მშობლები, ათენიდან. გოგა ხარზეიშვილი და მარი ჯულაყიძე.

• მეგუნა, გილოცავ დაბადების დღეს. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. გკოცნი, ბევრი-ბევრის. შენი მონატრებული დედიკო, ათენიდან.

• ლელა ყაჭიურს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ბედნიერებას და ჯანმრთელობას. რუსა.

• გიგა ზარიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ბედნიერებასა და დიდ სიხარულს.

• თამუ, გილოცავ თამარობას. დაესწარი მრავალს, ჩვენს პატარა ლიზიკოსთან ერთად. მენატრებით და ძაან მიყვარხართ. მალე ჩამოვალ და სამივე ერთად ვიქნებით. ბექა, ათენიდან.

• მინდა დაბადების დღე, 14 თებერვალი და ვალენტინობა მივულოცო ჩემს უსაყვარლეს ადამიანს. დედა, გილოცავ! გისურვებ ჯანმრთელობას და უზღვავ სიხარულს. ძალიან მიყვარხარ და მენატრები. გკოცნი ბევრს. მარიკა, ათენიდან.

• დაბადების დღეს ვულოცავ, ჩემს საყვარელ დაიკოს, ლარისა ლათაურს. მიყვარხარ! ღმერთმა სიხარული ნუ მოგიშალოს, შენს ოჯახთან ერთად. ათენიდან, ლატავრა ლათაური.

• გია ანდრეევს და ნაომი კემპბელს პატარა შაკირას დაბადებას ულოცავს შაკიკი, კოპაკაბანას კუნძულებიდან.

• კალათბურთელ ანა, თამაზ, ნინო და ალა თოდაძეებს მინდა მივულოცო პატარა ფალავნის დაბადება. შაკიკი.

• ბაღდათში, ჩემს ძმისშვილს, სოფო გოცირიძეს მინდა მივულოცო დაბადების დღე. მამი, სულ კარგად მეყოლე და ჯანმრთელად, რაც შენთვის ყველაზე მთავარია. მენატრები ძალიან. სულ მახსოვხარ. ღმერთი გფარავდეს. შენი მამიდა. ათენი. მარინულა.

## ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 39-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

# ფიტოჰიროსკოპი



## ომსკენი

ნუ შეუშინდები ყოველ-დღიურ ცხოვრებაში შექმ-ნილ სირთულეებს და პრობ-ლემების გადაჭრისას ნურც საკუთარ პრინციპებს უღა-ლატებ. ეცადე, სასურველ მიზანს პატიოსანი გზით მიაღწიო, რომ დაუფიქრე-ბელი მოქმედება შემდეგ სანანებელი არ გაგიხდეს.

## საქმკენი

ამ დღეს შესაძლე-ბლობა მოგეცემა, ოჯახ-ური იდილიითა და საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობით დატკბე. მნიშვნელოვნად გაგიად-ვილდება ურთიერთობა ახლობლებთან და საქმიან პარტნიორებთან. დიდი ძალისხმევა არც პრობ-ლემების მოსაგვარებლად დაგჭირდება.

## ოთხკენი

შესაძლოა, უახლოეს მომავალში პრობლემების მოგვარებით იყო და-კავებული. შენი ავტო-რიტეტისა და ცოდნის წყალობით, არაერთი მეგობარი თუ კოლეგა მოგმართავს რჩევისთ-ვის. ამ დღეს ფუჭად დაკარგულად ნუ მი-იჩნევ, რადგან შენი დახმარება შესაძლოა, მართლაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

## ხუთშაბათი

შენი კარგი გუნება-განწყობილება შესაძლოა, ახლობლებზე ფიქრმა შეცვალოს. თუ მათ პრობლემებს გულწრფელად განიცდი, დახმარება შესთავაზე და სასარგებლო რჩევით მაინც შეეცადე მათი მდგომარეობის გამოსწორებას. ისე, ოპტიმიზმს ნუ დაკარგავ, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს.



## პარასკევი

შესაძლებელია, გადაღლილობამ და ზედმეტმა ნერვიულობამ სტრესი გამოიწვიოს და გაგაღიზიანოს, რაც ახლობლებთან ურთიერთობაზე უარყოფითად აისახება. ეცადე, პრობლემებს თავი დააღწიო და 2-3 დღე მაინც დაუთმო საკუთარ თავს.

თუ ქალაქიდან გასვლას ვერ მოახერხებ, დღის რეჟიმი მაინც შეცვალე.



## შაბათი

ამ დღეს შეეცდებიან, ინტრიგების ქსელში გაგაბან. ეცადე, ეს საფრთხე თავიდან აიცილო. ახლობლების დაუფიქრებელმა საქციელმა შესაძლოა, შენს პირად ცხოვრებასაც ავნოს. ამის გამო მსუბუქი დეპრესია დაგეუფლება და ხასიათი გაგიფუჭდება.



## კვირა

ამ დღეს სასიამოვნო და მნიშვნელოვანი ცვლილებები გელის. ფრთხილად იყავი, შენი წარმატება ყველას არ გაახარებს. შესაძლოა, საყვარელ ადამიანთან პრობლემა შეგექმნას, მაგრამ თუ ტაქტიანად მოიქცევი, ყველაფერი კარგად იქნება.

# ბალანსირებული 10 უარყოფითი ფენომენი

ჭამის დროს გონებას ფიქრი ეზარება. მას მთლიანად გემოს შეგრძნება იკავებს. დანაყრების შემდეგ კი ადამიანი იწყებს იმაზე ფიქრს, რომ კარგი იქნებოდა, თუ კალორიებს (მომავალში, რა თქმა უნდა) დათვლიდა, ულუფასა და ცხიმის მიღებას შეამცირებდა. აზრად არავის მოსდის, რომ გარდა ფორმის დაკარგვისა, გემრიელ საკვებს სხვა, გაცილებით სერიოზული ზიანიც მოაქვს. უნდა ეცადო, რომ საკვები, რომელსაც იყიდი, გემრიელიც იყოს და ჯანსაღიც.

## 1. უსიამოვნო სუნი

რამდენიმე დამოუკიდებელი მეცნიერის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ თუ ადამიანი დიდი რაოდენობით წითელ (ღორის, საქონლის, ცხვრის) ხორცს იღებს, მას სხეულზე დამახასიათებელი სუნი უდის.

## 2. გამონაყარი

თუ საკვები ცხიმს დიდი რაოდენობით შეიცავს, ის ცხიმის ჯირკვლების გამალებულ მუშაობას და ორგანიზმში დიდი რაოდენობით ცხიმის დაგროვებას იწვევს. ეს კი ხელს უწყობს კანზე გამონაყარის წარმოქმნას. მეცნიერები იმასაც ამბობენ, რომ ძროხის რძესა და გამონაყარს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. თუ ადამიანი რძეს დიდი რაოდენობით იღებს, მას გამონაყარი შეაწუხებს.

## 3. ალერგია

თეორიულად ალერგიის წარმოქმნა ნებისმიერ პროდუქტს შეუძლია. მეცნიერებმა ჩამოთვალეს 8 ძირითადი პროდუქტი, რომელიც ალერგიულ რეაქციას იწვევს: რძე, კვერცხი, კაკალი, თევზი, ზღვის პროდუქტები, სოია, ხორბალი.

## 4. კანდიდოზი (საფუვრის მიკოზი).

კანდიდოზის ინფექცია ორგანიზმში საფუვრიანი საკვების დიდი დოზით მიღების შედეგად ჩნდება. ასეთ უარყოფით ეფექტს შაქარი, ძმარი, საფუარი და საფუვრის შემცველი პროდუქტები — ბურახი, ლუდი და გამომცხვარი საკვები იძლევა.

## 5. გულძმარვა

იმ პროდუქტების სია, რომელსაც გულძმარვის გამოწვევა შეუძლია, საკმაოდ ვრცელია. მათი მიღების შემდეგ კუჭში მჟავიანობა იმატებს და წვის შეგრძნებას იწვევს, რასაც თან ერთვის პირში მწკლარტე გემო. გულძმარვის გამოწვევა შეუძლია ციტრუსოვან, შემწვარ, ცხიმიან საკვებს, პომიდორს, ძმარსა და შოკოლადს.

## 6. ქოლესტერინის დონის მომატება

ქოლესტერინით მდიდარი საკვების მიღება, სისხლში ამ ნივთიერების დონის მომატებას იწვევს და გულის შეტევისა და ინფარქტისთვის წინა პირობას ქმნის.

## 7. თირკმელში კენჭის წარმოქმნა

ცილოვანი დიეტის მომხრეებს, რომლებიც ნახშირწყლებს მცირე რაოდენობით იღებენ, თირკმელში კენჭი გაცილებით იოლად უჩნდებათ. ცხოველური ცხიმის მიერ წარმოქმნილი კენჭის ნეიტრალიზება შესაძლებელია ისპანახის, კაკლისა და მწვანე ჩაის საშუალებით.

## 8. მეხსიერების გაუარესება

ხანში შესულ ადამიანებს, რომელთა რაციონიც ცხიმს ჭარბად შეიცავს, მეხსიერება გაცილებით იოლად უქვეითდებათ. ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ბევრი ცხიმი ალცჰაიმერის დაავადებას იწვევს.

## 9. შეშუპება

შაქრის, მარილისა და სოდის შემცველი პროდუქტების ჭარბად მიღება შეშუპებას იწვევს, რადგან მათი გავლენით ორგანიზმიდან სითხე აღარ გამოიდევნება. ორგანიზმს მარილის გარკვეული კონცენტრაცია სჭირდება, მაგრამ როგორც კი მისი ნორმა ზღვარს ასცდება, ორგანიზმი მის „გამორეცხვას“ წყლის შეკავებით იწყებს. ამას კი შეშუპებამდე მივყავართ.

## 10. თავის ტკივილი და შაკიკი

ამინომჟავების დიდი რაოდენობით შემცველ საკვებს ძლიერი თავის ტკივილის გამოწვევა შეუძლია. თავი შეიკავე ყველის, წითელი ღვინისა და შოკოლადის დიდი რაოდენობით მიღებისგან. ●


პასუხისმგებელი რედაქტორი — მარი ჯაფარიძე. პირადი ტელ: 8.77.45.68.61

# სიჯალლეში ჯასაჭალელი აჯი, „ჯაჟარული“ ჟორჟწილი და ჯაკრეზ ჯალჯული ჯალოლიჯალი

## ანუ „მაზალო“ თანაკლასელების სახალისო თავგადასავლები

სერგო გოცირიძე
და შოთა მუმლაძე

ირმა ხარშილაძე

**უჩვეულო „ლია გაკვეთილზე“ არც საკლასო ჟურნალი გვაქვს და არც სიას ვკითხულობთ, რადგან ისედაც ცხადია, რომ უმრავლესობა აცდენს. სკოლისგან განსხვავებით, დღეს „მოსწავლეები“ თვითონ გაარკვევენ საპატიო თუ არასაპატიო გამცდენთა და ტრადიციულ დამგვიანებელთა ვინაობას. შეხვედრის ადგილი არაფრით ჰგავს საკლასო ოთახს, იგი მოგონებების ზარდახშას უფრო წააგავს, ოღონდ — ძალიან ნათელს. აი, „გაკვეთილი“ კი ჩვენთანაც ზარით იწყება, მაგრამ არც ეს არის სკოლის ზარი...**

*ოთახში რკინიგზის VII საშუალო სკოლის 1958 წლის კურსდამთავრებულთა შეკრებაა — შოთა მუმლაძეს ოჯახში თანაკლასელები: სერგო გოცირიძე და ნანული დუნდუა ესტუმრნენ... ბატონი შოთას მეუღლე, ქალბატონი თინა სამზარეულოში ფუსფუსებს, ფოტოკორესპონდენტობას კი მათი რძალი — ნინო მიქაძე გვიწევს. მაგიდაზე ძველი ფოტოები აწყვია. ქალბატონი ნანული შემოსვლისთანავე ერთ-ერთ მათგანს აცქერდება — ამ ფოტოზე 1949 წლის 25 აპრილს, სკოლის მოსწავლე ვაჟები აღუბეჭდავთ.*

**ნანული:**

— ეს სანდროა? ვაიმე, ეს კონტრიძე, ხომ? ნახე, რა პატარები ხართ და უსათვალოდ გცნობთ! მოიცა, ეს ჯუმბერა არ არის? შემეშალა რამე? (ენას იჩლექს) ახლა შოთა უნდა ვიპოვო. აბა, სად არის პატარა შოთა?..

**თინა:**

— ბრიგადირამ (ჯემალ გიორგაძე) თქვა, მოვალო, მაგრამ მაგის ამბავი ხომ იცით — ყველგან აგვიანებს! ანიჩკასაც ველაპარაკე (ანიჩკა გორგასიძე), მაგრამ შეუძლოდ იყო და ვერ მოვა.

**ნანული:**

— რა საცოდავი სახეები აქვთ ბავშვებს! თიკო, შენი სათვალე მათხოვე, დანარჩენები რომ ვიპოვო.

**— ამ ფოტოზე რომელ კლასში ხართ?**

**შოთა:**

— მეორეში. მაშინ სკოლას რკინიგზის V ვაჟთა სკოლა ერქვა და ჯერ „პლეხანოვზე“ იყო, მერე — დგებუაძის ქუჩაზე.

**— გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, ჯუმბერ ლეჟავა თქვენი კლასის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია?**

**შოთა:**

— ყველაზე საამაყო, ალბათ, ცხონებული სანდრო გლურჯიძე იყო. ჩემს ვაჟსაც მისი სახელი დავარქვი.

**თინა:**

— სანდრო გლურჯიძე კალათბურთელი იყო, ძალიან კარგი გამთამაშებელი.

**შოთა:**

— მერე, ალბათ, ალიკა მიქაბერიძე არის ყველაზე „იარკი“ წარმომადგენელი. ის ფიზიკოსია, გეოლოგიის ინსტიტუტში მუშაობს.

**ნანული:**

— ეს თენგიზ კიკაჩეიშვილი არაა? ვაიმე, რა საყვარელი ტიპია!..

**სერგო:**

— კლასში ძალიან ძლიერი კალათბურთელები გვყავდა: სანდრო გლურჯიძე, ალიკა მიქაბერიძე, შოთა მუმლაძე, ედგარ ეგაძე. ისინი სხვადასხვა დროს „ლოკომოტივის“, „ქარიშხალას“, „უნივერსიტეტისა“ და საქართველოს ნაკრებ გუნდებში თამაშობდნენ... ჯუმბერ ლეჟავა განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემებით არასდროს გამოირჩეოდა, ერთი ჩია, ტანმორჩილი ბიჭი იყო. მისი სპორტული შესაძლებლობები ქართულ ცეკვებში გამომჟღავნდა — მუხლზე ტრიალს ვირტუოზულად ასრულებდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ამბავი ჩვენთვის აღმოჩენა გახლდათ, კარგა ხანს არ ვიცოდით, რომ გორკის კლუბში არსებული ანსამბლის ერთ-ერთი სოლისტი იყო.

**— ამას რატომ გიმალავდათ?**

**სერგო:**

— იმიტომ, რომ „მაზალო“ ტიპია. საერთოდ, კლასში უმრავლესობა ვმღეროდით. ტრადიციულად, ჩვენი თავშეყრის ადგილი ეგაძეების ოჯახი იყო, სადაც ვსაუბრობდით ხელოვნებაზე, ვმღეროდით, ვკამათობდით. სკოლაში ცხონებული ედგარ ეგაძის (*ცნობილი რეჟისორი. — ავტ.*) ძალისხმევით ჩამოვაყალიბეთ ვოკალური კვარტეტი, სადაც ჯუმბერ ლეჟავა მეორე ხმას მღეროდა. კვარტეტი შემდგომში კვინტეტად გადაკეთდა, რომელიც გელა ჩარკვიანის ჯაზჯგუფთან ერთად, სტუდენტთა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობდა. ჯუმბერმა, ჩვენი თხოვნის მიუხედავად, კვარტეტი დატოვა და „პატრიოტული სულისკვეთებით აღტყინებულმა“ ცეკვა ირჩია. მეუბნებოდა: რას ჩხავით ამ ამერიკულ სიმღერებს? ქართულ ცეკვას სომხები და ქურთები სწავლობენ და ქართველმა კაცმა როგორ არ უნდა იცოდეო? ჯუმბერის დამოძღვრამ გამაბრიყვა და ერთხელ, რეპეტიციაზე გავყევი. ანსამბლის ინტერნაციონალურ შემადგენლობაში მაშინვე დავრწმუნდი. უნდა გენახათ, როგორი მოსასმენი იყო, როცა ერთ-ერთი სომეხი ბიჭი პედაგოგს ეკითხებოდა: „დპლ, დპლ, დპლ, ე ტო იესემ?“ (*იცინიან*), ანუ ოთხი დოლის ტაქტის შემდეგ ჩემი ჯერიაო?.. განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ ჯუმბერსა და ჩვენი რუსულის მასწავლებელს — შესანიშნავ პედაგოგ რაჟდენ ნაცვლიშვილს. ამ კაცმა ყველას გვასწავლა რუსული მეტყველება და მართლწერა, მაგრამ ვერაფრით მიაღწია იმას, რომ ჯუმბერს ერთხელ მაინც ეთქვა იგავი — „ასიოლ ი სალავეი“. ათი ლექსი სხაპასხუპით რომ



ჯუმბერ ლეჟავა
და შოთა მუმლაძე
(1956 წელი)

**სკოლის დამთავრების გამოსაშვები ბანკეტზე**
**სხედან: ჯუმბერ ლეჟავა, შოთა მუმლაძე, სანდრო გლურჯიძე;**
**დგანან: სერგო გოცირიძე, ედგარ ეგაძე, ალექსანდრე ნაგროშვილი, ალიკა მიქაბერიძე, გივი სარაჯიშვილი; მარჯვნიდან პირველი – დათო ზარიძე**

წაეკითხა ჯუმბერს, ბატონი რაჟდენი აუცილებლად დააყოლებდა: „ა სეიჩას „ასიოლ ი სალავეი“ (*იცინიან*). მაგრამ ჯუმბერი მაინც არ ამბობდა...

**შოთა:**

— ჯუმბერს რუსულის გაკვეთილზე ბლოკნოტი ჰქონდა, რომელშიც რაჟდენის თხოვნით, გამოძახებულ ბავშვებს ნიშნებს უწერდა. როცა პედაგოგი ჯუმბერს „ასიოლ ი სალავეის“ თქმას მოსთხოვდა, იქვე დააყოლებდა: „ლეჟავა, პიში სებე დვოიკუ“.

**— რატომ არ ამბობდა, ვერ სწავლობდა?**

**სერგო:**

— ჯიუტი იყო. რატომღაც მგონია, რომ მოგზაურობის დროს ხშირად გაიხსენებდა ჩვენს რაჟდენ მასწავლებელს და „ასიოლ ი სალავეის“ მაშინ მაინც იტყოდა, ხმამაღლა.

**ნანული:**

— რაჟდენზე გამახსენდა... გახსოვთ, როგორ მიყვარდა ფუნთუშები? შესვენებისას ორ ცალს რომ შევჭამდი, მესამეს წინსაფრის ქვეშ ვმალავდი, რომ გაკვეთილზე, ჩუმად მეჭამა. რაჟდენი ამას ხვდებოდა და მეუბნებოდა: „პალაჟი ბულოჩკუ ნა სტოლ“. ამოვიღებდი და მწუხარე სახით დავდებდი. რაჟდენი მიიხედავდა თუ არა, ედგარ ეგაძე მერხიდან წამოხტებოდა და მოიპარავდა.

**— ჯუმბერ ლეჟავას სამოგზაუროდ წასვლა თქვენთვის მოულოდნელი არ იყო?**

**თინა:**

— მაგისგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო (*იცინიან*).

**ციონ მიქაძე** *(მუმლაძეების რძალი):*

— გახსოვთ, მამა, ჯუმბერი მოგზაურობის ამბებს რომ ჰყვებოდა და ხუშკიმ (ალიკა მიქაბერიძის მეტსახელი) უთხრა: გაგიდვია მხარზე ველოსიპედი და ხან მანქანით მოგზაურობ, ხან — თვითმფრინავით; ასე რეკორდს მეც დავამყარებო (*იცინიან*)!

**შოთა:**

— ჯუმბერის მოგზაურობიდან დაბრუნება ყოველთვის თავშეყრით მთავრდება. მაგრამ ჩვენი შეხვედრების მიზეზი დაბადების დღეებიცაა.

*აქ მასპინძლებს დაბადების დღეების თემაზე ბლიცგამოცდას ვუწყობ და პასუხებსაც სხაპასხუპით ვიღებ — ფაქტია, თარიღები კარგად ახსოვთ.*

**სერგო:**

— ედგარ ეგაძე ძალიან ცნობილი რეჟისორი გახდა, მაგრამ როცა ვიკრიბებოდით და ვიტყოდით: მოდი, „დურაკი“ ავირჩიოთო, ყვიროდა, — მე ვიქნები, „დურაკიო“. იცოდა, მაინც მას ავირჩევდით...

**ნანული:**

— გახსოვთ, რა გემრიელ კერძებს ამზადებდა ტოსია (*ედგარ ეგაძის დედა. — ავტ.*)?

**სერგო:**

— კომპოტებს რომ ხარშავდა, დიდი ქვაბით! ჩვენი თანაკლასელებიდან შეძლებული ოჯახი თითქმის არავის ჰქონდა, მაგრამ გაჭირვებაზე არავინ წუწუნებდა. მე, მაგალითად, ძმაკაცების ოჯახებში გავიზარდე. მაშინ ედგარ ეგაძის მამა კულტურის მინისტრი იყო. მათ სახლში არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკა ჰქონდათ. კიდევ, დიდი როიალი ედგათ. მართალია, ედგარი მუსიკალური სმენით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მაინც, ყველანაირ წრეში შეჰყავდათ. ხომ ვთქვი კიდეც, ჩვენი სასკოლო კვარტეტის შექმნა ედგარის დამსახურება იყო-მეთქი.

**თინა:**

— სერგო პოლიტიკურ უნივერსიტეტში არსებული ტუღუშის ორკესტრის სოლისტი იყო.

**სერგო:**

— ჩვენი კვარტეტი სტუდენტურ ოლიმპიადებშიც მონაწილეობდა — ამით პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოხვედრა გვინდოდა (*იცინის*), მაგრამ ამან არ გაჭრა. სამაგიეროდ, ჩვენი „საგანმანათლებლო-კულტურული კერის“ წყალობით, სკოლის დამთავრებისას ლამის ყველა ფრიადოსანი გავხდით — 7 თუ 8 მედალოსანი გვყავდა. სკოლის მესამე სართულზე, ჩვენ მიერ ნამღერი ხალხური სიმღერის მოსასმენად დირექტორი — ალიოშა ცინცაძეც კი ამოდიოდა... კალათბურთშიც უძლიერესები ვიყავით. სანდრო უკვე ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი იყო, ალიკასნაირი ნახტომი კი საქართველოში არავის ჰქონდა — პტიცა უგრეხელიძეს უხსნიდა ბურთს...

**— თქვენ როგორი იყავით?**

— თავიდან სხვა სკოლაში ვსწავლობდი და სულ „ვპარტიზანობდი“, თანდილაშვილთან და ებრალიძესთან ერთად „საყაჩაღოდ“ გავრბოდი. ბიცოლა მყავდა შინ. ამისგან ქურდის მეტი არავინ გამოვაო, — ჩემზე ამბობდა. მერე, ამათ სკოლაში გადმომიყვანეს, კარგ წრეში მოვხვდი და გამოვსწორდი. სიმღერამაც დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში და სპორტმაც (*ბატონი სერგო ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატია. წლების წინ თბილისის ვიცე-მერი, შემდეგ კი ცეკაში სამშენებლო განყოფილების გამგე გახლდათ. — ავტ.*)... ჩვენი საძმო სამაგალითო იყო.

**პირველ რიგში: მარჯვნიდან პირველი – ოთარ მამალაძე;**
**მეორე რიგში: მარჯვნიდან მესამე – ალიკა მიქაბერიძე, მეოთხე – სანდრო გლურჯიძე, მეხუთე – თენგიზ კიკაჩეიშვილი;**
**მეოთხე რიგში: მარჯვნიდან მეორე – ჯუმბერ ლეჟავა, მესამე – ედგარ ეგაძე, მეექვსე – ჯემალ გიორგაძე, მეშვიდე – შოთა მუმლაძე**

MK

**შოთა:**

— VII თუ VIII კლასში გოგონებთან რომ გაგვაერთიანეს, ცოტა ხნით მორიდებულები გავხდით, მერე კი...

**ნანული:**

— ძალიან ბავშვურები ვიყავით. მახსოვს, თენგიზ კიკაჩეიშვილის (*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. — ავტ.*) გვერდით ვიჯექი. მაშინ თენგო ლექსებს წერდა და პირველად მე მაკითხებდა. თუ შენიშვნას მივცემდი, ბრაზობდა, თითს ცხვირზე წამარტყამდა და მეტყოდა: „დუნდუკ!“

**შოთა:**

— თენგოს კაპიტნობა უყვარდა. ენერგიული იყო, სისხლი უდუღდა.

**— მასწავლებლებს არ აწვალებდით?**

**სერგო:**

— მანია ცალქალამანიძე გვყავდა, რომელიც „ლაურეატის“ ნაცვლად, სულ „ლაუარეტს“ ამბობდა.

**ნანული:**

— ჩვენი გარდაცვლილი მეგობრის, კოტე ცქიტიშვილის მამა რაიკომის მდივანი იყო. მანია კოტეზე იტყოდა ხოლმე: აი, ოჯახიშვილი, აი, კარგი ბიჭიო. მერე, კოტეს მამა მოხსნეს და, — გაეთრიე აქედან, გაუზრდელოო! — უყვიროდა ხოლმე. კოტეს მამა ისევ რომ დააწინაურეს, რა თქმა უნდა, ისევ კარგი ბიჭი გახდა... ნეტავ, ალიკა მოსულიყო. ეჰ, ჩარჩა იმ გუდაურში, არადა, რამდენ რამეს გაიხსენებდა!..

**— ყველა თანაკლასელის შესახებ იცით, დღეს სად არიან და რას საქმიანობენ?**

**შოთა:**

— დათო ზარიძე, რომელსაც თენგო სულს უმწარებდა, ახლა მოსკოვში ცხოვრობს, ძალიან კარგი მეცნიერია; ცნობილი დისიდენტი, ავთო იმნაძეც ჩვენს კლასში სწავლობდა. რომ იტყვიან, „სრედნი ტროიშნიკი“ იყო. დიდი ხანია, არ მინახავს. „სამთო ქიმიაში“ რომ ვმუშაობდი, ერთი-ორჯერ კი გამომიარა (ბატონი შოთა წლების განმავლობაში, საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმიის“ გენერალური დირექტორის მოადგილე იყო); ოთარ მამალაძე ადრე „საქართველოს ბანკის“ მმართველი იყო; კონტრიძე ფილმებს იღებდა და ასე შემდეგ.

**სერგო:**

— რა გამახსენდა, იცით? საბჭოთა კავშირის საკალათბურთო ნაკრები რომის ოლიმპიადიდან ახალი ჩამოსული იყო. მოედანზე გენადი ვალნოვი (მაგარი მოთამაშე იყო) ჩვენს სანდრო გლურჯიძეს ელაპარაკება. მოგვიანებით ხარაბუზა (ისიც კალათბურთელი გახლდათ) დაინტერესდა, — რაზე ლაპარაკობდითო? ოდნავ ტანმორჩილმა სანდრომ უპასუხა: სიმაღლეში გასაზრდელი აბი ჩამომიტანა, იტალიიდანო. — სანდრიკ, შენ რად გინდა, გამთამაშებელი ხარ, მე ცენტრში ვთამაშობ და მომეციო, — შეეხვეწა. დიდი ვაჭრობის შემდეგ, სანდრომ აბი მისცა — სტრეპტოციდი იყო. მაშინ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდნენ, რომლის პირველ სართულზეც ტანსაცმლის ატელიე იყო. ყოველ დილით, სანდროს ხარაბუზას შარვალი ჩუმად ჩაჰქონდა ტელიეში, დასამოკლებლად. ის კი იცვამდა და ატყობდა, უმოკლდებოდა. გაგიჟდა სიხარულით: ნახეთ, გავიზარდე, შარვალი დამიმოკლდაო! შე იდიოტო, სანდრო გაშაყირებსო, — დასცინეს... მაგარი ბიჭი იყო სანდრიკა!

**ნუნუკა:**

— სომხეთში მიწისძვრა რომ მოხდა, პირველი ეგ გაქანდა მანქანებით და პროდუქტით.

**ვაკის პარკში (1980-იანი წლები)**
**პირველ რიგში: შოთა მუმლაძე, ნანა ციალაძე, ნანული დონდუა, კოტე ცქიტიშვილი;**
**მეორე რიგში: ალიკა მიქაბერიძე (ხუმკი), ჯემალ გიორგაძე (ბრიგადირა), თენგიზ კიკაჩეიშვილი, ჯუმბერ ლეჟავა**

**სერგო:**

— არავის სწყინდა მისი ოინები. ერთ-ერთი მინისტრის მოადგილე იყო, შოთა ლომიძე, რომელსაც სულ „პახმელია“ ჰქონდა და კოლეგიაზე, წინ ყოველთვის „ბორჯომი“ ედგა. ერთხელაც, გადაკრა და კინაღამ გაიგუდა — სანდროს, რომელიც ცეკას მეორე მდივანი იყო, შიგ არაყი ჩაუსხამს (*იცინიან*)... პედაგოგებიც საოცარი გვყავდა. რაჟდენ ხუციშვილი 80 წლის კაცი იყო და არაფერში ჩამოგვივარდებოდა; გოგი ჩიქობავა ქართულს გვასწავლიდა და თემების წერისას პათეტიკას ვერ იტანდა. ის დამოუკიდებელ აზროვნებას გვაჩვევდა (მერე, „პოლიტიკურზე“ იჯდა); დირექტორი ალიოშა ცინცაძე ხომ ბრწყინვალე ადამიანი იყო!.. პედაგოგიკას მარტო დიპლომი არ შველის, ბავშვებთან ურთიერთობა უნდა გიყვარდეს. არც ის შეიძლება, პედაგოგი მშიერი იყოს და მოსწავლე — მაძღარი. პედაგოგი კვარცხლბეკზე უნდა იდგეს! სანადიროდ დავდივარ ხშირად და ერთმა მწყემსმა მითხრა: ეე, შვილო, ფარამ პირი იცვალა და ხეიბარი წინ მაექცაო!

**— თქვენს შვილებს, შვილიშვილებს თუ უჩნდებათ ამ ამბების მოსმენის სურვილი?**

**სერგო:**

— ნაკლებად. ნაწილობრივ, ეს ჩვენი ბრალიცაა. ბავშვისთვის რომ საინტერესო იყო, მისი ცხოვრებით უნდა იცხოვრო და ცოტათი, წინაც გაუსწრო. ამ ინფორმაციის ნაკადს კი შეიძლება, ბოლომდე ვერც მიჰყვე. შვილის ნდობა უნდა მოიპოვო, მისთვის ავტორიტეტი უნდა იყო.

**— ქალბატონო თინა, თქვენ ამ კლასის რძალი ბრძანდებით...**

**თინა:**

— მე ამათი მეორე რძალი ვარ, პირველი გლურჯიძის მეუღლე, ეთერი იყო... გათხოვება შოთას სამეგობრომ გადამაწყვეტინა — მათი საზოგადოება, საოცარი ურთიერთობა და გულახდილობა მომწონდა. ედგარ ეგაძე შეგვყრიდა ხოლმე. მას ფული არასდროს ჰქონდა. დაგვპატიჟებდა შინ და ამოგვატრიალებინებდა ჯიბეებს, შეაკოწიწებდა თანხას, იყიდდა რამეს, თვითონვე მოამზადებდა და ასე ვილხენდით.

**სერგო:**

— კოტე ცქიტიშვილის ქორწილში ვართ, ზღვა ხალხია. კოტეს მამა უნივერსიტეტის პროფესორი იყო და არაჩვეულებრივი საზოგადოება ჰყავდა მოწვეული. ვიმღერეთ, ვიხალისეთ და ედგარმა გვითხრა: მოდი, აქედან პურმარილი წავიღოთ და ჩემთან „ჩავსხდეთო“. „შემაბეს“ და ლოჯიაში გამიშვეს, სადაც ბლომად ეწყო შეუწვავი გოჭები, ინდაურები, ქათმები, თვითონ კი ქვემოთ ჩავიდნენ. მე V სართულიდან გადმოვყარე ყველაფერი. მართალია, გადმოყრილი სანოვაგე კარგა ხანს აკოტრიალეს ძირს, ლელობურთივით, მაგრამ ედგართან გავრეცხეთ და კარგადაც მოვულხინეთ. ჰო, ქურდობა პატარძლის უმცროს ძმას და მის „შპანას“ დაჰბრალდა...

**თინა:**

— ოღონდ კარგად და დიდხანს იყავით და ღმერთს იმისთვისაც ვეტყვი მადლობას, რომ თუნდაც ტელეფონით გავიგონებ თქვენს ხმას!

**ნანული:**

— ჩემი შვილიშვილის 400-კაციან ქორწილში რომ მადლეგრძელეს, ახალგაზრდებს ვუთხარი: აქ ჩემი 60 წელს გადაცილებული თანაკლასელები არიან. ნახეთ, როგორ ვიცეკვებთ, მოვილხენთ და მოგალხენთ-მეთქი. იცით, რა დრო გავატარეთ?! თენგომ ლექსიც წაიკითხა. ხალხი გაოცებული გვიყურებდა, — ბებიაა მოსული თავისი კლასელებითო (*იცინიან*).

**ნინო:**

— ძალიან მეამაყებით. მინდა, დიდხანს იყოთ, რომ ჩემმა შვილებმა დაინახონ და დაიმახსოვრონ, როგორი მეგობრობა და გატანა იცით! ■

# ქალის სიყვარული...

*დასაწყისი იხ. „გზა“, №4-7*

## სვეტა კვარაცხელია

აი, ასე... ჩემი ერთადერთი სიყვარული ჩემმა ერთადერთმა დაქალმა „დამაწერა“. ნებსით თუ უნებლიეთ, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი ის იყო, რომ სანდრო მე უკვე აღარ მეკუთვნოდა. ჩემთვის განკუთვნილ საალერსო სიტყვებს სხვას უძღვნიდა, ჩემთვის მოსახვევად გამზადებულ მკლავებს სხვას უწვდიდა, ჩემი წილი კოცნით სულ სხვა ქალს ანაყრებდა. ძნელი იყო ამასთან შეგუება.

როგორც მოგვიანებით გავიგე, ნიტას მამას ორივე — სანდრო და ჯიმი დაუბარებია, თავი გაუგიჟებია, — ჩემი ქალიშვილის პატიოსნებას ადვილად არავის გავათელვინებო, — და ულტიმატუმი წაუყენებია — ან სანდრო შეირთავს მას ცოლად, ან ორივე ციხეში აღმოჩნდებითო. არჩევანი გაკეთდა — პატიმრობას აშკარად სჯობდა ცოლი. სანდრომ ყველაფერი თავის თავზე აიღო, პირველ რიგში, დედის მუდარა გაითვალისწინა და... დაქორწინდა.

მას შემდეგ, ინსტიტუტში არც ნიტა გამოჩენილა და არც სანდრო. ეს უკანასკნელი ორჯერ ვნახე მხოლოდ, ერთხელ — ამ ამბიდან ერთი თვის შემდეგ, შემთხვევით გადავაწყდი „ბავშვთა სამყაროს“ წინ. როგორც კი დამინახა, შეტრიალდა და შენობაში შევიდა. რა გული მომითმენდა?! სასწრაფოდ უკან მივყევი. მეორე სართულზე დავინახე, სუნამოების სექციასთან იდგა და ვიტრინას დასჩერებოდა.

— ნიტასთვის არჩევ? — ვკითხე და მეც ჩავიხედე გამჭვირვალე ვიტრინაში.

მძიმედ მოაბრუნა თავი და შემომხედა. მის მზერაში ყველაფერი ერთად იყო ნათქვამი — თავი დამანებე, ჩემი გაჭირვება მეყოფა, ნუ დამცინი, ასე იყო საჭიროო და ა.შ.

პასუხი არ გაუცია, მხოლოდ მიყურებდა.

— მოგეხმარები, კარგად ვიცი მისი გემოვნება, — გავაგრძელე კბენა, — ჰო, მართლა, გილოცავ! მთავარი კინაღამ დამავიწყდა.

— გმადლობ, — ჩაიცინა და თავი დამიქნია.

— ნიტა როგორ არის?

— რა უჭირს, კარგად.

— მომიკითხე...

— აუცილებლად.

— ჩემთვის არაფერი გაქვს სათქმელი? — არ ვეშვებოდი.

ისევ არ მიპასუხა, მზერა ამარიდა და წინ გაიხედა.

— ის მაინც მითხარი, გიყვარდი? ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. შენი პასუხი უფრო გამიადვილებს ცხოვრებას.

— პასუხი არ მაქვს, — როგორც იქნა, ამოთქვა.

— არა, ასე არ მინდა. ან „ჰო“ მითხარი, ან — „არა“.

ამაოდ ველოდი მისგან რამის გაგონებას, ისევ ისე, უაზროდ გაჰყურებდა სივრცეს.

— გასაგებია... დუმილი საუკეთესო იარაღია თავის გასამართლებლად, არა? — ირონიულად ჩავიცინე. — ბედნიერებას გისურვებთ... ღრმა სიბერემდე, — რაც შეიძლებოდა კეკლუცად წარმოვთქვი და გავტრიალდი.

ფეხარეული მივდიოდი, რადგან ვგრძნობდი, როგორ მიმაცილებდა მისი თვალები — ყველაზე მეტყველი, ყველაზე დამნაშავე და ყველაზე ნაღვლიანი თვალები მთელ ქვეყნიერებაზე.

მერე, დიდი ხნის მერე, მის ძმას, აკაკის მოვუყევი ამ შეხვედრის შესახებ და დავაყოლე, — ვერ გავიგე, მისი დუმილი რას ნიშნავდა-მეთქი.

— რა თქმა უნდა, თანხმობას, — გაიღიმა აკაკიმ, — დუმილი ხომ თანხმობის ნიშანია.

ამის გაგონებაზე გული დამესერა. როგორ ვერ ვიფიქრე ეს მაშინ, როგორ ვერ ვიფიქრე?! იმწუთას მისი დუმილის არსს რომ ჩავწვდომოდი, ადგილიდან არ დავიძვროდი, ჩავეხუტებოდი და არსად გავუშვებდი, არ მივცემდი ჩემი მიტოვების უფლებას...

მაგრამ გვიან მივხვდი ამას.

მას მერე კიდევ ერთხელ ვნახე. საბედისწერო ქორწინებიდან სამი თვისთავზე დედა გარდაეცვალა, ქალბატონი ნათელა — დილით ლოგინში გარდაცვლილი იპოვეს. გულმა უმტყუნაო, — თქვეს. პანაშვიდზე მივედი. ნიტა თვალცრემლიანი იჯდა ჭირისუფლებს შორის. მივუსამძიმრე. თავდახრილმა გადამიხადა მადლობა, არ შემოუხედავს. მერე კართან მდგარ სანდროს მივეახლე, ხელი ჩამოვართვი... საჭიროზე მეტხანს დაყოვნდა ჩემი თითები მის ხელისგულში. ვაკოცე, მაგრამ არა ისე, როგორც ჭირისუფალს კოცნიან... და თანაგრძნობის სიტყვებიც ვუთხარი.

— დიდი მადლობა, სოფი, — ზედ ყურთან მიჩურჩულა და ოდნავ შემახო ტუჩები ყურის ბიბილოზე...

თითქოს ყველაფერი დატრიალდა, წამით ისე გავითიშე, სამყაროს მოვწყდი, მეგონა, ჰაერში ავიწიე, თავბრუ დამეხვა და შევტორტმანდი.

გარეთ გამოსვლამდე ნიტას გავხედე... გამჭოლი მზერა ჰქონდა, სწორედ ისეთი, როგორსაც მოველოდი — მის თვალებს არაფერი გამოჰპარვია...

ინსტიტუტს არც ერთი დაჰბრუნებია და არც მეორე. მათ ამბავს ერთი პერიოდი აკაკისგან ვიგებდი. დედის ორმოცის შემდეგ ორივენი რუსეთში გაემგზავრნენ თურმე. სანდროს იქ ჩაუბარებია სამედიცინოზე, ნიტას კი უარი უთქვამს სწავლის გაგრძელებაზე, რადგან უკვე ორსულად იყო და ბავშვს ელოდებოდა. წლისთავზე გოგონა შეეძინათ, ნათია დაარქვეს, ბებიის სახელი... მერე აკაკიც დამეკარგა და საბოლოოდ გაწყდა მათთან კონტაქტი...

მას შემდეგ, თოთხმეტი წელი გავიდა. და აი, კვლავ შევხვდით ერთმანეთს, თანაც — საკმაოდ უჩვეულო ატმოსფეროში. დღეიდან ერთ ჭერქვეშ უნდა გვემუშავა — ერთ ახალ, საკმაოდ დიდ ოჯახში. ხომ ამბობენ — სამსახური მეორე ოჯახიაო! ოღონდ, ჯერ არ ვიცოდი, ამ ახალ ოჯახში რომელს ვისი როლი უნდა შეგვესრულებინა...

ბევრი რამ შეიცვალა ამ თოთხმეტი წლის განმავლობაში. არ გავთხოვილვარ, მაგრამ სექსუალური პარტნიორი მყავდა. იყო ერთი ასეთი — ვატო ერქვა. სულ რაღაც ნახევარი წელი გრძელდებოდა ჩვენი ურთიერთობა. ეს სხვა ამბავია და მის მოყოლას არ შევუდგები. დიდი სიყვარული და ვნებათაღელვა არ ყოფილა, უბრალოდ, ვავსებდით ერთმანეთს და შეიძლება, ქორწინებითაც დამთავრებულიყო ჩვენი

რომანი, რომ არა ის ტრაგიკული ავარია, რომელმაც ვატოს სიცოცხლე შეიწირა...

ძალიან განვიცადე... მას შემდეგ დაახლოება არავისთან მიცდია. ასე მეგონა, მამაკაცებისთვის მხოლოდ უბედურება მოქონდა, საბედისწერო ქალის „დიაგნოზი“ დავუსვი საკუთარ თავს და ოცნების მამაკაცზე ფიქრს შევეშვი. სანდროზე მოგონებებით ვცოცხლობდი მხოლოდ, წარსული დღეების გახსენება მასულდგმულებდა.

ახლა კი... თავდაყირა დადგა ყველაფერი. თითქოს იგივე მეორდებოდა, თითქოს თავიდან იწყებოდა ცხოვრება. სანდრო კვლავ გამოჩნდა ჰორიზონტზე და ჩემმა გულმა, რომელიც დიდი ხანია, მე აღარ მეკუთვნის, კვლავ დაიწყო ფორიაქი. სანდროსთან მიმართებაში დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება მთელი ამ წლების მანძილზე გამომყვა. ჩვენ ხომ სექსი არ გვქონია. არადა, შინაგანად ვგრძნობდი, რომ ეს სულ სხვა განცდა იქნებოდა. სექსი როგორ არ მქონია, ვნებათაღელვაც ყოფილა, სიამოვნებაც და დარწყულებაც, მაგრამ ეს არ იყო საყვარელ ადამიანთან განცდილი საზღვრებახსნილი ნეტარება. უსიყვარულო სექსი, ჩემი აზრით, მხოლოდ მათთვის არის ნუგეში, ვისაც სიყვარული არ განუცდია. შეიძლება, ამიტომაც დარჩა ასე დიდხანს ჩემს გულში სანდროს სახება. მე ყველაზე მთავარი დამაკლდა მისგან — ის მიწიერი რამ, რომელსაც ხორციელი ლტოლვა ჰქვია. მისი სიყვარული ჩემთვის ხანძარივით იყო, რომელიც დღემდე ბობოქრობდა და რომელსაც წყალი ვერავინ დაასხა, რომ ჩაექრო. ვიცოდი, ათი პარტნიორიც რომ გამომეცვალა, ვერაფერს შევცვლიდი — ამ ალმოდებული გრძნობის ჩაცხრობა მხოლოდ სანდროს შეეძლო, მას და — სხვას არავის. ჩემი ერთადერთი ოცნება მასთან სექსი იყო. და აი, წლების შემდეგ, სწორედ ამის შანსი გამიჩნდა... ახლოს ვიყავი ჩემს ოცნებასთან, ერთი ხელის გაწვდენაღა დამრჩენოდა მხოლოდ...

...ორშაბათს საგანგებოდ გამოპრანჭული გამოვცხადდი სამსახურში. ქარი ჩამდგარიყო, ნამდვილი გაზაფხულის ამინდი იდგა, ახალამწვანებული ფოთლების სურნელი ტრიალებდა ჰაერში. წითელი, წელში გამოყვანილი გრძელი კაბა მეცვა. მსუბუქი მაკიაჟი და მკვეთრი ფერის პომადა თითქოს რომანტიკულ იერს მანიჭებდა. მომწონდა ჩემი თავი, ზედმეტად ლამაზი ვიყავი, დღეს — განსაკუთრებით.

თავაღერებული მივაბიჯებდი დერეფანში და ვგრძნობდი, რამდენი წყვილი თვალი მაყოლებდა მზერას ინტერესით — ნეტავ, ვინ არისო?..

გეზი პირდაპირ კადრების განყოფილებისკენ ავიღე, რომელიც პირველ სართულზე მდებარეობდა. კართან შევჩერდი და მივიხედე იმ იმედით, რომ იქნებ, სადმე სანდროსთვის მომეკრა თვალი. რამდენიმე მეტრში, ლიფტთან, ჩემკენ მომზირალი ორი მამაკაცი შევნიშნე, ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებოდნენ. ერთი მაღალი და გამხდარი იყო, მეორე — დაბალი და მსუქანი. იმ მაღალმა თავი გაწზე გასწია და გამომხედა... ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა... და თითქოს რაღაც შემესო მკერდში... თითქოს პატარა ამური იჯდა მის მხარზე და, დრო იხელთა თუ არა, გამოსტყორცნა თავისი ლეგენდარული ისარი, სიყვარულის შხამით გაპოხილი... იმწუთას რაღაც მოხდა ჩემში, თუმცა კონკრეტულად რა, ვერ გავაცნობიერე. ერთ რამეს მივხვდი მხოლოდ: ის „რაღაც“ იმ მაღალი და გამხდარი მამაკაცის თვალებმა

გამოიწვია. თვალები ჰქონდა-ა-ა! დიიდიდიიდი! დიდრონი-დიდრონი! ლურჯი და მერე როგორი ლურჯი! რატომღაც, მელ გიბსონი გამახსენდა, ალბათ მას ჩამოჰგავდა და იმიტომ. თმა — სწორი, მოკლე და სრიალა, მხარბეჭი — განიერი, ტუჩები — მსხვილი და თითქმის უფერო, მაგრამ ვნებიანი... არა, უფრო — სექსუალური... არ ვიცი, რომელი უფრო მეტყველი ჰქონდა — თვალები თუ ტუჩები, სამაგიეროდ, კარგად ჩანდა, რომ ორივე ერთნაირად მოუსვენარი იყო, ცელქი თუ ურჩი, აი, ისეთი, პატრონს რომ არაფერს „უჯერებენ“ და თავის ნებაზე „დადიან“. საიდუმლო სიგნალი ერთდროულად მივიღე — თვალები აღტაცებას ვერ ფარავდნენ, ტუჩები — ნდომას... გამიჭირდა ღიმილის შეკავება — ასეთი მამაკაცისგან ამგვარი რეაქცია აშკარად, სასიამოვნო იყო. არტისტული ჟესტით დავაკაკუნე კარზე და კადრების განყოფილებაში თვითკმაყოფილი სახით შევედი...

ესეც ასე. საბუთები გააფორმეს და ნახევარ საათში კლინიკის სრულუფლებიანი წევრი გავხდი — ექიმი-ანესთეზიოლოგი. პირადობის მოწმობა ჩანთაში ჩავიდე და გარეთ გამოვედი. უროლოგიური მესამე სართულზეა. არა, ლიფტით არ ავალ, ჯობია, ფეხით ავიდე, ცოტა გამინელდება ეიფორია. კიბეს ავუყევი. ღიმილი არ მშორდებოდა სახიდან...

საორდინატოროში შევიხედე. წამით სული შემიგუბდა — ოთახში სანდრო და ნანკა ისხდნენ და რაღაცაზე გაცხარებით კამათობდნენ. დავიძაბე. ჩემს დანახვაზე, პირველს მოექუფრა სახე, მეორეს — გაებადრა.

— დილა მშვიდობისა, — დაბნეულად მივესალმე ორივეს და მექანიკურად შევაბიჯე ოთახში.

— გაგიმარჯოს, სოფიო, მობრძანდით. ჩვენთან იწყებთ დღეიდან მუშაობას, არა? — ნანკამ სკამზე მიმითითა.

— ჰო, ვიწყებ. არა, არა, დასაჯდომად არ შემოვსულვარ. უბრალოდ, მაინტერესებს, ქალაქზე როგორ უნდა დამირეკონ, რა ნომერია? — სპონტანურად რაც მომაფიქრდა, ის ვიკითხე.

— 29-29. ხედავ, რა „ბლატნოი“ ნომერი გვაქვს? შენთანაც არის პარალელური ხაზი, აპარატი მგონი, დგას შენს კაბინეტში, არა, სანდრო? — ნანკამ ფეხზე გადადებულ ფეხს თითები ააყოლა, სანდრომ — მზერა. — შიდა კი 322-ია ჩვენი, შენი — 326.

— დიდი მადლობა, ეგ მაინტერესებდა. ყოველი შემთხვევისთვის, ჩავიწერ, რომ არ დამავიწყდეს. ბოლო ხანებში რაღაც გულმავიწყობა დამჩემდა, — ნანკას ფეხებს მეც ავაყოლე მზერა, თან, ჩანთიდან ბლოკნოტი და კალამი ამოვაძვრინე, რომ ნომრები ჩამეწერა.

— სხვათა შორის, მეც. ნეტავ, რისი ბრალია? — ამყვა ნანკა. — შენ, სანდრო?

— რა მე-ე? — როგორც ჩანს, ის ჩვენს საუბარს არ უსმენდა.

— შენც გავიწყდება რაღაც-რაღაცები?

— რაღაცები კი არა, „ყველაცები“ დავივიწყე, განსაკუთრებით ის, რისი გახსენებაც არ მსიამოვნებს, — ადვილი მისახვედრი იყო, რომ ეს ჩემს გასაგონად ითქვა.

— დაივიწყე კი არა, შენც გავიწყდებამეთქი? — გკითხე, გამოშტერებულო, — თავში მსუბუქად წამოარტყა ხელი „კლინიკის დედოფალმა“ კლინიკის „მაესტროს“.

— აუ, თავი დამანებე, არ მაინტერესებს, რა მკითხე, — უხეშად გამოუვიდა სანდროს, წამოდგა, ცივად ჩამიარა გვერდით და ოთახიდან გავიდა.

— რა ეტაკა ნეტავი? ვერ არის, ხომ იცი. აი, ამიტომ ვერ ვიტან, ჩემო სოფიო, ცოლშვილიან კაცებს. შენ გათხოვილი ხარ? — ძალიან შინაურულად მკითხა უეცრად.

— არა, — ვუპასუხე და გავწითლდი.

— არც მე. ან კი რა ყრია ამ გათხოვებაში, შენი ჭირიმე?.. ქალებს ჭკუა არა

გვაქვს. არ ვარ მართალი? — მხიარულად შესძახა და ხელი ხელს შემოჰკრა.

პასუხად მხოლოდ გავუღიმე და გამოვბრუნდი, რომ დროზე შევსულიყავი ჩემს კაბინეტში, უკვე სული მეხუთებოდა...

ოთახში შევედი თუ არა, შვებით ამოვისუნთქე. აქ თითქოს სხვა სამყაროში მოვხვდი, დაძაბულობა სადღაც გაქრა. რა საზიზღარი კაცია, როგორ იქცევა!.. ვიცოდე მაინც, რა დავუშავე, რას მერჩის? თვითონ არის ყველაფერში დამნაშავე და მე რატომ მებუტება, ვერ ვხვდები.

გასაღები მაგიდაზე დავაგდე, ჩანთა სკამზე გადავკიდე და ჩამოვჯექი. ცოტა ხანში მთავარ ექიმთან შევალ, დაველაპარაკები, რა გავაკეთო, როგორ ვიმუშაო, პრეპარატების საქმე როგორ არის, რამდენი ოპერაცია ტარდება კვირაში, ზუსტად რა მევალება და ა.შ. მერე ნელ-ნელა გავერკვევი ყველაფერში და მუშაობას შევუდგები. იმედია, თავს გავართმევ და სირცხვილს არ ვჭამ, სხვების სალაპარაკო არ გავხდები. ეს ვაჟა სადღაა? რაღაც, მომეწონა ის ბიჭი, მოვიდეს მაინც, დაველაპარაკო. ამ ნანკასთან ალბათ ვერასდროს გამოვნახავ საერთო ენას, ძალიან გატყლარჭული ვინმეა, არ მიყვარს ასეთი ქალები. ცოტა ვულგარულიცაა, მგონი. ამ ფიქრებში ვიყავი, რომ კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

— მობრძანდით, — გავძახე და იმ ვიღაცის შესახვედრად მოვემზადე.

სანდრო იყო. შევეცადე, მშვიდი სახე მიმეღო, აღელვება არ შემტყობოდა. მას ნამდვილად არ ველოდი.

— შეიძლება? — მისი ხმა დამთბარი მეჩვენა.

— რა თქმა უნდა, — ვითომც არაფერი, ოდნავ წამოვიწიე და ჩემდა უნებურად, სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, მაგიდიდან გასაღები ავიღე და ჩანთაში ჩავაგდე.

— თუ ნებას დამრთავ, დავჯდები, — თქვა და გაიღიმა.

როგორ შეცვალა ღიმილმა, უხეში ნაკვთები თითქოს დაურბილდა.

წვერი ოდნავ ჰქონდა წამოსული, ალბათ დილით არ გაუპარსავს. ვერ მოასწრო თუ?.. — ამეკვიატა ფიქრი.

— როგორ ხარ? — ხმის ინტონაცია არ შესცვლია, ისე მკითხა.

მხრები ავიჩეჩე პასუხის ნიშნად და ისევ გავსწორდი ჩემს მბრუნავ შავ სავარძელში.

— კითხვა არ უნდა, ვხედავ, რომ კარგად ხარ, — თვითონაც დაჯდა, თითები ერთმანეთს შეატყუპა, ნიკაპით ჩამოეყრდნო და... გავიგონე ის, რისი გაგონებაც მსურდა: — ათი წლით ახალგაზრდად გამოიყურები... ახლა რამდენი წლის ხარ? — მკითხა და თვალებმოჭუტულმა გამომხედა.

გამეცინა.

— მთავარი ის კი არ არის, რამდენი წლის ვარ, არამედ ის, თუ როგორ ვგრძნობ ამ წლებს... მე ჯერ კიდევ თვრამეტის ვარ, სანდრო, — ვუთხარი და მრავალმნიშვნელოვნად გადავხედე.

— სრულიად გეთანხმები. უდარდელი ადამიანები არ ბერდებიან.

— სხვათა შორის, არც შენ ხარ შეცვლილი, როგორიც მახსოვდი, ისეთივე დარჩენილხარ.

— შეიძლება... — წამით დუმილი ჩამოვარდა. — აი, ნიტა კი მოტყდა, ვერ იცნობ, ისეთი შეცვლილია.

— შვილები?.. რამდენი გყავს?

— ორი... გოგო და ბიჭი. დიდები არიან უკვე.

— ვიცი.

— იცი? საიდან? — გვერდზე გადაიხარა და იდაყვით სავარძლის სახელურს დაეყრდნო, თან თვალი არ მოუცილებია ჩემთვის.

— მას შემდეგ ხომ თოთხმეტი წელი გავიდა.

— ჰმ, როგორ დაგიმახსოვრებია...

— შენგან განსხვავებით, მე ყველაფერი მახსოვს, არაფერი მავიწყდება, ისიც კი, რისი გახსენებაც არ მსიამოვნებს, — მისივე სიტყვები მივუბრუნე.

— აქ ვინ მოგიყვანა? — სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი. — იცოდი, აქ რომ ვმუშაობდი?

აი, თურმე, რა ადარდებს, რისი გაგება სურს!..

— არა, არ ვიცოდი. მერე რა? — გამჭოლი მზერა ვესროლე, თვალი ამარიდა.

— არაფერი.

— შენი აზრით, რომ მცოდნოდა, სამსახურზე უარი უნდა მეთქვა? ეგ გაინტერესებს?

— არა, ეგ არა. უბრალოდ, არ მინდა ვიფიქრო, რომ ჩემს კვალს გამოჰყევი.

— ანუ შენ დაგდევ უკან?!. რა სისულელეა! შენი არსებობის შესახებ საუკუნეა, არაფერი გამიგონია, ან კი რაში მჭირდებოდა?! — აღვშფოთდი.

— დაწყნარდი, სოფიო, დამშვიდდი, — ხელზე ხელი შემახო.

თითქოს შხამიანი მწერი შემხებოდეს, ისე გამოვწიე ხელი. „სოფიომ“ კი საბოლოოდ გამანადგურა. უცებ სოფიო გავხდი მისთვის. ეს რაღაც ახალია. თუმცა სხვას რას ველოდი მისგან ამდენი წლის მერე? წლებს ხომ თავისი მიაქვს.

— იცი... აქ საქმის გასარჩევად არ მოვსულვარ. უბრალოდ, ერთი რამ მინდა შეგითანხმო. აქ არავინ იცის, ჩვენ რომ ერთმანეთს ვიცნობთ, არც მინდა გაიგონ. მე კარგი რეპუტაციით ვსარგებლობ და...

— ჩემი ნაცნობობა რეპუტაციას შეგილახავს, სანდრიკ?! — ისე სარკასტულად გამომივიდა, საკუთარ თავზე გაბრაზდი, თავი როგორ ვერ შევიკავე-მეთქი?!

— ეგ არ მიგულისხმია, დამამთავრებინე სათქმელი, გთხოვ. არ დაგიმალავ და გეტყვი, რომ შენმა გამოჩენამ თავზარი დამცა.

— რაღაც ვერაფერი შეგატყვე მაგდაგვარი და თუ ასეა, გეტყვი, რომ კარგი მსახიობი ყოფილხარ. ყოველთვის ასე კარგად თამაშობდი? მაშინაც? — თავს ვერ ვთოკავდი.

მან თითქოს ვერ გაიგონა ჩემი ნათქვამი, მშვიდად გააგრძელა:

— ორი ღამეა, არ მძინებია, ვაანალიზებ ყველაფერს. რადგან ერთად გვინევს მუშაობა და შესაბამისად, ყოფნა, ორივენი უნდა ვეცადოთ, არავინ არაფერი შეგვატყოს. არ მინდა ჩვენი ძველი სიყვარულის შესახებ ვინმემ რამე გაიგოს.

— სიყვარულის? — ფეხზე წამოვიჭერი, განრისხებული. — რომელი სიყვარულის? მე შენ როდის გყვარებივარ? როდის ერთხელ გითქვამს, მიყვარხარო?! შენ მშიშარა იყავი, სანდრო, მხდალი, გაუბედავი... ვერ გარისკე, ვერ გაბედე ჩემი შეყვარება. ეს მხოლოდ ძლიერ, მამაც ადამიანებს შეუძლიათ. სიმამაცე ოქროს მონეტასავითაა, რომ იცოდე: ზოგი მას უცებ ხარჯავს, ზოგი კი ინახავს, რომ გამოიზოგოს. შენ კი... უყოყმანოდ, დაუფიქრებლად, უსიყვარულოდ დახარჯე იგი სულ რაღაც ერთ საათში, თანაც — არა ჩემთვის, არამედ სულ სხვა ქალისთვის. მისი გულისთვის თამამად გადადგი შენთვის არასასურველი, მაგრამ ორივესთვის საჭირო ნაბიჯი. მას სახელის შენარჩუნება სჭირდებოდა, შენ კი თავი გადაირჩინე მაშინ, როცა შეგეძლო, ჩემი სიყვარული გადაგერჩინა. თუმცა ნაკლებად გაელესვებდა იმ დროს სოფიო, იმიტომ, რომ არ გიყვარდი, იმიტომ, რომ შენთვის არაფერს წარმოვადგენდი და არა იმიტომ, რომ არ გამწირე ცუდი ცხოვრებისთვის.

— შენდამი გულგრილი არასდროს ვყოფილვარ, შენ ეს კარგად იცი, — მონოტონურად აგრძელებდა სანდრო, თითქოს ჩემს ტონს ვერც ამჩნევდა, — ის,

რაც იყო, დიდი ხანია, დამთავრდა. არ მინდა ახლა ამაზე ლაპარაკი. მე ბევრი რამ გადავიტანე, სოფიო, ძალიან ბევრი. საკმარისად ვიმუშავე საკუთარ თავზე. დიდი ბრძოლა დამჭირდა, რომ ნარკოტიკებს შევშვებოდი, ცხოვრების წესი შემეცვალა და ოჯახს ჯანმრთელი და საღი დავბრუნებოდი. ამაში ნიტა ძალიან დამეხმარა, მას ამას ვერ დავუკარგავ. ვალში ვარ მის წინაშე, ვერ დავაღალატებ.

— მერედა, ვინ გთხოვს?! თუ გგონია, რომ შენი გულისთვის აღმოვჩნდი ამ კლინიკაში, მწარედ მოტყუებულხარ! შენი არსებობა აღარც მახსოვდა, თუ გინდა, სიმართლე იცოდე.

ამის გაგონებაზე წამით გაქვავდა, ნაკვთი არ შერხევია სახეზე, მაგრამ თვალებმა გაყიდა. უაზროდ ახამხამებდა აპრეხილ წამწამებს, თან წამითაც არ მაშორებდა მზერას, თითქოს ამოწმებდა, მართალს ვამბობდი თუ ვატყუებდი. აშკარა იყო, არ უნდოდა დაეჯერებინა ჩემი ნათქვამი, გაფაციცებით მაკვირდებოდა, თითქოს ეშინოდა, ჩემს თვალებში განელებული სიყვარულის კვალი არ დაენახა. დარწმუნებული ვიყავი, რომ დაენახა, აუცილებლად შეეცდებოდა მის წაშლას.

— როგორც ჩანს, შევცდი. იმედია, მაპატიებ, რომ ასე ვიფიქრე. რატომღაც მეგონა, რომ...

— ტყუილად გეგონა! — უკმეხად გავაწყვეტინე. — შეგიძლია მშვიდად იყო, აქ შენს შესაბმელად არ მოვსულვარ, სულ სხვა გეგმები მაქვს, — ბოროტად დავაკვესე თვალები და სავარძელში ძალაგამოცლილი ჩავესვენე.

— მაპატიე, შენი წყენინება არ მინდოდა, — ამოიხვნეშა და წამოდგა, — აწი მშვიდად ვიქნები. სწორედ ამის გაგონება მინდოდა, სხვა არაფერი, — თქვა და კარისკენ გაემართა. — ჰო, მართლა — ნიტამ მოგიკითხა.

— ჩემგანაც მოიკითხე, — დავადევნე დახშული ხმით.

— უკვე მოვიკითხე, — თავი მოაბრუნა და უცნაურად გამიღიმა.

და მივხვდი, სულაც არ უნდოდა იმის გაგება, რაც ჩემგან მოისმინა, უბრალოდ, თავი დაიმშვიდა, თორემ ისევ ისე ვუყვარდი და შეიძლება, უფრო ძლიერადაც, ვიდრე მაშინ...

ორივეს ერთი რამ გვტანჯავდა მხოლოდ — დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება — იმ იდუმალი სიახლოვის დანაკლისი, რომელსაც სექსი ჰქვია და რომელიც ჩვენ არასდროს გვქონია...

სანდრო გავიდა და კარი მოიხურა. თავი ხელებში ჩავრგე. შეეცადე, დავწყნარებულიყავი. თითები მაგიდაზე ავათამაშე, თითქოს ეს მიშველიდა.

მოულოდნელად კარი გაიღო და იმ საოცართვალება მამაკაცმა შემოყო თავი, რომელიც დერეფანში ჩურჩულებდა ჩემზე.

— თქვენ ახალი ხართ? — მხიარული ხმით მკითხა და ოთახში შემოაბიჯა.

— დიახ, — ძალაუნებურად ფეხზე წამოვდექი.

— გინდათ, გამოვიცნო, რა გქვიათ?

— ძალიან ბანალურია, — გამეღიმა.

— მერე რა? ბანალურად დაწყებული ურთიერთობა უფრო საინტერესოდ და სასიამოვნოდ ვითარდება, ჩემი აზრით, არ მეთანხმებით?

— გააჩნია ურთიერთობას.

იგი უნებართვოდ, არხეინად მოკალათდა იმ სავარძელში, რომელშიც ცოტა ხნის წინ სანდრო იჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო. მისი გამოხედვა უცნაურად მხვდებოდა გულზე, სწორედ ისე, როგორც ცოტა ხნის წინ მის მხარზე შემოსკუპებული, პატარა ამურისგან გამოსროლილი ისარი. არა, ეს არ იყო სიყვარული, არც მისი დასაწყისი, თუმცა სიამოვნებით შევიყვარებდი ამ კაცს, ჩემი გული ჩემივე საკუთრება რომ ყოფილიყო.

— ნებისმიერი, განსაკუთრებით — სასიყვარულო.

— ძალიან თავდაჯერებული ხართ.

— არამც და არამც. უბრალოდ, თვითონ სიყვარულიც ხომ ბანალური თემაა — ყველა ერთნაირად იწყება.

— ვითომ?

— ვითომ კი არა, ასეა. მამაკაცს უყვარდება ქალი ან ქალს — მამაკაცი, მერე მესამე ან მეოთხე ჩაერთვება ურთიერთობაში, წარსულიდან ან სულაც მომავლიდან და იწყება მთელი ბატალია, ინტრიგები, გაბუტვები, შერიგებები... ბოლოს ამბავი მთავრდება... კარგად ან ცუდად, — ძალიან ლამაზი თვალები ჰქონდა, მაცდუნებელი, არც ერთ ქალს რომ არ დატოვებდა გულგრილს.

— მარტივი წარმოდგენა გქონიათ სიყვარულზე.

— სხვათა შორის, გაფრთხილებთ, ქალები მოსვენებას არ მაძლევენ, წუთითაც კი.

სიცილი ვერ შევიკავე.

— სხვათა შორის, მეც მინდა გაგაფრთხილოთ, რომ არც მე მაძლევენ მამაკაცები მოსვენებას... წამითაც კი.

ახლა მას გაეცინა.

— ამით რა გინდათ მითხრათ? შეგპირდეთ, რომ ჩემგან ამის საშიშროება არ გემუქრებათ?

— არა, პირიქით. მე გაძლევთ პირობას, რომ ჩემგან არ გემუქრებათ ამის საშიშროება, — და ნიშნის მოგებით შევხედე.

— თქვენც საკმაოდ თავდაჯერებული ყოფილხართ.

— უფრო მეტიც — ძალიან ცუდი გოგო ვარ.

— მთლად გოგოს ვერ ვიტყოდი, — ეშმაკურად მოჭუტა თვალები და გამარჯვებული კაცის იერით შემომხედა: სამაგიერო ხომ გადაგიხადეო...

— თქვენ კი ცუდი ბიჭი ყოფილხართ.

— რას ვიზამთ, ცხოვრებაა ასეთი... და რა ჰქვია ამ ცუდ გოგოს?

— სოფიო.

— სოფიო? — წარბები აზიდა. — კი, მაგრამ „კ“ სად გაქრა?

— ჩარჩა ბავშვობაში.

— ცუდია, მაშინ „ო“-ც ზედმეტია, თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ უკეთესად ჟღერს „სოფი“.

წამით სუნთქვა შემეკრა. ჩემი სახელის სანდროსეული ვარიანტი გამახსენდა, წამოვწითლდი.

— აბა, დაუკვირდით — სოფი... ისეთი გრძნობით ითქმება, ისეთი ვნებით... გულს ამოაყოლებს ადამიანი.

— არ ვიცი, არ მიფიქრია ამაზე, — სიწითლე სიმხურვალეში გადაიზარდა.

— კარგი, არ მოგაცდენთ. მგონი, თავი მოგაბეზრეთ უკვე. იმედია, ხშირად ვნახავთ ერთმანეთს, — წამოდგა, თავი დამიკრა და კარისკენ გაემართა. უეცრად შემობრუნდა.

— აბა, მითხარით, ქართულში რამდენი ბრუნვა არსებობს? — უცნაური შეკითხვა დამისვა.

შევყოყმანდი.

— როგორც ვიცი, შვიდი. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო, — გაღიმებულმა ვთქვი.

— ცდებით. რვა.

— რვა-ა? — რა თქმა უნდა, მისი ნათქვამი მორიგ ხუმრობად მივიჩნიე.

— ჰო, რვა. სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი და... მოწონებითი... იცით? მე უკვე შემიყვარდით, ყველა ბრუნვაში მიყვარხართ, ერთის გარდა — ნათესაობითი არ მომწონს მარტო. ხედავთ? ქართულ ენას ამით არაფერი დაჰკლებია, მაინც შვიდივე ბრუნვაში მიყვარხართ, — მომნუსხველად მომანათა თვალები.

— ძალიან ადვილად იყენებთ ამ სიტყვას, ცუდო ბიჭო! — უკმაყოფილოდ გადავაქნიე თავი.

— პირიქით — ცხოვრებაში პირველად ვამბობ ამ სიტყვას, — ისეთი სერიოზული ტონით თქვა, ლამის დავიჯერე, — შეიძლება, უნიჭოდ გამომივიდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გამიძნელდა, სულაც არ იყო ადვილი. პირველი ხომ ყველაფერი ძნელია, ბანალური, მაგრამ ძნელი, — თქვა და გავიდა, ცოტა ხანში კი კვლავ შემოაღო კარი და შემომძახა:

— სხვათა შორის, ამ ცუდ ბიჭს ბექა ჰქვია, ქირურგია, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, მთავარი ექიმის მოადგილე და რამე. გავაგრძელო რეგალიების ჩამოთვლა? — ეშმაკურად იღიმოდა.

— და კიდევ — „მარიაჟი“... — დავამატე მე.

— მერე, რა არის ამაში ცუდი? ვიღაცამ ხომ უნდა მოგაწოდოთ ინფორმაცია! ჩემზე უკეთ კი ვერავინ იზამს ამას, სო-ფი! — ხაზგასმით მესროლა და ვიგრძენი, ამურის ნასროლი ისარი უფრო ღრმად რომ შემესო გულში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# ეროვნული საკითხავი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

## (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცქცეთ თვალი.

1. ნიკიტა მიხალკოვის ფილმის — „ოჩი ჩორნიეს“ გადაღების დროს, ამ მსახიობმა მარჩელო მასტროიანისთვის პანლურის ამორტყმაზე კატეგორიული უარი განაცხადა. დაასახელეთ იგი.

2. გერატი, ისკენდერუნი, კანდაგარი, მარი, ხოჯენტი, ალექსანდრია — რა აქვთ საერთო ჩამოთვლილ თანამედროვე ქალაქებს?

3. რამდენი გადაუხადეს იური გაგარინს კოსმოსში გაფრენისათვის?

4. დაასახელეთ ყველაზე გამაგრებული საზღვარი მთელ მსოფლიოში.

5. ნობელის პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი სტოკჰოლმსა და ოსლოში, ყოველი წლის 10 დეკემბერს იმართება. რა მოხდა ამ დღეს?

6. რა ჰქვია ნუგას რუსულად?

7. ამ ქვეყნის ზღვაოსნები, მონების მოსაპოვებლად, ერთობ ვერაგულ ხერხს მიმართავდნენ: ისინი უზარმაზარი გემით მიადგებოდნენ მჭიდროდ დასახლებულ ნაპირს და მოსახლეობას სავაჭროდ გემზე იწვევდნენ. როდესაც გემი ხალხით აივსებოდა, მეზღვაურები ღუზას ასწევდნენ, აფრებს აუშვებდნენ და ტყვედქმნილ მოვაჭრეებს იტაცებდნენ. დაასახელეთ ეს ქვეყანა.

8. პეიზაჟის ხატვისას, ეს ფრანგი მხატვარი ცდილობდა, ბუნების ერთსა და იმავე სურათზე დღის განმავლობაში მომხდარი ფერთა ცვლა გამოესახა. მზე გადადიოდა და ფერები განუწყვეტლივ იცვლებოდა. სანამ მხატვარი მოლბერტზე ტილოს დაამაგრებდა, ფერები უკვე სხვა იყო. იგი შეუსვენებლად ხატავდა. დღის ბოლოს უამრავი ნახატი უგროვდებოდა და საღამოს, ტილოების გროვაში იქექებოდა. ერთხელ, გაბრაზებულმა ეს ნახატები წყალში გადაყარა, მაგრამ დროულად მოეგო გონს და უკან ამოიღო. დაასახელეთ იგი.

9. დაასახელეთ მექანიზმი, რომლით გადაადგილებისას, თავდაპირველად, მგზავრებს გასამხნევებლად, ერთ ჭიქა ბრენდის ასმევდნენ.

10. დაასახელეთ მწერი, რომელიც წელიწადში უფრო მეტ ადამიანს კლავს, ვიდრე გრიზლი, ნიანგი და ობობა ერთად აღებული.

11. დაასრულეთ მიხაილ ზადორნოვის ხუმრობა: „იესლი ვი ვსიუ ჟიზნ სმოტრიტე ვ დვე უზინკიე შჩოლოჩკი, ზნაჩიტ ვი...“

12. ვინ დაწერა მუსიკა გიორგი დანელიას ფილმებისათვის: „არ იდარდო“, „მიმინო“, „ქინძა-ძა“ და „პასპორტი“?

13. ბალკანეთის კრიზისის დროს, ბელგრადის ცენტრში გამოფინეს პლაკატი, რომელზეც ეწერა: „მაგრად მოუჭირე კბილები!“ ვის მიმართავდნენ სერბები ამ მოწოდებით?

14. ვინ ასპარეზობს ტურნირზე, რომელსაც Openhack ჰქვია?

15. დაასახელეთ მსახიობი ქალი, რომელმაც ცხრაჯერ იქორწინა და მათ შორის, ორჯერ მსახიობ რიჩარდ ბარტონზე.

# ანეკდოტები

***

კინოთეატრში კაცი წინ მჯდომ მაყურებელს სთხოვს:

— თუ შეიძლება, ოდნავ მარჯვნივ გაიწიეთ.

— კი, ბატონო.

— თუ შეიძლება, ცოტა კიდევ გაიწიეთ.

— აჰა, ბატონო.

— კიდევ გაწუხებთ, თავს ოდნავ ხომ ვერ დახრით?

— იქნებ, დურბინდიც მოგართვათ?!

— არა, გმადლობთ, იარაღზე ოპტიკური სამიზნე მაქვს.

***

ქალი მეგობარს შესჩივის:

— ქმარი ჭირის დღესავით მძულს!

— თუ ასეა, გაეყარე!

— არავითარ შემთხვევაში, ოცი წელიწადია მტანჯავს და ახლა მივანიჭო სიამოვნება?

***

პოლიციის განყოფილებაში ზარია:

— პოლიციაა? მიშველეთ! ქალთა მონასტრიდან გირეკავთ! აქ მძარცველია შემოპარული. ჩქარა, მიშველეთ!

— ვინ ლაპარაკობს?

— ვინ და, მძარცველი!

***

ცოლმა ქმარს ახალი შლაპა ამაყად უჩვენა. ქმარს სიცილი აუტყდა. ცოლი



მშვიდად ეუბნება:

— ახლა მე გეტყვი, რამდენიც გადავიხადე ამ ქუდში და მაშინვე შეწყვეტ ამ იდიოტურ სიცილს.

***

სიცილიაში ორმა მაფიოზმა დავალება მიიღო, მოეკლათ მესამე. იგი რესტორანთან ექვს საათზე უნდა მისულიყო. ელოდნენ რვა საათამდე. ერთი მეორეს ეუბნება:

— ნეტავ, იმ საწყალს რაიმე უბედურება ხომ არ შეემთხვა?!

***

ქმარი მოულოდნელად შინ ბრუნდება და ხედავს, მისი ცოლი საყვარელთან წევს:

— თქვენ აქ რას აკეთებთ?

ცოლი საყვარელს მიუბრუნდა და ეუბნება:

— ხომ გითხარი, იდიოტია-მეთქი.

***

მოსამართლე ბრალდებულს ეუბნება:

— ხომ შეგეძლოთ პატიოსნად გეცხოვრათ?

— აბა, როდისღა?! სულ ციხეში ვზივარ.

***

— შენს სანახავად ცოლი მოვიდა, — ეუბნებიან პატიმარს.

— უთხარით, რომ აქ არა ვარ.

* * *

— ვინ დაგკაწრა ასე გამეტებით?
— შენ, რა, უცოლო ხარ?
— არა, ცოლიანი.
— აბა, რა სულელურ შეკითხვებს სვამ?

* * *

სახლის პატრონი მდგმურ ქალს საყვედურობს:
— თუ არ ვცდები, წუხელის მამაკაცი მოიყვანეთ სახლში!
— ეეჰ, მეც ეგრე მეგონა.

* * *

— შენ ჩემზე მეტად ფეხბურთი გიყვარს. ისიც კი არ გახსოვს, როდის მოვაწერეთ ხელი, — უსაყვედურა ცოლმა ქმარს.
— როგორ არ მახსოვს?! იმ დღეს „ოლიმპიამ“ „არსენალთან“ წააგო.

* * *

ხელქვეითი ფირმის მეპატრონეს ეუბნება:
— ჩემი ცოლი დამემუქრა, სამსახურში თუ არ დაგაწინაურებენ, გაგეყრებიო.
— კი, მაგრამ ჩემგან რას ითხოვთ?
— გემუდარებით, დროებით მაინც თქვით უარი ჩემს დაწინაურებაზე.

* * *

— ცოლებში ბედი არ მწყალობს: პირველმა გამომაგდო, მეორე — გამექცა, მესამე კი ვერაფრით მოვიშორე თავიდან.

* * *

მეგობარი ქალები საუბრობენ:
— ტახტი უნდა გავყიდო!
— რატომ?
— ამ ტახტზე ქმარს ვუღალატე და მისი დანახვა აღარ შემიძლია.
— ნეტავი შენ, მოგცლია! მე რომ ყველაფერი გავყიდო, რაზეც ქმრისთვის მიღალატია, ჭაღის მეტი არაფერი დამრჩება!

* * *

ქმარი გაზეთს კითხულობს. ცოლი ყავას მიუტანს.
— ხომ იცი, ტკბილი არ მიყვარს!
— ვიცი, მაგრამ შენი ხმის გაგონება ძალიან მინდოდა.

* * *

— მაკრატელი მომაწოდეთ, ძაფი უნდა გადავჭრა.
— მიაკვნიტეთ, ექიმო, მაკრატელი მუცელში ჩაგრჩათ.

* * *

მამა ქალიშვილს უყვირის:
— არა, არა და კიდევ არა!!! არასოდეს მოგცემ ამაზე თანხმობას. ავტომანქანა დანჯღრეულია, წყალსადენს გასდის, სახლის სახურავი დაზიანებულია... შენ კი გინდა, ცოლად პოეტს გაჰყვე?!

## ბრიტვის სპეციალიტეტი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. გუჯა ბურდული.
2. ყველა მათგანი ალექსანდრე მაკედონელის დაარსებულია.
3. მაშინდელი დროისთვის გაუგონარი თანხა — 30.000 მანეთი.
4. საზღვარი სამხრეთ კორეასა და ჩრდილოეთ კორეას შორის.
5. ათ დეკემბერს ალფრედ ნობელი გარდაიცვალა.
6. ნუგა.
7. კართაგენი.
8. კლოდ მონე.
9. ესკალატორი.
10. ველური ფუტკარი.
11. „...კიტაეც“.
12. გია ყანჩელმა.
13. მონიკა ლევინსკის.
14. ჰაკერები. ამ ტურნირზე ისინი ცალკეული საიტებისა და კომპიუტერული სისტემის დაცვის გატეხაში ეჯიბრებიან ერთმანეთს.
15. ელიზაბეტ ტეილორი.

## ჩვენი ფოტოგალერეა

# სასურველ მამაკაცს რომ მისთხოვდეთ...

**გასათხოვარ ქალბატონთა უმრავლესობას ძალზე აინტერესებს, როგორ უნდა მოიქცეს, რომ სასურველმა მამაკაცმა ხელი და გული სთხოვოს. არსებობს რამდენიმე შედარებით გავრცელებული სტრატეგია, რომლის გათვალისწინებაც მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ.**

## ყველაზე გავრცელებული სტრატეგია

თქვენს რჩეულს სულ უფრო და უფრო ხშირად უნდა ელაპარაკოთ მომავალ ქორწინებაზე: თუკი მამაკაცს გადაწყვეტილების მიღება უჭირს, ინიციატივა თავად უნდა გამოიჩინოთ და უთხრათ, რომ ქორწილის დღესა და მენდელსონის მარშის მოსმენაზე ოცნებობთ. როცა ადამიანს ერთსა და იმავეს დაჟინებით უმეორებენ, ის ან თანხმდება წინადადებას ან საერთოდ წყვეტს ურთიერთობას აბეზართან. ასე რომ, სანამ ამ მეთოდს მიმართავდეთ, სათანადოდ უნდა დარწმუნდეთ საკუთარი პოზიციის სიმყარეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ყველაფერი დაკარგოთ.

## მეორე ნარმატებული მეთოდი

მამაკაცს თავი ისე უნდა შეაჩვიოთ, რომ ვერასოდეს დაგივიწყოთ: თქვენ მისთვის ერთადერთი და განუმეორებელი, ამქვეყნად ყველაზე სასურველი და მშვენიერი უნდა იყოთ. მაგრამ ამავდროულად, ხანდახან, შეუვალი და მიუწვდომელი ქალის ნიღაბი აიფაროთ და თქვენთვის სასურველი კანდიდატი ცოტათი გააწვალოთ კიდეც. ერთი სიტყვით, ისე უნდა მოიქცეთ, რომ გამუდმებით დაძაბული იყოს და თქვენი დაკარგვის შიში მოსვენებას არ აძლევდეს.

## მესამე ანუ „შოლტის" მეთოდი

ქალთა უმეტესობას ნებისმიერ წვრილმანზე გაბუტვა სჩვევია. ზოგიერთი კი ისე ოსტატურად ირგებს განაწყენებული ქალის როლს, რომ მიზნის მიღწევას თითქმის უპრობლემოდ ახერხებს. ოღნოდ ამგვარი სტრატეგია მხოლოდ მაშინ ამართლებს, თუკი თქვენი რჩეული — უკვე „მოთვინიერებული" და თქვენი კაპრიზების შესრულებასაც მიჩვეულია.

*მაგრამ არსებობენ ქალები, რომლებიც მამაკაცების დასაპყრობად სულ სხვა მეთოდებს მიმართავენ:*

- სუსტი, უმწეო ქალი ყოველთვის იწვევდა ისეთი მამაკაცის თანაგრძნობას, რომელსაც სხვაზე ზრუნვა ცხოვრების წესად აქვს ქცეული. როცა ქალი სამოქმედოდ ამგვარ სტრატეგიას ირჩევს, „მზრუნველი" მამაკაცი უმეტეს შემთხვევაში, გულსა და ხელს მას სთავაზობს.
- ზოგიერთ მამაკაცს, მისით აღტაცებულ-აღფრთოვანებული ქალის დანახვა ამქვეყნად ყველაფერს ურჩევნია. დიახ, მას უყვარს, როცა ხოტბას ასხამენ, ყოველთვის ყველაფერში ეთანხმებიან და მის ნებისმიერ წამოწყებას მხარს უჭერენ. თუკი თქვენი გული ამ კატეგორიის მამაკაცმა დაიპყრო, ეს აბზაცი კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ და თავად მიხვდებით, თუ როგორ უნდა მოიქცეთ.
- არიან მამაკაცები, რომელთაც ძალზე იზიდავს ინტელექტუალი ქალბატონების საზოგადოება. ამ კატეგორიის მამაკაცს კმაყოფილებას ანიჭებს საკუთარი აშკარა უპირატესობა იმ მამაკაცებთან შედარებით, რომელთაც „სულელი" ცოლები ჰყავთ. ასე რომ, თუკი მიგაჩნიათ, რომ ნაკითხი, ერუდირებული ქალბატონი ბრძანდებით, თამამად შეგიძლიათ, „ინტელექტუალი ქალების მოყვარული" მამაკაცის ცოლობაზე იქონიოთ პრეტენზია.

*და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, გადაწყვეტილების მიღებამდე ასჯერ უნდა გაზომოთ და ერთხელ გაჭრათ! მართალია, ცოლქმრული ცხოვრება დაფუძნებულია სიყვარულზე, ურთიერთპატივისცემასა და ერთგულებაზე, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ურთიერთგაგება და საერთო ინტერესების არსებობა. ამიტომ, ეცადეთ, თქვენს რჩეულს ღირსეული მეგობრობა გაუწიოთ, გაიზიაროთ მისი სიხარული, გაითავისოთ პრობლემები... რათა მისთვის მართლაც „მეორე ნახევრად" იქცეთ.*


 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ. ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. რეიტინგი | 1.00 | 26.0 |
| 2. გზა | 0.80 | 20.8 |
| 3. Æåíñêèé æóðíàë | 11.65 | 69.7 |
| 4. Æåíñêîå çäîðîâüå | 7.00 | 41.8 |
| 5. Ñàíäðà | 4.00 | 24.0 |
| 6. Âñå äëÿ æåíùèíû | 0.80 | 19.9 |
| 7. Ãëàìóð | 7.20 | 43.2 |



პრესის გავრცელების საგენტო
ELVA

ქ. თბილისი
ოთხმალის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

ავრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

# 15 წუთი სილამაზისთვის

**შხაპის მიღების შემდეგ, დაძინებამდე 15 წუთი საკუთარ თავზე ზრუნვას დაუთმეთ. თუ ყველაფერს ისე გააკეთებთ, როგორც სპეციალისტები გირჩევენ, დილაობით კიდევ უფრო მომხიბლავი გაიღვიძებთ.**

**სახე:** გამწმენდი ლოსიონით ცხვირის წვერიდან საფეთქლებისკენ მსუბუქი მასაჟი გაიკეთეთ. შემდეგ სახე თბილი წყლით ჩამოიბანეთ და სახესა და ყელზე დამატენიანებელი კრემი წაისვით.

**თვალები:** ასაკის მატებასთან ერთად, თვალების ირგვლივ წვრილ-წვრილი ნაოჭები ჩნდება. ნაზი კანის სიგლუვის შესანარჩუნებლად, ქუთუთოებისთვის სპეციალური, ანტიმჟანგავების შემცველი კრემი გამოიყენეთ.

**ტუჩები:** გამომშრალი კანი ასაქერცლი კრემების დახმარებით მოიშორეთ და მკვებავი ბალზამი სქლად წაისვით. დილით თქვენი ტუჩები ვარდის ფურცელივით ნაზი და ხავერდოვანი იქნება.

**სხეული:** მსუბუქი მოძრაობით სუფთა სხეულზე დამატენიანებელი ლოსიონი შეიზილეთ.

**ფეხები და ხელები:** ფეხისგულებში ბალახების ექსტრაქტზე დამზადებული, დაღლილობის მოსახსნელი ფეხის საცხი შეიზილეთ და ბამბის წინდები ჩაიცვით. ხელებზე ხელის კრემი წაისვით და ნაზად ისრისეთ — ვიდრე მთლიანად არ შეიწოვება..

**თმა:** ნატურალური ჯაგრისით ყველა მიმართულებით გულმოდგინედ ივარცხნეთ. ამით სისხლის მიმოქცევა გაგიუმჯობესდებათ. თუ ღამით თმა გეწეწებათ, ატლასის ბალიშისპირი შეიძინეთ.

**ძილი:** თუ სახის შეშუპებისკენ გაქვთ მიდრეკილება, დაძინებამდე ერთი საათით ადრე ნურაფერს დალევთ. თუ ეს პრობლემა არ გაწუხებთ, ძილის წინ ერთი ფინჯანი გვირილის ან პიტნის ჩაი მიირთვით. ■

# დიდხანს შეინარჩუნეთ მომხიბვლელობა

კარგად რომ გამოიყურებოდეთ, პირველ რიგში, ნერვული სისტემა უნდა გქონდეთ წესრიგში. ეცადეთ, არასოდეს დაკარგოთ წონასწორობა, ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოთ სიმშვიდე, შეძლებისდაგვარად აუღელვებლად შეხვდეთ სხვადასხვაგვარ უსიამოვნებას... ამ ყველაფერს იოლად მიაღწევთ, თუკი სიტუაციის საღად შეფასებასა და გარშემო მყოფებთან ნორმალური, ცივილიზებული ურთიერთობის დამყარებას ისწავლით.

კარგი გარეგნობის შესანარჩუნებლად ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნორმალურ ძილს. სასურველია, ადრე დაიძინოთ და შესაბამისად, დილითაც ადრე ადგეთ; რაც შეიძლება, მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე; ხშირად გაანიავეთ ბინა, განსაკუთრებით — საძინებელი ოთახი. საწოლ ოთახში ტემპერატურა 17 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს. ნუ დაიძინებთ ზედმეტად რბილ ბალიშსა და ლეიბზე; ყოველდღიურად, ჭამამდე, ცოტაოდენი ივარჯიშეთ — ისე, რომ არ გადაიღალოთ; მკაცრად დაიცავით პირადი ჰიგიენა; ჩაიცვით ყოველთვის ამინდის შესაბამისად; იკვებეთ ერთსა და იმავე დროს, თანაც ისე, რომ კუჭი არ გადაიტვირთოს — ადექით სუფრიდან მანამ, ვიდრე დანაყრდებოდეთ. ■

# ბოსტნეულის რაგუ

**მასალად საჭიროა:**

500 გ კომბოსტო;
1 თავი ხახვი;
400 გ კარტოფილი;
1 ლ ხორცის ბულიონი;
მარილი, პილიპილი გემოვნებით;
300 გ საქონლის ხორცის ფარში;
3-4 ს/კ ორცხობილას საფანელი;
1 ცალი კვერცხი;
1 კონა ოხრახუში;
1-2 ცალი დაფნის ფოთოლი;
150 გ არაყი;
1 ს/კ ლიმონის წვენი.

**მომზადების წესი:**

დაჭერით კომბოსტო და ხახვი წვრილად, კარტოფილი და ჭარხალი კი — კუბურებად. ბოსტნეული ჩააწყვეთ ბულიონში, დაუმატეთ მარილი, პილპილი, დაფნის ფოთოლი და ხარშეთ 45 წთ. ფარშს შეურიეთ კვერცხი და ორცხობილას საფანელი. დაუმატეთ მარილი, პილპილი, მოამრგვალეთ პატარა ბურთულებად და ხარშვის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ჩაუშვით ბულიონში. არაჟანს შეურიეთ ლიმონის წვენი და რაგუს მოასხით. კერძი ოხრახუშის ფოთლებით გაალამაზეთ. ■

*რუბრიკა მოამზადა* ***ეკა გუნთაიმვილმა***




*დასაწყისი იხ. „გზა“ №27-7*

ლუკას ხალხი საღამომდე ეძებდა ეკას. მათ იპოვეს ტაქსის მძღოლი, რომელმაც ის აგარაკიდან წაიყვანა. მაგრამ ეკას ასავალ-დასავალი მაინც ვერ გაარკვიეს. მძღოლს შეკვეთა ტელეფონით ჰქონდა მიღებული. აგარაკთან ზუსტად დათქმულ დროს, დილის ექვსი საათისთვის მივიდა. იმ დროისთვის ეკა უკვე ელოდა. ქალი უკანა სავარძელზე დაჯდა და ავტოსადგურში მიყვანა ითხოვა. მძღოლს ოციოდ წუთი დასჭირდა იქამდე მისასვლელად. ავტოსადგურში ეკამ ანგარიში გაასწორა და მთავარ შენობას მიაშურა. რა მოხდა შემდეგ, მძღოლმა არ იცოდა. ავტოსადგურზეც რა უნდა დაედგინათ?.. იქიდან ეკას რამდენიმე მიმართულებით გამგზავრება შეეძლო — მაგალითად, კიევის ან ლვოვის რეისით დაეტოვებინა ქალაქი. ავტობუსების გარდა, ახლომდებარე ქალაქებში სამარშრუტო ტაქსებიც დადიოდა. ასე რომ, ეკას ძებნა, თივის ზვინში ნემსის ძებნას ემსგავსებოდა. მიუხედავად ამისა, ლუკას ხალხმა მაინც მოიარა ავტოსადგურის ყველა სალარო. მაგრამ ესეც უშედეგო აღმოჩნდა. მოლარეებმა ვერ გაიხსენეს, რომ მცველების მიერ აღწერილ ქალს იმ დილით ბილეთი შეეძინა.

ნატომ მხოლოდ მცველების დაბრუნების შემდეგ იგრძნო, როგორ იმოქმედა ლუკაზე ეკას გაუჩინარებამ. აგარაკზე დაბრუნებულ მცველებს ის სულ რამდენიმე სიტყვით გაესაუბრა, შემდეგ კი ყველას ზურგი შეაქცია და ბაღის ბოლოში მდებარე ფლიგელს მიაშურა. გოგონა მიხვდა, რომ ლუკას მარტო ყოფნა უნდოდა, მაგრამ მაინც ვერ შეიკავა თავი და სწრაფი ნაბიჯით დაედევნა უკან.

— მაპატიე, მამა!.. — ფლიგელში შესვლისთანავე წამოიწყო ნატომ. — არ ვიცი, რა დამემართა. ახლა ვხვდები, რომ არ უნდა დამეშვა ეკას ასე წასვლა. ყველაფერი შენთვის უნდა მეთქვა, მაგრამ...

— არ არის საჭირო, — შეაწყვეტინა ლუკამ, — შენ ვეღარაფერს შეცვლიდი. ეკას უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება და ადრე თუ გვიან, მაინც წავიდოდა!

— გაუშვებდი?!

— გავუშვებდი!

— იქნებ ეგონა, რომ არ მისცემდი წასვლის საშუალებას და იმიტომაც მოიქცა ასე? — განაგრძო ნატომ.

— არა... ეკამ იცოდა, რომ ძალით არ დავაკავებდი... გავუშვებდი, მაგრამ ასე — არა!.. — ამოიოხრა ლუკამ.

— მაშ, როგორ გაუშვებდი?

— ყველაფრით უზრუნველყოფილს!..

ნატო კარგა ხანს დუმდა და შემდეგ თქვა:

— მამა, ვიდრე ეკას არ მოძებნი, ვერსად წავალ!

— არა, — თავი გაიქნია ლუკამ, — შენ მაინც წახვალ!

— არ შემიძლია... შენი და ეკას წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობ!

— უკვე გვიანია, ნატო. ეკამ არჩევანი გააკეთა და ამის მიზეზი შენ აგიხსნა და არა — მე!..

— მესმის, მაგრამ შენ ხომ მოძებნი ეკას.

— ახლა ვერაფერს გეტყვი, — მცირე პაუზის შემდეგ უპასუხა ლუკამ.

— როგორ?! — დაიბნა ნატო. — ეს საფიქრალია?!

— საფიქრალია, ნატო... საფიქრალი!.. — საფეთქლები მოისრისა ლუკამ. — მე ვხვდები, ეკამ ეს რატომაც გააკეთა.

— მაგას მეც ვხვდები, — აჩქარდა გოგონა.

— შენ მოძებნიდი?

— მოვძებნიდი!

— ნატო, ეკა თავისით არ დამშორდა. ჯერ კიდევ დაუბადებელი შვილის გამო გააკეთა ეს. ამას გაგება უნდა.

— და შენ ამას შეურიგდები?!

— არა. მაინც მოვძებნი ეკას. მაგრამ მანამდე დროს მივცემ — დროს, ყველაფერში გასარკვევად, — უპასუხა ლუკამ, — ეს არ მოხდება ერთ ან ორ დღეში. არც რამდენიმე კვირაში ან თვეში. ამიტომაც გეუბნები, რომ შენ არც მის ძებნაში მიიღებ მონაწილეობას და აქაც ვერ დარჩები!

ნატო რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ სწორედ ამ დროს ფლიგელში ვანდამ შეაბიჯა.

— ხელს ხომ არ შეგიშლით? — ზღურბლიდანვე იკითხა გერმანელმა ქალმა.

— არა... მე თვითონ მინდოდა შენი ნახვა, — უპასუხა ლუკამ.

— მაშინ მე წავალ, — ადგილიდან წამოიწია ნატო.

— არა... გთხოვ, დარჩე, — აჩქარდა ვანდა, — ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს ერთმანეთისთვის სათქმელი.

ნატო წამით ჩაფიქრდა, მერე სავარძელს დაუბრუნდა და ვანდას მოლოდინით აღსავსე მზერა მიაბჯინა.

— შენი მეგობარი ქალის გაუჩინარებამ რამე შეცვალა ჩვენს გეგმებში? — ლუკას მიუბრუნდა ვანდა.

— ზუსტად მაგაზე ვსაუბრობდით, მაგრამ ნატოს პასუხი არ გაუცია!

ვანდამ უსიტყვოდ გახედა ნატოს. მაგრამ მას არაფერი უთქვამს.

— ახლა ყოყმანის დრო არ არის. როგორი მძიმეც არ უნდა იყოს გადაწყვეტილება, ახლავე უნდა მივიღოთ, — ისევ ლუკას მიუბრუნდა ვანდა.

— შენ რას გვთავაზობ?

— არ ვიცი, რამდენად ენდობი შენს მეგობარ ქალს; მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მისი გაქრობის შემდეგ, არავის ვურჩევდი აქ დარჩენას. სასწრაფოდ უნდა გავერიდოთ აქაურობას. მერე კი მომავალზეც შესაძლებელი იქნება ფიქრი.

— მე მომავალზე გეკითხები, — განაგრძო ლუკამ.

— მომავალზე... — ვანდამ მცირე პაუზის შემდეგ თქვა: — ამან ჩვენი გეგმები არ უნდა შეცვალოს. სიყვარულის უნარი შენი ერთადერთი ნაკლია!.. ვხვდები, რომ ძალიან გატკინა გული მისმა საქციელმა, მაგრამ უარესიც შეგმთხვევია. შენ ადრეც მიუტოვებიხარ ქალს, თანაც, ძუძუმწოვარა ბავშვთან ერთად. ის გადაიტანე და ამის გადატანასაც შეძლებ. ახლა მთავარია, ნატო გავარიდოთ აქაურობას. დანარჩენს მოევლება. შენ არ გაგიჭირდება ამ ქალის მოძებნა.

— რას იტყვი? — ნატოს გახედა ლუკამ.

ნატომ მძიმედ გაიქნია თავი და მერე დაამატა:

— დავიღალე, მამა. აღარ შემიძლია. რამის შეცვლის აღარც ძალა მაქვს და აღარც სურვილი. ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც თავიდან იყო

გადაწყვეტილი... მე ვანდასთან ერთად წავალ!..

— კეთილი... მაშინ დროს ნუღარ დავკარგავთ. მოემზადეთ. ამაღამ ლვოვში ჩაგიყვანთ. იქიდან კი გერმანიაში გაგგზავნით, — თქვა ლუკამ და წასასვლელად ადგა.

გამზათის წინადადებამ, სოხუმში ერთად გამგზავრებულიყვნენ, რუსლანი საგონებელში ჩააგდო.

— რისთვის?.. — ფრთხილად იკითხა, ჩეჩენის შემოთავაზების პასუხად. — გეგეშიძე აქ არის, რუსეთში, და მის მოსაძებნად სოხუმში ხომ არ ჩავალ!

— ასლანის დასაფლავებას დავესწრებით, — ჩაჩბას მარჯვენა ხელი შეახსენა გამზათმა.

ეს საერთოდ არ შედიოდა რუსლანის გეგმებში. ჩაჩბას ხალხთან ადრეც არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა. მას შემდეგ კი რაც მისი და ლუკას ახლობლობის შესახებ ხმა გავრცელდა, ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. რუსლანმა კარგად იცოდა, რომ ჩაჩბას ხალხი მოსისხლე მტრად მიიჩნევდა და იმასაც ხვდებოდა, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის სოხუმში გამოჩენას.

— დიდხანს გელოდო?! — გამზათს მოჰბეზრდა მისი დუმილი.

— ასლანს ჩემ გარეშეც დაასაფლავებენ!

— ეს საერთო საქმეს სჭირდება, — ხმა გაიმკაცრა გამზათმა.

— ასლანი და ჩაჩბა ჩემი საქმე არ არის!

— უაზროდ ნუ „კაჩაობ“, რუსლან. ასლანის დასაფლავებაზე მთელი მაგისი საახლობლო მოიყრის თავს. მინდა, რომ იმ ხალხმა ერთად გვნახოს და აქედანვე „გაიაისნოს“, რომ ჩვენ ერთ საქმეს ვაკეთებთ.

— ესე იგი, ყველას უნდა დაუმტკიცო, რომ ძმები ვართ და საომარი არაფერი გვაქვს?!

— ჰო... ეს შენს ინტერესებში შედის. როგორ გგონია, ვის ჩავაბარებთ ზენერის საქმეს, როცა ყველაფერი დამთავრდება?

— „დიშოვკასავით“ მაბამ!.. — რუსლანს არ ესიამოვნა გამზათის დაწყებული ვაჭრობა. ეს მართლაც, შებმას აგონებდა. წინა შეხვედრებისას, ჩეჩენს ერთხელაც არ უხსენებია ჩაჩბას „სასტავი“. ეს გასაკვირიც არ იყო. რუსლანმა კარგად იცოდა, რომ გამზათი ხელიდან არ გაუშვებდა თავისი სამფლობელოს გაფართოების შესაძლებლობას და აქედან გამომდინარე, არავის დაუთმობდა ჩაჩბას მემკვიდრეობას. ახლა კი ამ მსუყე ლუკმას პირდაპირ სთავაზობდა მას. ეს დაუჯერებლად ჟღერდა, მაგრამ მეორე მხრივ, რისთვის უნდა მოეტყუებინა ჩეჩენს მოკავშირე, რომლის დახმარებითაც, მოსისხლე მტრის თავიდან მოშორებას აპირებდა?.. არა... ის ამაზე არ წავიდოდა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. მაგრამ მედალს მეორე მხარეც ჰქონდა... გეგეშიძე!..

— ეს შებმა არ არის. მე საქმიან წინადადებას გთავაზობ. სოჭი კარგი ქალაქია, მაგრამ შენნაირი კაცის ადგილი მოსკოვშია!..

— გმადლობ, მაგრამ შენ ერთ რამეს არ ითვალისწინებ.

— რას?

— მოეწონება თუ არა ჩვენს საერთო მეგობარს ასლანის დასაფლავებაზე ჩემი გამოჩენა!

— გეგეშიძეს გულისხმობ?

— ჰო...

— გაუხარდება კიდეც!.. ის ხომ თავისიანად მიგიჩნევს. ვის არ უნდა მოსისხლეთა შორის, თავისიანის ნახვა?!

— არ გადავამლაშოთ, გამზათ! — შენიშნა რუსლანმა.

— არ გადავამლაშებთ. ყველაფერი კარგად გვაქვს გათვლილი.

— გათვლილი?! — დაიძაბა რუსლანი. მისი და გამზათის ურთიერთობის შესახებ, მარტო რიჟკოვისთვის იყო ცნობილი. მაგრამ „ფეესბეს“ თანამშრომელს არაფერი უთქვამს სოხუმში ჩასვლასა და ჩაჩბას ხალხთან შეხვედრაზე. ესე იგი, გამოდიოდა, რომ გამზათს სხვასთან, მისთვის უცნობ პიროვნებასთან ჰქონდა შეთანხმებული ყველაფერი. — ვისთან ერთად გათვალე ყველაფერი?! ვინაა ის კაცი?..

— ჩვენი ძმაა!.. სახელი ნაღდად გეცოდინება, მაგრამ არა მგონია, პირადად იცნობდე... მოკლედ, სოხუმში შეხვდები!..

— ვიდრე სახელს არ მეტყვი, სოხუმში ჩასვლაზე ბაზარი აქ იქნება! — ცივად მოჭრა რუსლანმა.

— იქნება!.. და ამით მოვრჩეთ ბაზარს!.. ორ დღეში სოხუმში გელოდები!.. და კიდევ ერთი: ისე ნუ იზამ, რომ ამ საქმეზე ჩვენი რუსი მეგობარი დაგიკავშირდეს! — რიჟკოვზე მიანიშნა გამზათმა და მაშინვე გათიშა ტელეფონი.

ვანდასა და ნატოს გაცილება განსაკუთრებით დააძახსოვრდა ჯაბას. მრავალი წლის განმავლობაში, რომელიც მას ლუკასთან აკავშირებდა, ასეთი რამ არასოდეს ენახა. ნატო ცრემლით სავსე თვალებით ემშვიდობებოდა მამას. არანაკლებ ტკივილიანი იყო ლუკას მზერაც. ისინი ხუთიოდე წუთი უხმოდ იდგნენ მანქანასთან, რომლითაც ვანდასა და ნატოს მგზავრობა უნდა გაეგრძელებინათ. შემდეგ ლუკამ შვილს მხარზე მოხვია მკლავი და მანქანას მოაშორა. რაზე ილაპარაკეს იმ წუთებში, არავის გაუგია. ლუკამ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა. ნატო ყურადღებით უსმენდა. ბოლოს თავი დაუქნია. თვითონაც რაღაც უთხრა და ატირებული ჩაეკრა გულში. ლუკა დასამშვიდებლად მოეფერა. მერე კი უკან წამოიყვანა და მანქანაში ჩასვა. მანქანა მაშინვე დაიძრა და დიდი სისწრაფით გაუყვა გზატკეცილს. ლუკამ ამღვრეული მზერით გააცილა ავტომობილი და როგორც კი ის თვალს მიეფარა, უკან შემობრუნდა. სწორედ მაშინ შენიშნა ჯაბამ, მასში მომხდარი ცვლილება. ლუკას ამღვრეული და ტკივილით სავსე მზერა გაჰქრობოდა და არაბუნებრივად გააფთრებულ ადამიანს ჰგავდა.

ვანდასა და ნატოს გაცილება
განსაკუთრებით დააძახსოვრდა ჯაბას.
მრავალი წლის განმავლობაში,
რომელიც მას ლუკასთან აკავშირებდა,
ასეთი რამ არასოდეს ენახა

— როგორ გრძნობ თავს? — ფრთხილად ჰკითხა ჯაბამ.

— როგორ ვგრძნობ თავს?! ძალიან ცუდად!.. ასეთი არასოდეს ვყოფილვარ. მაგრამ ცუდსაც აქვს დადებითი მხარე... ახლა აღარაფერი მაკავებს!.. და რამდენიმე ნაბიჭვარი მალე მიხვდება, ეს რასაც ნიშნავს!.. — კბილების ხრჭიალით ჩაილაპარაკა ლუკამ და მანქანისკენ დაიძრა.

მომდევნო საღამოს ლუკა, ჯაბა, ირაკლი და ვოვა კრასნოდარის გარეუბანში რუსლან ტარბას შეხვდნენ. აფხაზი ღელავდა (შეხვედრის შეთანხმებისას, ლუკამ პირდაპირ მოსთხოვა მარტო მისვლა. რუსლანს არ მოეწონა მბრძანებლური ტონით ნათქვამი წინადადება, მაგრამ უარი მაინც ვერ შეჰბედა. ამ უარს ვერანაირ ახსნას ვერ მოუძებნიდა და შიშობდა... რადგანაც არ იცოდა, რატომ მოითხოვა ლუკამ მისი მარტო ყოფნა).

— რა არ მოგწონს? — ლუკას არ გამოჰპარვია ტარბას დაძაბული გამოხედვა.

— არა... არაფერი... ყველაფერი რიგზეა, — აჩქარდა რუსლანი, თან სწრაფად შეათვალიერა აქეთ-იქიდან მის გვერდით მდგომები — ჯაბა, ირაკლი და ვოვა.

— გეშინია! — ცივად ჩაიცინა ლუკამ. — რისი გეშინია, რუსლან?!

— გამზათმა იმდენი რამ მითხრა შენზე, რომ მისი შიში გადმომედო.

— მაგრამ მაინც მოხვედი აქ!

— მოვედი... იმიტომ, რომ შენთან არფერში ჩავჭრილვარ.

— მაშინ რა გაშინებს?!

— რა ვიცი... კაცნი ვართ... ჩემმა „ზემლიაკებმა“ და შენმა ახლობლებმა საკმაოზე მეტი სისხლი დაღვარეს, — ირაკლიზე მიანიშნა ტარბამ.

— შენი მოკვლა რომ მნდომოდა, აქ არ მოგიყვანდი! — ცივად მიუგდო ლუკამ.

— კარგი... დავანებოთ ამას თავი... — განაგრძო ლუკამ. — ესე იგი, გამზათს შეხვდი?

— შევხვდი, — თავი დაუქნია ტარბამ, — თვითონ მომძებნა!

— რამე დაგაბარა ჩემთან?

— არა... მაგრამ ძალიან დიდხანს მებაზრა შენზე.

— რა შემოგთავაზა?

— თვითონ ვერ ხვდები?

— ვხვდები, მაგრამ შენგან მინდა ამის მოსმენა, — უპასუხა ლუკამ.

— ჩაჩბას დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა უნდა. ამისთვის შენ სჭირდები!

— კილერობას გთავაზობს?! — გაეცინა ლუკას. — მაინც როგორ უნდა გამასაღო?.. ტყვიით, დანით თუ საწამლავით?!

— კილერის იმედი რომ ჰქონდეს, სხვას მოძებნიდა. გამზათს შენი მოკვლა არ უნდა...

— მართლა?! — გაიკვირვა ლუკამ. — როდის შეეცვალა ხასიათი?

— ხასიათი არ შეცვლია. ისეთივე ნაბიჭვარია, როგორიც აქამდე იყო. სხვა გეგმა აქვს. ძაღლობას უნდა ააყვანინოს შენი თავი.

— ძაღლებს!... — ზიზღით ჩაილაპარაკა ლუკამ. — ვისთანაა შეკრული?

— სუფთა ბოზური ბაზარია, ლუკა. კარგად ვერ მივხვდი, რას ჩალიჩობს, მაგრამ ერთი რამე ნაღდია: ეს ბაზარი ძაღლებისგან არ არის წამოსული!

— რაღაც გაურკვეველს ბაზრობ. მაშ, ვისგანაა წამოსული?! — გაუკვირდა ლუკას.



**შენი მოკვლა რომ მნდომოდა, აქ არ მოგიყვანდი! — ცივად მიუგდო ლუკამ**

— „კაროჩე“... ყველაფერს აგიხსნი, რაც გამზათს უნდა. მე ერთიორჯერ უნდა შეგხვდე. „დავერიაში“ შემოვიდე შენთან და მესამე შეხვედრის ადგილი წინასწარ გავაგებინო. დანარჩენს თვითონ მოაყომარებს. შენ იმ „სტრელკაზე“ აგიყვანენ!

— ვინ ამიყვანს?

— გვარიც მითხრა... — რუსლანმა კეფა მოიქექა და მერე დაამატა: — ჰო, გამახსენდა... რიბკინი!.. განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი ყოფილა!..

— გამოდის, რომ ძაღლებთან ყოფილა შეკრული!

— არა... არა... იმ რიბკინმა არაფერი იცის ამ საქმეზე... „პარადი“ სულ სხვა კაცს მიჰყავს!

— ვის?

— ტელეფონით იმ კაცზე ვერაფერს გეტყოდი. რიჟკოვი!.. ადრე გსმენია ეს გვარი?..

— აზრზე ვარ!.. — ლუკამ პაუზის შემდეგ დაამატა: — და ეგ კაცი თქვენს ბაზარს ესწრებოდა?!

— მეც მაგრად გამიკვირდა. თავიდან ვერ ვიცანი. შორიახლოს იდგა. ლაპარაკში არ ჩარეულა, „პროსტო“, იდგა და გვისმენდა. მერე გამზათმა შენს აყვანაზე და იმ რიბკინზე ჩამოაგდო სიტყვა. „სპონტომ“ უარი ვთქვი. მაინტერესებდა, რას იტყოდა. ბაზარი შევუშვი: ეგეთ პონტს გეგეშიძე არ ჭამს, გამშიფრავს და თვითონ თუ ვერ დამითრია, თავისი ხალხის ხელით მაინც მომიყომარებს-მეთქი!.. გამზათმა შებმა დამიწყო: ნუ გეშინია, საქმე სუფთად გაკეთდება, ჩვენთან არავის ექნება პრეტენზიაო!.. მაგრამ მე მაინც ჩემსას ვუბერავდი: მაგ საქმეს ვერ გავქაჩავ-მეთქი!.. მაშინ ბაზარში რიჟკოვი ჩაერთო. არც დაუმალავს, ვინ იყო. პირდაპირ მკითხა: მიცნობო?.. თავი მოვიშტერე: საღღაც მყავხარ ნანახი, მაგრამ ვერ გიხსენებ-მეთქი!.. გაეცინა. ასე მითხრა: მაგარი ახვარი ხარ, მაგრამ ჩემთან ეგ ბაზარი არ გინდა, ეგრე გეგეშიძესთან იჩალიჩეო!.. მერე წარსული და დღევანდელი „პალაჟენიე“ შემახსენა... მითხრა: ხომ იცი, რომ კარგად ვარ ჩახედული აფხაზეთისა და სოჭის „სასტავებში“, შენი დონის „პრისტუპნიკს“ ჩემი ერთი სიტყვაც ეყოფა, საქმეზე ფიქრიც აღარ გაბედო, თუ მოვინდომებ, სოხუმს ვეღარასოდეს მოინახულებ და სოჭიდანაც, თუ საჭირო გახდა, საერთოდაც გაქრებიო!.. მაშინ მივხვდი, რომ ცეცხლს ვეთამაშებოდი. კიდევ რომ გამეგრძელებინა, ნაღდად დამბრიდავდნენ!.. კარგი... მითხარით, რა გინდათ და ვიჩალიჩებ-მეთქი!.. თავიდანვე ეგრე უნდა დაგეწყოო... მე ხელს აღარ შეგ-

იშლით, დანარჩენს გამზათი გეტყვისო, — თქვა რიჟკოვმა და წავიდა. იმ საღამოს აღარ მინახავს. დანარჩენზე მე და გამზათმა ვიბაზრეთ!..

— ესე იგი, ძაღლების იდეა რიჟკოვს ეკუთვნის? — პაუზის შემდეგ ჰკითხა ლუკამ.

— ჰო, — თავი დაუქნია რუსლანმა, — მაგ საქმეში თავიდათავი ის დამპალი „ფეესბეშნიკია“!

— ერთი რამე ამიხსენი: რატომ დაგიკავშირდა შენ?.. რა, აფხაზეთში ბოზად გიცნობენ?!

— რა შუაშია ბოზი?! — იწყინა რუსლანმა.

— იმ შუაშია, რომ პატიოსან კაცს ასე არ დაებაზრებოდნენ!

— სხვას რას უნდა ელოდე ჩეჩენი „ბესპრედელშიკისგან“!..

— რას უნდა ველოდე გამზათისგან, შენზე კარგად ვიცი. მაგრამ რატომ მაინცდამაინც შენ?

— აფხაზეთში გაბაზრდა, რომ კარგი „ატნაშენიე“ მაქვს შენთან.

— რას დაგპირდა გამზათი?

— ჩაჩბას საქმეს და „სასტავს“!

— ნაღდი უთქვამს რიჟკოვს. მართლა ცეცხლს ეთამაშები, რუსლან! — ჩაიცინა ლუკამ. — დაგავიწყდა, როგორ დაამთავრა ჩაჩბამ?!

— ზენერი შენთან ჩაიჭრა, თორემ გამზათთან და რიჟკოვთან რაიმე პრობლემა არ ჰქონია.

— შენ გგონია, ჩაჩბა მე დავბრიდე?!

— ეგ, ჩემი საქმე არ არის. არ ვიცი და არც მაინტერესებს, — სწრაფად უპასუხა რუსლანმა.

— იმაზე მიპასუხე, რაც გკითხე!

— სხვა ვინ დაბრიდავდა?.. — ყრუდ ჩაილაპარაკა რუსლანმა.

— თორიაც ჩემი დაბრედილი გგონია?

ტარბამ უხმოდ დაუქნია თავი.

— გეშლება. ისინი ორივე ნაბოზრები იყვნენ და ჩემგან ნაღდად ტყვიას იმსახურებდნენ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მომიკლავს!

ტარბამ უნდობლობით სავსე მზერა ესროლა.

— არ გჯერა!.. ეგ შენი საქმეა, მაგრამ მაინც გაფრთხილებ... გამზათთან ურთიერთობაში ღრმად ნუ შეტოპავ. ჩაჩბასთან და თორიასთან შენზე კარგი „ატნაშენიე“ ჰქონდა, მაგრამ საქმემ რომ მოითხოვა, ორივე გაწირა!.. გაიგე?!

— გავიგე.

— კარგი... მაშინ კიდევ ერთი რამ ამიხსენი: რა გინდა?.. რისთვის შემოეტენე ამ საქმეში?

— ხომ გითხარი, გამზათი თვითონ...

— ეგ, უკვე მოვისმინე. ისიც გავიგე, რომ რიჟკოვს უარი ვერ გაუბედე. მაგრამ რისთვის მოხვედი ჩემთან?!

— გამზათი „არასპრავედლივი“ ნაბიჭვარია! — ბრაზით ისროლა ტარბამ.

— მართლა?.. — გაეცინა ლუკას. — რიჟკოვმა ხომ გაგაფრთხილა: არ გინდა, ჩემთან ეგ ბაზარიო!

— მერე?! — მოიღრუბლა ტარბა.

— ახლა კი მეც იმავეს გეუბნები!

— მაშ, რას ელი ჩემგან?

— მოეშვი „რიჟა“ ბაზარს. შენ არ ხარ ის კაცი, რომელიც მართალმტყუანის გარჩევას დაიწყებს. შენ მიხვალ იმასთან, ვინც უკეთეს ვარიანტს შემოგთავაზებს. რა გითხრა გამზათმა, უკვე ვიცი. ახლა მინდა, ვიცოდე, რისი მიღება გინდა ჩემგან?

— კარგი... — მზერა გაუსწორა რუსლანმა. — შენც კარგად იცი, რა ნაბიჭვარიცაა გამზათი. ორი წუთის წინ თვითონ გამაფრთხილე, ღრმად არ შემეტოპა!.. უკვე შევტოპე და „ზადნის“ მიცემასაც არ ვაპირებ. ბოლომდე გავალ, მაგრამ ბევრს მაინც არ მოგთხოვ!

— ეს უკვე საქმიანი ლაპარაკია!.. მაინც რას ითხოვ?

— მეტი რა უნდა გთხოვო?.. ჩაჩბა და გუმბა აღარ არიან. ახლა გამზათისა და მისი ახვრების ჯერი დადგა. მე ესაც მეყოფა!

— ახლა კი მართლა გამაკვირვე, — ჩაილაპარაკა ლუკამ, — თუ იცი, რომ მალე გამზათიც თავის ბოზბანდას მიჰყვება, რისთვის იწუხებ თავს?.. რატომ ეთხრები ამ საქმეში?..

— დროის ამბავია. თანაც, ხომ შეიძლება, რაღაც არ გამოგივიდეს. იცოდე, გამზათმა რომ მოგიგოს, მე და ჩემს საახლობლოს მაგრად დაგვერხევა. რა ვქნათ, მერე?.. ჩვენ ვერ გავქაჩავთ და როდემდე ველოდოთ მეორე „მგელოს“ გამოჩენას?!

— რად გინდა ლოდინი?.. გამზათს ნაღდი საქმე შემოუთავაზებია! თუ ჩაჩბას მემკვიდრეობა გიტყდება?!

— მემკვიდრეობა არა, ფეხები! — ავად წამოისროლა რუსლანმა. — კარგად ვიცნობ იმ ნაბიჭვარს და ვიცი, რომ არაფრის დამთმობია. დღეს ვჭირდები და მზადაა, უკანალი დამიკოცნოს, მაგრამ როგორც კი თავისას გაინაღდებს, მეც მომქესტავს და ჩემს „სასტავსაც“. იმ ხალხთან კი პირადად მე ვარ პასუხისმგებელი!..

— ესე იგი, მარტო გამზათი გიშლის ხელს?

— არა... სიაში სხვა ნაბიჭვრებიც მყავს, მაგრამ იმათ მე თვითონ მოვუვლი!

— კარგი... ვთქვათ, ავვარდი... მაგრამ რაში მჭირდები შენ?..

— მე — არა, მაგრამ გამზათი ხომ გჭირდება. თქვი და საახალწლო გოჭივით, პირში ბოლოკგათხრილს მოგართმევ!..

— მერედა, ვინ გითხრა, რომ გამზათი მჭირდება? ასე რომ იყოს, ჩემი ხალხი პირში კი არა, უკანალში ბოლოკგათხრილს მომართმევდა! ეს ნაბიჭვარი შენთვისაა ავტორიტეტი. ჩემთვის ერთი „დიშოვი“ ნაბოზარია!.. არა... გამზათისნაირი „შნირი“ არ მაინტერესებს. მე სხვა მჭირდება!..

ტარბა ცოტა ხნით ჩაფიქრდა და მერე თქვა:

— რიჟკოვზეც არ დავიხევ უკან!

— „ფეესბეშნიკს“ მთავაზობ?! „კრიშა“ ხომ არ გადაგიხურდა, რუსლან?! თუ შენით ვერ ხვდები, რომ „ფეესბესთან“ ომს არ დავიწყებ!

— მაშინ, შენ თვითონ მითხარი, ვინ გაინტერესებს?

— შენ აღარაფერი გაქვს სათქმელი?

ტარბამ უხმოდ გაიქნია თავი.

— დროს ნულარ დამაკარგვინებ. არაფერი გვქონია საბაზრო. შენ ის არ იცი, რაც მე მაინტერესებს!.. ისე კი მე არ მჭირდები, — ჩაილაპარაკა ლუკამ და თავის ხალხს ანიშნა: წავედითო.

— მოიცადე! — სწრაფად დაადევნა სიტყვა რუსლანმა.

— რა გინდა? — მიუბრუნდა ლუკა.

— გამზათმა სოხუმში მიმიწვია.

— მერე, რა? — მხრები აიჩჩა ლუკამ. — გამზათის გარეშე აღარ ჩაგესვლება სოხუმში?!

— თორიას დასაფლავებაზე ჩაჩბას ხალხს უნდა შემახვედროს. საქმის ჩემთვის გადმოცემაზე იქნება ბაზარი!

— „პოსლეზე“ ჩალიჩობთ? — ირონიულად მიუგო ლუკამ.

— რაც გინდა, დაარქვი, გინდ — „პოსლე“ და გინდ — ნისია. არც იმის გიჟი ვარ, გამზათის „ზეხერი“ რომ ვჭამო!.. უბრალოდ, გეუბნები, რომ ხვალიდან მაგათ „სასტავში“ მომიწევს ტრიალი. არც ეს გაინტერესებს?!

— შენ რომ შენით გაგექაჩა, მართლაც, დავინტერესდებოდი, მაგრამ გამზათი გაგაკეთებინებს საქმეს, რომელიც მე მჭირდება.

— რა გჭირდება? — სწრაფად დაინტერესდა რუსლანი.

— ეგ შენ არ გეხება, მაგრამ თუ შეძლებ, მაინც მოსინჯე ნიადაგი და ჩაჩბას ხალხს სიტყვა ჩაუგდე: გეგეშიძეს მშვიდობა სურს-თქო!..

— ვარიანტი არ არის, — თავი გაიქნია რუსლანმა, — ჩაჩბას და თორიას მკვლელს მშვიდობაზე არ დაელაპარაკებიან!

— უკვე გითხარი, რომ ისინი არ მომიკლავს!

— მჯერა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას?! მთავარი — ჩაჩბას ხალხია. ისინი კი ამას არ დაიჯერებენ!..

— მაგაში მართალი ხარ, მაგრამ მაინც ჩააწვეთე.

ტარბა კარგა ხანს დუმდა და მერე უპასუხა:

— არა, ლუკა. მაგას ნაღდად ვერ გავქაჩავ.

— კარგი. მაშინ ის გააკეთე, რასაც გაქაჩავ. მაგრად არ „დაგგრუზავ“. მარტო ერთ რამეს მოგთხოვ: გამზათის ყველა ნაბიჯი და ნათქვამი სიტყვა უნდა ვიცოდე!.. შეძლებ?..

— ბაზარი არ არის... გეცოდინება და იმაზე მეტიც, ვიდრე წარმოგიდგენია!.. დანარჩენი კი... ჯერ იმ ნაბიჭვრებს მოვუყომაროთ, დანარჩენზე — მერე ვილაპარაკებთ!.. — უპასუხა ტარბამ და გამოსამშვიდობებლად გაუწოდა ხელი.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# საეჭვაპო კონტრაქტი გაწყდა

## „ვეწინააღმდეგებით ყველაფერს, რაც ჩვენს ფოლკლორს დაუზიანებს“

**დიდი ხანი არ არის, რაც ანსამბლ „ერისიონს“ საგასტროლო ტურნე გერმანიაში ჰქონდა. ჩვეულებისამებრ, დიდი წარმატება ხვდა წილად, რასაც არაერთ იქაურ წამყვან ჟურნალ-გაზეთში გამოქვეყნებული წერილები მოწმობს. როგორც შევიტყვეთ, ამ გასტროლზე ანსამბლი თავისი, უკვე ყოფილი უცხოელი პროდიუსერის გარეშე იმყოფებოდა. მათ შორის დადებული კონტრაქტი ურთიერთთანამშრომლობის ორ ეტაპს მოიცავდა: პირველის დასრულების შემდეგ, ანსამბლმა სხვადასხვა მიზეზის გამო, შემდგომ ურთიერთობაზე უარი განაცხადა. თუ რატომ, სამხატვრო ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი გვიყვება.**

*მანანა გაბრიჭიძე*

**— ბატონო ჯემალ, როგორი იყო განვლილი 7 წელი, როცა ანსამბლს ამერიკელი პროდიუსერი ჯიმ ლო ჰყავდა?**

— უცხოური ინვესტიციის წყალობით, პროექტი წარმატებით გავიდა საერთაშორისო არენაზე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ფოლკლორისათვის, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ. ჩვენი ამერიკელი პროდიუსერი ჯიმ ლო პოულობდა სხვა ქვეყნებში სპონსორებს. ამერიკული კომპანია „ბოინგიც“ ჩვენი ერთ-ერთი სპონსორი იყო, ასევე — სხვადასხვა მსხვილი კომპანია. მათ ხელმძღვანელებთან ჩვენ პირდაპირი შეხება არ გვქონდა, ყველაფერს ჯიმ ლო აგვარებდა.

**— რატომლაც, ბევრს ჰგონია, რომ თქვენი პროდიუსერი, ფრანგი პასკალ ჯორდანი იყო...**

— წლების განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ „ერისიონს“ ფრანგი პროდიუსერი ჰყავდა, ამ ინფორმაციის გავრცელებას თავად ფრანგებიც უწყობდნენ ხელს. ამ ცოტა ხნის წინაც, ფრანგებმა გერმანულ გაზეთში დაწერეს, — „ერისიონში“ ესა და ეს, ჩვენ გავაკეთეთო. არადა, მათ ტექნიკური საკითხების გარდა, ანსამბლთან შეხება არ ჰქონიათ, ამ საკითხების მოგვარებაში კი, ფრანგების გარდა, სხვადასხვა დროს სხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, თან — დიდი წარმატებითაც. ჩვენ ყველას მადლიერი ვართ, ერთის გარდა, რომელსაც ზედმეტი ამბიციები აღმოაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავი ხმის რეჟისორია, მისი კომპეტენცია ამით შემოიფარგლება. პასკალ ჯორდანი მყავს მხედველობაში.

**— ხომ არ დააკონკრეტებთ, რა ამბიციები ჰქონდა პასკალ ჯორდანს?**

— არა მარტო პასკალს, სხვებიც ცდილობენ, ჩვენს ხალხურ ხელოვნებაში ცვლილებები შეიტანონ და ამით შექმნან საფუძველი იმის სათქმელად, — „ეს ხომ მე გავაკეთე, ეს ხომ ჩემია!“ ეს უდიდეს საფრთხეს უქმნის ჩვენი ეროვნული საგანძურის თვითმყოფადობას. მე შემეძლო, არ დამეკონკრეტებინა, მაგრამ საქმე ისაა, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც საქართველოში ჩამოდიან და სპონტანურად ქმნიან ჯგუფებს (მათ არ შეიძლება, ანსამბლი ვუწოდოთ). ასეთი ჯგუფების წევრები სახელებსა და გვარებს იცვლიან, უცხოეთში ცეკვავენ ქართულ ცეკვებს, მაგრამ ფაქტობრივად, სხვა ქვეყნის სახელით გამოდიან, რადგან საქართველოს ხსენებაც კი არ არის. იმას, რასაც ვერ მიაღწია პასკალმა ჩვენთან, „ერისიონის“ სარეკლამო მასალებით ცდილობს, სხვებთან ურთ-

**სხვებიც ცდილობენ, ჩვენს ხალხურ ხელოვნებაში ცვლილებები შეიტანონ და ამით შექმნან საფუძველი იმის სათქმელად, — „ეს ხომ მე გავაკეთე, ეს ხომ ჩემია!“**

იერთობის დამყარებით მიაღწიოს. არავის უნდა მივცეთ უფლება, გამოიყენოს ჩვენი ეროვნული ფასეულობა. რამდენიმე დღის წინ ჩვენ შესახებ ინტერნეტში ასეთი სახის რეკლამა ვნახეთ: „რივერდანსი კავკასიიდან“ — მონაწილეობენ: მომღერლები, მოცეკვავეები, მუსიკოსები და აკრობატები კავკასიიდან“. სწორედ ამგვარმა მცდელობებმა გვაიძულა, უარი გვეთქვა ჩვენს ძველ პარტნიორებთან ურთიერთობის გაგრძელებაზე.

**— რა სახის ცვლილებებს გთავაზობენ ყველაზე ხშირად უცხოელი პროდიუსერები?**

— დღეს, ქართული ფოლკლორი საშინელ დევალვაციას განიცდის უცხოურ ბაზარზე. რაც არ უნდა სუფთა, კრიალა ნაკადული შეუშვათ ზღვაში, ზღვა მას მაინც ჩაყლაპავს. ჩვენთვის ძალზე რთული იყო უცხოელებთან ურთიერთობა, რადგან ყოველ წუთს გვთავაზობდნენ, აკომპანემენტში ბუზუკის, სოლო გიტარის, ვიოლინოს ჩართვას, რომ მერე ეთქვათ, — ეს ქართული კი არა, ჩვენი ხელოვნებაა. დანარჩენი მსოფლიო ხომ ქართველებზე მეტად, ფრანგებს დაუჯერებს!.. რაში გვჭირდება მათი ინსტრუმენტები, როდესაც ჩვენი ორკესტრი ბრწყინვალეა და ამის შესახებ საგანგებოდ, ცალკე არაერთხელ დაწერილა უცხოურ პრესაში. თუნდაც ბოლო გასტროლიდან მოგიყვანთ მაგალითს: გერმანულ პრესაში დაიწერა: „ეს ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ფოლკლორი, ეს — სრულყოფილებაა“, „ეს მუსიკა მართლმადიდებლური სამყაროს შეცნობის საშუალებას გვაძლევს და საუცხოო ჰარმონიას გვაზიარებს. ფანდური მელოდიური ჟღერადობით, ულამაზეს ხალიჩას მოგაგონებთ, სალამური ჩვენ თვალწინ უმშვენიერესი ხეობების სურათს აცოცხლებს, ხოლო დოლის რიტმები აგზნებული ადამიანის გულის ძგერასავით ამაღელვებელია“... გასულ ზაფხულს ჩვენთან სტუმრად გერმანელი ჟურნალისტები იმყოფებოდნენ, მათ შორის, იმ წერილის ავტორიც, რომლის ციტატებიც შემოგთავაზეთ. ჟურნალისტები საოცარი ემოციით უყურებდნენ კონცერტს, დიდი აღფრთოვანება და ინტერესი გამოხატეს, პროდიუსერები კი, ამის მიუხედავად, მაინც გვირჩევდნენ, ქალებს არ სცმოდათ დახურული კაბები და ჯობდა, გული მოეღეღათ, ვაჟებიც გაშიშვლებულიყვნენ წელს ზემოთ... არათუ არ დავთანხმდით, არამედ მკაცრად შევეწინააღმდეგეთ ამ შემოთავაზებას. ჩავედით გერმანიაში და სხვათა შორის, იქაურმა პრესამ რეცენზიებში ყურადღება ჩვენს ეროვნულ სამოსზეც გაამახვილა. მაგალითად: „ქალები თავსაბურავებითა და მოშრიალე კაბებით, როგორც კეთილშობილი, მშვენიერი ფერიები დანარნარებდნენ“, „მშვენიერია მათი ელვარე, ფერადოვანი სამოსი“ და ა.შ. რაც შეეხება რაიმის შეცვლას, — მე სხვა დროსაც მითქვამს: ჩვენი რეპერტუარი, პროფესიონალურ სცენაზე ატანილი, ხალხური სიმღერა და ცეკვაა. ეს არ გახლავთ სუფთა ფოლკლორი, არამედ ფოლკლორიდან ამოზრდილი სანახაობაა. პრინციპულად ვეწინააღმდეგებით ყველაფერს, რაც ჩვენს ფოლკლორს დაუზიანებს. ყოველთვის ვრჩებით პირველწყაროს ერთგულები. მსოფლიო სცენაზე მისი პოპულარიზაციისათვის საჭიროა, ოქროს შუალედი მოიძებნოს. ყველაზე დიდი სიახლე — ძველისკენ ლამაზად მიბრუნებაა. უკრაინაში ჩვენი კონცერტების შემდეგ, რუსი ჟურნალისტი აბრამოვი წერდა: „შეხედეთ, რამდენად ფაქიზი, სათუთი ეთნოგრაფია, რაოდენ საუცხოოდაა ჩაწნული თანამედროვეობაში!“ ესაა სწორედ ჩვენი საშემსრულებლო მანერის არსი... ჩვენ ყოველ კონცერტს ვიწყებთ წუთიერი დუმილით, რომელსაც ვუძღვნით იმ ადამიანებს, რომლებმაც ასე შეურყვნელად მოიტანეს დღემდე, მსოფლიოში უანალოგო ხელოვნება — ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა. ჩვენი ერთ-ერთი გერმანელი სტუმარი ჟურნალისტი, შემდეგ უკვე გერმანიაში ჩვენი შოუს ნახვის შემდეგ წერდა: „მათი სიმღერები მსოფლიო კულტურულ საგანძურს წარმოადგენს“, „ასეთი მრავალხმიანი სიმღერები მთელ მსოფლიოში მხოლოდ ერთ ქვეყანაში არსებობს, სადაც ეს ტრადიცია ასე ამაღელვებლად გრძელდება — ეს საქართველოა“. ამის შემდეგ განა, დავთანხმდებით ვინმეს რაიმის შეცვლაზე? კი, ბატონო, ვისაც უნდა, ტანთ გაიხადოს, მაგრამ ამას ტრადიციულ ქართულს ნუ შეარქმევს! სტრავინსკი ამბობდა — „ქართული ხალხური სიმღერა ყველა დროის ყველაზე თანამედროვე სიმღერაა“. ამას ადასტურებს, „ოქროს დისკოთ“ ჩვენი ანსამბლის დაჯილდოება — პარიზში 2002 წელს, რაც დღემდე, ქართული კულტურის ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენად რჩება. ამავე წელს ფირმა „უნივერსალმა“ გამოსცა დისკი, რომელშიც გამოკითხვის შედეგად დასახელებული 10 საუკეთესო შემსრულებლის სიმღერა შევიდა. ამ საკრებულოში ერთად აღმოჩნდნენ: დომინგო, კაბალიე, კარერასი, პავაროტი, მადონა, მერკური და „ერისიონი“... საერთოდ, ასეა: როცა გამოჩნდება მარგალიტი, ყველას სურს მისი დაპატრონება, მით უმეტეს, თუ ის ღარიბ ქვეყანას ეკუთვნის. ის იციან, რომ წაღება არ შეიძლება, რადგან ეროვნული განძია, მაგრამ ყველანაირად ცდილობენ, მასში რაღაც შეცვალონ, რომ მერე თქვან, — ეს ჩვენიცაა. როცა ამას ამბობენ, ნაწილობრივ ვეთანხმები — იმ გაგებით, რომ ქართული სიმღერა და ცეკვა მართლაც, მთელი მსოფლიოს კუთვნილებაა, მაგრამ იგი ქართულია და ამაში ვერავინ შეგვეცილება. როდესაც რაიმის შეცვლას გვთავაზობენ, მე მივმართავ კითხვით, — როგორ, განა, რამე არ მოეწონა მაყურებელს, რომელიმე ნომერს არ გამოუწვევია ოვაცია?!. აბა, რა საჭიროა რაიმის შეცვლა?! უცხოელები, რა თქმა უნდა, შესანიშნავად ხვდებიან, რომ ეს მაღალი ხელოვნებაა, არც ერთი მათგანი არც ერთ „კაპიკს“ არ ჩადებს არაფერში, თუ ძალიან არ მოსწონს და ამით, თავად დიდ მოგებას არ ელის. სამწუხაროდ, მათ უნდათ, ჩვენი დიდი ინტელექტუალური ფასეულობა წარმატებულ ბიზნესად აქციონ. სწორედ აქ არის დიდი ძალისხმევა საჭირო. ეს ურთულესი გამოცდა, ჩვენდა საბედნიეროდ, „ერისიონმა“ შესანიშნავად ჩააბარა. ჩვენ ხშირად, მსოფლიოში „საქართველოს კულტურის ელჩს“ გვიწოდებენ და ეს ჩვენთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა... ბოლოს, კიდევ ერთ, ჩემთვის მტკივნეულ საკითხს მინდა შევეხო: მავანნი თავისებურ ბრალდებად მიყენებენ იმას, თითქოს მე ყოველთვის ვახერხებდი ხელისუფლებასთან რაღაც განსაკუთრებულად ახლო ურთიერთობას. არც ერთი ხელისუფლების დროს, არანაირი შეღავათი პირადად მე, არ მქონია. შენობა, სადაც დღეს ვიმყოფებით, ანსამბლს გადასცა მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, თენგიზ სიგუამ და არ წაურთმევია ედუარდ შევარდნაძეს... განა, ეს ცუდია?.. სახელმწიფო პრემიაზე ვიყავი წარდგენილი და არ მომცეს, სწორედ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, თან მაშინ, როცა „ერისიონმა“ წარმატებების მხრივ, ზენიტს მიაღწია. რატომ უნდა ვიყო ცუდ ურთიერთობაში რომელიმე ხელისუფლებასთან? მე ხომ ქართულ საქმეს ვემსახურები! გთხოვთ, ამას მაღალფარდოვან სიტყვად ნუ ჩამომართმევთ... ■

# კირა ნაიტლი

## წლის საუკეთესო მსახიობი

**ლონდონში ბრიტანული ჟურნალის — Elle — ჯილდოს — Style Awards — გადაცემის ცერემონია გაიმართა. საუკეთესო მსახიობ ქალად, 22 წლის კირა ნაიტლი დასახელდა. მას შემდეგ, რაც ბრიტანული კინო და ტელეხელოვნების აკადემიის ცერემონიაზე ნაიტლიმ მარცხი განიცადა, მისთვის ეს გამარჯვება ერთგვარი რევანში იყო...**

კირა კრისტინა ნაიტლი ინგლისში, მიდლსექსის საგრაფოს ქალაქ ტედინგტონში 1985 წლის 26 მარტს დაიბადა. ცხოვრების უმეტესი ნაწილი ლონდონში გაატარა. მისი მშობლები — მსახიობი უილ ნაიტლი და ასევე მსახიობი და დრამატურგი, შერმან მაკდონალდი წაკამათდნენ: ქალმა თქვა — სცენას თავს დავანებებ და მეორე შვილს (მათ უკვე ბიჭი ჰყავდათ) გავაჩენო, რაზეც ქმარმა პირობა წაუყენა, — მანამდე, შენი ერთი პიესა მაინც უნდა გაყიდოო. ამგვარად, ქვეყანას ჯერ მომავალი კინოვარსკვლავის დედის, როგორც დრამატურგის, სადებიუტო პიესა — When I Was a Girl, I Used to Scream and Shout — მოევლინა, რომელიც ლონდონის ერთ-ერთმა თეატრმა შეიძინა, შემდეგ კი — კირა.

გოგონა სულ პატარა იყო, როდესაც მშობლები უცნაური თხოვნით გააოცა: მას სურდა, საკუთარი აგენტი ჰყოლოდა! კირას ძალზე უცნაურად ეჩვენებოდა ის ამბავი, რომ მათ სახლში ტელეფონი არ ჩერდებოდა, მშობლები მუდამ საქმეზე საუბრობდნენ, მას კი არავინ არაფერს სთავაზობდა! „სწავლა — უპირველეს ყოვლისა!“ — განუცხადეს მშობლებმა და გოგონა იძულებული იყო, დაემტკიცებინა, რომ კინოგადაღებები სწავლას ხელს არ შეუშლიდა. როდესაც ბავშვს დისლექსია (წერა-კითხვის უნარის დარღვევა) აღმოაჩნდა, ეს კირასთვის დამატებითი სტიმული აღმოჩნდა: თუ სიბეჯითეს გამოიჩენდა და არდადაგების დროსაც კი არ დაზოგავდა თავს, მას საკუთარი აგენტი ეყოლებოდა! კირამ ამ ბრძოლის შედეგად, თვითდისციპლინისა და გამძლეობის უნარი ადრეულ ბავშვობაშივე გამოიმუშავა, რაც მომავალში ნამდვილად გამოადგა. თავდაუზოგავმა შრომამ შედეგი გამოიღო: 6 წლის ასაკში მას უკვე საკუთარი აგენტი ჰყავდა!

7 წლის გოგონას დებიუტი ტელეფილმში — Royal Celebration — შედგა. შემდეგ 2 ეპიზოდური როლი ითამაშა, ხოლო მელოდრამაში — „შინ დაბრუნება“ უკვე ლეგენდარული პიტერ ო`ტულისთვის პარტნიორობის გაწევა მოუხდა(!).

1999 წელს კირას სახელი მთელი მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი, მაგრამ ეს პოპულარობა 14 წლის გოგონას სამსახიობო მიღწევას როდი უკავშირდება. კირა ნაიტლისა და ნატალი პორტმანის საოცარი გარეგნული მსგავსებით გაოგნებულმა რეჟისორმა ჯორჯ ლუკასმა დამწყები მსახიობი სუპერბლოკბასტერში — „ვარსკვლავური ომები: ეპიზოდი . ფარული მუქარა“ — დედოფალ ადალის ორეულის მხევლის, საბეს როლზე მიიწვია. პროექტში ნაიტლის მონაწილეობა უმკაცრესად იყო გასაიდუმლოებული. გრიმითა და კოსტიუმებით შენიღბული „ტყუპი“ მსახიობების ერთმანეთისგან გარჩევა მათ დედებსაც კი უჭირდათ და რაღა გასაკვირია, თუ ყველას ეგონა, რომ ორივე როლს პორტმანი ასრულებდა. მხოლოდ მოგვიანებით გაირკვა, რომ ეკრანზე ზოგჯერ, ჰოლივუდის კაშკაშა ვარსკვლავს, ყველასათვის უცნობი მსახიობი ცვლიდა!..

„კარიბის ზღვის მეკობრეები“

შემთხვევითობის წყალობით მიღებული, პირველი სერიოზული როლის შემდეგ, ახალბედა მსახიობი, ჩარლზ დიკენსის რომანის — „ოლივერ ტვისტის“ მიხედვით გადაღებულ, ბრიტანულ სერიალში, როუზ ფლემინგის სახის შესაქმნელად მიიწვიეს. 2001 წელს კი კირას პირველად ერგო მთავარი როლი — ტელეფილმში „რობინ ჰუდის ქალიშვილი: ქურდების პრინცესა“. ნიკ ჰემის პირქუშ ტრილერში — „ორმო“ — 15 წლის ნაიტლი პირველად გაშიშვლდა ეკრანზე (სხვათა შორის, ეს სურათი კინოეკრანებზე მანამ არ გამოუშვეს, ვიდრე კირას 16 წელი არ შეუსრულდა).

ამავე წლის ზაფხულში კირა სკოლის გამოსაშვები გამოცდებისთვის ემზადებოდა, როდესაც ფილმში — „ითამაშე, ბექჰემივით“ — ჯულიეტა პაქსტონის როლზე მიიწვიეს. ეს სურათი მაყურებელს მოუთხრობს ინდოელი გოგონას შესახებ, რომელსაც თავდავიწყებით უყვარს ფეხბურთი და ამ გატაცების გამო, საკუთარი ოჯახის რელიგიურ და კულტურულ ტრადიციებსა და ცრურწმენებთან რთული ბრძოლის გადატანა უწევს. ფილმი სულ 3,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდა, მისი გაქირავებით მიღებულმა შემოსავალმა კი 76 მილიონს გადააჭარბა და კირა ნაიტლს საყოველთაო აღიარებაც მოუტანა. ფეხბურთელი გოგონას სახის შესაქმნელად, კირასა და მთავარი როლის შემსრულებელ მსახიობს — პარმინდერ ნაგრას ბრაზილიური საფეხბურთო ილეთების შესწავლა მოუხდათ. გოგონები დღე და ღამე, შინ თუ გარეთ, განუწყვეტლივ ვარჯიშობდნენ. ერთხელ კირამ ვარჯიშის დროს, ტვინის შერყევა მიიღო და რეჟისორმა მას დუბლიორის გამოყენება შესთავაზა, მაგრამ კირამაც და მისმა პარტნიორმა გოგონამაც ამაზე კატეგორიული უარი განაცხადეს, რადგან ისინი

„მეფე არგური“

ფიქრობდნენ, რომ ფილმის მთავარი ხიბლი სწორედ საფეხბურთო ტრიუკებში იყო.

კირა ნაიტლიმ სწავლა ეშერის კოლეჯში განაგრო. ინგლისურ კლასიკურ ლიტერატურასა და პოლიტიკის ისტორიას ეუფლებოდა და პარალელურად, კინოში იღებდნენ. მსახიობი გულდასმით არჩევდა ისეთ როლებს, რომლებიც მის სამსახიობო დიაპაზონს გაამდიდრებდა. 2002 წლის დასაწყისში, ნარკომანიის შესახებ შექმნილ დრამაში — „უცოდველი“ — ითამაშა. განსაკუთრებულად სასარგებლო გამოცდილება შესძინა მოკლემეტრაჟიან ფილმებში მონაწილეობამ. ერთ-ერთი მათგანი იმ ეკოლოგიური ორგანიზაციის დაკვეთით გადაიღეს, რომლის ხელმძღვანელიც კირას დედა გახლდათ.

2002 წელს მსახიობი, ბორის პასტერნაკის რომანის — „დოქტორი ჟივაგო“ — მიხედვით გადაღებულ 4-სერიიან ტელეფილმში, ლარა ანტიპოვას როლზე მიიწვიეს. გადაღებები სლოვაკეთში მიმდინარეობდა და კირა იძულებული იყო, სწავლა დროებით შეეწყვიტა.

2003 წელს მსოფლიოს ეკრანები გახმაურებულმა ფილმმა — „კარიბის ზღვის მეკობრეები: შავი მარგალიტის წყევლა“ — დაიპყრო. სურათს არნახული წარმატება ხვდა წილად. 18 წლის ვარსკვლავის „სახის მშვენიერმა ნაკვთებმა“, „ბუნებრივმა უშუალობამ და თანდაყოლილმა გემოვნებამ“, „დახვეწილმა მანერებმა“ და „მომხიბვლელმა ბრიტანულმა აქცენტმა“ წამყვანი ამერიკული გამოცემების აღფრთოვანება გამოიწვია და პირმშვენიერ „ყაჩაღანა ლედის“ წინაშე „ოცნებათა ფაბრიკის“ კარი ფართოდ გაიღო. არნახულ წარმატებას კირა საკმაოდ მშვიდად შეხვდა: „ამ ბიზნესში წარმატება წამიერია. შესაძლოა, თქვენმა ვარსკვლავმა გაიელვოს და მაშინვე ჩაქრეს. ადამიანები ინტერესს მალევე კარგავენ, რადგან ყოველ წამს ახალი სახეები ჩნდება. შესაძლოა, დღეს მე ვბრწყინავდე, ხვალ კი სხვისი ვარსკვლავი აელვარდება და ეს შესანიშნავია! იმას კი არ ვამბობ, რომ როდესაც წარმატება დასრულდება, გულზე ხელებს დავიკრეფ და ვიტყვი — „დამთავრდა“. არა, მე წინსვლას განვაგრძობ და ეს ასეც უნდა იყოს! ეს თავის გადარჩენის კანონია და თუ არ მოგწონთ, პროფესია არასწორად აგირჩევიათ!.. თავდაპირველად ვფიქრობდი: მე ხომ ჯონი დეპთან, ორლანდო ბლუმთან, ჯეფრი რაშთან და ჯონათან პრაისთან ერთად ვთამაშობ, მათგან ბევრ რამეს ვისწავლი, ოსტატობის სიადუმლოს ამოვხსნი-მეთქი... ახლა კი შემიძლია განვაცხადო, რომ მათგან არაფერი მისწავლია! განსაკუთრებით, ჯონიმ გამიცრუა იმედი. ჯონი დეპი ასე მუშაობს: ლა-ლა-ლა, — შემდეგ, ჭიქა ჩაის მიირთმევს, შემდეგ — ჰა-ჰა-ჰა, — სცენას ითამაშებს და ისევ ჩაის ჭიქისკენ მირბის... ერთადერთი ის შემიძლია ვივარაუდო, რომ ჯონი უბრალოდ, გენიოსია!.. გადასალებ მოედანზე უამრავი გოგონა ტრიალებდა და უკლებლივ ყველა მზად იყო, მოვეკალი, რადგან ორლანდო ბლუმს ვკოცნიდი!.. საერთოდ, კინოში დიდხანს დარჩენის იმედი არ მქონდა, რადგან მუდამ მეჩვენებოდა, რომ ნებისმიერი როლი შემთხვევით მივიღე. როდესაც „კარიბის ზღვის მეკობრეების“ გადაღებებზე მივემგზავრებოდი, მხოლოდ ერთი კვირის სამყოფი ტანსაცმელი წავიღე, რადგან ვფიქრობდი, რომ ფილმის ავტორებმა გრანდიოზული შეცდომა დაუშვეს, რომელსაც მალე გამოასწორებდნენ და ზუსტად 1 კვირაში დამითხოვდნენ...“

მსახიობი გულწრფელად აღიარებს, რომ მიზნის მიღწევა მუდამ უდიდესი ბრძოლის ფასად უჯდება. „მუდამ უარით მისტუმრებენ და ყოველთვის იმის მტკიცება მიხდება, რომ სულაც არა ვარ ის, ვინც მათ ვგონივარ!“ სწორედ ასე მოხდა მაშინაც, როდესაც ფილმის — „პიჯაკი“ (2005) — რეჟისორმა, ჯონ მეიბიურიმ როლზე უარი უთხრა, რადგან ეჭვობდა, რომ კირა ამ სამუშაოს თავს ვერ გაართმევდა. რეჟისორმა ჯო რაიტმაც უარით გამოისტუმრა, რადგან ფიქრობდა — ნაიტლი მეტისმეტად ლამაზი იყო იმისთვის, რომ ფილმში — „სიამაყე და ცუდი განწყობილება“ — ელისაბედ ბენეტი ეთამაშა. მაგრამ მსახიობმა ორივე რეჟისორი დაარწმუნა იმაში, რომ ამ პერსონაჟებს მასზე უკეთესად ვერავინ განასახიერებდა...

2005 წელს კირა ნაიტლიმ მისთვის ახალ ჟანრში მოსინჯა ძალები და რეალური პიროვნების — „ადამიანთა თავებზე მონადირე“ მოდელის, დომინო ჰარვის ეკრანული სახე შექმნა.

## საინტერესო ფაქტები კირა ნაიტლის შესახებ

• ოცნებობს ელეონორა აკვიტანელის როლზე ფილმში – „ლომი ზამთარში“ – მაგრამ საამისოდ, 50 წლის ასაკამდე მოცდა მოუწევს;

• „კეტრინ ჰეპბერნს და ვივიენ ლის მათი შეუპოვრობისა და თავდადების გამო ვაღმერთებ“, – ამბობს მსახიობი, რომელსაც „კარიბის ზღვის მეკობრეების“ გადაღებების დროს, ზუსტად ისეთივე კორსეტი ეცვა, როგორსაც ფილმში – „ქარწაღებულნი“ – გმირი, სკარლეტ ო`ჰარა ხმარობდა;

• „ჩემს სხეულთან დაკავშირებით პრობლემა არ მაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იოლად გავშიშვლდები. თუ ეკრანზე გაშიშვლება აუცილებელია როლისთვის და სხვა გამოსავალი არ მაქვს, მზად ვარ გავშიშვლდე“;

• კირას კრივი და ცეკვა იტაცებს, მაგრამ სპორტულ დარბაზში ვარჯიში და დიეტის დაცვა სასტიკად სძულს;

• 2003 წლიდან, ინგლისური საიუველირო სახლის – Asprey – სახეა. ■

## სკარლეტ იოჰანსონისა და პენელოპა კრუსის ინტიმური სცენები

რეჟისორ ვუდი ალენის ახალ ფილმში — Vicky Cristina Barcelona — ჰოლივუდის ვარსკვლავებმა — სკარლეტ იოჰანსონმა და პენელოპა კრუსმა ლესბოსური სიყვარულის ვნებიანი სცენა წითელი ნათურებით განათებულ ოთახში გაითამაშეს. მოგვიანებით, მსახიობებს კიდევ ერთი სექსუალური სცენის გადაღებამ მოუწიათ, სადაც მათ დუეტს პენელოპას ცხოვრების თანამგზავრი ჰავიერ ბარდემი შეუერთდა, რომელიც ფილმში კრუსის პერსონაჟის მეუღლეს ასახიერებს. „ეს ძალზე ეროტიკული მომენტია. მაყურებელი გაოგნებული, უფრო მეტიც — შოკირებული დარჩება“, — ამბობს გადაღებების ერთ-ერთი მონაწილე. Vicky Cristina Barcelona — მაყურებელს მოუთხრობს ესპანელი მხატვრის შესახებ, რომელმაც ორ ამერიკელ ტურისტ ქალთან რომანი გააჩაღა, მაგრამ ეჭვიანი ექსშეყვარებული გოგონა მათ გასაქანს არ აძლევს და მრავალ პრობლემას უქმნის. სურათი ეკრანებზე წლის ბოლოს გამოვა. ■

## ზღაპრული ჰონორარი რუსი მიზნესმენელისგან

ტინა ტერნერი მოსკოვში იმისთვის ჩაფრინდა, რათა კომპანია „გაზპრომის“ 15 წლის საიუბილეო საღამოზე კრემლის სასახლეში შეკრებილი, მისი ტოპმენეჯერები სიმღერით დაეტკბო. მომღერალი ლოს-ანჯელესიდან რუსეთის დედაქალაქში სპეციალურად მისთვის გაგზავნილი კერძო თვითმფრინავით ჩაფრინდა, აეროპორტის Vip-დარბაზი სწრაფად გაიარა, ავტომობილში ჩაჯდა და ქალაქისკენ გაემართა. სასტუმრომდე რამდენიმე მეტრი იყო დარჩენილი, როცა კორტეჟმა მოულოდნელად მიმართულება შეცვალა და გეზი კრემლისკენ აიღო. მისმა მანქანამ საგზაო მოძრაობის წესები დაარღვია და საქმე იქამდე მივიდა, რომ კინაღამ მის უკან მოძრავი მიკროავტობუსი შეასკდა...

მომღერალი მოსკოვის ყველაზე ძვირად ღირებული სასტუმროს — „ბალჩუგ კემპინსკის“ საპრეზიდენტო ნომერში იყო დაბინავებული, სადაც 1996 წელს, საგასტროლო ტურნეს დროს ცხოვრობდა. ნომრის ფასი დღე-ღამეში 300.000 რუბლია.

გაზის უმსხვილესი კომპანიის იუბილესადმი მიძღვნილი სამსაათნახევრიანი კონცერტის მსმენელები მხოლოდ და მხოლოდ კომპანიის ტოპმენეჯერები იყვნენ. პირველ და მეორე განყოფილებაში სტუმრების სმენას, ცნობილი რუსი მომღერლები: ალა პუგაჩოვა, მაქსიმ გალკინი, გარიკ სუკაჩოვი, ოლეგ გაზმანოვი და ჯგუფ „ჩაიფის“ მუსიკოსები ატკბობდნენ. კონცერტის კულმინაცია კი მესამე განყოფილება აღმოჩნდა, როდესაც სცენაზე ჯგუფი Deep Purple გამოვიდა და 7-8 სიმღერა შეასრულა. დასასრულ, მაყურებლის წინაშე თავად ტინა ტერნერი წარდგა. ლეგენდარულმა მომღერალმა ათამდე ჰიტი შეასრულა და როგორც ამბობენ, ამ გამოსვლაში 2.500.000 დოლარი მიიღო! ■

## დიტა ფონ ტიზი ესპანური Playboy–სთვის გაშიშვლდა

სტრიპტიზის ცნობილი მოცეკვავე, დიტა ფონ ტიზი ჟურნალის — Playboy — ესპანური გამოცემისთვის სრულიად გაშიშვლდა. მერილინ მენსონის ყოფილი ცოლი, 35 წლის ამერიკელი მოცეკვავე ამ ჟურნალთან ადრეც ხშირად თანამშრომლობდა და სწორედ ამის შედეგად, 2002 წელს მის ფსევდონიმს „ფონ ტიზი“ დაემატა. დიტა ფონ ტიზი მრავალი ცნობილი ჟურნალისთვის პოზირებს. მათ შორისაა: GQ და Penthouse. დიტა ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის — PETA — კამპანიებშიც აქტიურად მონაწილეობს. ამას წინათ კი ვენის მეჯლისის მთავარ სტუმრადაც მიიწვიეს. დიტა ფონ ტიზი, რომლის ნამდვილ სახელია — ჰიზერ რენე სვიტი — მიჩიგანის შტატის ქალაქ როჩესტერში 1972 წელს დაიბადა. 18 წლის ასაკში სტრიპტიზის მოცეკვავის კარიერა აირჩია და ახლა მისი თითოეული გამოსვლის ჰონორარი 25.000 დოლარს შეადგენს. ფსევდონიმს 20-იანი წლების პოპულარულ მსახიობს — დიტა პარლოს დაესესხა. ■

## პერის ჰილტონის „ღირსეული“ ცვლა

ჰილტონების ცნობილი ოჯახის ირგვლივ კიდევ ერთი სკანდალი აგორდა! თუ ადრე, ჰილტონების გვარს მხოლოდ მაღალი საზოგადოების ერთ-ერთი სკანდალური ქალი — პერისი არცხვენდა, ახლა მას უმცროსი ძმა ბერონიც შეემატა. ამ რამდენიმე დღის წინ, ახალგაზრდა ჰილტონი დილის 8 საათზე მალიბუს (კალიფორნია) ერთ-ერთ გზატკეცილზე დააკავეს, რადგან საკუთარ შავ „მერსედესს“ ნასვამი მართავდა. ავტომობილში ბერონთან ერთად, მგზავრიც იმყოფებოდა. „ვადასტურებთ, რომ დილის 8 საათსა და 4 წუთზე ბერონ ჰილტონი დავაპატიმრეთ. მას არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომობილის მართვა ედება ბრალად“, — განაცხადა ლოს-ანჯელესის ოლქის შერიფის წარმომადგენელმა და დასძინა, რომ 18 წლის დამრღვევს სახლში მაშინვე გაუშვებენ, როგორც კი იგი ავტომობილის საჭესთან დაჯდომას და შინ უსაფრთხოდ მისვლას შეძლებს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვის გამო, პერის ჰილტონი 2006 წელს პირველად დააკავეს. გოგონამ საგზაო მოძრაობის წესები შემდგომშიც რამდენჯერმე დაარღვია და შარშან ზაფხულში 3-კვირიანი პატიმრობაც მიუსაჯეს. მაშინ ამ სკანდალმა მთელი მსოფლიო აალაპარაკა. ამჯერად ესტაფეტა ჰილტონების დინასტიის უმცროსმა წარმომადგენელმა „აიტაცა“. „ჯერჯერობით არც შვილს დავკავშირებივარ და არც პოლიციას, — განაცხადა მომხდარის შესახებ პირველ დღეს, ბერონის მამამ, რიკ ჰილტონმა, — თუ ეს სიმართლე აღმოჩნდება, ჩემი შვილისთვის ბევრი რამ მექნება სათქმელი, მაგრამ ამ სათქმელს პირადად მას ვეტყვი და არა პრესას!“ ■

## ავრილ ლავინის შორს მიმავალი გეგმები

კანადელმა პოპპრინცესამ ტორონტოში სპეციალური პრესკონფერენცია მოიწვია და პირადად დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის საპარფიუმერიო ბიზნესში შეღწევას ცდილობს. როგორც აღმოჩნდა, 23 წლის მომღერალს კიდევ უფრო თამამი გეგმები აქვს დასახული: მას მოდური ახალგაზრდული სამოსის საკუთარი ლეიბლის შექმნა სურს! „ტანსაცმლის საკუთარი ხაზის გამოშვებაზე ფიქრი რამდენიმე წლის წინ დავიწყე, მაგრამ ხომ იცით, როგორ ხდება: საქმის დაწყებას ფიქრობ, ფიქრობ და ყოველთვის მომავლისთვის გადადებ, რადგან უფრო მნიშვნელოვანი საზრუნავი გიჩნდება. მაგრამ ახლა კარგი პარტნიორი გამოჩნდა, რომელიც ამ წამოწყების განხორციელებაში დამეხმარება. არ მსურს, მხოლოდ ჩემი სახელი გამოვიყენო და ის უბრალოდ, იარლიყს დავურთო; მინდა, თავად შევიმუშაო მოდელები და ფირმის საქმეებში აქტიური მონაწილეობა მივიღო“, — განაცხადა ავრილ ლავინმა, რომელმაც ჟურნალისტებს, თავისი პარტნიორი კომპანიის სახელი ჯერჯერობით არ გაუმხილა. პირველი საავტორო კოლექციის მოდელებზე მუშაობის დაწყებას მომღერალი მსოფლიო ტურნეს — The Best Damn Thing — დასრულების შემდგომ აპირებს. ტურნე 2008 წლის 5 მარტს ვიქტორიაში (ბრიტანეთის კოლუმბია) დაიწყება და ამერიკისა და ევროპის 40 ქალაქში ჩატარდება. ავრილ ლავინის პირველ კოლექციას სავარაუდოდ, მისი საფირმო სასცენო კოსტიუმები დაედება საფუძვლად: მოკლე ქვედაბოლოები, „სასკოლო“ პერანგები და ყელსახვევები, ბრიჯები და სხვა. ■

## სტივენ სპილბერგი ჩინეთის სელისუფლებას მოიკოტს უცხადებს



როგორც ცნობილია, პეკინის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა 2006 წელს რეჟისორ სტივენ სპილბერგს ოლიმპიადის სამხატვრო კონსულტანტის პოსტი შესთავაზა და ჩინელი რეჟისორის — ჩუან იმოუსთვის დახმარების გაწევა სთხოვა, რომელსაც 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიის დადგმა ევალება. სპილბერგმა ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტთან ოფიციალური კონტრაქტის გაფორმებაზე პროტესტის ნიშნად, უარი განაცხადა და ბოიკოტის მიზეზად, ის პოლიტიკა დაასახელა, რომელსაც ჩინეთის მთავრობა სუდანის მიმართ ატარებს: სუდანში, კერძოდ — დარფურის პროვინციაში, 2003 წლიდან მოყოლებული, სამოქალაქო ომი მძვინვარებს, რაც მსოფლიო თანამეგობრობის უკმაყოფილების მიზეზია; პეკინი კი ამ ქვეყნისთვის იარაღის ოფიციალური მიმწოდებელია. კონფლიქტის შეწყვეტის მომხრენი ჩინეთისგან, სუდანის ხელისუფლებაზე ზეწოლას მოითხოვენ.

ჩინეთის ოფიციალური ხელისუფლება წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ სტივენ სპილბერგმა შეთავაზებული პოსტის დაკავებაზე უარი განაცხადა... ■

# ბელადთმოვარი სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ვლადიმირ სუხოდეევი

დასაწყისი იხ. „გზა“ №44-7

იმისათვის, რომ გერმანიის სარდლობას თავისი საჯარისო ნაწილები ფრონტის სხვა უბნებიდან — მაგალითად, ვიაზმის რაიონიდან — სტალინგრადისკენ არ გადაესროლა, საბჭოთა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, სასწრაფოდ მოემზადებინა და განეხორციელებინა იერიში ვიაზმიდან ჩრდილოეთით, პირველ რიგში, რჟევის რკალთან ფაშისტთა გასანადგურებლად. სტალინმა ასეთი შეკითხვით მიმართა ჟუკოვსა და ვასილევსკის:

— რომელი თქვენგანი მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს?

ვასილევსკისთან მოთათბირების შემდეგ, ჟუკოვმა უპასუხა:

— სტალინგრადის ოპერაცია უკვე ყოველმხრივ მომზადებულია. ვასილევსკის შეუძლია, საკუთარ თავზე აიღოს სტალინგრადის რაიონში ჯარების მოქმედების კოორდინირება. მე შემიძლია, კალინინისა და დასავლეთის ფრონტების იერიშის მომზადება ვიკისრო.

სტალინი მათი მზადყოფნით კმაყოფილი დარჩა.

სტალინგრადთან კონტრშეტევის განსახორციელებლად ყველაფერი იყო გათვალისწინებული — ფრონტზე არსებული მდგომარეობაც, ისიც, რომ იმ დროისთვის დამთავრდებოდა ახალი რეზერვების ჩამოყალიბება, მრეწველობა გამოუშვებდა საკმარის ტყვია-წამალს, გაიყვანდნენ საჭირო სარკინიგზო ხაზებს და სხვა. საბჭოთა დაზვერვამ გერმანული არმიისა და უნგრეთის, იტალიისა და რუმინეთის ჯარების შესახებ ზუსტი მონაცემები მოიპოვა.

და აი, მაშინ, როცა უკვე ყველაფერი დაგეგმილი, შესწავლილი, გათვლილი იყო, ჯარები მზად იყვნენ იერიშის დასაწყებად, სტალინმა მიიღო წერილი მე-4 მექანიზებული კორპუსის სარდლისგან — ვოლსკისგან. იგი თავს ვალდებულად მიიჩნევდა, ეცნობებინა ბელადისთვის, რომ კონტრიერიში წარუმატებლობისთვის იყო განწირული, რადგან მისი აზრით, ზოგი რამ სათანადოდ არ იყო გათვალისწინებული და სთხოვდა უმაღლეს მთავარსარდალს — დაუყოვნებლივ და უფრო გამოწვლილვით შეესწავლა დამტკიცებული გეგმის რეალურობა; მანამდე კი, ოპერაცია გადაედო ან სულაც უარი ეთქვა მასზე.

მიუხედავად იმისა, რომ კონტრიერიშის გეგმა უმაღლეს შტაბსა და გენერალურ შტაბშიც ყოველმხრივ დამუშავებული იყო, მას მხარს უჭერდნენ ჟუკოვი და ვასილევსკი, ოთხი ფრონტის სარდლები — როკოსოვსკი, ვატუტინი, ერემენკო და გოლიკოვი, უმაღლეს მთავარსარდალს უარი არ უთქვამს გენერლის პანიკური წერილის განხილვაზე. ბელადმა დაუყოვნებლივ გამოიძახა სტალინგრადიდან ვასილევსკი, გადასცა მას აღნიშნული წერილი და მისი აზრით დაინტერესდა. ვასილევსკიმ მტკიცედ უპასუხა: *„წერილის ავტორი ცდება, რადგან კონტრიერიში კარგადაა მომზადებული და იმის კარგი საფუძველი არსებობს, რომ წარმატების იმედი გვქონდეს“.* სტალინმა ვოლსკისთან ტელეფონით დაკავშირება ბრძანა და უთხრა მას: *„გეგმის თანახმად, თქვენი კორპუსი იერიშისას, წინა ხაზზე უნდა გაიყვანოთ. წარმატებას გისურვებთ, გენერალ-ლეიტენანტო!“* მე-4 მექანიზებულმა კორპუსმა პირნათლად შეასრულა დასახული ამოცანა. გენერალ-ლეიტენანტი ვოლსკი სუვოროვის მე-2 ხარისხის ორდენით დააჯილდოეს.

დანიშნულ ვადებში სამხრეთ-დასავლეთის და დონის ფრონტების ჯარებმა, შემდეგ კი სტალინგრადის ფრონტის ჯარებმა იერიში დაიწყეს. უკვე 23 ნოემბერს მათ ჰიტლერელთა დაჯგუფებას ალყა შემოარტყეს. ეს, მეორე მსოფლიო ომის დროს პირველი შემთხვევა იყო, როცა გერმანელთა დიდი საჯარისო დაჯგუფება მოწინააღმდეგის რკალში მოქცეული აღმოჩნდა.

მაგრამ ჰიტლერელთა ალყაშემორტყმული დაჯგუფების დაუყოვნებლივ განადგურება ვერ მოხერხდა. მოგვიანებით ვასილევსკი აღიარებდა, რომ იერიშის ორგანიზებისას მან დაუშვა შეცდომები, რომლებზეც უმალ მიუთითა უმაღლესმა მთავარსარდალმა.

ფელდმარშალ პაულიუსის მე-6 არმიის დასახმარებლად, ჰიტლერელთა სარდლობამ ფელდმარშალ მანშტაინის სატანკო დივიზიები გაგზავნა. მოწინააღმდეგის მიერ დაწყებული იერიშის შესახებ ვასილევსკიმ სასწრაფოდ მოახსენა სტალინს და სთხოვა, ფრონტზე ახალჩასული ნაწილები იქ გადაესროლა, რათა მტერი დროულად შეეჩერებინათ, ხოლო გერმანელთა ალყაშემორტყმული დაჯგუფების განადგურების ოპერაცია გადაედოთ.

თავიდან ამ წინადადებამ ბელადის აღშფოთება გამოიწვია. მან თქვა:

— თქვენ ისედაც მეტისმეტად ბევრს ელოლიავებით პაულიუსს. დროა, ბოლო მოუღოთ. და საერთოდ, უმაღლეს შტაბს გამუდმებით სთხოვთ რეზერვებს, თანაც — იმ მიმართულებებისთვის, რომლებისთვისაც თავადვე აგებთ პასუხს. როკოსოვსკი თქვენ გვერდითაა? გადაეცით ყურმილი.

როცა ყურმილი როკოსოვსკიმ აიღო, სტალინმა განაგრძო:

— როგორ აფასებთ ვასილევსკის წინადადებას?

— უარყოფითად, ამხანაგო სტალინ.

— რას გვთავაზობთ?

— ვფიქრობ, საჭიროა, ჯერ ალყაშემორტყმული დაჯგუფება გავანადგუროთ და ამისთვის მალინოვსკის არმია გამოვიყენოთ.

— გერმანელებმა ალყა რომ გაარღვიონ?

— ასეთ შემთხვევაში, მათ მიმართ შეიძლება, 21-ე არმია შემოვაბრუნოთ.

— გაბედული გადაწყვეტილებაა...

— თქვა ბელადმა და ხანმოკლე დაფიქრების შემდეგ დასძინა: — მაგრამ სარისკოა. გადაეცით ყურმილი ვასილევსკის.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ვასილევსკი ბელადს უსმენ-

MK

**პაულიუსი (შუაში) ხელქვეით ოფიცრებთან ერთად**

და, შემდეგ კვლავ სცადა, სტალინგრადის ფრონტისთვის მალინოვსკის არმიის გადაცემის აუცილებლობის დამტკიცება.

— ერემენკო ეჭვობს, რომ მტრის იერიშს ვერ მოვიგერიებთ იმ ძალებით, რომელიც ჰყავს, — თქვა ვასილევსკიმ და ყურმილი ისევ როკოსოვსკის გადასცა.

— ამხანაგო როკოსოვსკი, თქვენი წინადადება ნამდვილად ძალიან გაბედულია, — უთხრა სტალინმა, — მაგრამ რისკიც ძალზე დიდია. აქ, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში ყველაფერს დაუყოვნებლივ განვიხილავთ, ავწონ-დავწონით, მაგრამ, როგორც ჩანს, მალინოვსკის არმიასთან დამშვიდობება მოგიწევთ.

— ასეთ შემთხვევაში, ამხანაგო სტალინ, დონის ფრონტის ჯარები პაულიუსს წარმატებულად ვერ შეუტევენ, ამიტომ გთხოვთ, ოპერაცია გადადოთ.

ხანმოკლე ფიქრის შემდეგ, ბელადმა მტკიცედ წარმოთქვა:

— კარგი. დროებით შეაჩერეთ ოპერაცია. ცოცხალი ძალითა და ტექნიკით დაგეხმარებით.

დონისა და კოტელნიკოვის ოპერაციების შედეგად, წითელმა არმიამ დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთისკენ 150-200 კილომეტრით წაიწია. მე-6 გერმანული არმია საფუძვლიანად იყო ჩაკეტილი „ქვაბში“. უმაღლესი შტაბის წარმომადგენელმა, ვორონოვმა და როკოსოვსკიმ წამოაყენეს წინადადება, ალყაშემორტყმული დაჯგუფებისთვის ულტიმატუმი წაეყენებინათ. დოკუმენტის მიღების შემდეგ, სტალინმა ვორონოვს დაურეკა და აცნობა, რომ ტექსტს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში განიხილავდნენ. შემდეგ ჰკითხა:

— რატომ არ არის აღნიშნული, ვის ვუცხადებთ ულტიმატუმს?

ულტიმატუმის ტექსტი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში განიხილეს და პირადად სტალინმა ჩაასწორა. ხოლო როცა ვორონოვმა შეატყობინა, რომ ალყაშემორტყმული დაჯგუფების სარდლობამ უარი თქვა ულტიმატუმის შესრულებაზე, ბელადმა ჰკითხა:

— რას აპირებთ?

— ახლა ყველაფერს შევამოწმებთ და ხვალ მუშაობას დავიწყებთ.

— წარმატებას გისურვებთ, — გზა დაუცლოცა სტალინმა.

წამოიჭრა საკითხი — ვისთვის დაევალებინათ, ალყაშემორტყმული მოწინააღმდეგის განადგურების ხელმძღვანელობა. სტალინის აზრით, ეს ამოცანა ერთ-ერთი ფრონტის სარდლისთვის დაევალებინათ და კანდიდატურების დასახელება მოითხოვა. წამოაყენეს წინადადება, რომ ყველა არმია როკოსოვსკისთვის დაექვემდებარებინათ. ამ მოსაზრებას თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრებმა მხარი დაუჭირეს. სტალინმა კითხვით მიმართა ჟუკოვს:

— თქვენ რატომ დუმხართ? თუ საკუთარი აზრი არ გაგაჩნიათ?

ჟუკოვმა უპასუხა:

— თუ სტალინგრადის ფრონტის ჯარებს როკოსოვსკის დავუქვემდებარებთ, ერემენკოს ეწყინება. ორივე ღირსეული მეთაურია.

— ახლა წყენის დრო არ არის, — მოკლედ მოუჭრა სტალინმა და ჟუკოვს უბრძანა, ერემენკოსთვის გამოეცხადებინა, რომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით, მოწინააღმდეგის დაჯგუფების საბოლოო ლიკვიდაცია როკოსოვსკის ევალებოდა.

ჟუკოვთან საუბრისას ერემენკომ თქვა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ ენიჭებოდა უპირატესობა დონის ფრონტის სარდლობას და სთხოვა, სტალინისთვის მოეხსენებინა მისი თხოვნა, — მოწინააღმდეგის საბოლოო განადგურებამდე დაეტოვებინათ იგი ძველ ადგილზე.

ჟუკოვმა შესთავაზა ერემენკოს, თვითონვე დაერეკა უმაღლესი მთავარსარდლისთვის. ამაზე ერემენკომ უპასუხა, რომ უკვე სცადა, მაგრამ პოსკრებიშევმა (სტალინის პირადმა მდივანმა) უთხრა, რომ ბელადის ბრძანებით, მსგავს საკითხებთან დაკავშირებით, ყველას ჟუკოვისთვის მიემართა.

ჟუკოვი იძულებული გახდა, თვითონ დაერეკა სტალინთან და ერემენკოსთან საუბრის მთელი შინაარსი გადაეცა. ბელადმა ჟუკოვს უსაყვედურა და უბრძანა, დაუყოვნებლივ გაეცა დირექტივა, როკოსოვსკისთვის, სტალინგრადის ფრონტის სამი არმიის გადაცემის შესახებ.

1943 წლის 10 იანვარს დილით, დონის ფრონტის ჯარებმა დაიწყეს საარტილერიო იერიში, რომელსაც ავიაცია უბამდა მხარს. ჩაიშალა მანშტაინის გეგმაც, რომელიც პაულიუსის ჯარების გამოხსნას ითვალისწინებდა. 31 იანვარს მე-6 გერმანული არმიის სარდალმა — გენერალ-ფელდმარშალმა პაულიუსმა კაპიტულაცია გამოაცხადა.

1943 წლის 2 თებერვალს საბოლოოდ დასრულდა ეს, მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა. გერმანიაში გლოვა გამოცხადდა.

ფელდმარშალ პაულიუსის კაპიტულაციისა და მე-6 გერმანული არმიის განადგურების გამო, 1943 წლის 1-ელ თებერვალს სტალინისთვის გამოგზავნილ მისალოც წერილში უინსტონ ჩერჩილი აღნიშნავდა: *„ეს ჭეშმარიტად დიადი გამარჯვებაა!“*. ერთი თვის შემდეგ კი, ბელადისადმი გამოგზავნილ პირად ბარათში წერდა: *„ეს-ესაა ვნახე, სტალინგრადისთვის ბრძოლისას წითელი არმიის მიერ მოპოვებული გამარჯვებისა და პაულიუსის დატყვევების ამსახველი, მშვენიერი ფილმი და დიდი სიამოვნებაც მივიღე“*. შემდეგ, ჩერჩილი იტყობინებოდა, რომ თავის

**სტალინისთვის გამოგზავნილ მისალოც წერილში უინსტონ ჩერჩილი აღნიშნავდა: „ეს ჭეშმარიტად დიადი გამარჯვებაა!“**

მხრივ, სტალინს უგზავნიდა კინოსურათს, ჩრდილოეთ აფრიკის უდაბნოში „ჩვენი მე-8 არმიის“ გამარჯვებების შესახებ, იმ რწმენით, რომ ბელადი გამონახავდა დროს მის სანახავად და რომ *„მე-8 არმიის ოფიცრები და მეომრები იამაყებენ, როცა შეიტყობენ, რომ ეს მატიანე სტალინმა ნახა“*. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ასევე აღნიშნავდა, რომ *„ამ ოპერაციების მასშტაბები დიდი არ იყო, იმ ვეებერთელა ოპერაციებთან შედარებით, რომლებსაც თქვენ ხელმძღვანელობთ“*.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

# „ულამაზესი ხარ, ნამდვილი ფერია“...

**„საპატარძლო“ მარია სარჩიმელიას გაცნობა უამრავმა მამაკაცმა მოისურვა. მოდელის სილამაზითა და მომხიბვლელობით თავბრუდახვეულები აღტაცებას ვერ ფარავდნენ — მირეკავდნენ და რესპონდენტის ტელეფონის ნომერს დაჟინებით მთხოვდნენ. რამდენიმე მათგანს დავუკავშირდით და მარიასთან შეხვედრა ჩვენი თანდასწრებით შევთავაზეთ, მაგრამ რატომღაც, ამისგან თავი თითქმის ყველამ შეიკავა... ახლა კი, თქვენ მიერ გამოგზავნილ მესიჯებს გაგაცნობთ.**

## საპატარძლოს სიყვარული მესიჯებით აუხსნეს

### სოფო ჭონიშვილი

„მთის სიოსავით სუფთა ხარ,/ სიცივე გეფერება მხრებზე,/ ღამით მთვარე რომ ამოვა,/ ნისლი მოედება მთებზე./ ახლა მინდა, რომ აქ იყო,/ ნაზად გეამბორო ხელზე,/ ძალიან მაგრად გაკოცო/ და ხელი მოგხვიო წელზე. ინკოგნიტო“.

„ალბათ, შენთან ურთიერთობის შანსი არ მაქვს, რადგან სილამაზეზე რომ არაფერი ვთქვა, წარმატებული და პოპულარული გოგონა ხარ. მიუხედავად ამისა, შენთან დაახლოების იმედს მაინც არ ვკარგავ. ხომ გაგიგონია: კაცი იმედით ცოცხლობს“.

„თუკი ცხოვრებამ მახე დაგიგო,/ და მეგობარმაც ვეღარ გაგიგო,/ სიყვარულისგან თუკი გარეკე,/ შენნაირი ვარ, ჩემთან დარეკე“.

„არ გსურს, ჩემგან რომ დაფასდე?/ შეეცადე, არ გაბრაზდე,/ თუ ფიქრობ, რომ ვერ მიცანი, და-მი-მე-სი-ჯე... იცი, ვინ ვარ? — მოდი, არ გეტყვი, თავად გამოიცანი. მიყვარხარ“.

„მარია, მოგვიანებით გილოცავ ვალენტინობას. ამქვეყნად სიყვარულით გეცხოვროს. მარი, ძალიან მომწონხარ და წარმატებას გისურვებ. ქუთაისელი ნათია“.

„მთვარემ მზეს მიულოცა,/ ვარსკვლავებმა — ცას,/ ღამემ — დღეს,/ ქარმა — ხეს./ მე კი შენ მოგილოცავ,/ სიყვარულის დღეს“.

„ერთ რჩევას მოგცემ, თუ არ გეწყინება: იყავი ყოველთვის თავმდაბალი. და კიდევ, რაც შეიძლება ხშირად გაიღიმე, ღიმილი ხომ ადამიანს ალამაზებს. წარმატებას გისურვებ! დათო“.

„მშვენიერი გოგო ხარ და შემიყვარდი. ჰოდა, ახლა რა ვქნა, როგორ მოვიქცე? გამაგებინე, ხმა როგორ მოგაწვდინო? „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“...

„მარი, შენზე ვერ ვიტყვი, ლამაზი გოგოა-მეთქი, რადგან შენ ულამაზესი ხარ, ნამდვილი ფერია. მჯერა, რომ ჩემი გაცნობის სურვილი გაგიჩნდება. მუკობაზიერი“.

„ძალიან ლამაზი სახელი გაქვს, თავად კი ელეგანტური, მიმზიდველი და სექსუალური ხარ. დამიკავშირდი, გთხოვ. ზუკა“.

„ისეთი ლამაზი და კარგი ხარ, სხვისთვის მენანები. მინდა, ჩემ გვერდით იყო და ბედნიერებით ტკბებოდე. მინდაა...“

„მე არ ვიცი, სად არიან ან სად ცხოვრობენ ანგელოზები, მაგრამ ვიცი, რომ ერთ-ერთი მათგანი ახლა ამ მესიჯს კითხულობს. მარი, მიყვარხარ“.

„სამზარეულოში ფუსფუსი რატომ გეზარება?! ისე, მე მაინც მომწონხარ. გავიცნოთ ერთმანეთი, რა�ა. მე შენ სიყვარულს არ გთხოვ, უბრალოდ, მეგობრობა მინდა. ხევსური გიო“.

„მარია, რუბრიკა „საპატარძლო“ წავიკითხე და ისე მომეწონე, რომ მზად ვარ, შენ გამო „საზღვარი“ დავტოვო. ჯერ ასე ძალიან მანდილოსანი არ მომწონებია. მესაზღვრე კოკა“.

„შენნაირი ადამიანი გვერდით რომ მყავდეს, რა მომკლავდა?! გირჩევ, არასოდეს შეიცვალო, ბოლომდე ისეთი დარჩი, როგორიც ახლა ხარ. შენნაირი ადამიანი კაცმა ხელისგულზე უნდა ატაროს. მიყვარხარ. ღმერთს ებარებოდე! მალიშა“.

„პოდიუმზე კვიცივით რომ დადიხარ, შოკი ხარ. რა ვქნა, ასეთ ლამაზ გოგოს თავი როგორ შევაყვარო? გადმოვარდნილი ხმა“.

„სერიოზული, გაწონასწორებული, განათლებული გოგონა ხარ. არ მეგონა, მოდელები ასეთები თუ იყვნენ. ნამდვილი გულის ვარდი ხარ“.

„ანგელოზი გაგინათებს გზას,/ თუ მიხვდები ამ მესიჯის აზრს. უცნობი ჯარისკაცი“.

„სამწუხაროდ, ვერ გწვდები, რომ მაგრად ჩაგეხუტო, მაგრამ ფარ-ხმლის დაყრას არ ვაპირებ. იცოდე, მართლა მევასები. მპუუ“.

„მარია, სხვა ბევრი გოგონასგან განსხვავებით, ცხოვრებას სხვანაირად უყურებ და ამიტომაც, ღირსი ხარ, ბედნიერი იყო. გისურვებ ისეთი არჩევანის გაკეთებას, რომელიც სანანებელი არასოდეს გაგიხდება. ბათუმელი ლაშა“.

„სალამი, მარია. შენი ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ორიგინალური და კარგი ადამიანი ხარ. მე მხოლოდ მეგობრობას გთავაზობ. მჯერა, ეს მესიჯი ჩვენი მეგობრობის დასაწყისია“.

„სიყვარულისთვის გაჩენილხარ, პატარა გედო,/ სიყვარულის და სილამაზის პატარა მტრედო,/ შუბლზე მირონი დაგდენია, დამიკოცნიხარ,/ რაც კი ინატრო, აგისრულდეს, დამილოცნიხარ“.

„ალერსი, სითბო, ღიმილი, კოცნა, ცრემლები, დარდი, ოცნება, ლოცვა... ეჰ, რამდენი რამ მასწავლა ამ ჯადოსნურმა, ზღაპრულმა გრძნობამ. მარიაااა... ძალიან მინდა, გაგიცნო“.

„ეს მარია, მარია, საოცარი ქალია,/ ლამაზი და წარმტაცი, მეგრელთ დედოფალია,/ ენით აუწერელი, ჯერ თვალთ უხილავია,/ როცა იგი ვიხილე, მთლად ფიქრებად ამრია,/ თვალწინ მიდგას მარია, საოცარი ქალია,/ მისი ცქერა-ყურებით დავითვერი, ძალიან./ მომეწონე, ძვირფასო, რა ვქნა, ჩემი ბრალია?.. ვაჟა, 25 წლის“.

„თოვლი, ყინვა, ქარბუქი, თებერვალის თვე./ გარეთ ვიღაც დადის და უდარდელად სტვენს./ სიყვარულის თვე არისო, თებერვალზე თქვეს./ ჰოდა, კარგო, მეც გილოცავ, სიყვარულის დღეს“.

„ინტერვიუ რომ წავიკითხე, აღვფრთოვანდი და შენთან მეგობრობა მომინდა. კარგი ადამიანი ჩანხარ. ტატა, 16 წლის“. ■

# ყავა, საპონი და ტელევიზორი

## ანუ ვიზეზი, რომლის გამოც ადამიანები სახელმწიფო დახმარებას ვერ იღებენ

**ხელისუფლების მიერ შემუშავებული სოციალური პროგრამებისა და სხვადასხვა სახის დახმარების არსებობის მიუხედავად, საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მცირე პენსიის ამარა დარჩენილი, მარტოხელა მოხუცები არიან. რამდენიმე მათგანს, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთათვის განკუთვნილი დახმარებაც მოუხსნეს. რატომ აღარ ეხმარება სახელწიფო უმწეო მოხუცებს? — ამ კითხვით სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს, მამუკა ძაცარავას მივმართეთ.**

*ხათუნა ბახტურიძე*

— იმ ადამიანების აღრიცხვას, რომელთაც სახელმწიფოს დახმარება ესაჭიროებათ, სოციალური სუბსიდირების სააგენტო აწარმოებს. 2007 წლამდე, სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეები — მრავალშვილიანები, მარტოხელა დედები, მარჩენალდაკარგულები, პენსიონერები შესაბამისი დახმარებით სარგებლობდნენ, მაგრამ როდესაც ანალიზი გაკეთდა, გაირკვა, რომ მათ გარკვეულ ნაწილს, რეალურად, დახმარება არ ესაჭიროებოდა.

**— რას გულისხმობთ?**

— შეიძლება, ადამიანი მარტოხელა იყოს, მაგრამ ისეთი დანაზოგი ჰქონდეს, რომ სოციალური სუბსიდირება არ ესაჭიროებოდეს. ასევე, შესაძლოა, ადამიანი არც მარტოხელა იყოს და არც — მრავალშვილიანი, მაგრამ უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობდეს. ვინაიდან ქვეყნის ბიუჯეტი ჯერ იმხელა არაა, რომ ყველა ფენის დაკმაყოფილება მოხერხდეს, გადაწყდა, სუბსიდირება ძირითადად, სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის დასახმარებლად მიმართულიყო. ამ მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოიყო 300 სოციალური აგენტი, რომელიც მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას ამოწმებს, გარკვეული კოეფიციენტებით იმ საყოფაცხოვრებო ნივთებს აფასებს, რომლებიც მოქალაქეს აქვს. მინდა გითხრათ, რომ ეს სააგენტო ჩვენი სამსახურის დაქვემდებარებაში არაა. ჩვენ მხოლოდ მათ მიერ გაკეთებულ მონაცემთა ბაზას ვიყენებთ.

**შეიძლება, ადამიანი მარტოხელა იყოს, მაგრამ ისეთი დანაზოგი ჰქონდეს, რომ სოციალური სუბსიდირება არ ესაჭიროებოდეს**

**— რამდენად სანდოა ამ სააგენტოს მიერ შექმნილი მონაცემთა ბაზა? შემიძლია მოგიყვანოთ კონკრეტული მაგალითები იმისა, რომ ხშირად, სიდუხჭირეში მყოფი ადამიანები (ძირითადად, მარტოხელა მოხუცები) სოციალური სუბსიდირების გარეშე რჩებიან, დახმარებას კი საშუალო ფენის წარმომადგენლები იღებენ.**

— ასეთი ცდომილებები მართლაც არსებობს. ამიტომაც, პერიოდულად, სააგენტო თავად ახდენს მონაცემთა გადამოწმებას (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მეზობლისგან ან რომელიმე სხვა ფიზიკური პირისგან შემოვა განცხადება იმის თაობაზე, რომ ვიღაც უსამართლოდ იღებს დახმარებას). ხელახალი გადამოწმების შემდეგ, მართლაც აღმოუჩენიათ ცდომილება. ახლახან, საუბარი გვქონდა ქალაქის მერთან და ჯანდაცვის მინისტრთან, რომლებიც ამ პრობლემის მოგვარების საკითხით სერიოზულად არიან დაინტერესებულნი. ახლა, სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურსა და სუბსიდირების სამსახურს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლის შემდეგაც, მერიის სამსახური საკმაოდ დიდი რაოდენობით სოციალური აგენტის აყვანას აპირებს. ეს მუშაკები კიდევ ერთხელ გადაამოწმებენ ყველა იმ განცხადებას, რომელიც სუბსიდირების სააგენტოშია შემოსული. საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება თავად სოციალური მუშაკის სუბიექტური დასკვნა იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობს ესა თუ ის ოჯახი რეალურად. შევეცდებით, მაქსიმალურად აღმოვფხვრათ ის ნაკლოვანებები, რომელიც დღემდე, ამ პროექტის განხორციელებისას შეინიშნებოდა. მხოლოდ თბილისში, დაახლოებით ათასამდე მუშაკის აყვანას ვაპირებთ და თითოეული აგენტი ოთხ ან ხუთ ოჯახთან იმუშავებს, ყველა ნიუანსში დეტალურად გაერკვევა. ასეთი ინიციატივით მინისტრს უკვე მივმართეთ. ვფიქრობ, ამ კვირის განმავლობაში შეიქმნება მუშა-ჯგუფი, რომელშიც ჩვენთან ერთად, ჯანდაცვის სამინისტროსა და სუბსიდირების სააგენტოს წარმომადგენლებიც ჩაერთვებიან.

**— მსგავსი პროექტი რეგიონებშიც განხორციელდება?**

— თბილისის შემდეგ, პროექტის განხორციელება ალბათ, რეგიონებშიც დაიწყება.

**— ახალი პროექტის შემუშავების შედეგად, ღარიბ მოსახლეობას, რომელსაც შინ ყავას, საპონს და ტელევიზორს აღმოუჩენენ, ისევ დახმარების გარეშე დატოვებენ?**

— დღემდე, როდესაც სარეიტინგო ქულის გამოთვლა ხდებოდა, ქონებრივ ჩამონათვალში ისეთ საყოფაცხოვრებო ნივთებს, როგორიც უთო, ძველი ტელევიზორი და მაცივარია, გარკვეული კოეფიციენტები მართლაც ენიჭებოდა, მაგრამ მომავალში ჩვენ დავეყრდნობით არა უძრავი ქონების რეალურ არსებობას, არამედ ადამიანების დღევანდელ სოციალურ მდგომარეობას. აუცილებლად გავითვალისწინებთ მარტოხელა პენსიონერების, მარტოხელა დედების და ინვალიდების პრობლემას. ასევე, მხედველობაში მივიღებთ უმუშევართა მდგომარეობასაც.

**— თუ მოქალაქე მიიჩნევს, რომ მისი მდგომარეობა არაობიექტურად შეაფასეს, ამის გასაჩივრების საშუალება ექნება?**

— ასეთ ადამიანებს საშუალება ექნებათ, ჩვენ მიერ დაქირავებული სოციალური მუშაკი საქმის კურსში ჩააყენონ...

**— მაგრამ მოსახლეობის ნაწილი არაობიექტურობაში სწორედ სოციალურ მუშაკებს ადანაშაულებს...**

— მესმის, მაგრამ ამჯერად, სუბსიდირების სააგენტოს წარმომადგენლები და ჩვენ მიერ დაქირავებული სოციალური მუშაკები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იმუშავებენ. სუბსიდირების სააგენტოს წარმომადგენელს ეცოდინება, რომ მის მიერ გაკეთებული დასკვნა მერიის წარმომადგენლის მხრიდან გადამოწმდება. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია, კიდევ ერთხელ გადავამოწმოთ იმ ადამიანების სია, რომლებიც მონაცემთა ბაზაში არიან დარეგისტრირებულნი, მაგრამ საჭირო დახმარებას ვერ იღებენ. ასეთი ადამიანების მდგომარეობას გულდასმით შევისწავლით და ვფიქრობ, კიდევ ბევრ მოქალაქეს დავეხმარებით. მერწმუნეთ, ამჯერად, ერთობლივი მუშაობის შედეგად, შედარებით რეალურ შედეგებს მივიღებთ. ■

# როცა ვცივა, ზაქარია...

**ბოლო დროს, სოციალურად „ვერალმაფრენილი“ ფენების ცხოვრებას რომ ვუყურებ, მახსენდება ანდაზა: როცა გშია, ზაქარია, ცივი მჭადი შაქარიაო. ისიც ვიცი, რომ ამ სიტყვებით სრული ჭეშმარიტება ღაღადებს. თავად გამომიცდია, ბატონო... მაგრამ როცა გცივა, გარეთ ტემპერატურა -2 ან -7 გრადუსამდეა დავარდნილი, მაშინ თუ შეიძლება, რომ სკოლის შენობაში გამეფებული +2 ან +5 გრადუსი სიცხედ მოგეჩვენოს, ეს არ ვიცი... არადა, რამდენი პრობლემის მოტანა შეუძლია ამ +2-სა და +5-ს...**

## ლელა ჯიყაშვილი

*ადრე, ასეთ საკითხებზე მეცნიერები მუშაობდნენ. ახლა რაღას აკეთებენო? — მკითხავთ. რას აკეთებენ და, ახლაც მუშაობენ, მაგრამ -2 გრადუსზე. მათი დასკვნები კი აბა, ვის რაში აინტერესებს?! ამბობენ, — ისიც გვეყოფა, პოლიტიკა რომ გვიდუღებს გულ-მუცელს, ახლა კიდევ, მაგათი დასკვნებით რომ არ ვიხეთქოთ ტვინებიო!*

*ატმოსფერული ჰაერი მოქმედებს ორგანიზმზე, პირველ რიგში, ნივთიერებათა ცვლაზე, ამცირებს შრომისუნარიანობას. საჭიროა კომფორტული გარემო. კომფორტი სამედიცინო თვალსაზრისით — ეს არის ის პირობები, რომელშიც ადამიანი სრულად ახორციელებს გონებრივ თუ ფიზიკურ სამუშაოს. ამ კომფორტში შედის ჰაერის წნევა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობა და ტემპერატურა. ეს ჩემი აზრი არ გახლავთ, ამას მეცნიერები გვეუბნებიან.*

*მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი* **დავით ზარნაძე:**

— ორგანიზმის გადაცივებას ბევრი დაავადების პროვოცირება შეუძლია. პრაქტიკულად, ჯანმრთელი ბავშვები ცოტანი არიან. ბევრია პრობლემური ბავშვი, რომელთა ჩამოყალიბებას, დაბალი ტემპერატურა საკლასო ოთახში თუ სახლში, საფრთხეს უქმნის. ლაბორატორიაში, შრომის კაბინეტში, სადაც აქტივობა მეტია, ტემპერატურა +16 გრადუსი მაინც უნდა იყოს, სასწავლო ოთახში კი — +18-20. სასწავლო პროცესი რომ ჩატარდეს, ასეთი პირობები აუცილებელია. მეცნიერებმა შეისწავლეს, რომ შრომისუნარიანობა და რაღაცის ათვისების უნარი შეუფერებელ პირობებში საგრძნობლად ეცემა.

**— თბილად ჩაცმა გამოსავალია?**

— რა თქმა უნდა, არა. როცა ტემპერატურული რეჟიმი დაცული არაა და მოსწავლე კლასში პალტოთი ზის, მერე გარეთ ხომ უნდა გავიდეს? ჰოდა, ორმაგად ზიანდება: ჯერ ერთი, პალტოში შეფუთული ბავშვი თავის საქმეს ვერ აკეთებს, თან, მაინც სცივა, ამაზე ფიქრობს და სწავლის განწყობილება არ აქვს. არ არის განწყობილება და არ არის მოტივაცია, ე.ი. სასწავლო პროცესი ჩავარდნილია. ერთადერთი, ფიზიკურად ზის იქ, თორემ მისი აქტივობა უსაშველოდ დაქვეითებულია. მეორე დამაზიანებელი ფაქტორი შინ წასვლისას იჩენს თავს: დაბალი ტემპერატურა, ისედაც გაყინულს, მთლად გადააცივებს.

**— საბოლოოდ, ამ ყველაფერს რა მოჰყვება?**

— საბოლოოდ, მივიღებთ სავალალო შედეგს. პირდაპირ კავშირზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ ზოგადად, ეს მორფო-ფუნქციურ და გონებრივ განვითარებას მაინც ეხება. როცა სხვა პრობლემაზე ფიქრობს, ბავშვი სწავლას გულს ვერ უდებს და ამან შეიძლება, გაუცხოება გამოიწვიოს. მარტო ფიზიკური კი არა, შეიძლება, ფსიქოლოგიური ტრავმაც მიიღოს. ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ ტემპერატურული რეჟიმის შესანარჩუნებლად საჭიროა, შენობას არ ჰქონდეს დარღვეული სტანდარტები, არ იყოს ქვის იატაკი, ზედმეტად დიდი ფანჯრები... ინვენტარიც შესაბამისი მასალისგან უნდა იყოს დამზადებული. რკინის სკამისა და მაგიდის არსებობა დაუშვებელია... თუ ამ ან სხვა მიზეზით ტემპერატურის რეგულირება ვერ ხერხდება, სასწავლო პროცესი უნდა შეწყდეს.

*P.S. თებერვალია, საცაა გავაცილებთ ზამთარს, მაგრამ მაინც გვემუქრებიან, — ყინვები თავს არ დაგვანებებსო!.. მერე იქნება სულ მოკლე გაზაფხული და დაიწყება ზაფხულის უზომო ხვატი. ზაფხულში ჩვეულებრივზე დიდხანს ვისწავლით — აკი, ამდენი გაგვიცდა ყინვის გამო... ახლა ზედმეტი სიცხით გაბრუდებიან მოსწავლეებიცა და მასწავლებლებიც. ჰოდა, მოსწავლევ, საბრალოვ, როდისღა გექნება სწავლის მოტივაცია?* ■

**27 თებერვალს დაწესებულია ხსენება წმინდა ილარიონ ქართველისა ახლისა (ყანჩაველი). იგი ათონის წმინდა მთაზე მოღვაწეობდა. მამა ილარიონმა ასკეტური ცხოვრების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. მაღალი სულიერების მქონე წმინდა მამა უფლის ძალით, უამრავ სასწაულს ახდენდა.**

## მორენა მერკვილაძე

### ასკეტური ცხოვრების დასაწყისი

ორწელიწად-ნახევარი წმინდა ილარიონ ქართველმა ათონის წმინდა მთაზე, წმინდა დიონისეს მონასტრის მახლობლად მდებარე უდაბნოში, მთის ძირას გამოკვეთილ გამოქვაბულში გაატარა. იქ დაიწყო მისი ასკეტური ცხოვრება: მას საკვები არ ჰქონდა; თავიდან ვიღაცამ ერთი გოგრა მისცა. წმინდა მამა გოგრას ყოველდღე მომცრო ნაჭერს აჭრიდა და იმას იხმევდა. როდესაც საზრდელი და წყალი გაუთავდა, გადაწყვიტა, მონასტერში წასულიყო. გარეთ გასულმა, ერთი ტომარა ფქვილი დაინახა. მამა ილარიონმა მონასტერს მიაშურა, რათა გაეგო, გამოქვაბულთან ფქვილი იქ მოღვაწე მამებმა მიუტანეს თუ არა. აღმოჩნდა, რომ მონასტრის მამებს ის თავადაც არ ჰქონდათ. უფალმა იზრუნა თავის რჩეულ შვილზე. მამა ილარიონმა ფქვილის ნახევარი მონასტერს შესწირა, ნახევარი კი თვითონ დაიტოვა.

### კატუნაკის მონასტრის მახლობლად მოღვაწეობის პერიოდი

მამა ილარიონმა სამწელიწად-ნახევარი კატუნაკის მონასტრის მახლობლად დაყო და ამ ხნის მანძილზე, სხვადასხვა გამოქვაბულში მკვიდრობდა. მთელი ეს პერიოდი მხოლოდ მწვანილით, ფესვებითა და წაბლით იკვებებოდა. პურს საერთოდ არ იხმევდა. ამბობენ, იმ მხარეში არც მთა დარჩენილა და არც მიწის მტკაველი, მამა ილარიონის ღამით აღვლენილი ლოცვის ცრემლებით რომ არ დანამულიყოო. ამავდროულად, მდუმარების ღვაწლში იმყოფებოდა — თითქმის არავის ნახულობდა. თუ შემთხვევით, რომელიმე მეუდაბნოეს მოჰკრავდა თვალს, თავს არიდებდა, რათა მდუმარება არ დაერღვია.

წმინდა მამას განუწყვეტლივ უხდებოდა ბრძოლა ბოროტი სულების წინააღმდეგ. ერთხელ, სულიერ-

# ასკეტური ცხოვრება, თოვლქვეშ გატარებული დღეები და უფლის ნებით მოვლენილი განსაცდელი



მა მტერმა სასტიკი ბრძოლა გაუმართა. მამა ილარიონმა ორმოცი დღე ჯვარცმის წინ, ლოცვაში გაატარა. გააფთრებულმა ეშმაკმა, ხორციელ ცეცხლთან ერთად, ნამდვილი ცეცხლიც დაუნთო სხეულის ქვეშ; მისი დაწვა სურდა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა.

მამა ილარიონს ნესტიან გამოქვაბულებში უხდებოდა მოღვაწეობა. მას ფეხები დაუსივდა. ერთხელ წყალი გაუთავდა. წყაროზე წასვლის ძალა არ შესწევდა და ლოცვა დაიწყო. უფალმა ღრუბელი მოუვლინა, რომელიც გამოქვაბულის შესასვლელის თავზე გაჩერდა და იმდენ ხანს იწვიმა, სანამ ყველა ჭურჭელი არ აივსო.

ბოლოს, მისი ადგილსამყოფლის შესახებ შეიტყვეს და ახლომახლო მიდამოებში მოღვაწე ბერები რჩევისთვის ყოველდღიურად აკითხავდნენ. მამა ილარიონს კი მდუმარებისა და განუწყვეტელი ლოცვისკენ მიუწევდა გული. ამიტომ ეს ადგილი მიატოვა და ნეა სკიტის კოშკში განმარტოვდა. იქაც სამწელიწად-ნახევარი გაატარა.

## ნეა სკიტის კოშკში

ნეა სკიტის კოშკში განმარტოებული მამა ილარიონი მხოლოდ ხმელი პურითა და ორცხობილათი იკვებებოდა. იხმევდა დღეში მხოლოდ ერთხელ; პარასკეობით კი საერთოდ არ ჭამდა. ხმელ პურს მცირე ნაჭრებად აქუცმაცებდა და იხმევდა მხოლოდ იმდენს, რამდენიც ხელისგულზე დაეტეოდა. მასთან ყოველ მეთხუთმეტე დღეს მიდიოდა მამა გერასიმე და ხმელი პური მიჰქონდა. დღეში ერთ პატარა ჭიქა წყალს იღებდა. თავიდან, დღე-ღამეში მხოლოდ ორი საათი ეძინა, მოგვიანებით კი ძილის დრო კიდევ ერთი საათით შეამცირა. რაც უფრო მაღალ სულიერ საფეხურზე ადიოდა, მით მეტად უხდებოდა ბრძოლა ბოროტი სულების წინააღმდეგ, რომლებიც სხვადასხვა სახით ეცხადებოდნენ. ერთხელ, მამა ილარიონთან მამა გერასიმე მივიდა და პური მიუტანა. ბერებმა სულის ხსნაზე საუბარს მიჰყვეს ხელი. მოულოდნელად, მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა. თითოეულის გადადგმაზე კოშკი ზანზარებდა. ბერები გაოცდნენ: საიდან შეიძლებოდა შემოსულიყო კაცი კოშკში, როდესაც ყველა კარი შიგნიდან, საკეტით იყო ჩაკეტილი. უეცრად, კარი გაიღო და სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მეომარი გამოჩნდა, რომელმაც მამა ილარიონს უზარმაზარი ხმალი მოუღერა და შესძახა: როგორ ბედავ ჩემთან შებრძოლებასო?! წმინდა მამამ კედლისკენ დაიხია, მიხვდა, რომ ბოროტ სულთან ბრძოლა უხდებოდა. ხელები ზე აღაპყრო და უფლის სახელს მოუხმო; ეშმაკი მყისვე განეშორა.

კოშკში მოღვაწეობისას, მას კიდევ არაერთხელ მოუხდა ბოროტ სულებთან შებრძოლება. ბოლოს, საერთოდ აღარ ასვენებდნენ, უფლის დაშვებით ბოროტი სულები ფიზიკურადაც უსწორდებოდნენ: მათთან ბრძოლით, უფალი ასკეტურ ღვაწლში განამტკიცებდა თავის რჩეულს.

ერთხელ, ბოროტმა სულებმა მამა ილარიონის კოშკის სახურავი თოვლით დაფარეს. თოვლმა სახურავი ჩაანგრია. ბერმა სამი დღე-ღამე თოვლქვეშ გაატარა, შემდეგ კი იგი სკიტის ბერებმა გაათავისუფლეს.

ერთხელაც, მამა გერასიმეს ბერთან საკვების მიტანა დაავიწყდა. „ეს გამოცდა ღმერთმა გამომიგზავნა“, — გაიფიქრა ილარიონმა და ამიტომაც, მამა გერასიმეს არ შეხმიანებია. ცხრა დღე ისე გაატარა უჭმელად, ასკეტური ღვაწლი არ შეუმცირებია. შემდეგ ისე დასუსტდა, რომ ლოცვის პირადი კანონის კითხვა ვეღარ შეძლო. ექვსი დღე ბერი ჭილოფზე იჯდა, გულზე ხელებგადაჯვარედინებული. როდესაც მამა გერასიმე მასთან კვლავ მივიდა, მაშინღა გაახსენდა, რომ წინა ჯერზე მისვლა დაავიწყდა. იმწამსვე მიუტანა ორცხობილა დაუძლურებულ ბერს, მაგრამ მას ტუჩები იმდენად გამომშრალი ჰქონდა, რომ საკვების მიღება ვერ მოახერხა. მამა გერასიმემ ორცხობილა თბილ წყალში ჩაალბო და ისე მიაწოდა. ბერმა ნელ-ნელა ძალა მოიკრიბა.

ერთ დღეს, სამი მომლოცველი ნავით იმ სკიტის მახლობლად მიცურდა, სადაც მამა ილარიონი მკვიდრობდა. მოულოდნელად კოკისპირული წვიმა წამოვიდა. გადარჩენის იმედი დაკარგეს, მაგრამ გაახსენდათ კოშკში მოღვაწე ბერი და უფალს ლოცვით შესთხოვეს, გადაერჩინა ისინი წმინდა ბერის მეოხებით. წვიმა მართლაც, შეწყდა და მომლოცველები ზღვაში ჩაძირვას გადაურჩნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მამა ილარიონს განუწყვეტლივ უხდებოდა ბრძოლა ბოროტ სულებთან. ერთხელ, მან ეშმაკთა ჯარის უთვალავი მეომარი იხილა, რომელმაც წმინდა პავლეს მონასტრიდან ნეა სკიტის კოშკამდე მთელი გზა დაფარა. უფლის დაშვებით, ბოროტმა სულებმა ბერი სასტიკად სცემეს. სამი დღის შემდეგ, მამა ილარიონი მამა გერასიმემ მოინახულა. ბერი უგონოდ იყო. იგი მონასტრის უახლოეს სენაკში გადაიყვანეს, მზრუნველობას არ აკლებდნენ. წმინდა მამა ნელ-ნელა გამოკეთდა. ილარიონმა ბერებს თავისი ბოლო ცდუნების შესახებ მოუთხრო, შემდეგ კი კოშკში დაბრუნება ითხოვა. სკიტის მამები ფიქრობდნენ, რომ მამა ილარიონი ასკეტურ ცხოვრებას ვეღარ შეძლებდა. მათ მისი მეგობარი, მამა ბენედიქტე იხმეს და სთხოვეს დაერწმუნებინა, რომ განდეგილი ასკეტურ ცხოვრებას ვეღარ შეძლებდა. მამა ილარიონი ბერების გადაწყვეტილებას დაემორჩილა. იგი წმინდა ხარლამპის სენაკში მოათავსეს. მასზე მამა ბენედიქტე ზრუნავდა. მალე, სრულიად გამოჯანმრთელდა. ამის შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე, ათონის წმინდა მთაზე მდებარე, სხვადასხვა მონასტერსა და სენაკში მოღვაწეობდა.

# „მათ თანადგომა სჭირდებათ და არა თანაგრძნობა“

## საქართველოში შიდსით ხშირად ჰეტეროსექსუალები ავადდებიან



„ადამიანის გარდაცვალება მისი ოჯახის წევრებისა და მეგობრებისთვის უდიდესი ტკივილი და ტრაგედიაა, მაგრამ თუ იგი შიდსის მსხვერპლია, ამ ტკივილს შიში და ზოგჯერ, სირცხვილიც ახლავს თან“, — აღნიშნავენ შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში. სირცხვილს იქ შემთხვევით როდი ახსენებენ. მართალია, დაავადების გადამცემი გზები ცხოვრების არასწორ და ხშირად, ამორალურ წესზე მიუთითებს, მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა ინფიცირებული ადამიანი მოულოდნელი მსხვერპლია და ამისგან არავინაა დაცული. სამწუხაროდ, დღეს ბევრი არ ფიქრობს, რომ გაკილვის ნაცვლად, ამ ადამიანებს დახმარება და თანადგომა სჭირდებათ. შიდსი არ არის მხოლოდ ნარკომანების, სექსობრივ უმცირესობათა და მეძავთა დაავადება, იგი ერთნაირად ემუქრება თითოეულ ჩვენგანს...

**მეგი ცანავა**

*შიდსის თემა ბოლო დროს ნარკომანიის პრობლემის აქტუალობამ ავტომატურად წამოსწია წინა პლანზე, რადგან ჩვენს ქვეყანაში ამ უკურნებელი სენის გავრცელების ძირითადი მიზეზი და გზა სწორედ ნარკომანია გახლავთ.*

*გასულ კვირას, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური სამსახურის თანამშრომლებმა შიდსის თემაზე სპეციალური სწავლება გაიარეს. როგორც სამინისტროში ამბობენ, მიზანი — შიდსის პრევენცია-მკურნალობის საკითხებისა და პენიტენციარულ სისტემაში არსებული მდგომარეობის შესწავლა გახლდათ. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ამჟამად, 61 ინფიცირებული ირიცხება, მათგან 22-ს ანტივირუსული მკურნალობა უტარდება. 2008 წლის 19 თებერვლის მონაცემებით, ცენტრში შიდსის ვირუსით ინფიცირების 1534 შემთხვევაა დარეგისტრირებული: 1169 — მამაკაცია, ხოლო 365 — ქალი. ასაკი 29-დან 40 წლამდე მერყეობს. ექიმები ამბობენ, რომ ამ ადამიანებისგან შიდსი 635-ს განუვითარდა და მათგან 321 გარდაიცვალა...*

*შიდსი — შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი — ინფექციური დაავადებაა. მას ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი, ე.წ. აივ-ვირუსი იწვევს. ვირუსი ადამიანის იმუნურ სისტემას დროთა განმავლობაში, საერთოდ ანადგურებს და შესაბამისად, ინფიცირებული ორგანიზმი ყველაზე მსუბუქი დაავადებისგან თავდაცვის უნარსაც კი კარგავს. ტერმინით „შიდსი“ დაავადების ბოლო სტადია აღინიშნება. ეს ის სტადიაა, როცა ავადმყოფს უკვე კლინიკური ნიშნები უვითარდება. შიდსის პირველი შემთხვევა 1981 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფიქსირდა. 1982 წელს ის უკვე ოფიციალურად დარეგისტრირდა, როგორც ახალი დაავადება. ვირუსი მაიმუნებისგან, კერძოდ — შიმპანზეებისგან გავრცელდა. იმის გამო, რომ დასავლეთ აფრიკის მოსახლეობა სწორედ შიმპანზეების ხორცით იკვებებოდა, ცხოველებისგან თავდაპირველად აივ-ვირუსი სწორედ მათ გადაეცათ. ვირუსი 1983 წელს ფრანგმა ვირუსოლოგმა — ლუკ მონტანიემ და ამერიკელმა მეცნიერმა — რობერტ ჰალომ აღმოაჩინეს. მას შემდეგ თითქმის 30 წელი გავიდა. აფრიკიდან წამოსულმა ვირუსმა ამსობაში, მთელ მსოფლიოში და სამწუხაროდ, საქართველოშიც გაიდგა ფესვები... ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დედამიწაზე ყოველ 15 წამში ერთი ადამიანი ინფიცირდება შიდსის ვირუსით და დაავადებულთა შორის, მილიონობით ბავშვია...*

*სპეციალისტები და მკვლევრები იმასაც ამბობენ, რომ ყოველი გამოვლენილი ინფიცირებულის მიღმა დაახლოებით 25 გამოუვლენელი დგას... ადამიანები, რომელთაც უკვე დაავადების კლინიკური ნიშნები განუვითარდათ, შესაძლოა, დაიღუპონ. ექიმების თქმით, დღეს, განკურნება თუ არა, მათთვის სიცოცხლის გახანგრძლივება მაინც, მედიცინის დარგში მიღწეული წარმატებებისა და უახლესი პრეპარატების შედეგად, შესაძლებელია. ხოლო მედიცინის წარმატებებმა ჩვენს ქვეყანაშიც რომ გამოიღოს სასიკეთო შედეგი, ამას არა მარტო არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივა, არამედ ხელისუფლების მხრიდან ხელშეწყობა სჭირდება...*

**ლალი შარვაძე,** *ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ექიმი-ინფექციონისტი:*

— 2004 წლიდან ჩვენს ცენტრს გლობალური ფონდი აფინანსებს და ამის წყალობით, დღეს პაციენტთათვის სრულფასოვანი მკურნალობის ჩატარება შეგვიძლია. თუ ადრე მხოლოდ დიაგნოსტიკითა და კონსულტაციებით შემოვიფარგლებოდით, ამჟამად მედიკამენტებითაც შეგვიძლია უზრუნველვყოთ დაავადებულები. მკურნალობა, ისევე, როგორც მედიკამენტები, პაციენტთათვის სრულიად უფასოა. ამიტომ, ადრინდელთან შედარებით, მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა. ძვირად ღირებული მედიკამენტების შეძენას პაციენტებისგან ერთი-ორი თუ შეძლებს. ასეთი ავადმყოფების მკურნალობა საშუალოდ, თვეში 600-700 დოლარი ჯდება. თანაც, გასათვალისწინებელია, რომ მკურნალობა მუდმივად გრძელდება და საერთო ჯამში, ის კოლოსალურ თანხებს აღწევს. 2004 წლამდე, ვიდრე გლობალური ფონდის დაფინანსებას მივიღებდით, საქართველოს მთავრობა მხოლოდ 3-4 დაავადებულის მკურნალობის ხარჯებს კისრულობდა. ეს კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ უმცირესი ნაწილისთვის ხელის გაწვდენას და უმრავლესობის უიმედოდ დატოვებას ნიშნავდა. დღეს მკურნალობა უტარდება ყველას, ვისაც ესაჭიროება, თანაც — თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით. თუმცა პრობლემები, ბუნებრივია, მაინც არსებობს და მთავრობის მხრიდანაც, მეტი დაინტერესებაა სასურველი.

*ამჟამად ცენტრში 362 პაციენტი მკურნალობს. მათი არა მარტო ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ახლობლებისა თუ გარშემო მყოფების მათდამი დამოკიდებულება ყველაზე კარგად იქ მომუშავე ექიმებმა იციან.*

**მაია ცინცაძე,** *შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ექიმი:*

— ცენტრში ჯერჯერობით, ფსიქოლოგის შტატი არ გვაქვს, მაგრამ ამ ფუნქციას ჩვენ — ექიმები ვითავსებთ. აქ წლების მანძილზე ვმუშაობთ და გამოგვიმუშავდა ის უნარ-ჩვევები, რომლებიც ასეთ პაციენტებთან სამუშაოდ არის საჭირო. დიაგნოზისადმი ადამიანის რეაქცია და ზოგადად, დაავადებისადმი განწყობილება კარგად გვაქვს შესწავლილი. თუ რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევას აქვს ადგილი, მაშინ, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგებსაც ვრთავთ საქმეში, მაგრამ ჩვეულებრივ, ჩვენ მიერ ჩატარებული კონსულტაციები სავსებით საკმარისია. ადამიანს პირდაპირ არასდროს ვაცნობთ დიაგნოზს, მით უმეტეს, თუ ის დადებითია. ასეთ დროს

ვეუბნებით, რომ გამოკვლევის პასუხი საეჭვოა. ამის შემდეგ, გადავდივართ ერთგვარ შემზადების ეტაპზე, პერიოდულად ვესაუბრებით პაციენტს და ვცდილობთ, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ შევაგუოთ ის ამ შედეგს.

**— როგორ ხდება დაავადებულთა გამოვლენა? დაეჭვებული მოქალაქეები თავად მოგმართავენ თუ ექიმთან სულ სხვა ჩივილით მისულები, შემთხვევით იგებენ, რომ ინფიცირებულები არიან?**

— დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როდის ხდება დაავადების გამოვლენა და მკურნალობის დაწყება. სამწუხაროდ, ხშირად, მკურნალობა დაგვიანებით იწყება. მაგალითად, ადამიანს სხვადასხვა ჩივილი აქვს, მაგრამ ვერ აცნობიერებს, რომ შეიძლება, ამ ვირუსით იყოს ინფიცირებული. ამის გამო, სპეციალურად, დამატებითი სახელმძღვანელოები გამოვუშვით მედპერსონალისთვის, რათა მან, ამა თუ იმ კლინიკური ნიშნების გამოვლენისას, საჭირო ზომები მიიღოს. დღეს სულ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება ამ საკითხით და სურს, გამოკვლევა ჩაიტაროს. ჩვენს სააღრიცხვო ჟურნალს რომ გადახედოთ, გაგიკვირდებათ, ყოველდღიურად იმდენი ადამიანი გამოთქვამს გამოკვლევის ჩატარების სურვილს. მათგან უმეტესობა, მამაკაცია. დღეს ბევრმა იცის, რომ რუსეთსა და უკრაინაში ამ დაავადებამ ლამის ეპიდემიის სახე მიიღო. ამიტომაც, იქ გარკვეული პერიოდის მანძილზე მცხოვრები პირები გამოთქვამენ სურვილს, სისხლი შეიმოწმონ. ვისაც საეჭვო სქესობრივი კონტაქტები ჰქონდა ან ინტრავენური ნარკომანია, სხვის შპრიცს იყენებდა და ჯერჯერობით შემოწმება არ გაუვლია, ვურჩევთ, ანალიზები გაიკეთონ. საერთოდ, საქართველოში ინფექციის გადაცემის ძირითადი საფუძველი — ნარკომანია და ჰომოსექსუალიზმია, მაგრამ ბოლო დროს, ინფიცირების ფაქტი ჰეტეროსექსუალებშიც გახშირდა.

**— რა რეაქციით ხვდებიან ამ შემაშფოთებელ დიაგნოზს?**

— აივ-ინფექცია ჯერჯერობით, განუკურნებელია და იმასთან შეგუება, რომ ინფიცირებულია, ნებისმიერი ადამიანისთვის მძიმეა. ვცდილობთ, მდგომარეობა თითოეულ მათგანს შევუმსუბუქოთ, მით უმეტეს, რომ მედიცინის წარმატებებები ამის საშუალებასა და საფუძველს უკვე გვაძლევს. წინა წლებთან შედარებით, პაციენტებთან ურთიერთობაც უფრო გაადვილდა. ისინი უფრო ინფორმირებულები არიან, იციან, რომ შიდსი დღეს მომაკვდინებელ დაავადებას აღარ წარმოადგენს. ამ დარგში მიღწეულმა შედეგებმა ის ქრონიკულ და მართვად ინფექციად აქცია. ინფიცირებული ადამიანი, თუკი ის შესაბამის მკურნალობას იტარებს და ექიმის რჩევას ითვალისწინებს, თავს ჩვეულებრივი, ჯანმრთელი ადამიანივით გრძნობს. მას ისევე შეუძლია, წლების მანძილზე იშრომოს, ოჯახი არჩინოს და იცხოვროს, როგორც ყველა დანარჩენს. მოსახლეობის არაინფორმირებულობის გამო, ადრე პრობლემებს ვაწყდებოდით. დღეს სიტუაცია შედარებით გამოსწორდა, მაგრამ მაინც არიან ადამიანები, რომელთაც არ იციან, რომ შიდსი ჰაერწვეთოვანი გზით ან უბრალო შეხების შედეგად არ გადადის, ამიტომაც, უფრთხიან და გაურბიან ინფიცირებულებს. შედეგად, დაავადებული ადამიანი საზოგადოებისგან გარიყული და დათრგუნვილი რჩება. დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის მიწოდების დოზას. ვფიქრობ, ამ თემაზე გაცილებით ხშირად უნდა იწერებოდეს და ტელეგადაცემებიც მზადდებოდეს, ვიდრე ეს რეალურად ხდება.

**— გქონიათ თუ არა შემთხვევა, როცა პაციენტი გაბოროტებულა ან შიშის თუ სირცხვილის გამო, დაავადების შესახებ ახლობლებისთვის არ გაუმხელია?**

— ასეთი რამ ხშირად არ ხდება. თუმცა, ჩვენს ყურამდე ასეთი ხმებიც მოსულა: უთქვამთ, რომ პაციენტმა მეუღლეს არ გაუმხილა დაავადების ამბავი ან კიდევ, ინფიცირებული ადამიანი, ჩვენი არაერთგზის და უმკაცრესი გაფრთხილების მიუხედავად, სილამაზის სალონში მისულა, მანიკიური გაუკეთებია ან წვერი გაუპარსავს და ა.შ. მაგალითად, 2004 წელს იყო ერთი შემთხვევა, როცა 22 წლის გოგონა ქმრისგან სქესობრივი გზით დაინფიცირდა. გვაქვს ჩანაწერი, სადაც ამბობს: „19 წლის ვიყავი, როცა მეუღლემ მომიტაცა. ორი წელი ვიცხოვრეთ ერთად და არასოდეს უთქვამს, რომ ინფიცირებული იყო, არადა, თურმე იცოდა. სვამდა და საშინლად მექცეოდა. როცა გაიგო, რომ მეტის მოთმენას არ ვაპირებდი და განქორწინება მოვთხოვე, მითხრა — სადაც გინდა, წადი, მაგრამ იცოდე, შიდსი მაქვს და ალბათ, ამას ვერც შენ გადაურჩებოდიო. ასეც აღმოჩნდა. რა ვქნა, არ ვიცი, მეშინია, ჩივილითაც ვერ ვუჩივლებ, მემუქრება, ყველას გავაგებინებ, შიდსიანი რომ ხარო"... სხვათა შორის, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს მუხლს, რომლის მიხედვითაც, აივ-ინფიცირებული ვალდებულია იზრუნოს იმაზე, რომ არ გახდეს სხვისი დაინფიცირებისა და დაავადების გავრცელების მიზეზი. მან უნდა გააფრთხილოს სამედიცინო პერსონალი, სქესობრივი პარტნიორი თავისი აივ-სტატუსის შესახებ. ხოლო მეორე პირისთვის აივ-ინფექციის განზრახ გადაცემის საფრთხის შექმნა ან მისი დაინფიცირება კანონით ისჯება და 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ასეთი ორი შემთხვევა ჩვენთან უკვე დაფიქსირდა.

**— აღნიშნეთ, რომ საზოგადოების დამოკიდებულება ისეთი მწვავე და აგრესიული აღარ არის, როგორიც წინათ იყო. თუმცა, პრობლემა მაინც არსებობს. რამდენადაა დაცული აივ-ინფიცირებულთა უფლებები საქართველოში?**

— ეს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს პრობლემაა. ამიტომ, თითოეულმა ჩვენგანმა მის მოგვარებაში საკუთარი წვლილი უნდა შევიტანოთ. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეცადოთ, დაავადებულ ადამიანს ხელი კი არ ვკრათ, არამედ პირიქით — მხარში ამოვუდგეთ. ინფიცირებულებთან ურთიერთობისას, განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს და ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათ თანადგომა სჭირდებათ და არა თანაგრძნობა. დაავადებულთა შევიწროების ფაქტი ადრე უფრო ხშირი იყო. დღესაც ხდება, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ — შეფარვით. მაგალითად, ჩვენთან დაფიქსირებული ფაქტებიდან ერთი ასეთი ჩანაწერი გვხვდება: „კარგი სამსახური მქონდა და სულ მეშინოდა, არ გაეგოთ, რომ ინფიცირებული ვარ. თბილისი პატარა ქალაქია. არ ვიცი, ვისგან და როგორ, მაგრამ გაიგეს. დირექტორმა დამიბარა და მითხრა, — რა ვქნა, მე შენი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ შენივე განყოფილების ხალხი მეუბნება, შიდსიანთან ვერ ვიმუშავებთო. ჩემი ნებით არ წავალ-მეთქი, — გამოვუცხადე, მაგრამ ისე დამიწყეს შევიწროება, რომ იძულებული გავხდი, წამოვსულიყავი. ახლა ვარ უმუშევარი, ძმა მინახავს მეც და ჩემს ოჯახსაც". ამას 34 წლის მამაკაცი წერს. 29 წლის ახალგაზრდა კი მოჰყვა, თუ როგორ სცემეს ხელკეტებით პოლიციელებმა: „...ნარკოტიკების გამო ბევრჯერ ავუყვანივარ პოლიციას. ერთხელ გვიან გამაჩერეს ქუჩაში, მაგრამ წამალი ვერ აღმომიჩინეს. ცემით რომ დამემუქრნენ, ვუთხარი, — შიდსი მაქვს, თავი დამანებეთ-მეთქი. ეს რომ გაიგონეს, ხელით არ შემეხნენ, ხელკეტები ამოიღეს და იმდენი მირტყეს, ცოცხალი თუ გადავრჩებოდი, არ მეგონა. ამის მერე გიჟი უნდა ვიყო, ვინმეს ვუთხრა, შიდსი მაქვს-მეთქი. ყველამ თავის თავს მიხედოს..."

*შიდსის ცენტრი კონფიდენციალობას მკაცრად იცავს. დაავადების გავრცელების გზებზე ლაპარაკის დროს, იქ იმასაც აღნიშნავენ, რომ ინფიცირების წყარო ხშირად, უცნობი რჩება. პაციენტი ამბობს, რომ არც შემთხვევითი სექსი ჰქონია და არც ნარკომანია. სამაგიეროდ, მისულა სტომატოლოგთან, გაუკეთებია ოპერაცია, ყოფილა სალონში და ა.შ. ცენტრში ამბობენ, რომ ბევრ შემთხვევაში ამის დადგენა და წყაროს მიგნება შეუძლებელია. გამოსავალი მხოლოდ ერთია — საკუთარი ცხოვრება თავად უნდა გავაკონტროლოთ. შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი მოქალაქეებს მოუწოდებს: დაიცავით ოჯახური სიწმინდე და ერთი ჯანმრთელი სქესობრივი პარტნიორისადმი ერთგულება, მოერიდეთ შემთხვევით სქესობრივ კავშირებს ან, უკიდურეს შემთხვევაში, დაიცავით უსაფრთხო სექსის პრინციპები; არ დაუშვათ, შიდსის ვირუსზე შეუმოწმებელი სისხლის ან მისი კომპონენტის გადასხმა; ისარგებლეთ მხოლოდ ერთჯერადი ან სათანადოდ სტერილიზებული შპრიცით, ნემსით და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტებით. ინტრავენურმა ნარკომანებმა უარი უნდა თქვან ე.წ. „მეგობრობის შპრიცზე", მოერიდონ ნარკოტიკის საერთო ჭურჭლით სარგებლობას და არ გამოიყენონ სისხლი ნარკოტიკის მოსამზადებლად. ორსულმა ქალებმა აუცილებლად ჩაიტარეთ გამოკვლევა და თუ გაგიჩნდათ ეჭვი, რომ შესაძლოა, ინფიცირებული იყოთ, დაძლიეთ ემოციები და დაუყოვნებლივ მიმართეთ კვლევით ცენტს. მაშინ, გეყნებათ შანსი, იცხონთ საკუთარი თავიც და ახლობლებიც უფრო დიდი საშიშროებისაგან... ექიმები გვაფრთხილებენ, რომ შიდსი უკურნებელი დაავადებაა, ხშირად — სასიკვდილო შედეგით მთავრდება და მასთან ბრძოლის მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობს — იგი არ უნდა დაგემართოთ!*

# ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი — პენსიონერი ქალია

რამდენიმე დღეა, რაც ბრიტანელი სამართალდამცველები მანჩესტერის მკვიდრ, პენსიონერ ქალბატონს ეძებენ. ხანში შესული ქალი ქალაქის მთავარი ფოსტის დაყაჩაღების მცდელობაშია ეჭვმიტანილი. თვითმხილველთა გადმოცემით, ეჭვმიტანილი დაახლოებით, 65-70 წლის უნდა იყოს. როგორც ამბობენ, დანაშაულის ჩასადენად, ის სპეციალურად გახლდათ მომზადებული და ხელში ცივი იარაღი — დანაც კი ეჭირა. ადგილობრივი დროით, დილის 11 საათისთვის, ქალი ფოსტის ერთ-ერთ განყოფილებაში შევიდა და მოლარეს, მუქარის ტონით, ფული მოსთხოვა, თან ცხვირწინ დანა დაუტრიალა. პენსიონერის ყვირილმა გარშემო მყოფთა ყურადღება მიიპყრო. ფოსტის თანამშრომლებმა სიგნალიზაცია ჩართეს და პოლიცია გამოიძახეს.

როგორც ჩანს, ყაჩაღობაში სრულიად გამოუცდელმა პენსიონერმა მნიშვნელოვანი, „პროფესიონალური“ დეტალები ვერ გაითვალისწინა და ამიტომაც, იქაურობა ხელცარიელმა დატოვა. თუმცა, იმდენი კი მოახერხა, რომ პოლიციას ხელიდან დასძრომოდა. პენსიონერმა გაქცევა და მიმალვაც შეძლო. მოლარის თქმით, ის თეთრკანიანი, დაახლოებით, 160 სანტიმეტრის სიმაღლის, გამხდარი ქალი იყო. სამართალდამცველებმა მოსახლეობას ეჭვმიტანილის დაკავებაში დახმარება და აღწერილი გარეგნობის ქალბატონზე ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება სთხოვეს. ■

# მოზარდები საღიზმის „გაერთნენ“ და მკვლელობა „ლაივში“ ჩაიწერეს...

დიდი ბრიტანეთის სასამართლოში, განსასჯელის სკამზე პირველად აღმოჩნდა 15 წლის გოგონა, რომელმაც საშინელი მკვლელობა მობილური ტელეფონით ჩაიწერა... ტელეფონში დაფიქსირებულია, თუ როგორ სცემენ ბოროტმოქმედები ქუჩაში გამვლელ, სრულიად უდანაშაულო მამაკაცს. გაირკვა, რომ ბოროტმოქმედები ახალი ახალგაზრდული მიმდინარეობის — ე.წ. ჰეფი-სლიფინგის წარმომადგენლები არიან. ისინი ღამით, მოულოდნელად ესხმიან თავს გამვლელებს და მათ იქამდე სცემენ, სანამ სიკვდილის პირას არ მიიყვანენ . ამას თურმე უბრალოდ, გასართობად და როგორც თავად ამბობენ, „დროის მხიარულად მოსაკლავად“ აკეთებენ...

გოგონას ტელეფონში შემზარავი კადრებია დაფიქსირებული. ბოროტმოქმედები მამაკაცს გამეტებით ურტყამენ, თან „გართობას“, მობილურის ვიდეოკამერით იღებენ. დაზარალებული — 29 წლის ჰევინ უოთერჰაუზი შემთხვევიდან მესამე დღეს, თავის არეში მიღებული ტრავმის შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მალე, დანაშაულში ეჭვმიტანილთა ვინაობაც გაირკვა. ისინი 19 წლის მარკ მასტერსონი და მისი 17 წლის მეგობარი აღმოჩნდნენ. არასრულწლოვნის გვარს სამართალდამცველები არ ახმაურებენ, ისევე, როგორც იმ გოგონას ვინაობას, რომელიც მკვლელობაში თანამონაწილეობაში უკვე გამოტყდა. მისი თქმით, თავდასხმა ქალაქ კაილის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე მოხდა, მეგობრებმა უცნობ ახალგაზრდას ცემა დაუწყეს, გოგონა კი ამ ყველაფერს „ლაივში“, ტელეფონზე იწერდა.

ახალგაზრდების მხეცური საქციელით აღშფოთებულმა მოსახლეობამ მთავრობას რადიკალური ზომების მიღებისკენ მოუწოდა. საზოგადოება შეშფოთებულია მოზარდების აგრესიისა და სადიზმისკენ მიდრეკილებით და იმედოვნებს, რომ ლიდსის სამეფო სასამართლო მცირეწლოვან დამნაშავეთა მიმართ განსაკუთრებულ სიმკაცრეს გამოიჩენს. შესაძლოა, ამ არაადამიანური გართობისთვის ისინი სამაგალითოდ დასაჯონ და მათ უვადო პატიმრობაც კი მიუსაჯონ... ■

# ქალაქიდან საბავშვო ბაღში

2008 წლის 13 თებერვალს, იტალიაში, 32 წლის კრისტიან ფამილიარი პოლიციამ მცირეწლოვანი ბავშვების მიმართ ჩადენილი ძალადობისა და მათი მძევლად აყვანის ბრალდებით დააპატიმრა. სამართლადამცველთა ინფორმაციით, დანით შეიარაღებული ფამილიარი ქალაქ რეჯო-დი-კალაბრიაში, ერთ-ერთ საბავშვო ბაღში შეიჭრა და მძევლებად 11 ბავშვი და მათი აღმზრდელი ქალი აიყვანა.

საბავშვო ბაღის შენობასთან უამრავმა მოქალაქემ, მძევლების მშობლებმა და ახლობლებმა, უბრალოდ, გამვლელებმა და სამართალდამცავი უწყებების მაღალჩინოსნებმა მოიყარეს თავი. სპეცოპერაციის შედეგად, ბოროტმოქმედის განიარაღება და შეპყრობა შეძლეს, თუმცა ვიდრე ეს მოხდებოდა, თავდამსხმელთან მოლაპარაკებებს ქალაქის მერი — ჯუზეპე სკოპელიტი აწარმოებდა. თუ რა უნდოდა ფამილიარის, მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ, ამის დადგენა სამართალდამცველებს გვარიანად გაუჭირდათ. თავდამსხმელი იმდენად აგზნებული იყო, რომ სიტყვებს თავს ვერ უყრიდა და საკუთარი მოთხოვნის ჩამოყალიბებაც უჭირდა. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმ არაერთგვაროვანი ვერსიისა, რომელიც მომხდარი ფაქტის გაშუქებისას, საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა. თავდაპირველად თქვეს, რომ დანით შეიარაღებული ფამილიარი საბავშვო ბაღში ერთადერთი მიზნით — საკუთარი ვაჟის, ფრანჩესკოს სანახავად შეიჭრა. აღმზრდელ-მასწავლებლები ფამილიარის ყოფილი ცოლისა და ოჯახის სხვა წევრების მიერ გაფრთხილებული იყვნენ, რომ მისთვის ბავშვთან მიახლოების საშუალება არ უნდა მიეცათ. ასეც იქცეოდნენ. მასწავლებელთა წინააღმდეგობით გაღიზიანებულმა ფამილიარიმ ბოლოს, მიზნის მიღწევა დანაშაულებრივი გზით გადაწყვიტა.

მოგვიანებით გავრცელებული ინფორმაციით, ფამილიარის შვილს მომხდართან კავშირი არ ჰქონია. თავდამსხმელი ამბობდა, რომ მას უკანონოდ ჩამოართვეს მიწის ნაკვეთი და მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ, სასამართლოს გადაწყვეტილების გადახედვას მოითხოვდა. ასევე მოითხოვა, ბაღის შენობაში ჟურნალისტებისა და ტელეოპერატორების შეშვება, რათა ტელეკამერების წინ თავისი სათქმელი ეთქვა, სასამართლოსთვის მიემართა და საზოგადოებისთვის დახმარება ეთხოვა. ფამილიარიმ ასევე განაცხადა, რომ „საქმეების მოსაგვარებლად“, 500 ათასი ევროც სჭირდებოდა... „აქედან არსად წავალ, ვიდრე ამ თანხას არ გადამიხდით!“— ყვიროდა შენობაში მყოფი თავდამსხმელი.

მოლაპარაკებები რამდენიმე საათი გაგრძელდა. „საქმე ბავშვებს ეხებოდა, ამიტომაც, განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა მოგვიხდა. სპეცოპერაცია რაც შეიძლება ფრთხილად და თან, სწრაფად უნდა ჩატარებულიყო. პოლიციელები შენობაში უკანა კარიდან შევიდნენ, ბოროტმოქმედს მიეპარნენ და ხელები გადაუგრიხეს... არ არის გამორიცხული, რომ ფამილიარიმ დანაშაული აფექტის მდგომარეობაში მყოფმა ჩაიდინა, მაგრამ რამდენად შეუმსუბუქებს ეს გარემოება მას მოსალოდნელ სასჯელს, არ ვიცი“, — აღნიშნა ქალაქის მერმა ჟურნალისტებთან საუბრისას. ■

*დასაწყისი იხ. გვ. 15*

ახლა ბერეზოვსკი ბრიტანულ სასამართლოში იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ 2000-2004 წლებში აბრამოვიჩმა Сибнефть -ის, ОРТ-ს, Русал-ის წილების იაფად გაყიდვა აიძულა. პატარკაციშვილის ნაცნობი ბიზნესმენი იმ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ის ბერეზოვსკის მხრიდან ერთადერთი მოწმე იყო, რომელსაც ბერეზოვსკისა და აბრამოვიჩს შორის საქმიანი ურთიერთობის არსებობის დადასტურება შეეძლო. სწორედაც რომ ის აწერდა ხელს ბევრ და მათ შორის, ალუმინის ქარხნების აქციების გაყიდვის დამადასტურებელ დოკუმენტებსაც. 1997 წელს, პატარკაციშვილი „სიბნეფტის“ აქციების 51%-ის გაყიდვასთან დაკავშირებით გამართულ ვაჭრობაზე, საკონკურსო კომისიას ხელმძღვანელობდა. ეს აქციები სახელმწიფომ გირაოდ გადასცა ბერეზოვსკისა და აბრამოვიჩის ნავთობ და საფინანსო კომპანიებს და ვაჭრობაშიც სწორედ მათმა კომპანიამ გაიმარჯვა...

ორი წლის წინ, პარტნიორები ერთმანეთს საბოლოოდ დასცილდნენ. ბერეზოვსკიმ საჯაროდ განაცხადა, რომ რუსეთში ხელისუფლების ძალისმიერი გზით ხელში ჩაგდების გეგმას ამზადებდა. პასუხად პატარკაციშვილმა ერთობლივი აქტივების გაყოფა მოითხოვა და საგამომცემლო სახლ „კომერსანტისა“ და სხვა აქტივებში ბერეზოვსკის წილები გამოისყიდა...

პატარკაციშვილის ნაცნობი ბიზნესმენის თქმით, *„ის სტალინის ტიპის, გულჩახვეული ადამიანი იყო. 1996-97 წლებში გამიმხილა, რომ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრობა სურდა და ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც იოსებ ბესარიონის ძე, ქვეყანაში წესრიგის დამყარებას ერთ დღე-ღამეში შეძლებდა... პატარკაციშვილი იღბლიანიც იყო: სამორინესა და ბანქოში ყოველთვის იგებდა. ამიტომაც, ლონდონის ზოგიერთ სამორინეში თამაშს უკრძალავდნენ“.*

## გარიგება არ შედგა

როგორც „ნოვაია გაზეტასთვის“ გახდა ცნობილი, სიკვდილამდე ბოლო სამი დღის მანძილზე, ბადრი პატარკაციშვილი თანამედროვე საქართველოს ისტორიაში ყველაზე მსხვილ გარიგებას ამზადებდა. შუამავლები მისი კუთვნილი ტელეკომპანიის — „იმედის“ საქართველოს ხელისუფლებისთვის მიყიდვას, სანაცვლოდ კი საქართველოს რკინიგზის ყიდვას სთავაზობდნენ.

ცხადია, პატარკაციშვილს ესმოდა, რომ ეს პოლიტიკური გარიგება იყო. მაგრამ ორივე მხარის წარმომადგენელმა იურისტებმა შეთანხმების მომზადება მაინც დაიწყეს.

როგორც ბიზნესმენთან დაახლოებული წყაროებიდან გახდა ცნობილი, გარიგება დასრულების სტადიაში იყო, როცა პატარკაციშვილის მხარისთვის მოულოდნელად, შემაჯამებელ შეთანხმებაში გაჩნდა პუნქტი — საქართველოს რკინიგზაში დაახლოებით ორ მილიარდ ამერიკულ დოლარამდე თანხის დამატებითი ინვესტირების აუცილებლობის შესახებ. პატარკაციშვილმა გარიგება დაამუხრუჭა, მაგრამ მეორე მხარემ, რომელიც საქართველოს მთავრობას წარმოადგენდა, საქართველოს რკინიგზის ყველა აქცია უკვე ბაჰამის ერთ-ერთ ოფშორში გადაიტანა.

უცნობია, როგორ განიმუხტებოდა ეს სიტუაცია, პატარკაციშვილი ცოცხალი რომ ყოფილიყო. უეცრად გარდაცვლილი ბიზნესმენის წარმომადგენლის თქმით, საღღეისოდ გარიგება დასრულებული არ გახლავთ, მაგრამ საქართველოს რკინიგზა უკვე ბაჰამის კუნძულების ოფშორში დარეგისტრირებული რომელიღაც ფირმის კუთვნილებაა.

## აუდიოჩანაწერი, სადაც მაგნატის მოკვლის გეგმაზეა ლაპარაკი

პატარკაციშვილი ბევრს ეწეოდა. მეგობრებსა და მეზობლებს ისიც ახსოვთ, რომ ის კავკასიური სტილის უხვ ნადიმებს ანიჭებდა უპირატესობას. *„თუკი ოდესმე ქართული სამზარეულოს სადილები გინახავთ, მარტო ისღა უნდა იმარჩიელოთ, რომ ადამიანები, რომლებიც ასე იკვებებიან, თუნდაც 20 წლამდე როგორ აღწევენ?“* — ამბობს პატარკაციშვილის ერთ-ერთი პარტნიორი.

სერგეი დორენკომ, რომელიც იმ მოსკოვური ტელეკომპანიის ჟურნალისტია, რომლის თანამფლობელი ოდესღაც პატარკაციშვილი და მისი საუკეთესო მეგობარი, რუსი ოლიგარქი, ამჟამად კი ემიგრანტი ბორის ბერეზოვსკი იყვნენ, განაცხადა: *„ბადრისთან ერთად თითქმის ორი კვირა, 14-დან 26 დეკემბრის ჩათვლით გავატარე. მე მას ყოველდღე ვხვდებოდი. ძალიან ძლიერი და ენერგიული ადამიანი იყო. არ მახსოვს, ერთხელ მაინც დაეჩივლა, — დავიღალეო; არ მახსენდება, უქეიფოდ ყოფილიყო“.*

ეჭვს იმის თაობაზე, რომ პატარკაციშვილი მთავრობის მიერ მომზადებული მკვლელობის მსხვერპლი გახდა, ისიც ამყარებს, რომ მაგნატს ახლო ურთიერთობა ჰქონდა „კაგებეს“ ყოფილ თანამშრომელ ანდრეი ლუგოვოისთან. დიდმა ბრიტანეთმა ლუგოვოის სპეცსამსახურების ყოფილი აგენტის — ალექსანდრ ლიტვინენკოს მოწამვლაში (გამოძიების ვერსიით, ლუგოვოიმ ლიტვინენკოს ჩაიში რადიოაქტიური იზოტოპი, პოლონიუმ-210 ჩაუყარა) დასდო ბრალი და ძებნილად გამოაცხადა.

ლიტვინენკო განსვენებულ ქართველ ოლიგარქთან მეგობრობდა და ჯერ, თურქეთში მიმავალი, მის კავკასიურ სახლში იმალებოდა; შემდეგ კი როცა პრეზიდენტ პუტინს გაექცა, პატარკაციშვილის ლონდონურ სახლსაც აფარებდა თავს.

ამჟამად რუსეთის პარლამენტის დეპუტატმა ლუგოვოიმ რუსეთის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ პატარკაციშვილი მას სიკვდილამდე დაახლოებით ხუთი დღით ადრე ელაპარაკა და მაგნატმა ჯანმრთელი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა.

როგორც ირკვევა, ბერეზოვსკი უახლოესი მეგობრის დაკარგვით ძალზე დათრგუნვილია. მან ხომ ერთ-ერთმა უკანასკნელმა ნახა ცოცხალი პატარკაციშვილი.

სკოტლანდ-იარდი უკვე სწავლობს პატარკაციშვილის რწმუნებულთა მტკიცებულებებს იმ აუდიოჩანაწერთან დაკავშირებით, რომელიც ქართველ სახელმწიფო მოხელესა და ჩეჩენ საველე მეთაურს შორის შედგა და სადაც მაგნატის მოკვლის გეგმაზეა ლაპარაკი.

როგორც მოსალოდნელია, პატარკაციშვილის ადვოკატ ლორდ გოლდსმიტსა, და აგრეთვე, მის პიარკონსულტანტ ლორდ ბელს ჩვენების მიცემას მოსთხოვენ.

თუ გაზეთ Messenger-ს დავუჯერებთ, ცოტა ვინმე თუ ენდობა გაკვეთის შედეგებს, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო გადატრიალებაში ბრალდებული მეამბოხე თავისი სიკვდილით მოკვდა. ■

## შეთქმულებები რუსეთში, სიკვდილი და ინტრიგები

- 2003 წლის 12 სექტემბერს, რუსეთში თაღლითობის ბრალდებით ძებნილ ბორის ბერეზოვსკის დიდ ბრიტანეთში თავშესაფარი იმის საფუძველზე მისცეს, რომ ზოგიერთი ვერსიით, რუსეთის სახელმწიფომ მისი მოკვლა სამჯერ დაგეგმა. და კიდევ, იმასაც ამბობენ, თითქოს, ივნისში, ამ ემიგრანტ-მილიარდერის მოკვლის დავალებით, ლონდონში კილერიც კი ჩავიდა.
- 2004 წლის 3 მარტს სტივენ კერტისი, რომელიც წარსულში ოლიგარქ მიხაილ ხოდორკოვსკის მარჯვენა ხელი იყო, ბორნმუტის მახლობლად, ვერტმფრენის კატასტროფის შედეგად დაიღუპა. ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე, კერტისი ნათესავებს შესჩიოდა, მოკვლას მიპირებენო.
- 2006 წლის 23 ნოემბერს ალექსანდრ ლიტვინენკო ლონდონის საავადმყოფოში, რადიოაქტიური ნივთიერებით მოწამვლის შედეგად გარდაიცვალა. სამეფო პროკურატურა „კაგებეს“ ყოფილი თანამშრომლის, ანდრეი ლუგოვოის ექსტრადიციის მიღწევას ცდილობს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, დანაშაულის ბერეზოვსკისთვის გადაბრალებას ცდილობს. ამ მოვლენებმა მოსკოვსა და ლონდონს შორის ურთიერთობა მაქსიმალურად გააუარესა. ■

# შერონ სტოუნის კაბრიოლეტს აუქციონზე გაყიდიან

შიდსთან ბრძოლის საქველმოქმედო საზოგადოება, რომელსაც სერ ელტონ ჯონი უდგას სათავეში, აუქციონზე მსახიობ შერონ სტოუნის კუთვნილ საკოლექციო კაბრიოლეტს — Corvette — გაიტანს. მანქანა 1974 წელსაა გამოშვებული. მასზე აღნიშნულია ძრავას და ძარას გამოშვების ქარხნული ნომრები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ის ნამდვილია. აუქციონი ჰოლივუდის დასავლეთ ნაწილში, 24 თებერვალს ჩატარდება, ხოლო გამარჯვებული Academy Awards Viewing Party-ში, ფინალურ საღამოზე გახდება ცნობილი. ღონისძიებაზე გამოვლენ შერონ სტოუნი, ვიქტორია და დევიდ ბექჰემები, ოზი და შერონ ოსბორნები. გასულ წელს, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოებამ 4,4 მილიონ დოლარზე მეტი თანხის შეგროვება მოახერხა. ელტონ ჯონის საქველმოქმედო საზოგადოება 1992 წელს დაარსდა და თავისი არსებობის განმავლობაში, 125 მილიონ დოლარზე მეტი თანხის შეგროვება შეძლო. ■

# უსწრაფესი საგზაო BMW

სედანის — BMW M5 — ტიუნინგვერსიამ, რომელიც გერმანულმა კომპანია G-Power-მა შეიმუშავა, პაპენბურგის (ქვედა საქსონია) სპეციალურ ტესტ-ტრეკზე 360 კმ/სთ სიჩქარე განავითარა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ამგვარად, აღნიშნულმა ავტომობილმა წინა რეკორდი (331 კმ/სთ) გააუმჯობესა, რის შემდეგაც BMW-ს საგზაო ვერსიათა შორის ყველაზე სწრაფ ავტომობილად იქცა. BMW M5-ის ტიუნინგმოდიფიკაცია V10 ტიპის, 5-ლიტრიანი, 730 ცხ.ძ. სიმძლავრის 2-ტურბინიანი ბენზინის ძრავათია აღჭურვილი. ასეთი სედანი 100 კმ/სთ სიჩქარეს 4,2 წამში ავითარებს, 200 კმ/სთ-ს — 10 წამში, ხოლო 300 კმ/სთ-ს — 29,5 წამში. ადრე, G-Power-ის წარმომადგენლები იუწყებოდნენ, რომ ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 340 კმ/სთ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ატელიეს სპეციალისტებმა შეძლეს, რომ ის 20 კმ/სთ-ით გაეზარდათ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია — G-power — ამ ავტომობილის კიდევ უფრო მძლავრი ვერსიის შექმნას აპირებს. მისი ძრავას სიმძლავრე 800 კმ/სთ-მდე გაიზრდება. ■

# „ბუგატის“ სიახლე



ჟენევის ავტოშოუზე, რომელიც მარტის დასაწყისში გაიხსნება, კომპანია Bugatti სუპერავტოს — Veyron — განსაკუთრებულ ვერსიას წარადგენს. Bugatti Veyron-ის ახალი მოდიფიკაცია მოდის სახლთან — Hermes — ერთად შეიქმნება. ამ ორგანიზაციასთან ავტომწარმოებელი კომპანია უკვე გასული საუკუნის 20-იან წლებში თანამშრომლობდა. როგორც მოსალოდნელია, მომავალ სუპერავტოს უნიკალური ინტერიერი ექნება, ხოლო გარეგნულად, ის უმნიშვნელოდ შეიცვლება. შეგახსენებთ, Veyron-ის წინა განსაკუთრებული სერია — Pur Sang — შეზღუდული ტირაჟით, სულ ხუთ ეგზემპლარად გამოიცა და საბაზო ავტომობილისაგან 100 კგ-ით ნაკლები წონით, კარბონისა და პოლირებული ალუმინისაგან დამზადებული ძარათი და სალონით გამოირჩეოდა. ■


აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

| გამოცემის დასახელება | 1 ეს. ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. МК-МОБИЛЬ | 1.70 | 20.3 |
| 2. АВТОМОБИЛИ | 8.40 | 50.4 |
| 3. АВТОСЕРВИС | 73.85 | 443.1 |
| 4. АВТОМАГАЗИН | 3.75 | 22.3 |
| 5. АВТОШКОЛА ПРОФИ | 63.70 | 191.0 |
| 6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ | 82.80 | 496.6 |
| 7. АВТОПАНОРАМА | 8.55 | 51.2 |

ავტომობილების ყველაზე ფართო
ასორტიმენტი
ქ. თბილისი
ოსლობის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი ხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები




რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

# ჰოროსკოპი

(21 - 27 თებერვალი)

### ვერძი:

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, შეეცდებით, წამოიწყოთ საკუთარი ბიზნესი, რომელიც თქვენს სტაბილურ მომავალს უზრუნველყოფს. შემოქმედებითი თვითრეალიზაციისთვის უპრიანი იქნება, გახსნათ სარეკლამო ბიურო ან დიზაინის სტუდია.

### ხარი:

ამ დღეებში რისკზე წასვლა ნამდვილად ღირს, მაგრამ ფულის ფლანგვისგან თავის შეკავება გმართებთ. ბევრი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებსა და ნათესავებს, რომლებიც დადებითი ენერგიით აგავსებენ. შაბათ-კვირას შეეცადეთ, კულტურულ დაწესებულებებს ესტუმროთ.

### კრაბი:

დროის მოცემულ მონაკვეთში ძალის მოზღვავებას იგრძნობთ. სარფიანად წარიმართება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა. დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან. უქმე დღეები მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

### მორიელი:

ნებისმიერ საქმეში გაგიმართლებთ, მაგრამ სანამ რაიმე ხელშეკრულებას გააფორმებთ, კარგად უნდა დაფიქრდეთ. ამ კვირაში ხელოვნება, მუსიკა და გართობა არა მარტო სიამოვნებას მოგგვრით, არამედ კარგ შემოსავალსაც მოგიტანთ.

### ტყუპები:

თუ თქვენ უმუშევარი ხართ, შესაძლოა, სწორედ ახლა იპოვოთ ისეთი სამსახური, რომელზეც ოცნებობდით. შესაბამისად, გაუმჯობესდება თქვენი მატერიალური მდგომარეობაც. ამ დღეებში რომელიმე ნათესავი სასიამოვნო სიურპრიზით გაგახარებთ და საკმაოდ დიდ თანხას გაჩუქებთ.

### მგვილდოსანი:

მეუღლესთან თბილი და ჰარმონიული ურთიერთობა გელით, ხოლო თუ ჯერ არა ხართ დაქორწინებული, უმჯობესია, გარკვეული ხნით, თქვენი სასიყვარულო ურთიერთობა საიდუმლოდ შეინახოთ. ამ დღეებში ადვილად დაძლევთ ნებისმიერ დაბრკოლებას.

### კირჩხიბი:

ამ დღეებში დამყარებთ მეგობრულ ურთიერთობას უცხოელებთან და გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც მფარველობას გაგიწევენ. თუ თეატრალური, ტურისტული ან პედაგოგიური საქმიანობით ხართ დაკავებული, ამ პერიოდში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას სრულყოფილად შეძლებთ.

### თხის რძა:

დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სერიოზული უსიამოვნებები გელით. ერთფეროვანი ცხოვრება თქვენზე დამთრგუნველად იმოქმედებს. გირჩევთ, უქმე დღეები აქტიურ დასვენებას დაუთმოთ.

### ლომი:

ჰარმონიული ურთიერთობა მეუღლესთან და ოჯახის სხვა წევრებთან სულიერ სიმშვიდეს მოგიტანთ. გაიჩენთ ახალ მეგობრებს, რომლებიც გეგემების განახორციელებაში დაგეხმარებიან. ენდეთ თქვენი პარტნიორის ინტუიციას სამომავლო მიზნებისა და პროექტების შემუშავებისას.

### მერწყული:

ამ პერიოდში ბიზნესი მოგებას მოგიტანთ, გაიზრდება თქვენი ხელფასი ან რაიმე პრემიით დაგაჯილდოებენ. მაგრამ თუ შემოქმედებით საქმიანობას ეწევით, შესაძლოა, გარშემო მყოფთა ცილისწამება და ინტრიგები თქვენი ფსიქიკური აშლილობის მიზეზად იქცეს.

### ძალწული:

ნათესავების მხარდაჭერასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ბიზნესსა და კარიერაში დიდ წარმატებას მიაღწევთ. სავსებით შესაძლებელია, მიიღოთ დიდი მემკვიდრეობა. მოგზაურობა და მივლინებები საქმიანი ურთიერთობის დამყარებასა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში შეგიწყობთ ხელს.

### თევზები:

თქვენი ნებისყოფისა და ორიგინალური იდეების წყალობით, ცხოვრებისეულ პრობლემებს ადვილად გაართმევთ თავს. სიხარულს მოგანიჭებთ ნებისმიერი თავგადასავალი. მოგეცემათ შესაძლებლობა, გააფართოოთ საკუთარი გავლენის სფერო.




1 მოხეტიალე მსახიობი ძვ. რუსეთში
2 მდინარის სადინარი
3 ქვეყანა ევროპაში
4 წყალში მოზელილი ფქვილი
5 ჩოგბურთის მოედანი
6 ამერიკის შტატი
7 წყლის დანალექი წმინდა სილა
8 ციებ-ცხელება
9 ბრაზილიელი ფეხბურთელი
10 ... სტრიპი
11 ... დიზელი
12 მარიო პუზოს რომანი
13 ვეფხვური ფერკული ხე
14 ტივტივა
15 „რენოს“ მოდელი
16 მგალობელი ფრინველი
17 საკონდიტრო ნაწარმი
18 ინტუიცია
19 ... კიდმანი
20 ტროა
21 მღვდელმთავარი
22 ტურ ჰეერდლის ერთ-ერთი ტივი
23 ინგლისური ლუდი
24 ქართისებრთა ოჯახის ფრინველი
25 მდინარე რუსეთში
26 ჩვენგან მოშორებით
27 ადამიანებით ვაჭრობა
28 ქალაქი იტალიაში
29 ბილიარდის ჯოხი
30 შხამიანი გველი
31 მექსიკის დედაქალაქი
32 ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ვაჟი
33 უბანი თბილისში
34 იტალიის ტელევიზია
35 მონარქი
36 ცხენის ჭენება
37 უკმაყოფილების გამოხატვა სიტყვიერად
38 სახედარი
39 ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია
40 ქვეყანა აფრიკაში
41 დანამულის განმეორებითი ჩადენა
42 კოლუმბის ერთ-ერთი გემი
43 ვრამატიკული კავშირი
44 ნიკარაგუის პრეზიდენტი
45 ჭადრაკის ფიგურა
46 შიშველი სხეული ხელოვნებაში

**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. ჯამბაზი; 2. მატელოტი; 3. ბასრი; 4. ზანგი; 5. რაფინადი; 6. მასრა; 7. ინტერნეტი; 8. ტატამი; 9. ორლი; 10. ერბო; 11. იუტა 12. პარანგონი; 13. ჰავანა; 14. ურემი; 15. პავაროტი; 16. იხვი; 17. აიდა; 18. მირიანი; 19. უთო; 20. არგო; 21. ჯამე; 22. მერიმე; 23. თამასა; 24. მამული; 25. როსელინი; 26. ეტა; 27. დოჯი; 28. მირკანი; 29. მანე; 30. სუმო; 31. კატრენი; 32. ასპიტი; 33. სპა; 34. ბოლი; 35. ელი; 36. ელინი; 37. ლაოსი; 38. იალტა; 39. ორგია; 40. სიცხე; 41. ბროსნანი; 42. იდიოტია.

**სურათებზე:** ჯეისონ სტეტჰემი; სელმა ბლერი.

# რამდენად კარგად ერკვევი მოდაში?

**სტილისა და იმიჯისგან განსხვავებით, მოდა საკმაოდ ცვალებადი რამ გახლავთ. ამიტომ, თუ გსურს, რომ მოდის ტენდენციებს არ ჩამორჩე, აუცილებელია, ჩაცმულობის სტილში დროულად შეიტანო კორექტირება.**

**1. რას მიიჩნევ მოდურ ნივთად?**

ა) ცნობილი მოდელიერის მიერ შექმნილ ნებისმიერ ნივთს — 3; ბ) ნივთს, რომელიც დანახვისთანავე მომეწონა და ამასთანავე, სხვებზე მსგავსი რამ ჯერაც არ მინახავს — 1; გ) ნივთს, რომლის დანახვაზეც ნაცნობ-მეგობრები აღფრთოვანებას ვერ ფარავენ — 2.

**2. რამდენი ცნობილი მოდელიერის სახელის ჩამოთვლა შეგიძლია?**

ა) 20-ს მაინც ჩამოვთვლი — 1; ბ) ათეულის დასახელებას შევძლებ — 2; გ) 2-3 მათგანის დასახელება არ გამიჭირდება — 3.

**3. საოცრად მოგეწონა ნივთი, რომელიც მოდურ ბუტიკში ძალიან ძვირი ღირდა. შემდეგ, ასეთსავე ნივთს შენთვის სრულიად ხელმისაწვდომ ფასში, ჩვეულებრივ მაღაზიაშიც წააწყდი. როგორ მოიქცევი?**

ა) მას არც მაღაზიაში ვიყიდი და არც — ბუტიკში, რადგან ის ყველასათვის ხელმისაწვდომია — 2; ბ) მირჩევნია, ძვირი გადავიხადო და უფრო თავდაჯერებული ვიყო, ვიდრე ეს ნივთი ჩვეულებრივ მაღაზიაში შევიძინო და ამის გამო, გულს მეთანაღრებოდეს — 1; გ) ამ ნივთს მაღაზიაში შევიძენ. რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი გადავიხადე, — ამას ხომ მაინც ვერავინ შეიტყობს?! — 3.

**4. რაზეა დამოკიდებული ფერი, რომელიც შენს გარდერობში ჭარბობს?**

ა) იმაზე, თუ რა ფერია ამ სეზონზე მოდაში — 3; ბ) იმაზე, რა ფერიც მიხდება — 2; გ) ეს დამოკიდებულია ჩემს გუნებაგაწყობილებაზე — 1.

**5. მიგაჩნია, რომ საოცრად მოდური ტანსაცმელი შეიძინე და კმაყოფილი ტოვებ მაღაზიას. გამოსვლისთანავე ამჩნევ შენს „ორეულს“ — გოგონას, რომელიც ისეთსავე სამოსშია გამოწყობილი, როგორიც შენ სულ ახლახან შეიძინე. როგორ მოიქცევი?**

ა) შენაძენს მაშინვე უკან დავაბრუნებ — 1; ბ) ცოტა არ იყოს, ხასიათი გამიფუჭდება, მაგრამ არაფერს მოვიმოქმედებ — 3; გ) ჩემნაირი გემოვნების მქონე ადამიანთან შეხვედრა გამახარებს — 2.

**6. შენი აზრით, ვერტიკალურზოლიანი ქსოვილისგან შეკერილი ტანსაცმელი ადამიანს უფრო...**

ა) გამხდარს აჩენს — 2; ბ) მაღალს აჩენს — 1; გ) ასეთი ქსოვილისგან შეკერილი ტანსაცმელი ნებისმიერი ფიგურის მქონე ადამიანს უხდება — 3.

**7. რა არის თანამედროვე მოდის ძირითადი ტენდენცია?**

ა) ეკლექტიზმი — 2; ბ) დემოკრატიულობა — 3; გ) მკაცრი დიქტატის არარსებობა — 1.

**8. შენი აზრით, რაზე მეტყველებს განზრახ არათანაბრად შეჭრილი „ჩოლკა“?**

ა) ეს, თანამედროვე მოდურ ტენდენციაზე მიუთითებს — 3; ბ) ჩემი აზრით, ასეთი „ჩოლკა“ ყველას როდი უხდება — 2; გ) დალაქის უნიჭობაზე მეტყველებს — 1.

**9. ეთანხმები თუ არა მოსაზრებას, რომ ბუნებრიობა ყოველთვის მოდაშია?**

ა) მხოლოდ ზოგჯერ — 1; ბ) რა თქმა უნდა — 2; გ) მიჭირს პასუხის გაცემა — 3.

**10 კარგი მოდელიერი რომ გახდე, ამისთვის რაა საჭირო?**

ა) ნიჭი — 1; ბ) ხატვა და კერვა — 2; გ) ეს სფერო სათანადოდ უნდა შეისწავლო და კარგი გემოვნებითაც უნდა გამოირჩეოდე — 3;

## ტესტის შედეგები

**1-10 ქულა:** თანამედროვე მოდის ტენდენციებში საკმაოდ კარგად ერკვევი. შენ არა მარტო გსურს, რომ კარგად გამოიყურებოდე და ირგვლივ მყოფებს მოსწონდე, არამედ მაღალი მოდის მწვერვალის დაპყრობაზეც ოცნებობ. თუკი ამ სფეროში მოღვაწეობას გადაწყვეტ, გაქვს შანსი, წარმატებას მიაღწიო.

**11-20 ქულა:** არა მგონია, ირგვლივ მყოფები მოდის მიმდევარ ადამიანად მიგიჩნევდნენ; საეჭვოა ისიც, რომ მეგობრები გამუდმებით გირეკავდნენ და რჩევას გთხოვდნენ. თუმცა, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ჭეშმარიტად მოდური რამდენიმე ნივთი შენს გარდერობში არ მოიპოვება.

**21-30 ქულა:** მართალია, სურვილი გაქვს, ეფექტურად და თანამედროვედ გამოიყურებოდე, მაგრამ შენ მიერ მოგროვილ ქულათა რაოდენობა აშკარად მეტყველებს, რომ მოდის ტენდენციებით სათანადოდ არ ხარ დაინტერესებული. ეცადე, მეტი დრო დაუთმო მოდური ჟურნალების თვალიერებას.

## იაპონური სენსაციის სუდოკუ

### წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | 9 | 3 | 5 | 8 | 6 | 2 | 7 |
| 6 | 3 | 5 | 7 | 1 | 2 | 4 | 9 | 8 |
| 8 | 7 | 2 | 9 | 6 | 4 | 5 | 3 | 1 |
| 3 | 6 | 8 | 5 | 7 | 1 | 9 | 4 | 2 |
| 5 | 9 | 4 | 2 | 8 | 3 | 7 | 1 | 6 |
| 7 | 2 | 1 | 6 | 4 | 9 | 8 | 5 | 3 |
| 4 | 5 | 6 | 1 | 3 | 7 | 2 | 8 | 9 |
| 9 | 8 | 3 | 4 | 2 | 6 | 1 | 7 | 5 |
| 2 | 1 | 7 | 8 | 9 | 5 | 3 | 6 | 4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 8 | 5 | 1 | 6 | 3 | 9 | 2 |
| 9 | 6 | 5 | 3 | 2 | 7 | 8 | 4 | 1 |
| 1 | 2 | 3 | 4 | 9 | 8 | 6 | 7 | 5 |
| 8 | 7 | 6 | 1 | 5 | 9 | 4 | 2 | 3 |
| 4 | 5 | 2 | 6 | 8 | 3 | 9 | 1 | 7 |
| 3 | 1 | 9 | 7 | 4 | 2 | 5 | 6 | 8 |
| 2 | 3 | 4 | 9 | 7 | 5 | 1 | 8 | 6 |
| 5 | 8 | 1 | 2 | 6 | 4 | 7 | 3 | 9 |
| 6 | 9 | 7 | 8 | 3 | 1 | 2 | 5 | 4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 5 | 9 | 2 | 8 | 6 | 1 | 3 |
| 9 | 2 | 6 | 3 | 1 | 5 | 4 | 7 | 8 |
| 1 | 3 | 8 | 6 | 7 | 4 | 2 | 5 | 9 |
| 8 | 1 | 4 | 7 | 5 | 6 | 3 | 9 | 2 |
| 5 | 9 | 2 | 1 | 4 | 3 | 8 | 6 | 7 |
| 6 | 7 | 3 | 8 | 9 | 2 | 1 | 4 | 5 |
| 3 | 5 | 7 | 4 | 8 | 1 | 9 | 2 | 6 |
| 4 | 8 | 9 | 2 | 6 | 7 | 5 | 3 | 1 |
| 2 | 6 | 1 | 5 | 3 | 9 | 7 | 8 | 4 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | | | 4 | | 6 | |
| | | 7 | 8 | | | 3 | | 2 |
| | 1 | | | 7 | | | | 9 |
| | 7 | | | 3 | | 6 | | |
| | 8 | | 6 | | | | 4 | |
| | | 9 | 7 | | 5 | | 1 | |
| 4 | | | | 1 | | | 3 | |
| 7 | | 5 | | | 6 | 9 | | |
| | 2 | | 3 | | | 8 | | |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | | | | | 8 | |
| | 7 | | | | 3 | | 6 | |
| | 8 | 4 | 5 | | | | | 2 |
| 6 | | | | | | | 7 | |
| | 9 | | 6 | | | | 5 | |
| | 5 | | | 2 | | | | 3 |
| 1 | | | | | 6 | 7 | 4 | |
| | 4 | | 9 | | | | 1 | |
| | 6 | | | | | | 2 | |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | 6 | | | | | |
| | 3 | | 4 | | | | | 1 |
| 9 | | | 1 | | | 3 | | |
| | 5 | 8 | 3 | | | | | 9 |
| | 6 | | | 5 | | | 7 | |
| 3 | | | | | | 5 | 4 | |
| | | 6 | | | 3 | | | 2 |
| 1 | | | | | 8 | | 6 | |
| | | | | | 9 | | | 4 |

# ᲙᲔᲛᲑᲠᲘᲯᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ



გაზეთი The Telegraph იუწყება, რომ კემბრიჯის უნივერსიტეტის ყველაზე დიდ საიდუმლოს ფარდა აეხადა! უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა გავრცელებული ლეგენდა იმის შესახებ, რომ ბიბლიოთეკის საცავებში ეროტიკული და პორნოგრაფიული ლიტერატურის მდიდარი კოლექცია ინახება. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის 17-სართულიან კოშკში არშიყის ხელოვნების, სიყვარულისა და სექსისადმი მიძღვნილი 200 ათასი ილუსტრირებული წიგნია დაცული. კოლექციას ვიქტორიანული ეპოქის ეროტიკული ლიტერატურა დაედო საფუძვლად, რომელიც XX საუკუნეში მხოლოდ მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ვიწრო წრისთვის იყო ხელმისაწვდომი. ამ წიგნების წაკითხვა სტუდენტებს ეთიკური მოსაზრების გამო ეკრძალებოდათ.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ვანესა ლეისი ამბობს, რომ კოლექცია ახალი პორნოგრაფიული გამოცემებით მუდმივად ივსება. მისი განმარტებით: „ეროტიკული ლიტერატურის უდიდესი ნაწილი მხოლოდ ისტორიკოსებს დააინტერესებს, ხოლო პიკანტური დეტალების მოყვარული მკითხველი მათში ექსტრაორდინარულს ვერაფერს მოიძიებს!“

# ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲣᲠᲐᲓ...

35 წლის ეგვიპტელმა, ახმედ აბდელ ხადიმ ქვეყნის ხელისუფლებას დაზღვევის ახლებური სქემა შესთავაზა, რომელიც უცოლო მამაკაცებს ოჯახის შექმნაში დაეხმარება. საქმე ის გახლავთ, რომ ეგვიპტეში ცოლის მოყვანა ძალზე ძვირი ჯდება. პატარძლის გამოსასყიდი მახარის გადახდა საქორწილო ხარჯების მხოლოდ მცირე ნაწილია. მომავალმა ქმარმა ღირსეული ქორწილიც უნდა გადაიხადოს და ასევე, მეუღლე ცალკე საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოს. ამის გამო, ეგვიპტელი მამაკაცების უმრავლესობა ოჯახის შექმნას აჭიანურებს. უცოლო ახმედ აბდელ ხადიმ დაზღვევის საკუთარი სისტემა შეიმუშავა და სქემა კაიროს მეტროპოლიტენის ვესტიბიულის კედელზე გამოაკრა... დაზღვევის სქემა შემდეგში მდგომარეობს: სასიძოს მშობლები სადაზღვევო კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას ყოველთვიურად 100 ეგვიპტურ გირვანქას გადაუხდიან. კონტრაქტში მითითებული ვადის ამოწურვის მომენტში აუცილებელია, რომ ვაჟიშვილი დაქორწინებული იყოს. თუ ამ მომენტისათვის მამაკაცს ოჯახი არ შეუქმნია, სააგენტო სოლიდურ კომპენსაციას გადაიხდის, ეს თანხა კი უიღბლო ბერბიჭას დაქორწინებაში დაეხმარება...

# ᲯᲝᲜ ᲙᲔᲜᲔᲓᲘᲡ „ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ“ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ

კანადაში ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე გამოჩნდა, რომელიც თავს პრეზიდენტ ჯონ კენედის უკანონო შვილად ასაღებს და იმისათვის, რომ ეს ამბავი დაამტკიცოს, კენედების ოჯახის წევრებისგან დნმ-ის ანალიზის ჩატარებას მოითხოვს. 45 წლის ჯეკ უორტინგტონი პრეზიდენტის გარდაცვალებამდე 1 წლით ადრე დაიბადა. მან საკუთარი წარმოშობის „საიდუმლოს“ გამხელა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში წაიკითხა სტატია, სადაც აღნიშნული იყო, რომ შესაძლოა, კანადაში კენედის უკანონო შვილები ცხოვრობდნენ.

დღეისათვის, ჯონ კენედის ოფიციალურად აღიარებული შვილებიდან, მხოლოდ პრეზიდენტის ქალიშვილი — კეროლაინია ცოცხალი, რომელსაც უკვე 50 წელი შეუსრულდა.

# ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲙᲐᲖᲘᲜᲝ

მსოფლიოში უდიდესი აერობუსები — A380 — მალე მფრინავ კაზინოებად გადაკეთდება. ამის შესახებ კომპანია AirBus უკვე რამდენიმე კლიენტთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ჯერჯერობით მყიდველთა ვინაობა უცნობია. მფრინავი კაზინოები მსოფლიოს ზეცას სავარაუდოდ, 2012 წლიდან გადასერავენ. როგორც AirBus-ის წარმომადგენელი, დევიდ ველუპილაი აცხადებს, კლიენტებმა A380 იმ მიზეზით შეარჩიეს, რომ აერობუსის სალონისა და დამხმარე სათავსების ფართობი Boeing-747-ის ფართობს 50%-ით აღემატება. აერობუსმა A380 რეგულარული რეისების შესრულება გასულ წელს დაიწყო. მისი ფრთების სიგრძე 79,4 მ-ია. აერობუსს 555 მგზავრის გადაყვანა და 15200 კმ-ის მანძილზე შეუჩერებლად ფრენა შეუძლია.

# ᲥᲕᲘᲠᲬᲐᲡᲝ ᲛᲐᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲝ!

თუ გსურთ, აქტიურად ჩაერთოთ თქვენი საყვარელი ჟურნალის განახლებაში — შემოგვთავაზოთ რამე იდეა, მოგვაწოდოთ ჭორ-მართალი საინტერესო ადამიანებზე, ოპერატიულად გაგვიზიაროთ თქვენი შეხედულება „გზის“ პუბლიკაციებზე ან უბრალოდ, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ მესიჯი ტელეფონის ნომერზე: **8.99.17.35.27** ან მოგვწეროთ ელ. ფოსტაზე: gza.fantazia@gmail.com

**ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲒᲘᲮᲓᲘᲗ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ.**

# ფოტოკუიიოზები

სათესლე ნაზი
Nestlé
Nestlé
С миндалем и изюмом
Молочный шоколад
Nestlé
С лесным орехом
Молочный шоколад
Nestlé
Молочный шоколад
Nestlé
შოკოლადი
ნესტლე
დატკბი
სიმსუბუქით